პაატა კოღუაშვილი 47 წლის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, აკაკი წერეთლის პრემიის ლაურეატი.

სხვადასხვა დროს მუშაობდა ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად, სახაგრომრეწვში განყოფილების უფროსად, მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის პრემიერ-მინისტრის მოადგილედ, სახელმწიფოს მეთაურის წარმომადგენლად აგრარულ კომპლექსში, სახელმწიფო კანცელარიის მთავარ მრჩევლად აგრარული რეფორმის საკითხებში. 2003 წლის 1 სექტემბრიდან სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის სოფლის მეურნეობის ეკონომიკის კათედრის პროფესორია. იყო საქართველოს უზენაესი საბჭოსა და საქართველოს პარლამენტის წევრი. ავტორია 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და ორი მონოგრაფიის. მისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მთავარი სფეროა სასურსათო და აგრარული პოლიტიკის პრობლემები.

პაატა კოღუაშვილი

საქართველოს სასურსათო უშიშროება: რეალობა და პროგნოზები

გამომცემლობა "კოლორი"

თბილისი 2004

ეს მონოგრაფია სიყვარულით შეიქმნა. და კიდევ, მოვალეობის უდიდესი განცდით ჩემი ქვეყნის წარსულისა და მომავლის წინაშე. შესაძლებელია არც შემდგარიყო წიგნად, უამრავი ადამიანი, ჩემი კოლეგები, მეგობრები თუ სპეციალისტები გვერდში რომ არ ამომდგომოდნენ. უდიდესი მადლიერების გრძნობა მთელ სიცოცხლის მანძილზე გამყვება, ისევე, როგორც მათ მიერ გაწეული კონსულტაციები, ზოგჯერ კამათიც, რომელსაც ჭეშმარიტებისაკენ მივყავართ.

თანადგომისა და მხარდაჭერისათვის მადლობას ვუძღვნი პროფესორებს: რ. ასათიანს, რ. ანდღულაძეს, შ. ბენიას, ვ. ბურკაძეს, ჰ. გიორგაძეს, რ. გოგოხიას, ს. დიდებულიძეს, ო. ვაშაკიძეს, ა. კიკნაველიძეს, თ. კუნჭულიას, ლ. მარშანიას, გ. ნიკოლეიშვილს, ლ. პაპავას, ბ. რამიშვილს, ს. რუხაძეს, ა. სილაგაძეს, ნ. ქარქაშაძეს, ო. ქეშელაშვილს, გ. წერეთელს, ნ. ჭითანავას, მ. ჯიბუტს.

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტიდან მიღებულმა მასალებმა, უზრუნველყო წიგნში აღწერილი მოვლენების სრულყოფა. ულრმეს მადლობას მოვახსენებ ამისათვის მის თავმჯდომარეს, პროფ. თ. ბერიძეს და სასურსათო უსაფრთხოების ობსერვატორიის დირექტორს, დოც. გ. კვინიკაძეს.

წიგნი სასარგებლო რჩევებითა და შენიშვნებით გაამდიდრა რედაქტორმა გ. ზიბზიბაძემ, რისთვისაც განსაკუთრებულ მადლიერებას გამოვხატავ მის მიმართ.

წიგნი გამოსაცემად მოამზადა თ. ქოჩლაძემ და ო. კიკილაშვილმა, რომლებსაც ერთგულებისა და გაწეული შრომისათვის მადლობას მოვახსენებ.

რედაქტორი: *გიორგი ზიბზიბაძე,*
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი

რეცენზენტები: პროფ. *ჰ. გიორგაძე,*
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი

პროფ. *ლ. მარშანია,*
საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი

ISBN 99928-0-765-2

შინაარსი

წინათქმა 5

თავი I. სასურსათო უშიშროება, როგორც მსოფლიოს გლობალური პრობლემა..... 10

1.1. სასურსათო პრობლემა ჩვენს პლანეტაზე 10

1.2. სურსათის წარმოების რესურსული პოტენციალი თანამედროვე მსოფლიოში (პროგნოზები და რეალობები)..... 17

1.3. სასურსათო პრობლემა საქართველოში, მისი არსი და ძირითადი მახასიათებლები (სიღარიბე – შიმშილის ძირითადი მიზეზი)..... 30

1.4. სასურსათო უშიშროების არსი, შეფასების ძირითადი კრიტერიუმები და მახასიათებლები..... 36

1.5. მსოფლიო სასურსათო ბაზარი (ილუზიები და რეალობები) 48

1.6. სასურსათო უშიშროების ზოგადი კონცეფცია, ეროვნული სტრატეგია და მისი რეალიზაციის ძირითადი მიმართულებები..... 56

თავი II. საქართველოში სასურსათო უშიშროების არსებული მდგომარეობის სოციალურ-ეკონომიკური შეფასება. აგროსამრეწველო, სასურსათო კომპლექსში მიმდინარე რეფორმების სტრატეგია და ტაქტიკა..... 71

2.1. ეკონომიკის თანამედროვე მდგომარეობა და სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა 71

2.2. წარმოების დონის დაცემის მაკროეკონომიკური მიზეზები ეროვნულ მეურნეობაში და მოსახლეობის ცხოვრების რეალური დონის შეფასება..... 81

2.3. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის გათანაბრების რეგიონული პოლიტიკის ასპექტები 93

2.4. აგროსამრეწველო, სასურსათო კომპლექსის განვითარების თანამედროვე მდგომარეობა, ძირითადი პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები..... 104

2.5. ქვეყნის აგრარული პოლიტიკა და აგროსასურსათო სექტორის მდგრადი განვითარების ძირითადი მიმართულებები 118

თავი III. აგროსასურსათო სექტორის განვითარების პერსპექტივები საქართველოში 132
3.1. მეწარმეობისა და აგრობიზნესის განვითარება, როგორც სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფის ერთ-ერთი ძირითადი პირობა 132
3.2. სურსათის წარმოების რეგიონული და დარგობრივი ორიენტირები 143
3.3. საექსპერტო პოტენციალის ამაღლების გზები და მიმართულებები აგროსასურსათო სექტორში 154
3.4. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების ობიექტური აუცილებლობის წინაპირობები ახლო პერსპექტივაში 165
3.5. აგრარული სექტორის ეკონომიკური ეფექტიანობის მართვა. სპეციალური აგრარული საკრედიტო სისტემის ფორმირება და დანერგვა 172
თავი IV. საქართველოს სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფის ძირითადი მიმართულებები ახლო და შორეულ პერსპექტივაში 185
4.1. ეკონომიკური უშიშროების ზოგიერთი თავისებურება და აგროსასურსათო სექტორის სახელმწიფო რეგულირების ობიექტური უცილებლობა 185
4.2. ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამის სტრატეგიულ მიმართულებათა რეალიზება და შემოსავლების სამართლიანი გადანაწილება 207
4.3. სასურსათო პროდუქციის უსაფრთხოების კონტროლის ეროვნული სისტემის საფუძვლები 216
4.4. მეწარმეობის განვითარებისა და სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფის ეკონომიკურ-სამართლებრივი საფუძვლები 230
4.5. გეოპოლიტიკური ფაქტორის გამოყენება მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრირებისათვის 240
4.6. სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფის პროგნოზები 247
ბოლოთქმა 255
გამოყენებული ლიტერატურა 262

წიგნი ეძღვნება ჩემი მასწავლებლების: პროფესორების ივ. ჯაშის, პ. ულენტისა და აკ. მახარაძის, ასევე მამის, პეტრე კოღუაშვილის ნათელ ხსოვნას.

წინათქმა

საქართველო ერთ-ერთი პირველთაგანია ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან, რომელმაც 1991 წლის 9 აპრილს გამოაცხადა დამოუკიდებლობა და თავისი განვითარების ძირითად სტრატეგიულ მიმართულებად ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობათა და დემოკრატიულ ფასეულობათა დამკვიდრება დაისახა მიზნად.

ნებისმიერი ქვეყნისათვის ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციიდან მეორეზე გადასვლა მთელ რიგ ობიექტურ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველო აღმოჩნდა. დამოუკიდებლობის დღიდან ქვეყნის წინაშე მრავალი მწვავე პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური თუ სხვა სახის პრობლემა წარმოჩინდა, რომელთა გადაწყვეტა საქართველოს დამოუკიდებლად უნდა მოეხდინა, არა ჩვეული სოციალისტური წარმოების, არამედ სრულიად საპირისპირო, კაპიტალისტური წარმოების წესის დამკვიდრებით, საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობათა პირობებში. საჭირო გახდა ეკონომიკური თუ სოციალური ხასიათის პრობლემის არა მარტო გაანალიზება, არამედ მათი გადაწყვეტისათვის რეალური გზების მოძიება და რეალიზაცია თითოეული მოქალაქის, საზოგადოებისა და ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით. ამ პრობლემათაგან უმნიშვნელოვანესი საქართველოს სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფა აღმოჩნდა, რომელშიც მოიაზრება ქვეყნის უნარი (საშუალება) უზრუნველყოს საკუთარი მოსახლეობა კვების ძირითადი პროდუქტებით, ძირითადად საკუთარი რესურსების წარმოების ხარჯზე. ამ უნარის გარეშე სერიოზული საფრთხე ექმნება როგორც საქართველოს სტრატეგიულ, ასევე მისი თითოეული მოქალაქის სოციალურ-ეკონომიკურ ინტერესებს, ქვეყნის საერთო ეკონომიკურ უშიშროებას. ამდენად, ეროვნული სასურსათო უშიშროების უმთავ-

რესი მიზანი ხალხის, თითოეული მოქალაქისა და ცალკეული ოჯახისათვის სასურსათო უზრუნველყოფის გარანტიების შექმნაა საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, სოციალურ და სხვა ასპექტებთან ურთიერთკავშირში.

საქართველოსათვის ამ პრობლემის აქტუალობას აძლიერებს საერთაშორისო სასურსათო ბაზარზე ჩამოყალიბებული ტენდენციები, სურსათზე ფასების ზრდის დინამიკა, საქართველოში სასურსათო ბაზრის დღევანდელი მდგომარეობა და ექსპორტ-იმპორტის ბალანსის მნიშვნელოვანი დეფიციტი, რომელიც არსებითად დიდი ოდენობის სურსათის იმპორტითაა განპირობებული (კერძოდ, 2000 წელს საქართველოში იმპორტირებულ იქნა (ოფიციალურად აღრიცხული) 529,4 მლნ. აშშ დოლარის სასურსათო პროდუქცია, ხოლო ექსპორტმა მხოლოდ 139,5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ამასთან, საყურადღებოა ისიც, რომ 1995 წელთან შედარებით ქვეყნის საავჭრო დეფიციტი პრაქტიკულად გაორმაგდა).

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში მარცვლეულზე საბაზრო ფასი დაახლოებით 3-ჯერ გაიზარდა. კერძოდ, თუ 1966-1970 წლებში ერთი ტონა საშუალო ხარისხის ხორბალი 67 აშშ დოლარი ღირდა, 1990 წელს მან 125, ხოლო 1997 წელს 190 აშშ დოლარი შეადგინა. ამერიკელი ექსპერტები ვარაუდობენ, რომ უახლოეს წლებში იგი კიდევ უფრო გაიზრდება (ხორბალზე – 66%-ით, სიმინდზე – 37%-ით).

არის მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორიც. ექსპერტების ყველაზე ოპტიმისტური პროგნოზითაც კი (თუ ამოსავალ დონედ პლანეტის მოსახლეობის ზრდასა და კვების თანამედროვე ფიზიოლოგიურ ნორმებს მივიჩნევთ) მარცვლეულის დეფიციტი ამ პერიოდისათვის 526 მლნ. ტონას, ხორცის – 40 მლნ. ტონას, ზღვის პროდუქტებისა – 68 მლნ. ტონას შეადგენს. ალბათ ამ არასახარბიელო პროგნოზმაც მისცა საფუძველი გაეროს სოფლის მეურნეობისა და სურსათის ორგანიზაციის (ფაო) გენერალურ მდივანს *ჟაკ დიოუფს* აღენიშნა, რომ თუ არ მოხდება ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებასა და სურსათის წარმოებაში ტექნოლოგიური გარღვევა, უკვე 2010 წლიდან შესაძლოა დაიწყოს მძლავრი სასურსათო კრიზისი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში უახლოეს პერიოდში გადასაჭრელი პრობლემებიდან უპირველეს სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფა წარმოადგენს, მით უმეტეს, რომ ამ პრობლემისადმი ქვეყანაში დამკვიდრებული დამოკიდებულება და მისი რაოდენობრივ-ხარისხობრივი მახასიათებლების არსებული პარამეტრები, არა მარტო საფრთხეს უქმნის აუცილებელი ფიზიოლოგიური ნორმებით მოსახლეობის გამოკვებას, არამედ პრაქტიკულად გამორიცხავს ქვეყნის შემდგომ ინტეგრირებას მსოფლიო ეკონომიკაში და მთლიანობაში საფრთხის ქვეშ აყენებს ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარების პერსპექტივას./

საქართველოს სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფის მიღწევა პრაქტიკულად შეუძლებელია ეროვნული ეკონომიკისა და მისი ერთ-ერთი ძირითადი რგოლის, აგროსამრეწველო, სასურსათო კომპლექსის მთლიანი სისტემის საბაზრო ეკონომიკის პრინციპებთან ადაპტირების, ინტენსიური, მდგრადი და უსაფრთხო განვითარების გარეშე. დღეს უკვე აღარ კამათობენ იმ ბანალურ ჭეშმარიტებაზე, რომ მიწის რესურსების მეტნაკლებად მქონე ნებისმიერი ქვეყნისათვის სასურსათო უშიშროების მიღწევა სასოფლო-სამეურნეო წარმოების და სასურსათო სექტორის განვითარებაზეა დამოკიდებული. ამ მიზნით განსაკუთრებული მნიშვნელობა ისეთი სამეურნეო და ეკონომიკური მექანიზმების შემუშავებას ენიჭება, რომელიც სრულად ითვალისწინებს ამ უაღრესად მნიშვნელოვანი სექტორის განვითარების, როგორც შიდა, ასევე გარე ფაქტორებსაც. თუ ამ მოთხოვნების დონეზე გავაანალიზებთ საქართველოს აგროსასურსათო სექტორის განვითარების ძირითად მახასიათებლებს დავინახავთ, რომ ეკონომიკის ეს უმნიშვნელოვანესი სექტორი ჯერ კიდევ რეფორმირების პროცესშია და ამდენად აქ მოქმედ ერთიან, დასრულებული სახის სამეურნეო თუ ეკონომიკური ხასიათის მექანიზმებზე ლაპარაკი არ შეიძლება. პირიქით, შეინიშნება ღრმა დისპროპორციები სექტორის ცალკეული დარგებისა და სფეროების განვითარებაში, ამასთან ერთად, სახეზეა სუსტი კავშირები და წინააღმდეგობები, რაც იწვევს მთლიანად აგროსასურსათო სექტორის განვითარების საწარმოო-ეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესებას, მისი

პროდუქტიულობის შემცირებას და ამით სასურსათო უშიშროების პრობლემის კიდევ უფრო გამწვავებას.) ამაზე მეტყველებს დარგთაშორისი კავშირების რღვევა, არასწორი ფასების პარიტეტი სასოფლო და სამრეწველო წარმოშობის პროდუქციაზე, სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაცემის დიდი მასშტაბები და სხვ. რაც სულ უფრო ზრდის საზღვარგარეთის ქვეყნებზე საქართველოს სასურსათო დამოკიდებულების ხარისხს, ადიდებს ექსპორტ-იმპორტის ბალანსის დეფიციტს და იწვევს მასთან დაკავშირებულ ნეგატიურ პროცესებს. სურსათის იმპორტზე ორიენტირება უარყოფითად აისახება ეროვნული სასურსათო პროდუქციის წარმოებაზე, რაც, საბოლოო ანგარიშით, მკვეთრად აქვეითებს ეკონომიკური უშიშროების დონეს, ამცირებს ქვეყნის სავალუტო რეზერვების მოცულობას და ქმნის ეროვნული ვალუტის ინფლაციის საშიშროებას.

საქართველოს სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფის ძირითადი გზა სწორედ აგროსამრეწველო, სასურსათო კომპლექსის განვითარებაზე გადის. ამ კომპლექსის განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერის, ეკონომიკურ-ფინანსური, ორგანიზაციული და სხვა ბერკეტების გამოყენება არის ის გარანტი, რომელმაც ძირითადად უნდა უზრუნველყოს ქვეყანაში სურსათის საკმარისობა, სურსათზე ხელმისაწვდომობა და სურსათით თვითუზრუნველყოფა აღიარებული ნორმების ფარგლებში. ამას ადასტურებს საერთაშორისო ეკონომიკური და ფინანსური ინსტიტუტების დასკვნები, მსოფლიო პრაქტიკა და გამოცდილება.

საქართველოში სასურსათო უშიშროების პრობლემის შესწავლა და მისი უზრუნველყოფის მისაღწევად გზების ძიება, მართალია გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო (შემუშავდა საქართველოს პირველი სასურსათო პროგრამა 1981-19985 წლებისა და 1990 წლის პერიოდისათვის, რომლის შედგენაში სახელმწიფო სტრუქტურებთან ერთად მონაწილეობა მიიღო მრავალმა სამეცნიერო-კვლევითმა და სასწავლო ინსტიტუტმა), მაგრამ ძირითადად შესწავლილი იქნა მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფისა და აგრარული პოტენციალის რაციონალურად გამოყენების საკითხები. რაც შეეხება

ქვეყნის აგროსამრეწველო, სასურსათო კომპლექსის საბაზრო ეკონომიკასთან ადაპტაციისა და სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფის სოციალურ-ეკონომიკურ, ფიზიოლოგიურ, ეკოლოგიურ, რეგიონულ, რესურსულ და სხვა მნიშვნელოვან ასპექტებს, ისინი ბოლომდე არაა შესწავლილი. დღემდე არაა შემუშავებული საქართველოს ერთიანი აგრარული და სასურსათო სტრატეგია, მისი პრაქტიკული რეალიზაციის გზები და მიმართულებები.›

წიგნში გადმოცემულია საქართველოს აგროსამრეწველო, სასურსათო კომპლექსის განვითარების თანამედროვე მდგომარეობა და სასურსათო უშიშროების არსებული დონე. ეკონომიკური ზრდისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამსახველი ინდიკატორები. გაანალიზებულია აგროსამრეწველო, სასურსათო კომპლექსის განვითარების ძირითადი პრობლემები და სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის გამომწვევი მიზეზები. მოცემულია საქართველოს სასურსათო უშიშროების სტრატეგიისა და ტაქტიკის ძირითადი პრინციპები, საბაზრო ურთიერთობათა შესატყვისი აგრარული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის აგროსამრეწველო, სასურსათო კომპლექსის განვითარების პოლიტიკას. იგი ეფუძნება წარმოებით ურთიერთობათა გარდაქმნა-რეფორმირებას და საკუთრების სხვადასხვა ფორმის საწარმოთა ოპტიმალურ შეთანაწყობას, ეკონომიკის მდგრად და უსაფრთხო განვითარებას, რაც ქმნის ობიექტურ საფუძველს ქვეყნის სასურსათო უშიშროების პრობლემის გადაწყვეტისათვის.

წიგნში მოცემული მოსაზრებები, დასკვნები და წინადადებები მათი აქტუალობისა და გამოყენების პრაქტიკული მნიშვნელობით სრულად შეესაბამება საერთაშორისო სასურსათო პრობლემის გადაწყვეტის გლობალურ მიზნებსა და ამოცანებს, ხოლო მისი გადაჭრის გზები, მიმართულებები, ახლო და შორეული პერსპექტივის კონკრეტული ამოცანები, მთლიანად პასუხობს ამ სფეროში აღიარებულ პარამეტრებს.

თავი 1. სასურსათო უშიშროება, როგორც მსოფლიოს გლობალური პრობლემა

ტექნიკისა და ტექნოლოგიების განვითარების თანამედროვე დონეზე ძალზე ძნელი ასახსნელი და გასამართლებელია ის ფაქტი, რომ მრავალი მილიონი ადამიანი კვლავ შიმშილობს, ერთი მოშიმშილე ადამიანიც კი ბევრია. მსოფლიო საკმარისი რაოდენობით აწარმოებს საკვებ პროდუქტებს ყველა მოსახლის გამოსაკვებად, მაგრამ უფრო მეტის გამოკვებაც შეიძლება. მართალია ეს პრობლემა ერთ-ორ დღეში არ გადაიჭრება, მაგრამ მე მტკიცედ მჯერა, რომ მიზანი – შიმშილისაგან თავისუფალი მსოფლიო ამ საუკუნეში მიიღწევა.

ჟაკ დიოუფი, ფაოს გენერალური მდივანი

1.1. სასურსათო პრობლემა ჩვენს პლანეტაზე

სასურსათო უშიშროება განეკუთვნება ფუნდამენტურ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრობლემათა კატეგორიას. სურსათს, როგორც სასიცოცხლო უზრუნველყოფის მთავარ კომპონენტს, სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. სასურსათო პრობლემა მეტად აქტუალურია თანამედროვე მსოფლიოსათვის, რადგან დედამიწის მოსახლეობის მატება ადეკვატურ ზეგავლენას ახდენს სურსათზე მოთხოვნილების ზრდაზეც.

დედამიწაზე განსაკუთრებით მწვავედ ყოველთვის სურსათის პრობლემა იდგა, რადგან ის პირდაპირ თუ ირიბად თითოეული ინდივიდის და მთელი საზოგადოების ფიზიკური არსებობის შენარჩუნებას უკავშირდებოდა.

წარსულში, როდესაც ადამიანი მეტად სუსტი იყო ბუნებრივი მოვლენების წინაშე და ვერ ფლობდა მათზე ზემოქმედების მნიშვნელოვან საშუალებებს, ხშირი იყო არახელსაყრელი გარემო ფაქტორებით გამოწვეული შიმშილობები. ისტორიაში მრავალი ამგვარი ფაქტია აღწერილი (ეგვიპტე, რომი, ბრიტანეთი, საფრანგეთი, ბოჰემია, პოლონეთი, ირლანდია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი და ა.შ.).

სურსათის ნაკლებობა და შიმშილობები არც საქართვე-

ლოსთვის იყო უცხო, რაც ისტორიულ დოკუმენტებშიც ფიქსირდება. 735-737 წლებში მურვან ყრუს შემოსევის შედეგად ისე დაზარალებულა ქართლის სოფლის მეურნეობა, რომ მემატიანე წერს: „... აღარა იპოვებოდა ნიშნები არც საჭამანდი კაცთა და პირუტყვთა“. დიდი შიმშილობები იყო შუა საუკუნეებში ბაგრატ IV მეფობის დროს 1050-1060 წლებში. ამ ფაქტს შესწრებია ათონის მონასტრიდან ჩამოსული გიორგი მთაწმინდელი, რომელმაც დააფიქსირა ეს მოვლენა. 1811 წელს შიმშილობის მიზეზი გახდა ქვეყანაში შავი ჭირის ეპიდემია, მკაცრი ზამთარი და წყალდიდობები, რომლებმაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

XX საუკუნეში, სასურსათო პრობლემის გამწვავებას იწვევდა დედამიწის მოსახლეობის სწრაფი ზრდა, რასაც ვერ სდევდა სურსათზე გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მატება. XVIII საუკუნის ჩათვლით კაცობრიობა საშუალოდ 1000 წელიწადში ორმაგდებოდა, ხოლო XX საუკუნის მეორე ნახევარში გაორმაგებას 38 წელი დასჭირდა. თუ ადრე გაორმაგება ნიშნავდა 200-220 მილიონი ადამიანით მატებას, გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან დღემდე ეს ციფრი 3.0 მილიარდზე მეტია. 1975 წლისათვის პლანეტაზე ცხოვრობდა 4 მილიარდი ადამიანი, 1990 წელს 5.6 მილიარდი. პროგნოზების თანახმად, 2005 წლისათვის დედამიწის მოსახლეობა 6.5 მილიარდს გადააჭარბებს, 2030 წლისათვის კი 8.9 მილიარდს მიაღწევს.

დემოგრაფიულმა აფეთქებამ XX საუკუნეში, კვლავ აქტუალური გახადა ინგლისელი მღვდლის მალთუსის იდეები. კერძოდ, 1798 წელს შექმნილ „მიწის კლებადი ნაყოფიერების“ სახელით ცნობილ თეორიაში იგი წერდა: „მოსახლეობის ზრდის უნარი განუსაზღვრელად დიდია მიწის შესაძლებლობებზე აწარმოოს ადამიანის არსებობის საშუალებები, როცა მოსახლეობის ზრდა არ კონტროლდება, ის გეომეტრიული პროგრესიის შესაბამისად იზრდება, ხოლო არსებობის საშუალებები კი პირიქით, არითმეტიკული პროგრესიის მიხედვით... მე ვერ ვხედავ გზას, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ამ კანონის სიმძიმისაგან თავის არიდება,

რომელიც ყოველ ცოცხალ არსებას ემუქრება".

ამჟამად მსოფლიოში მთელი მეცნიერული მიმდინარეობებია, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით იზიარებს მალთუსის მოსაზრებებს და აუცილებლად მიიჩნევს დედამიწის მოსახლეობის რაოდენობის კონტროლს, თვით ისეთი ბარბაროსული მეთოდებითაც კი, როგორიცაა ომები, ბუნებრივი თუ ანთროპოგენური კატასტროფები, ეპიდემიები და სხვა.

.ამგვარი იდეები, რა თქმა უნდა, არ გამოხატავს ცივილიზაციის თანამედროვე ეტაპის არსს. დღესდღეობით შეუძლებელია პროგრესის შენელება-შეჩერება და დედამიწის მოსახლეობის ისეთი ბარბაროსული მეთოდებით რეგულირებაზე საუბარი, როგორიცაა ომები, ეპიდემიები, კატასტროფები, მაგრამ სულაც არ არის გამორიცხული (პირიქით, აუცილებელიცაა) მოსახლეობის რაოდენობის რეგულირება თითოეული ქვეყნის შესაძლებლობების მიხედვით. ამის საინტერესო მაგალითს იძლევა ჩინეთი, სადაც მოსახლეობის ზრდის შენელება ხდება საკმაოდ ინტენსიური ეკონომიკური ზრდის ფონზე.

გარკვეულწილად არ მართლდება მალთუსის ხედვები ეკონომიკურ პროგრესთან დაკავშირებითაც. გლობალური პრობლემების ამერიკელი სპეციალისტი *ბრაუნი* აღნიშნავდა: „მისი (მალთუსის) მრწამსი, თითქოს ხალხთმოსახლეობის ზრდას გეომეტრიული პროგრესიით ზრდის ტენდენცია გააჩნია, ხოლო სურსათით უზრუნველყოფას არითმეტიკულისა, ვერ უძლებს დროის გამოცდას. სამაგიეროდ მისი უფრო ზოგადი მიდგომა, რომ მოსახლეობის ზრდას გააჩნია ტენდენცია წინააღმდეგობა გაუწიოს სურსათით უზრუნველყოფას, გადარჩა".

როგორც აღვნიშნეთ, უკანასკნელ პერიოდში დედამიწის მოსახლეობის გაორმაგების ტემპი 38 წელს უდრის, ხოლო ტექნიკურ-ტექნოლოგიური ცოდნისა და სამეცნიერო მიღწევების დონე ყოველ 40 წელიწადში ორმაგდება, ანუ შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კაცობრიობის ბიოლოგიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ზრდის ტემპიც გეომეტრიული პროგრესიის შესაბამისია, ოღონდ იგი ოდნავ ჩამორჩება მოსახლეობის ზრდის ტემპს, რაც არ შეეძლო სცოდნოდა *მალთუსს.*

მოსახლეობის ზრდასა და სურსათით უზრუნველყოფას

შორის წინააღმდეგობა განსაკუთრებით კარგად ვლინდება, როდესაც ვეხებით მიწის რესურსების გამოყენების საკითხს. კერძოდ, ერთი მხრივ, მოსახლეობის სურსათზე მოთხოვნილების ზრდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ზრდას მოითხოვს, ხოლო, მეორე მხრივ, ადგილი აქვს ნაყოფიერი მიწების შემცირებას, როგორც ხარისხობრივი, ასევე რაოდენობრივი თვალსაზრისით.

ბუნებრივი რესურსები სასურსათო პროდუქციის წარმოების გასაფართოებლად მსოფლიოში უკიდურესად შეზღუდულია. მათი განაწილების საკითხი ყოველთვის და ყველგან ძირითად პრობლემას წარმოადგენდა. იგი უფრო გამწვავდება მომავალში. მეცნიერთა ვარაუდით შესაძლოა მოკლე ხანში კაცობრიობა სურსათის მწვავე დეფიციტის წინაშე აღმოჩნდეს./

მეცნიერთა გაანგარიშებით, შესაძლებელია მოკლე ხანში კაცობრიობა სურსათის მწვავე დეფიციტის წინაშე აღმოჩნდეს, /რადგან ადამიანის მოთხოვნილება განუსაზღვრელად იზრდება, ხოლო სურსათის წარმოების რესურსები კი განსაზღვრულია, ე.ი. – არა უსაზღვრო. ასეთ ვითარებაში, შესაბამისი ღონისძიებების გატარების გარეშე, საქართველო ბაზრის კონიუნქტურაზე და სურსათის მწარმოებელ ქვეყნებზე დამოკიდებული გახდება, რაც სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის ახალგაზრდა სუვერენული სახელმწიფოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სასურსათო პრობლემა შეიძლება წარმოიშვას ორი – ფიზიოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური ასპექტით. ფიზიოლოგიურ ასპექტში იგულისხმევა სასურსათო პროდუქციის აბსოლუტური დეფიციტი. ამ შემთხვევაში ადამიანის მიერ მოხმარებული სურსათი ვერ, ან მხოლოდ ნაწილობრივ აღადგენს მის მიერ ცხოველმყოფელობის პროცესში დახარჯულ ენერგიას, რაც გამოხატულებას პოულობს შიმშილში და იწვევს ადამიანის ორგანიზმის თანდათანობით ცვეთას. ასეთი ასპექტით სასურსათო პრობლემა დგას საქართველოში და განვითარებად ქვეყნებში, რომლებმაც მემკვიდრეობით მიიღეს ჩამორჩენილი ეკონომიკა და ცხოვრების დაბალი დონე. სურსათის პრობლემის სოციალურ-ეკონომიკური ასპექტი ვრცელდება თვით მაღალგანვითარებულ

ქვეყნებზეც, სახელდობრ, მისი მოსახლეობის იმ ნაწილზე, რომელმაც სამუდამოდ ან დროებით დაკარგა სამუშაო და ნაკლებ მსყიდველუნარიანი გახდა.

კვების პროდუქტებზე მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება კვლავაც რჩება პრაქტიკულად ყველა ქვეყნის პირველი რიგის პრობლემად, რის გამოც მიგვაჩნია, რომ აღნიშნული პრობლემა განხილული უნდა იქნეს თანამედროვეობის სხვა პრობლემებთან ურთიერთკავშირში. კაცობრიობის განვითარების ისტორიაში პირველად XXI საუკუნეში ყალიბდება ერთიანი მსოფლიო სისტემა, რომელიც ცალკეული ქვეყნების განვითარებაზე განმსაზღვრელ ზემოქმედებას ახდენს. თითოეულ ქვეყანაში მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესების შესწავლა, გარკვეულწილად, აუცილებელია განხილულ იქნეს მსოფლიო სისტემის განვითარების ძირითადი ტენდენციებისა და თავისებურებების კონტექსტში. ასეთი მიდგომა საშუალებას მოგვცემს უფრო საფუძვლიანად გავაანალიზოთ და კომპლექსურად შევაფასოთ საქართველოს სასურსათო უშიშროება, მისი უზრუნველყოფის როგორც პრობლემები, ასევე გადაწყვეტის ძირითადი მიმართულებები. ნებისმიერ შემთხვევაში ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ სასურსათო პრობლემა განეკუთვნება მსოფლიო გლობალურ პრობლემათა კატეგორიას, რომლის გადაწყვეტა ორგანულადაა დაკავშირებული პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და ეკოლოგიურ ფაქტორებზე.

მეოცე საუკუნემ (რომელსაც თავისი კატაკლიზმებით ყველა სფეროში ბადალი არ მოეპოვება) საფუძველი ჩაუყარა საზოგადოების განვითარების მრავალ სასიკეთო, პროგრესულ მოვლენას, რომელთა შორის უმთავრესია: განვითარების მაღალი პოტენციალის მქონე ადამიანის ჩამოყალიბება; პოსტინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესის დაწყება; მეცნიერულ-ტექნოლოგიური რევოლუციის ინტენსიფიკაცია; კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის მეტოქეობის დასრულება; დეკოლონიზაციის პროცესის განხორციელება; თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების წარმოების პროცესებში დაჩქარებული დანერგვა და ერთიანი მსოფლიო სისტემის ფორმირება. ამასთან, მრავალი ისეთი პრობლემა

წარმოჩინდა, რომელიც ვერ გადაწყდა განვითარების ინდუსტრიული სტადიის ფარგლებში (მასობრივი განადგურების ბირთვული შეიარაღება, ეკოლოგიური საფრთხე, სასურსათო პრობლემა და ა.შ.).

კაცობრიობის პროგრესი დღემდე საზოგადოებრივი განვითარების ინდუსტრიამდელი და ინდუსტრიული სტადიების ერთობლიობაა. ინდუსტრიამდელი სტადია, ფაქტობრივად, სოფლის მეურნეობის განვითარების სტადიაა, რომლის ძირითადი ნიშანია აგრარული პროდუქციის გაბატონება წარმოებასა და მოხმარებაში. ინდუსტრიული საზოგადოების ძირითადი ნიშნებია: მატერიალური და ფინანსური სიმდიდრის წინა პლანზე წამოწევა, სამრეწველო პროდუქციის გაბატონება წარმოებასა და მოხმარებაში, მექანიკური ტექნოლოგიების გაბატონება, ორიენტაცია მოგებაზე და ა.შ..

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავიხსენოთ ცნობილი რუსი მეცნიერის *ნ. კონდრატიევის* „გრძელი ტალღების თეორია", რომლის მიხედვით მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია დღემდე ვითარდებოდა ტალღისებურად, საშუალოდ 50 წლიანი ციკლური პერიოდების მიხედვით. პირველმა ტალღამ 1785-1835 წლებში წარმოშვა განვითარების ტიპი, რომელიც ეფუძნებოდა ახალ ტექნოლოგიას საფეიქრო მრეწველობაში. მეორე ტალღა (1830-1890 წწ.) სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარებას უკავშირდებოდა. მესამე ტალღა (1890-1940 წწ.) უკვე ელექტროენერგიის საფუძველზე მძიმე მრეწველობის, მანქანათმშენებლობის და სხვა ენერგო და მასალატევადი დარგების განვითარებას იწვევდა. მეოთხე ტალღა (1930-1990 წწ.) კავშირგაბმულობის და კომუნიკაციების სხვა თანამედროვე საშუალებების გამოყენებას, აგრეთვე მრეწველობაში გაზის, ნავთობის და სხვა ბუნებრივი რესურსების მასობრივ ჩართვას უკავშირდება. მეხუთე ტალღას საფუძველი მიკროელექტრონიკამ ჩაუყარა, თუმცა მიმდინარე პერიოდისათვის განვითარების გადამწყვეტი ფაქტორი უკვე კომუნიკაციურ-ინფორმაციული და ბიოტექნოლოგიური მიღწევები ხდება, რომელიც თავის მხრივ გენური ინჟინერიისა და მეცნიერების სხვა მნიშვნელოვან მიღწევებთანაა დაკავშირებული.

ახალ ათასწლეულში, როცა სახეზე გვაქვს მსოფლიოში

პოსტინდუსტრიული საზოგადოების თანდათანობითი დამკვიდრების პროცესი და როცა ადგილი აქვს ციფრული, ინფორმაციული ეკონომიკის დამკვიდრებას, როცა ყალიბდება სრულიად ახალი მაღალგანვითარებული ადამიანის ტიპი, განუხრელად ძლიერდება გლობალიზაციისა და ლოკალიზაციის ტენდენციები, ადამიანთა დასაქმება, კეთილდღეობა, განათლება და სხვ. სრულიად ახალ შინაარსობრივ და სოციალურ-ეკონომიკურ დატვირთვას იძენს, რის გამოც ისინი განხილული უნდა იქნეს არა ზოგადად, ცალკე აღებული რომელიმე ქვეყნის პრობლემად, არამედ მსოფლიოს გლობალურ კანონზომიერებებთან მჭიდრო ურთიერთკავშირში, თითოეული ქვეყნის ისტორიულ-კულტურული და სხვა სპეციფიკური პირობების გათვალისწინებით. ამას ობიექტურად მოითხოვს დღეს უკვე ფაქტად ქცეული სასმელი წყლისა და სურსათის დეფიციტის თანდათანობითი გაღრმავების, ურბანიზაციის, ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევის და სხვა ნეგატიური მოვლენების არასასურველი შედეგები, რომლებიც საფრთხეს უქმნის არა მარტო ერთ რომელიმე ქვეყანას, არამედ მსოფლიო ცივილიზაციას საერთოდ.[1] ამდენად, ახალმა ათასწლეულმა უნდა გასცეს პასუხი მრავალ კითხვას, რომელთაგან ერთ-ერთი უმთავრესია, – შეძლებს თუ არა კაცობრიობა მომავალში დაიკმაყოფილოს საკუთარი მოთხოვნილება სურსათზე სათანადო რაოდენობის, ხარისხისა და ასორტიმენტის მიხედვით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო სასურსათო უშიშროება (ზოგადად სასურსათო პრობლემა) ისევე, როგორც ეკოლოგიური და სხვა ხასიათის გლობალური პრობლემები განხილული უნდა იქნეს თანამედროვე მსოფლიოში არსებულ რეალობათა კონტექსტში, ერების თანაარსებობის და მათი შემდგომი განვითარების ინტერესების გათვალისწინებით. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ადამიანთა კეთილდღეობის პირამიდის საძირკველში სურსათით უზრუნველყოფაა ჩადებული, რომ სურსათი ადამიანის ბიოლოგიური არსებობის საფუძველია და იგი მუდამ დარჩება ადამიანთა მოდგმის არსებობის მარადიულ პირობად.

1.2. სურსათის წარმოების რესურსული პოტენციალი თანამედროვე მსოფლიოში (რეალობა და პროგნოზები)

XXI საუკუნეს კაცობრიობა სასურსათო პრობლემის სერიოზული გამწვავებით შეხვდა. თუ ამჟამად დედამიწაზე შიმშილობს 850 მლნ. კაცი, ექსპერტთა შეფასებით უახლოეს ოცწლეულში მათი რაოდენობა ერთ მილიარდს გადააჭარბებს.

რა რეალური საფუძვლები არსებობს ასეთი პროგნოზისათვის?

XX საუკუნის ბოლოს სასოფლო-სამეურნეო და კვების პროდუქტების წარმოების სფეროში თანდათან წინა პლანზე წამოიწია ახალი პრობლემების მთელმა კომპლექსმა, რომლებსაც დღევანდლამდე სერიოზული ყურადღება არ ექცეოდა. მაგალითად, ის ფაქტი, რომ მიწის, წყლის, ტყის და ზოგიერთი სხვა ბუნებრივი რესურსების მოცულობა შეზღუდულია ყველასთვის იყო ცნობილი, მაგრამ მათგან ცოტა თუ ფიქრობდა, რომ ეს პრობლემები რეალურ და პრაქტიკულ მნიშვნელობას უახლოეს პერიოდში შეიძენდა. ასევე უყურადღებოდ რჩებოდა ისეთი ფაქტორები, როგორიცაა გარემო სამყაროს მდგომარეობის გაუარესება, ინდუსტრიალიზაციის გავლენა, ცხოვრების ურბანიზაცია და სხვ. მსოფლიოს გამოჩენილი მეცნიერებისა და ექსპერტების დიდი უმრავლესობა აღიარებდა და აფიქსირებდა ამ ფაქტორების მნიშვნელობას, მაგრამ თვლიდნენ, რომ ეს ყველაფერი მომავალი თაობების გადასაწყვეტი პრობლემა იყო. პრობლემა ზოგიერთი მეცნიერის მხრიდან მდგომარეობის შავი ფერებით დახატვის სურვილად უფრო აღიქმებოდა. მითუმეტეს, იმ ფანტასტიკური წარმატებების ფონზე, რომელსაც მსოფლიო სასურსათო წარმოებამ XX საუკუნის 50-80-იან წლებში მიაღწია. კერძოდ, როგორც ცნობილია ამ პერიოდში მარცვლეულის წარმოება გაიზარდა 2,6-ჯერ, ხორცის – 4-ჯერ, თევზჭერა და ზღვის პროდუქტების მოპოვება – 5-ჯერ. კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს სხვა მსგავსი პერიოდი. აფრიკაშიც კი მარცვლეულის წარმოება თითქმის გაორმაგდა. მოსახლეობის 2-ჯერ ზრდის მიუხედავად 80-იანი წლების ბოლოს საშუალოდ ერთ სულზე

სურსათით უზრუნველყოფამ შეადგინა რეკორდული დონე: მარცვლეულით – 346 კგ, ხორცით – 34 კგ, ზღვის პროდუქტებით – 20 კგ.

• უკანასკნელი 50 წლის მანძილზე კაცობრიობამ შთამბეჭდავ წარმატებებს მიაღწია არა მარტო სურსათის წარმოებისა და მოხმარების სფეროში. უპრეცედენტო მასშტაბებით გაიზარდა მოსახლეობის შემოსავალი, ამაღლდა ცხოვრების დონე, საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობამ 8-10 წლით იმატა. •

მიღწეული წარმატებების მიუხედავად, მეცნიერები ფაქტობრივი ანალიზის საფუძველზე აკეთებენ ფრიად პესიმისტურ პროგნოზებს.

• იმ გარემოებებსა და ფაქტორებს შორის, რომლებსაც შეუძლიათ რადიკალური გავლენა იქონიოს და სერიოზული საფრთხე შეუქმნას დედამიწის მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის საკითხს, აღსანიშნავია: სახნავი მიწების ფართობების განუხრელი შემცირების ტენდენცია; სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის ზრდის ტემპის შენელება; საძოვრული მეცხოველეობის მასშტაბების შემცირება საძოვრების პროდუქტიულობის დაცემის გამო; მსოფლიო ოკეანის რესურსების მდგომარეობის გაუარესება; მტკნარი წყლის დეფიციტი; ეკოლოგიური წონასწორობის მუდმივი რღვევა და სხვ.

თანამედროვე მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს პრობლემათა შორის მიწის რესურსების რაციონალური გამოყენება ერთ-ერთი პირველთაგანია. ამჟამად დედამიწაზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების საერთო ფონდი 1.5 მლრდ. ჰექტარს შეადგენს, რაც პრაქტიკულად მთელი ხმელეთის 10%-ია. თუმცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ექსპერტები მიიჩნევენ, რომ სათანადო სამუშაოების ჩატარების შემთხვევაში შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაზრდა 6.5 მლრდ. ჰექტრამდე. ჩვენი აზრით ამ კატეგორიის მიწების აღნიშნული მოცულობით გაზრდა უახლოეს პერსპექტივაში არარეალურია, რადგან აქ ნაგულისხმებია უდაბნოების, ნახევრადუდაბნოების, ჭაობების და სხვა ამჟამად გამოუყენებელი მიწების მელიორირება და კულტივირება, რაც

უზარმაზარ ფინანსურ დანახარჯებს მოითხოვს, ხოლო მაღალხარისხოვანი მიწების ხარჯზე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გადიდების პრაქტიკულად ყველა რეზერვი ამოწურულია. პირიქით, მსოფლიოში თანდათან ძლიერდება მიწების ეროზია, რასაც ემატება ქალაქმშენებლობით და სხვა მიზეზებით გამოწვეული დანაკარგები, რომელთა საერთო რაოდენობა ყოველწლიურად 6.7 მლნ. ჰექტარს შეადგენს.

გარდა პირდაპირი დანაკარგებისა გასათვალისწინებელია ირიბი დანაკარგებიც, რაც მიწების ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუარესებაში გამოიხატება. კერძოდ, ექსპერტული გაანგარიშებით მცენარეებს ნიადაგიდან ყოველწლიურად ამოაქვთ დაახლოებით 100 მლრდ. ტონა მინერალური და ორგანული ნივთიერება, ხოლო ადამიანის მიერ მას ხელოვნურად უბრუნდება მხოლოდ ერთ მლრდ. ტონამდე. გარდა ამისა, ყოველ დამუშავებული ჰექტრიდან წყლის მიერ ყოველწლიურად ჩამოირეცხება საშუალოდ 1.34 ტონა ნიადაგი, რის გამოც ერთ დროს ნაყოფიერი მიწის ფართობი გამოუყენებელი მიწის კატეგორიაში გადადის.

ანთროპოგენური ეროზია განსაკუთრებით გაამწვავა ტყეების გაჩეხვამ. ამ მხრივ კაცობრიობა უდიდესი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, როცა ბრაზილიის ცნობილი ჯუნგლების ათვისება დაიწყო (როგორც ცნობილია ტყის ეს მასივი აწარმოებს დედამიწის მთელი ჟანგბადის თითქმის ნახევარს). საბედნიეროდ, ერთი შეხედვით ნაყოფიერი მიწები, მწირი და დაბალნაყოფიერი აღმოჩნდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების თვალსაზრისით, რადგან ინტენსიური დამუშავების პირობებში ეს მიწები ორი წლის განმავლობაში, ხოლო საძოვრებად გამოყენების შემთხვევაში საშუალოდ 15 წლის მანძილზე დეგრადირდებოდა.

ცალკეულ ქვეყნებში ასეთი არასწორი ლოკალური გადაწყვეტილებების მიღებისაგან თანამედროვე მსოფლიო არც მომავალშია დაზღვეული. ამიტომ აღნიშნული პრობლემის გლობალური მასშტაბისა და მიწის, როგორც სასურსათო უზრუნველყოფის განსაკუთრებული და ერთ-ერთი ძირითადი შეუცვლელი ფაქტორის დიდი მნიშვნელობის გათვალისწინებით, საჭიროა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან

(გაერო) ან სხვა საერთაშორისო სტრუქტურასთან შეიქმნას მიწების ერთიანი ბანკი, რომელმაც დროულად უნდა შეიმუშაოს სათანადო წინადადებები მსოფლიოში მიწების დაცვის, ახალი მიწების ათვისების, გაკულტურების და სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში მოქცევის თვალსაზრისით.

ხსენებული ბანკის უპირველესი ფუნქცია (რა თქმა უნდა სხვა ფუნქციებთან ერთად) მსოფლიო მასშტაბის მნიშვნელობის მიწებზე მუდმივი მონიტორინგი და მათი გამოყენების ეკონომიკურ-ეკოლოგიური მიზანშეწონილობის შეფასება უნდა იყოს.

უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, რომელიც საფრთხეს უქმნის სურსათის წარმოების ზრდას, სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან სახნავი მიწების ამოღების შეუქცევადი პროცესი წარმოადგენს. ასეთი სიტუაცია განსაკუთრებით შემაშფოთებელია ცალკეულ ქვეყნებში.

მაინც რა ობიექტური მიზეზები იწვევენ სახნავი მიწების ფართობის შემცირებას?

პირველი. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით სახნავი მიწების გამოყენება. იგი ძირითადად გამოწვეულია სამრეწველო წარმოების გაფართოებით. მაგალითად, ისეთ ქვეყნებში როგორიცაა იაპონია, კორეა, ინდოეთი, ჩინეთი (ტაივანის ჩათვლით), ბოლო 10 წელიწადში სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან ამ მიზეზით ამოღებული იქნა 15 მლნ. ჰა, რაც ნიშნავს, რომ პლანეტამ ყოველწლიურად დაკარგა დაახლოებით 150-200 მლნ. კაცის მარცვლეულით გამოკვების პრაქტიკული საშუალება. უფრო კონკრეტულად ეს ნიშნავს, რომ საშუალოდ დედამიწის ერთი მოსახლე კარგავს წელიწადში 9-10 კგ მარცვლეულის მიღების შანსს.

მეორე. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელაღებულმა და უკონტროლო ინტენსიფიკაციამ XX საუკუნის 60-80-იან წლებში გამოიწვია ნიადაგის დაჩქარებული ეროზია. როგორც შედეგი ამას მოჰყვა სამეურნეო ბრუნვიდან მნიშვნელოვანი ფართობების ამოღება აშშ-სა და დასავლეთ ევროპაში. აქედან გამომდინარე, საჭირო გახდა დაახლოებით 20 მლნ. ჰა-ს დაკონსერვება, რაც მარცვლეულის ყოველწლიური წარმოების 50-60 მლნ. ტონით შემცირების ტოლფასია.

მესამე. უმნიშვნელოვანესი მომენტია მოსახლეობის მხრიდან მიწის რესურსებზე მოთხოვნილების განუხრელი ზრდა, მაშინ, როდესაც XXI საუკუნის დამდეგს ახალი სახნავი მიწების ათვისების შესაძლებლობა (განსაკუთრებით ცალკეულ ქვეყნებში), პრაქტიკულად ამოწურულია. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ ამ ფართობების შემდგომი ზრდის პერსპექტივაზე დაყრდნობა არ შეიძლება. უკეთეს შემთხვევაში შესაძლებელია მათი შენარჩუნება არსებულ დონეზე, რაც სულ 655 მლნ. ჰა-ს შეადგენს. ₀

ცნობილია, რომ საძოვრებსა და მდელოებს უკავიათ დედამიწის ტერიტორიის დაახლოებით 20% და ისინი უმეტეს წილად გვალვიან რაიონებსა და მთის ქანობებზეა განლაგებული. მეცხოველეობაში ამ სავარგულებს განსაკუთრებული როლი განეკუთვნება, რადგან ის იძლევა მსოფლიოში წარმოებული ხორცისა და რძის ძირითად მოცულობას. იგი საკვებით უზრუნველყოფს დაახლოებით 3,2 მლრდ. მსხვილფეხა პირუტყვს, ცხვარსა და თხას (ანუ საშუალოდ 2 პირუტყვს ყოველ სამ მცხოვრებზე გაანგარიშებით).

საქონლისა და ცხვრის ხორცის წარმოება გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისიდან განუხრელად იზრდებოდა. შემდგომში, მოსახლეობის სწრაფი ტემპით ზრდასთან ერთად ერთ სულ მოსახლეზე ხორცის წარმოება 1972 წლის 12,7 კგ-დან 1998 წელს 11 კგ-მდე შემცირდა. აღნიშნული მდგომარეობის ძირითადი მიზეზი ისაა, რომ უმრავლეს ქვეყანაში საძოვრული მესაქონლეობის გაფართოების შესაძლებლობა პრაქტიკულად ამოიწურა, რაც ორი ძირითადი მიზეზითაა გამოწვეული: პირველი – საძოვრების ფართობების გაფართოების შეუძლებლობა და მეორე – ზედმეტად მკაცრი ექსპლუატაციის შედეგად მათი პროდუქტიულობის შემცირება და ზოგიერთ შემთხვევაში დეგრადაცია.

შექმნილი მდგომარეობა მიგვანიშნებს, რომ საქონლისა და ცხვრის ხორცის წარმოების ზრდა შესაძლებელია ძირითადად პირუტყვის სასუქ კომპლექსებსა და მოედნებზე, მაგრამ ეს სფერო არ შეიძლება პერსპექტივაში ძალიან საიმედოდ მივიჩნიოთ, ვინაიდან იგი მოითხოვს პირუტყვის საკვებად მარცვლეულის დიდ რაოდენობას, რომლის წარმოებაც გარკვეულ

წილად ასევე შეზღუდულია. ეს გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ თვალსაწიერ პერიოდში საქონლისა და ცხვრის ხორცის წარმოების შესამჩნევი გაფართოების შესაძლებლობა დიდად შეზღუდულია (ხორცის ამ სახეობის ძირითადი მომხმარებლები ღარიბი და განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობაა, რომელთა ოდენობა ჩვენს პლანეტაზე საკმაოდ მაღალია).

მძიმე სიტუაციაა შექმნილი ოკეანეების, ზღვებისა და მდინარეების რესურსებთან მიმართებაში.

1990-იანი წლების ბოლოს თანდათან ჩამოყალიბდა მოსაზრება, რომ ამ სფეროში შეუზღუდავი რაოდენობის რესურსები აღარ არსებობს და იგი მუდმივად მცირდება. ასეთი შეფასება გარკვეულ ფაქტებზე დაყრდნობის და ღრმა ანალიზის შედეგია.

ზღვის პროდუქტების მოპოვება 1950 წლის 22 მლნ. ტონიდან 2000 წელს აყვანილ იქნა 100 მლნ. ტონამდე. ზოგიერთ ქვეყანაში ამ პროდუქტების ფაქტობრივმა მოხმარებამ გადააჭარბა სხვა სახის ხორცის მოხმარების დონეს და გახდა ცხოველური ცილის მიღების ძირითადი წყარო. 1993 წელს გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ (ფაო) დაადგინა, რომ მსოფლიოს 17 ძირითად თევზჭერის რეგიონში თევზის მოპოვება ხორციელდებოდა დასაშვებ ნორმაზე მეტი რაოდენობით, ხოლო 9 მათგანი უკვე სრული ამოწურვის ზღვარზე იმყოფებოდა. ყოველივე ეს წარმოადგენს 1980-იან წლებში ზღვებსა და ოკეანეებში თევზჭერის სიმძლავრეთა არაკონტროლირებადი ზრდის, აგრეთვე, თევზჭერის მაღალეფექტიანი ტექნოლოგიების დანერგვის პირდაპირ შედეგს. ამის გამო, თანმიმდევრულად იქნა გამოცარიელებული ატლანტიკის, აფრიკის სანაპიროს, სამხრეთ და ჩრდილოეთ ზღვები, რომ აღარაფერი ვთქვათ აშშ-ს, კანადის, იაპონიის, რუსეთის თევზსარეწ წყლებზე. ზოგიერთი სახეობის თევზის რესურსი უკვე თითქმის 80-90%-ის ფარგლებშია ათვისებული, რაც ამ სახეობის არა თუ აღწარმოების, არამედ საერთოდ შენარჩუნებასაც კი ეჭვქვეშ აყენებს.

დაშრობის პროცესმა, შხამქიმიკატებითა და ნარჩენებით მდინარეებისა და ტბების დაბინძურებამ გამოიწვია წყალსატევების კვდომა. საკმარისია აღინიშნოს, რომ მხოლოდ

კანადაში 1990-იანი წლების დასაწყისში გაჩნდა 14 ათასი მკვდარი ტბა. არალის ზღვა, რომელიც ჯერ კიდევ ახლო წარსულში წელიწადში იძლეოდა 40 ათას ტონა თევზს, ამჟამად, ეკოლოგიურად მკვდარია. ზოგიერთ წყალსატევში, მართალია, თევზი კი გადარჩა, მაგრამ ადამიანის კვებისათვის იგი პრაქტიკულად გამოუსადეგარია. შექმნილი სიტუაცია საფუძველს არ იძლევა იმედი ვიქონიოთ პერსპექტივაში თევზჭერის მოცულობის მნიშვნელოვან მატებაზე. არსებულ დონეზე (98 მლნ. ტონა, 1 სულ მოსახლეზე 20 კგ) შენარჩუნებაც კი საეჭვო ხდება.

„როგორია დედამიწის ბიოპოტენციალი დღეისათვის? ეს საკითხი ბევრი მეცნიერ-მკვლევარის საკვლევი თემაა. მისი დადგენის მთავარი მიზანია ე.წ. მსოფლიო სასურსათო ტევადობის განსაზღვრა პლანეტის ხალხთმოსახლეობის შესაძლო ზღვრის დასადგენად. დღემდე ამ მიმართულებით გაკეთებული მრავალი გაანგარიშება არსებობს. მათ შორის ბევრი საკმაოდ ფანტასტიკურიც. მაგალითად, 1918 წელს უნგრელმა პროფესორმა *ნიკოლაიმ* გამოიანგარიშა, რომ თუკი ათვისებული იქნებოდა პლანეტის ყველა რესურსი სრულად, მაშინ დედამიწა შეძლებდა სამი ჰეკსალიონი ($3x10^{16}$) ადამიანის გამოკვებას. არსებობს უფრო ზომიერი და რეალობასთან მიახლოებული შეფასებებიც. მაგალითად, თუ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა განვითარებად ქვეყნებში გაუტოლდება განვითარებული ქვეყნების მონაცემებს, მაშინ შესაძლებელი იქნება 10 მილიარდი ადამიანის გამოკვება. საბჭოთა კავშირში გამოითვალეს, რომ მცენარეების მიერ ფოტოსინთეზისათვის მზის ენერგიის გამოყენების ზრდა 10 პროცენტამდე და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გადიდება 10 მილიარდ ჰექტარამდე შექმნის შესაძლებლობებს 1 ტრილიონი ადამიანის გამოკვებისათვის.“ შვედი მეცნიერი *ჰუგო ოსვალდი*, წიგნში „დედამიწას შეუძლია ჩვენი გამოკვება“, აღნიშნავდა, რომ მიწის დამუშავების ტრადიციული მეთოდების გამოყენებით შესაძლებელია დაახლოებით 12 მილიარდი ადამიანის გამოკვება. დანიელი მეცნიერი *ა. იაკობსონი* ასაბუთებდა, რომ თუკი მსოფლიოში მიღწეული იქნებოდა იმ დონის მოსავლიანობა, როგორიც იმჟამად დანიაში იყო, სურსათით უზრუნველ-

ყოფილი იქნებოდა 32 მილიარდი ადამიანი. ბელგიელი ბიოლოგები *პ. დიუვინიუ* და *მ. ტანგა* წიგნში „ბიოსფერო და მასში ადამიანის ადგილი" წერენ, რომ თუკი მარცვლეულის საერთო საშუალო მოსავლიანობა მიაღწევს 5 ტონას, მაშინ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გაუდიდებლად შესაძლებელი იქნება 140 მილიარდი ადამიანის გამოკვება. ამერიკელი *კოლინ კლარკი* კი ასაბუთებს, რომ მსოფლიოს მიწათმოქმედების პროდუქტიულობის საშუალო დონე თუ გაუთანაბრდება ახალი ზელანდიის ანალოგიურ მაჩვენებლებს, დედამიწა გამოკვებავს 147-157 მილიარდ ადამიანს.

• ერთ-ერთი ყველაზე უფრო რეალური და სრულყოფილი გამოკვლევა ამ განხრით ჩაატარა ამერიკელმა აგროკლიმატოლოგმა *ტორნტუაიტმა*. მან დედამიწის მთელი მიწის ფონდები გადაიანგარიშა ე.წ. „სტანდარტულ მიწაზე", რომელსაც საშუალო ნაყოფიერება ახასიათებს ზომიერი სითბოსა და ტენიანობის პირობებში. შედეგად ყველა ქვეყნისა თუ რეგიონისათვის მიღებულ იქნა ფართობის ოდენობა „სტანდარტულ აკრებში" გადაანგარიშებული. *ტორნტუაიტის* გათვლებში გათვალისწინებული იყო კულტურათა საშუალო მოსავლიანობა, რომელიც მოცემული რეგიონისთვისაა დამახასიათებელი (საძოვრები შეფასდა საკვების გამოსავლიანობის მიხედვით). ის გულისხმობდა, რომ სავარგულები დამუშავდება აგროწესების მიხედვით ყოველგვარი „მომავლის აგროტექნიკის" გარეშე. ამასთანავე, თბილ რეგიონებში მდებარე მიწებს შედარებით მაღალი კოეფიციენტი მიანიჭა, რადგან ამგვარ მიწებზე ორი და სამი მოსავლის მიღება შეიძლება.

ტორნტუაიტის პროგნოზი საკმაოდ ოპტიმისტურია. მისი გათვლებით დედამიწას შეუძლია 35 მლრდ. ადამიანის გამოკვება, რაც საკმაოდ რეალურად უნდა იქნეს მიჩნეული. საჭიროა იმის გათვალისწინებაც, რომ ყველა ზემოაღნიშნული პროგნოზი დაფუძნებულია მხოლოდ დედამიწის სასურსათო პოტენციალზე და საერთოდ არ ითვალისწინებს ისეთ სასიცოცხლოდ აუცილებელ პირობებს, როგორიცაა: მტკნარი წყალი, წიაღისეული და სხვა იმ მატერიალურ საშუალებებს, რომელთა კომპლექსი სურსათთან ერთად ქმნის ადამიანებისათვის სასიცოცხლო გარემოს.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში?

საქართველოს, ისევე, როგორც დედამიწის სხვა ტერიტორიულ ერთეულს, თავისი სასურსათო პოტენციალი გააჩნია. ექსპერტთა შეფასებით, იგი სრულიად საკმარისია 10-12 მილიონი ადამიანის გამოსაკვებად, მაგრამ აღნიშნულის მიღწევა ქვეყნის ბიოგეოკლიმატური პირობების რაციონალურ გამოყენებაზეა დამოკიდებული. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ჩვენთან ბოლო 12 წლის განმავლობაში არ ტარდება ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებები (ეროზია არარაციონალური მიწათმოქმედების თანმდევი სენია), რომელსაც ექვემდებარება სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 35%, ანუ 1,1 მლნ. ჰა-ზე მეტი. მათ შორის სახნავი მიწების თითქმის 52%, ანუ 412,4 ათასი ჰა, საძოვრების – 34%, ანუ 598,4 ათასი ჰა. ამასთან, მწყობრიდან გამოვიდა მინდორსაცავი ზოლების ნარგაობა, სარწყავი სისტემები. ქვეყანაში ადრე არსებული 470 ათასი ჰა სარწყავი ფართობიდან, ამჟამად შესაძლებელია მხოლოდ 250 ათასი ჰა-ს მორწყვა. მნიშვნელოვნად შემცირდა მრავალწლოვანი ნარგაობა (ხეხილის ბაღები, ჩაის პლანტაციები, ვენახები და სხვ.) თუ 1986 წელს მათი საერთო ფართობი 357 ათას ჰა-ს შეადგენდა, 2001 წელს ის 259 ათას ჰა-მდე შემცირდა. ცვლილება განიცადა ნათესი ფართობების სტრუქტურამაც. თანდათანობით გაიზარდა მარცვლეული და ზეთოვანი (მზესუმზირა) კულტურების ხვედრითი წილი, მაგრამ არ ხერხდება მათი სტაბილური მოსავლის მიღება სარწყავი სისტემების უმოქმედობისა და სხვა მიზეზების (თესლბრუნვების უგულვებელყოფა, უხარისხო თესლი და ა.შ.) გამო.

1960 წლიდან 2002 წლის 1 იანვრამდე სახნავი მიწების ფართობი 150 ათასი ჰა-ით შემცირდა და 793 ათასი ჰა შეადგინა. სახნავი მიწების მნიშვნელოვან შემცირებას ადგილი ჰქონდა 1960-65 წლებში (100 ათასი ჰა), რაც სრულიად გაუმართლებელ ტენდენციად უნდა ჩაითვალოს.

სასურსათო პრობლემის გადაწყვეტაში დიდი მნიშვნელობა აქვს დამუშავებაში მყოფი მიწების (სახნავ და მრავალწლიან ნარგავები ერთად) შენარჩუნებას და მათი ფართობის შემდგომ გადიდებას. ამ მხრივაც ქვეყანაში არასასურველი ტენდენცია

შეინიშნება. კერძოდ, თუ 1960 წელს ამ კატეგორიის მიწის ფართობი 1265,0 ათას ჰა-ს შეადგენდა, 2001 წლისთვის მან 1063,0 ათასი ჰა შეადგინა, ანუ შემცირდა 202 ათასი ჰა-ით. აღნიშნულის გათვალისწინებით გასამკაცრებელია ღონისძიებები არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით მიწების ამოღებისადმი. 1953-2000 წწ. ამ დანიშნულებით გამოიყო 300 ათას ჰა-ზე მეტი მიწის ფართობი (ე.ი. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები გადავიდა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების კატეგორიაში), რაც სრულიად დაუშვებელია მიწით ისეთი მცირედ უზრუნველყოფილი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა.

როგორც ცნობილია, საძოვრული მეცხოველეობის არსებობა, მისი განვითარების მაჩვენებლები, პირუტყვის რაოდენობა, სტრუქტურა და პროდუქტიულობა ძირითადად ბუნებრივი საკვები სავარგულების გამოყენებაზეა დამოკიდებული. საქართველოში არსებული სათიბ-საძოვრების მთლიანი ფართობის (1,938 მლნ. ჰა) 2/3 განლაგებულია ზღვის დონიდან ისეთი სიმაღლისა და დაქანების ფერდობებზე, რომ ძნელად გამოსაყენებელია პირუტყვის ნებისმიერი სახეობისათვის, მ.შ. ცხვრისთვისაც კი. საძოვრების საკმაოდ დიდი ნაწილი არასწორი ექსპლუატაციისა და უყურადღებობის გამო დეგრადირებულია და მათი აღდგენა სასწრაფო ღონისძიებების გატარებას მოითხოვს.

მინიმალურადაც არაა გამოყენებული შიდა წყალსაცავებში (მ.შ. სატბორე) მეთევზეობის განვითარების შესაძლებლობანი. რამდენიმე წლის წინათ საქართველოში მათ 50 ათასი ჰა ფართობი ეკავა. ეს ის რაოდენობაა, რომელიც დამაკმაყოფილებელი ექსპლუატაციის პირობებში თავისუფლად უზრუნველყოფს 60-75 ათასი ტონა ახალი (ნედლი) თევზის რეწვას წლის განმავლობაში.

თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემათა რიცხვში უდავოდ შესატანია წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება, მისი ოპტიმალური მართვა. ერთი მხრივ მსოფლიოში არსებობს დაჭაობებული ტერიტორიები, რომლებიც საჭიროებენ ზედმეტი წყლის მოცილებას, ხოლო მეორე მხრივ დედამიწის უდიდესი ნაწილი წყლის მწვავე

დეფიციტს განიცდის. ამ უკანასკნელის გადასაჭრელად მრავალი ტრადიციული და არატრადიციული (ფანტასტიკურიც კი) პროექტები გამოიყენება (მდინარეების კალაპოტების შეცვლა, აისბერგების ტრანსპორტირება, ზღვის წყლის გამტკნარება და ა.შ.), მაგრამ საეჭვოა, რომ უახლოეს პერსპექტივაში საირიგაციო წყლის პრობლემამ თავისი გადაწყვეტა ჰპოვოს.

მტკნარი წყლის რესურსების დეფიციტის პრობლემა მუდმივად იდგა მსოფლიოს მცხოვრებთა წინაშე, ხოლო მე-20 საუკუნის ბოლოს აღნიშნული საკითხი იმდენად გამწვავდა, რომ საეჭვო გახდა წყლით, როგორც სასურსათო პროდუქტით, კაცობრიობის სრული უზრუნველყოფის შესაძლებლობაც კი (უკანასკნელი მონაცემებით, თანამედროვე მსოფლიოში სასმელი წყლის დეფიციტს განიცდის 2,2 მლრდ. ადამიანი). საქართველო ამ მხრივ უმდიდრესი ქვეყანაა. მტკნარი წყლის რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და სწორი მენეჯმენტის შემუშავების შემთხვევაში იგი საექსპორტო შემოსავლების მნიშვნელოვან წყაროდ უნდა იქცეს (განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთისა და არაბული სამყაროს ქვეყნებში).

ბოლო ფაქტორი, რომელიც სასურსათო უშიშროების პრობლემას უკავშირდება, ეს ეკოლოგიური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესებაა. იგი უარყოფითად მოქმედებს სასურსათო ვითარებაზე, რადგან ეკოლოგიურად დარღვეული გარემო პირობები ართულებს სასოფლო-სამეურნეო წარმოებას და იწვევს სურსათის ხარისხის გაუარესებას. ამდენად, სასურსათო პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია მსოფლიო მეურნეობაში სურსათის წარმოების ზრდის შემზღუდავი ეკოლოგიური პროცესი, რის გამოც მიუღებელი ხდება განვითარების ის მოდელი, რომელიც არაგანახლებადი რესურსების ინტენსიურ გამოყენებას ეფუძნება. მოსახლეობის სწრაფი ზრდისა და არაგანახლებადი რესურსების თანდათან ამოწურვის მიუხედავად, დამტკიცებულია, რომ მეცნიერულ-ტექნოლოგიურ პროგრესს შეუძლია გადაწყვიტოს მზარდი მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა, გარემოს დაცვა და საერთოდ, კაცობრიობის მატერიალური და სოციალური პირობების კიდევ უფრო გაუმჯობესება.

მაგრამ, ყოველივე ეს მოითხოვს რადიკალურ ცვლილე-

ბებს წარმოების ორგანიზაციასა და მართვაში, ტექნოლოგიური და ეკონომიკური ტრანსფორმაციის გატარებას, რაც უდავოდ განაპირობებს გარდაქმნებს სოციალურ-პოლიტიკურ სფეროში (პიროვნების როლის ამაღლება და საზოგადოების ჰუმანიზაცია, სოციალური განვითარების წინა პლანზე წამოწევა სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი განვითარების სფეროში არსებითი ხასიათის ცვლილებებს იწვევს მთელ საზოგადოებაში).

თუ რაოდენ გამწვავებულია რესურსების ეფექტიანი გამოყენების პრობლემა მსოფლიოში, ჩანს შემდეგი მონაცემებიდან. გაეროს პროგნოზით, დედამიწის მოსახლეობა 2050 წელს მიაღწევს დაახლოებით 10 მლრდ. კაცს, ანუ თითქმის ორჯერ გაიზრდება. ეს იმას ნიშნავს, რომ მოხმარების ეკოლოგიური ინტენსიურობა, ანუ ტექნოლოგიური ზემოქმედება გარემოზე ერთ სულ მოსახლეზე მოხმარების ნულოვან პირობებშიც კი 4-ჯერ უნდა შემცირდეს, მაგრამ თუ ასეთი მოხმარება დღევანდელი ტემპით, ანუ წელიწადში 2-3%-ით გაიზრდება, 2050 წელს იგი 4-ჯერ უფრო მეტი იქნება. ამ შემთხვევაში ქვეყნის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად მოხმარების ეკოლოგიური ინტენსივობა 16-ჯერ უნდა შემცირდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ეკოლოგიურ კატასტროფას თავიდან ვერ ავიცილებთ.

არც შედარებით ახლო პერიოდის პროგნოზებია დამამშვიდებელი. კერძოდ, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (ფაო) მონაცემებით 2010-2015 წლებში მსოფლიოს მოსახლეობის მოთხოვნილება სურსათზე 50%-ით გაიზრდება. მოსალოდნელი უმწვავესი სასურსათო კრიზისი, უპირველეს ყოვლისა, სურსათის იმპორტზე დამოკიდებულ ქვეყნებს დაატყდება თავს.

აქედან ჩანს, რაოდენ საშური საქმეა მთელი დედამიწის მასშტაბით მდგრად განვითარებაზე გადასვლა. რესურსდამზოგი, უნარჩენო ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვა. ამას ემატება კლიმატის შეცვლის, არაგანახლებადი ბუნებრივი რესურსების ამოწურვის, სიღარიბის დაძლევის გლობალური პრობლემების გადაწყვეტის აუცილებლობა. ამიტომ საჭიროა ახლებურად გავიცნობიეროთ ქვეყნის მდგრადი და უსაფრთხო

განვითარება, როგორც ობიექტური აუცილებლობა და შევიმუშავოთ შესაბამისი ღონისძიებები მისი ნორმალურად წარმართვისათვის.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს შემდეგი:

1) დამუშავებაში მყოფი მიწების შემცირების, სურსათის წარმოების გადიდების ინტენსიური ფაქტორების შეზღუდვისა და სხვა ობიექტური მიზეზების გამო მსოფლიო ბაზარზე სურსათის მიწოდება მცირდება. ასეთ ვითარებაში ეკონომიკური ზრდა და მოსახლეობის ფულადი შემოსავლების უმნიშვნელო გადიდებაც კი სურსათზე მოთხოვნის გადიდების და სასურსათო პრობლემის გამწვავების მნიშვნელოვანი ფაქტორი ხდება. ეკონომიკურ ზრდასა და სასურსათო პრობლემას შორის ასეთი კორელაციური კავშირის გამო ცალკეულმა ქვეყნებმა უნდა გადაწყვიტოს, რა ზომით დაუშვას უმუშევრობა, ინფლაცია და ეკონომიკური ზრდა;

2) ადამიანთა სასურსათო უზრუნველყოფა, პირველ რიგში, ოჯახის დონეზეა გადასაწყვეტი, ე.ი. იძლევა თუ არა ოჯახის შემოსავლები სურსათის ფიზიოლოგიური ნორმებით უზრუნველყოფის საშუალებას. იგი სამ კომპონენტს მოიცავს და მხოლოდ სამივე კომპონენტის ერთობლიობას (სურსათის ხელმისაწვდომობა, ვარგისიანობა და მისი ეფექტური გამოყენება) შეუძლია ყველა ოჯახის (ადამიანის) უზრუნველყოფა სურსათით;

3) სასურსათო უზრუნველყოფა ანუ სასურსათო პრობლემის მოხსნა მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის არის უმნიშვნელოვანესი მასშტაბის პოლიტიკურ-ეკონომიკურ და ტექნოლოგიური ამოცანა, რომლის გადაწყვეტა მოითხოვს ისეთი ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, რომლებიც საშუალებას იძლევა არა მარტო მოსავლის (პროდუქტიულობის) გადიდებისათვის, არამედ ეკოლოგიურად მდგრადი პროდუქტიული სისტემების ფორმირებისათვის. ეს კი თავის მხრივ მოითხოვს საერთაშორისო და საშინაო პოლიტიკის ჰარმონიზაციის, საკუთარი ქვეყნის ინსტიტუციური მოწყობის, დემოკრატიულ ფასეულობათა დამკვიდრების და სხვა პრობლემების მოგვარებას;

4) საერთაშორისო სასურსათო პრობლემის გადაწყვეტა მოითხოვს ყველა ქვეყნის ძალისხმევის გაერთიანებას, სოფ-

ლად ფერმერთა შრომის ავტორიტეტის ამაღლებისა და მათი შრომის მატერიალური სტიმულირებისათვის, სასოფლო-სამეურნეო წარმოებასა და კვლევებში (განსაკუთრებით სელექციაში) ინვესტიციების გადიდებას. დიდი მნიშვნელობა ენიჭება სურსათით თავისუფალი ვაჭრობის განვითარებაში არსებული ბარიერების მოხსნას. კერძოდ, 1994 წელს „მარაკეშის შეთანხმების" უპირობო დაცვას (განვითარებულ ქვეყნებში აგროსექტორისადმი მხარდაჭერის შემცირება, საიმპორტო ბარიერების მოხსნა და ექსპორტის სუბსიდირების შემცირება), რაც პრაქტიკულად ათანაბრებს ყველა განვითარებადი ქვეყნის შანსს გახდნენ მსოფლიო ბაზრის ტოლფასოვანი სუბიექტები და გამოიყენონ ის სასურსათო პრობლემის მოხსნისათვის.

1.3. სასურსათო პრობლემა საქართველოში, მისი არსი და ძირითადი მახასიათებლები (სიღარიბე – შიმშილის ძირითადი მიზეზი)

> ....ეკონომიკურად გაძლიერებისათვის ჩვენს სოფელს ბუნებისაგან თითქმის არა აკლია-რა, ზომიერი ნელთბილი პავა, ნაყოფიერი და თითქმის ყველაფრის უხვად მომცემი მიწა, მომასწავლებელნი არიან იმოდენა სიმდიდრისა, რამოდენაც საჭიროა, რომ ერმა უმტკივნეულოდ თავი ირჩინოს და ყოველ სფეროში დონივრად გაიწივ-გამოიწიოს წარმატებისა და კეთილ მდგომარეობისათვის.
>
> ილია ჭავჭავაძე

საქართველოში სასურსათო პრობლემის გადაწყვეტა უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანაა. იგი საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებისა და სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფის ძირითადი პირობაა.

უკანასკნელ წლებში შექმნილი უმძიმესი ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის გამო საქართველოში ძირეული ეკონომიკური გარდაქმნები დაიწყო, რომელიც დღესაც გრძელდება. ეკონომიკური ცხოვრება საბაზრო ურთიერთობათა საფუძველზე ეწყობა.

პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობა უწინარეს ყოვლისა საკუთარი სამეურნეო, სოციალური, საშინაო, თავდაცვითი და საგარეო პოლიტიკის გატარებას, ფინანსური, მატერიალური და სხვა რესურსებით უზრუნველყოფის უნარს გულისხმობს, რასაც დამოუკიდებლობის დასაწყისში ქვეყანა ვერ აკმაყოფილებდა.

ასეთ ვითარებაში სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენდა საქართველოს ეკონომიკური სისტემის ძირეული გარდაქმნა, ეროვნული სახელმწიფოებრიობის განმტკიცება და მოსახლეობის კეთილდღეობის ინტერესებთან მის სრულ შესაბამისობაში მოყვანა. ასეთი სტრატეგიული ამოცანის გადაწყვეტა კი ძნელი აღმოჩნდა. მცირემიწიანობა და სტრატეგიული დანიშნულების მქონე სათბობ-ენერგეტიკული და სანედლეულო რესურსების მარაგების უქონლობა გარკვეულწილად ზღუდავდა ახალგაზრდა დამოუკიდებელი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, რაც საბოლოო ანგარიშით ეკონომიკური კრიზისის გამწვავების საფუძველი გახდა.

შექმნილი სიტუაცია ქვეყნის ხელისუფლების მხრიდან გადამჭრელი ზომების მიღებას საჭიროებდა, რაც პრაქტიკულად 1994 წლიდან სამი ძირითადი მიმართულებით წარიმართა: 1. ეკონომიკური რეფორმების საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა-გაფართოება და პრაქტიკული რეალიზაცია; 2. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განმტკიცება და მისი თანმიმდევრული განხორციელება; 3. მართლწესრიგისა და საშემსრულებლო დისციპლინის აღდგენა.

ამ ეტაპზე ეკონომიკური რეფორმების ძირითად მიზანს შეადგენდა საკუთრების ტრანსფორმაციის პროცესის სამართლებრივი საწყისების განმტკიცება და მის საფუძველზე პრივატიზაციის პროცესის დაჩქარება. ეს აუცილებელი იყო თუნდაც იმიტომ, რომ როგორც ბევრი სხვა პროცესი, სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრიობაც ქაოსურად დაიწყო და თანდათანობით დატაცების ფორმა მიიღო. ყოველივე ამის შედეგად განსაკუთრებული სიმწვავით იჩინა თავი სასურსათო კრიზისმა, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი გახდა, ახლად ფეხადგმული, კერძომესაკუთრული წარმოების არასწორი ორგანიზაციული ფორმით წარმართვა. აღნიშნულის შედეგად

მკვეთრად გაუარესდა საქართველოს აგროსასურსათო სექტორისა და სამომხმარებლო ბაზრის მდგომარეობა, წარმოების სტრუქტურა და დინამიკა. არსებითად შემცირდა სურსათის წარმოებისა და მოხმარების მოცულობები.

სამამულო სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი დაცემის შედეგად, ამჟამად სასურსათო ბაზრის 50%-ზე მეტი იმპორტულ კვების პროდუქტებს უკავია. სასურსათო ბაზრის ასეთი ძლიერი დამოკიდებულება იმპორტზე ეკონომიკური კრახია ქვეყნისთვის, რომელიც ფლობს მრავალფეროვანი და ხარისხიანი კვების პროდუქტების წარმოებისათვის საჭირო ბუნებრივ და საწარმოო რესურსებს.

ისეთი უმნიშვნელოვანესი მაკროეკონომიკური მაჩვენებლებით, როგორიცაა მოსახლეობის სულადობრივი შემოსავალი, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, სურსათის მოხმარების კალორიულობითი დონე და ხარისხი, საქართველო ნაკლებ განვითარებულ ქვეყანათა რიცხვს განეკუთვნება.

საქართველოს აგრარულ სექტორში რეფორმების განხორციელების ძირითად მიზანს ქვეყნის სასურსათო უშიშროების მიღწევა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცება წარმოადგენს, რაც გულისხმობს მოსახლეობის ეკოლოგიურად სუფთა, მრავალფეროვანი სასურსათო პროდუქტებით მაქსიმალურ უზრუნველყოფას. ამასთან, დარგის რეფორმირებამ უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის დასაქმება, შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ქვეყნის მყარი პოზიციების მოპოვება და საექსპორტო შემოსავლების ზრდა.

ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით კვების პროდუქტების მოხმარებაზე წარმოდგენას იძლევა ცხრილი 1.

მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ ქვეყანაში საშუალოდ კვების პროდუქტების მოხმარება 1990 წლიდან 1995 წლამდე მკვეთრად მცირდება. შემდგომ პერიოდში ის ზრდის ტენდენციით ხასიათდება, თუმცა, არც ერთი მაჩვენებელი (გარდა პურპროდუქტებისა და მცენარეული ზეთისა), არ აკმაყოფილებს კვების მეცნიერულად დასაბუთებულ ფიზიოლოგიურ ნორმებს.

ცხრილი 1

	1985	1990	1995	1997	1998	2000	2001	2001 წ % 1985 წ შედარებით	ქვების ფიზიოლოგიური ნორმები
პური და პურპროდუქტები	175,1	184,6	163,5	154,2	151,4	130,3	130,2	74,4	120,5
კარტოფილი	46,6	37,3	26,8	44,7	47,3	48,5	47,8	102,6	70,0
ბოსტნეული	78,7	71,1	55,8	81,2	48,2	43,6	46,8	59,5	146,0
ხილი, კენკრა, ყურძენი	60,1	48,3	36,7	60,2	57,8	51,3	40,1	66,7	110,0
შაქარი	20,2	17,0	6,0	23,0	21,8	19,1	16,8	83,2	35,0
მცენარეული ზეთი	7,0	4,5	3,3	11,2	8,3	8,1	10,7	152,9	10,0
ხორცი და ხორცის პროდუქტები	41,5	36,5	12,5	15,6	20,8	19,8	19,7	47,5	73,0
რძე და რძის პროდუქტები	321,0	311,0	97,9	217,6	212,5	213,5	193,1	60,2	400,0
კვერცხი	149,3	140,0	66,1	107,7	122,5	129,2	125,6	84,1	290,0
თევზი	7,3	8,0	0,6	1,4	1,8	1,2	2,1	28,8	15,0

მოსახლეობის არასათანადო სასურსათო უზრუნველყოფაზე ძირითად გავლენას მათი დაბალი შემოსავლები ახდენს. 2001 წელს საარსებო მინიმუმი შრომისუნარიანი მამაკაცებისათვის თვეში საშუალოდ 117 ლარს, ხოლო საშუალო თვიური ფულადი შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე – 45 ლარს შეადგენდა. ამავე პირობეში მოსახლეობის მიერ სასურსათო საქონლის შეძენაზე გაწეული ხარჯების სტრუქტურაში ყველაზე მაღალი ხვედრითი წონით წარმოდგენილი იყო პური და პურპროდუქტები (35%), ხორცი და ხორცის პროდუქტები (12%), ბოსტნეული და ბაღჩეული (9%), მცენარეული და ცხოველური ცხიმები (9%), შაქარი და საკონდიტრო ნაწარმი

(7,5%), რძე და რძის პროდუქტები (6,5%). მთლიანად სასურსათო საქონლის შეძენაზე გაწეული ხარჯების ხვედრითმა წილმა სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების შესაძენად გაწეული ხარჯების მთლიან მოცულობაში 58,1% შეადგინა.

შესაბამისი გათვლების შედეგად დადგინდა, რომ მოსახლეობის მიერ მოხმარებული ძირითადი კვების პროდუქტების მოცულობა ფულად გამოსახულებაში, ქვეყნის აგრარულ ბაზარზე 2001 წელს 2,4 მლრდ. ლარს შეადგენდა, რაც 45,5%-ით ნაკლებია საქართველოს მოსახლეობისათვის (4,4 მლნ. 2001 წლის იანვრის მდგომარეობით) კვების ფიზიოლოგიური ნორმებით გათვალისწინებული საკვები პროდუქტების ღირებულებაზე (4,4 მლრდ. ლარი). ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, ნაცვლად კვების ფიზიოლოგიური ნორმით განსაზღვრული 1000 ლარის ღირებულების საკვები პროდუქტებისა, წლის განმავლობაში მოხმარებული სურსათის ღირებულება შეადგენდა საშუალოდ 545,5 ლარს.

„როგორც ვხედავთ, საქართველოს მოსახლეობა საშუალოდ მხოლოდ 54,5%-ით იკმაყოფილებს სურსათზე კვების ფიზიოლოგიური ნორმებით გათვალისწინებულ მოთხოვნილებას. სოფლად ეს მაჩვენებელი უკეთესია და 10-15 პროცენტული პუნქტით აღემატება ქალაქის მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის მაჩვენებელს.“

ფულად გამოსახულებაში, სამამულო წარმოების ძირითადი სასურსათო პროდუქტების ღირებულება ქვეყნის აგრარულ ბაზარზე 2001 წელს – 1,6 მლრდ. ლარის ტოლფასი იყო და მისი ხვედრითი წილი მოსახლეობის მიერ ოფიციალურად აღრიცხული და მოხმარებული სურსათის მოცულობის (2,4 მლრდ. ლარი) – 66,7%-ს შეადგენდა.

რაც შეეხება სამამულო წარმოების სასურსათო პროდუქციის ხვედრით წილს, მოსახლეობის კვების ფიზიოლოგიური ნორმით გათვალისწინებულ ძირითად საკვებ პროდუქტების მოთხოვნილებაში, ფულად გამოსახულებაში მხოლოდ 36,4% იყო.

„პრაქტიკულად იგივე მდგომარეობა დაფიქსირდა 2002 წელსაც. ამ წელს მოსახლეობას კვების ფიზიოლოგიური

ნორმების შესაბამისად რომ დაეკმაყოფილებინა სურსათზე მოთხოვნილება (4,5 მლრდ. ლარი), სამამულო წარმოების პროდუქციის ხვედრითი წილი ფულად გამოსახულებაში, ამ მოცულობის მხოლოდ 37,8% იქნებოდა.

აქედან გამოგვაქვს დასკვნა, რომ ქვეყნის აგროსასურსათო სექტორი დღეისათვის ვერ უზრუნველყოფს იმ რაოდენობის სასურსათო პროდუქციის წარმოებას, რაც დააკმაყოფილებდა სურსათზე მოსახლეობის არა თუ კვების ფიზიოლოგიური ნორმებით გათვალისწინებულ მოთხოვნილებას, არამედ მის გადახდისუნარიან მოთხოვნასაც კი.- სამამულო წარმოების სასურსათო პროდუქციის ხვედრითი წილი მოსახლეობის ძირითად საკვებ პროდუქტებზე მოთხოვნილებასა და ფაქტიურ მოხმარებაში, საშუალოდ 2001-2002 წლებში ფულად გამოსახულებაში, შესაბამისად 37,1% და 67,3%-ია.

მიუხედავად ამისა, ქვეყანაში სურსათის დეფიციტი არ აღინიშნება, ვინაიდან, მისი შევსება ხორციელდება იმპორტული საკვები პროდუქტების ხარჯზე, რომლის ხვედრითი წილი ძირითადი საკვები პროდუქტების მოთხოვნილებაში 18,0, ხოლო ფაქტიურ მოხმარებაში კი 32,7 პროცენტი იყო.

- მიგვაჩნია, რომ საქართველოს აგროსამრეწველო, სასურსათო კომპლექსის განვითარების ძირითადი მიმართულებების რეალიზაციამ პერსპექტივაში უნდა უზრუნველყოს, ძირითადად, ყველა სახის კვების პროდუქტების მაქსიმალური წარმოება და ქვეყნის სასურსათო უშიშროების პრობლემის გადაწყვეტა.

ეს კი შექმნილ პირობებში მოითხოვს აგროსასურსათო სექტორის განვითარებას მთლიანობაში, მისი ყველა სფეროს დაბალანსებულ და პროპორციულ განვითარებას ერთიან კომპლექსში, რაც დღემდე არ არის მიღწეული.- სწორედ ასეთი კომპლექსური მიდგომის აუცილებლობაზე მიუთითებდა 1998 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი *ამარტია სენი* წიგნში „სიღარიბე და შიმშილი", სადაც იგი წერს: „სასურსათო პრობლემის შესწავლისას უნდა განვიხილოთ არა ცალკე სასურსათო ბაზარი, როგორც შიმშილის გამომწვევი მიზეზი, არამედ ბაზარი მთლიანობაში, რადგან შიმშილობას სულაც არ იწვევს მხოლოდ კვების პროდუქტების უკმარისობა ამა თუ

იმ ქვეყანაში. გაცილებით მნიშვნელოვანია ამ ქვეყნის ინსტიტუციონალური არასრულყოფილება და ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის არარსებობა (განუვითარებლობა), ჯანდაცვის სისტემის მოშლა და სხვ.*) ეს ყოველივე კი გამოწვეულია საინვესტიციო ინექციების არარსებობით. ე.ი. შიმშილის ფენომენის გამომწვევი მიზეზების კვლევისას უნდა შევისწავლოთ ბაზრის არა ცალკეული სეგმენტი, არამედ, ბაზარი მთლიანად".

1.4. სასურსათო უშიშროების არსი, შეფასების ძირითადი კრიტერიუმები და მახასიათებლები

სასურსათო უშიშროების არსი – ეკონომიკური ზრდისა და ცხოვრების ხარისხის იმ დონით უზრუნველყოფა გახლავთ, რომელიც საზოგადოების მოთხოვნილებათა მაქსიმალურად დაკმაყოფილების, საკმარისი სახელმწიფო რეზერვების, აქტიური სავაჭრო და საგადასახდელო ბალანსის ფლობის საშუალებას იძლევა. თუ არ იქნება უზრუნველყოფილი სასურსათო უშიშროება, შეუძლებელია ქვეყნის შიდა ეკონომიკური და სოციალური ამოცანების გადაწყვეტა, მსოფლიოში მიმდინარე პროცესებში აქტიური მონაწილეობა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვა.

1974 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია „საერთაშორისო ვალდებულებები მსოფლიოში სასურსათო უშიშროების უზრუნველსაყოფად", რომელიც სასურსათო უშიშროებას განმარტავდა, როგორც „მსოფლიოს ყოველი მცხოვრების მუდმივი, გარანტირებული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მსოფლიოს სასურსათო რესურსებზე იმ მოცულობებში, რომელიც

*) კარგის გზების უქონლობა შესამჩნევი ნაკლულევანებაა ხალხის ცხოვრებაში, გზების უქონლობა ხელს უშლის ხალხის ეკონომიურ კეთილდღეობას, უკან აყენებს, აფერხებს მის ცხოვრების წინ მსვლელობას. გზები უადვილებს ხალხს ერთი-ერთმანეთში მისვლა-მოსვლას, აღებ-მიცემას, ნაწარმოების გასაღებას. ეს მარტივი და ყველასათვის ცხადი ჭეშმარიტებაა. ეს ჭეშმარიტება აღიარებულია. ილია ჭავჭავაძე (VII, 246).

აუცილებელია აქტიური და ჯანმრთელი სიცოცხლისათვის". აღნიშნული შეიძლება მივიჩნიოთ საერთაშორისო სასურსათო უშიშროების დეფინიციად. თუმცა ჩვენი აზრით, პრობლემის დაკონკრეტებისათვის უფრო აუცილებელია ცალკეული ადამიანის (ინდივიდის) სასურსათო უზრუნველყოფისა და ქვეყნის (ეროვნული) სასურსათო უშიშროების განსაზღვრა.

ჩვენი შეხედულებით, ყოველი ცალკეული ინდივიდისათვის სასურსათო უზრუნველყოფა არის იმ რაოდენობის, ასორტიმენტისა და ხარისხის კვების პროდუქტების მოპოვების და მოხმარების შესაძლებლობა, რომელიც აუცილებელია ადამიანის განვითარებისა და აქტიური ცხოვრების უზრუნველყოფისათვის.

ეროვნული (ქვეყნის) სასურსათო უშიშროება გამომდინარეობს სახელმწიფოს მოვალეობებისაგან და არის ქვეყნის მიზანმიმართული ღონისძიებების სისტემა, რომელიც მუდმივად უზრუნველყოფს საკუთარი მოსახლეობის ინდივიდუალური სასურსათო უზრუნველყოფის მიღწევას და დაცვას, უპირატესად სამამულო აგროსასურსათო სექტორის ფუნქციონირების ხარჯზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ესაა ქვეყნის ეკონომიკისა და მისი შესაბამისი ინსტიტუტების უნარი, უზრუნველყოს ეკოლოგიურად სუფთა სურსათის სტაბილური საკმარისობა და ხელმისაწვდომობა, იმპორტისაგან დამოუკიდებლობისა და თვითუზრუნველყოფის გარკვეული დონის (80-90%-მდე) პირობებში. ამიტომაცაა, რომ სასურსათო უშიშროების დონისა და ხარისხის შეფასებისას აქცენტი გადააქვთ ისეთ რაოდენობრივ-ხარისხობრივ მაჩვენებლებზე, როგორიცაა: კვების კალორიულობა (ენერგეტიკული ღირებულება), მოხმარებული კვების ძირითადი პროდუქტების რაოდენობა და ხარისხი (მოხმარებული ცილების, ცხიმების, ნახშირწყლების, მინერალური ნივთიერებების და ვიტამინების რაოდენობა), კვების პროდუქტების დაბინძურების (სისუფთავის) ხარისხი, სურსათის იმპორტზე ქვეყნის დამოკიდებულების დონე, სურსათის სამამულო მწარმოებელთა დაცვა, საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგება და ა.შ.

• ეროვნული სასურსათო უშიშროების ბაზისი ცალკეული ადამიანისათვის სასურსათო უკმარისობის დაძლევაა, რომელიც ინდივიდს შეიძლება დაემუქროს საკვების ნაკლებობის

(სრული არქონის) და მისი დაბალხარისხიანობის (უვარგისობის) შემთხვევაში.

სოციალური თვალსაზრისით, სასურსათო საფრთხე შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის უუნარობამ მოიპოვოს სურსათი ან მისი შეძენის საშუალება. ამგვარი რამ შეიძლება მოხდეს შრომისუუნარობის შემთხვევაში. ასეთი კატეგორიისათვის სურსათით უზრუნველყოფა უნდა ითავონ ახლობლებმა, საზოგადოებამ, სახელმწიფომ. როგორც წესი, ამგვარი ფაქტები მასობრივ ხასიათს არ ატარებს და მათი შედეგები ლოკალური მასშტაბისაა. რაც შეეხება მეორე ვარიანტს, როდესაც სასურსათო უზრუნველყოფის დარღვევას სოციალურ-ეკონომიკური საფუძველი გააჩნია (მხედველობაში გვაქვს იმგვარი მოვლენა, როდესაც შრომისუნარიან ადამიანს არა აქვს სათანადო სახსრები, რომ უზრუნველყოს საკუთარი მოთხოვნილება საკვებზე), მას გლობალური უარყოფითი შედეგების გამოწვევა შეუძლია. როდესაც ანალოგიური შემთხვევები მასობრივ ხასიათს იღებს, საქმე გვაქვს სახელმწიფოს მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობასთან, რომელიც შესაძლოა სოციალურ აფეთქებაშიც გადაიზარდოს.

ამგვარად, ცალკეული ინდივიდისათვის სასურსათო უზრუნველყოფის შენარჩუნების პირობები მოიცავს: საკვების „საკმარისობას", „ხელმისაწვდომობას" და „ვარგისიანობას". „საკმარისობა" ნიშნავს იმ ოდენობის და ასორტიმენტის კვების პროდუქტების არსებობას, რომელიც აუცილებელია ადამიანის ნორმალური განვითარებისათვის, ფიზიკური და ეკონომიკური აქტივობის შენარჩუნებისათვის. „ხელმისაწვდომობა" არის ინდივიდის ეკონომიკური უნარი მოიპოვოს სურსათი ან მისი შეძენის საშუალება (რადგან ამგვარი ინტერპრეტაცია ეკონომიკურად აქტიურ ფენებს მოიაზრებს, ამიტომ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ხელმისაწვდომობა" გულისხმობს შრომისუნარიანთათვის იმ დონის შემოსავლებს, რაც საშუალებას აძლევს მათ გამოკვებონ კმაყოფაზე მყოფი პირებიც).

„ვარგისიანობაში" იგულისხმება როგორც საკვები პროდუქტების უვნებლობა, ასევე კვების პროდუქტების ხარისხიანობა. სრულფასოვანი კვება უნდა ეფუძნებოდეს კვების ფიზიოლოგიური ნორმებით გათვალისწინებული საკვები ნივთიერე-

ბების და სურსათის მრავალფეროვნებას. (საკვები პროდუქტების უვნებლობა ადამიანისათვის სულ უფრო აქტუალური თემა ხდება. ეკოლოგიური სიტუაციის გამწვავების პირობებში, აღნიშნული პრობლემა თანდათან რთულდება, რამაც ბოლო პერიოდში ხარისხის ხარჯზე რაოდენობის ზრდის არსებული ტენდენცია ფრიად სადავო და პრაქტიკულად მიუღებელი გახადა).

ეროვნულ დონეზე „სასურსათო უშიშროების" პირველი რიგის საკითხებია „საკმარისობა", „ხელმისაწვდომობა" და „თვითუზრუნველყოფა". ამ შემთხვევაში „საკმარისობა" გულისხმობს სახელმწიფოს მუდმივ მზადყოფნას ექსტრემალურ პირობებში (საერთაშორისო პოლიტიკური ვითარების გამწვავება, ომები, ეკონომიკური ბლოკადა, ანთროპოგენური თუ ბუნებრივი კატასტროფები და ა.შ.) შეინარჩუნოს საკუთარი მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის მინიმალური დონე, რისთვისაც შეიძლება საჭირო გახდეს სპეციალური ზომების მიღებაც, რომელიც სურსათზე ფიზიკურ ხელმისაწვდომობას გულისხმობს (ფიზიკური ხელმისაწვდომობა არის მდგომარეობა, როდესაც ქვეყნის მოსახლეობა უფასოდ ან შეღავათიან ფასებში ნორმირებულად იღებს აუცილებელ კვების პროდუქტებს, ამის ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმაა ტალონური სისტემა).

სასურსათო უშიშროების „თვითუზრუნველყოფა" გულისხმობს ქვეყნის მოსახლეობის სურსათზე მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, რაც შეიძლება მაღალი დონის მიღწევას ადგილობრივი წარმოების ხარჯზე. ამ შემთხვევაში ზუსტად არ არის განსაზღვრული სამამულო წარმოების ის მინიმუმი, რომელიც საკმარისია სასურსათო უშიშროების შესანარჩუნებლად. სხვადასხვა მოსაზრებით, ეს მონაცემი 80-90 პროცენტის ფარგლებში მერყეობს, ანუ ცალკეული ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება დარღვეულად ითვლება, თუ აქ მოხმარებული მთელი სურსათის 10-20 პროცენტზე მეტი იმპორტულია. აღნიშნული მაჩვენებელი არის პირობითი ორიენტირი, თორემ თანამედროვე რეალობიდან გამომდინარე, მდგომარეობას ყველაზე უკეთ ასახავს დევიზი „დამოუკიდებელმა სახელმწიფომ უნდა აწარმოოს იმდენი სურსათი, რამდენის საშუალება-

საც მისი ბიოგეოპოტენციალი იძლევა".

ქვეყნის სურსათით „თვითუზრუნველყოფაზე" მსჯელობისას მხედველობაშია მისაღები მთელი რიგი ფაქტორებისა, რომლებიც დიდად განაპირობებენ პრობლემის ხასიათს და მისი გადაწყვეტის ძირითად მიმართულებებს. სწორედ ფაქტორთა მრავალფეროვნება და მათი ურთიერთქმედება განაპირობებს თითოეული ქვეყნის სურსათით უზრუნველყოფის შესაძლებლობას, რომელიც პირობითად ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: პირველი, ყველაზე საუკეთესო შემთხვევაა, როდესაც სახელმწიფო საკუთარ მოთხოვნილებას სურსათზე სრულად უზრუნველყოფს სამამულო წარმოების ხარჯზე. ასეთი ვითარება გულისხმობს, როგორც ეკონომიკური განვითარების მაღალ დონეს, ასევე ტერიტორიის მაღალ ბიოგეოპოტენციალს (ე.ი. ტერიტორიული ინტენსიფიკაციის მაღალ მაჩვენებელს). აქ იგულისხმება „თვითუზრუნველყოფის" მიღწევა არა სურსათის ყველა სახეობის მიხედვით, არამედ საერთო სასურსათო ნეტო-უზრუნველყოფა.

მეორე შემთხვევაში, ქვეყანა, მართალია, საკუთარი წარმოებით ვერ იკმაყოფილებს სურსათზე მოთხოვნილებას, მაგრამ ამას აღწევს იმპორტის მეშვეობით. ამ დროს საქმე გვაქვს განვითარებულ ეკონომიკასთან, მაგრამ მწირ ბიოგეოპოტენციალთან.

მესამე, ყველაზე უარესი შემთხვევის დროს, სახელმწიფო ვერც საკუთარი წარმოების და ვერც იმპორტის ხარჯზე ვერ ახერხებს საკუთარი მოსახლეობის სათანადო უზრუნველყოფას სურსათით. ასეთი სიტუაცია, პირველ რიგში, მიუთითებს ეკონომიკური განვითარების დაბალ დონეზე, დაბალი (ან მაღალი) ბიოგეოპოტენციალის ფლობის პირობებში.

პირველი ჯგუფის ქვეყნებს მიეკუთვნება აშშ, ავსტრალია, კანადა, ახალი ზელანდია, ევროკავშირის ზოგიერთი სახელმწიფო და ა.შ. ზოგიერთ მათგანში არა მარტო „ნეტო-უზრუნველყოფაა" მიღწეული, არამედ სურსათი ექსპორტზედაც წარიმართება. მეორე ჯგუფში მყოფთაგან ყველაზე თვალსაჩინოა იაპონია, ხოლო მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნების უმრავლესობა მესამე კატეგორიას განეკუთვნება.

საერთაშორისო სასურსათო უშიშროების ორი ძირითადი

მაჩვენებელი არსებობს, რომლებიც ფაო-ს ექსპერტების მიერ არის დამუშავებული და ორივე მათგანი მარცვლეულს უკავშირდება. ესენია: მარცვლეულის გარდამავალი მარაგები და მარცვლის წარმოების მოცულობა მთლიანად და ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით. მარცვლეულის გარდამავალი მარაგები იანგარიშება მსოფლიოში მასზე მოთხოვნილების მთელი ოდენობიდან გარკვეული წილის მიხედვით პროცენტებში, ან არსებული საკმარისობის მიხედვით მარცვლეულის მოხმარებიდან გამომდინარე, დღეებში. უსაფრთხოდ ითვლება მარცვლეულის მარაგების ის მოცულობა, რომელიც შეესაბამება მსოფლიოში მარცვლეულის მოხმარების მთელი ოდენობის 17 პროცენტს, ანუ 60 დღის პერიოდს. მსოფლიოში აღნიშნულ ნიშნულზე ქვევით მარცვლეულის მარაგების შემცირება, შეიძლება გახდეს საერთაშორისო სასურსათო კრიზისის დეტონატორი. ასეთ ვითარებაში, როგორც წესი, მარცვლეულზე ფასები მკვეთრად იზრდება. ამგვარ მოვლენას ადგილი ჰქონდა 1972-1973 და 1995-1996 წლებში.

საერთაშორისო სასურსათო უშიშროების მეორე მაჩვენებელი – მარცვლეულის წარმოების მოცულობა მთლიანად და ერთ სულზე გაანგარიშებით გამოსადეგია ეროვნულ დონეზე არსებული ვითარების ასახვისათვის. მარცვლის წარმოების ოპტიმალურ დონედ მსოფლიოში ერთ სულზე გადაანგარიშებით სხვადასხვა მაჩვენებელი ითვლება და ის 500-800 კილოგრამამდე მერყეობს. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირის ქვეყნებში ერთ სულ მოსახლეზე დაახლოებით 800 კილოგრამი მარცვალი მოიხმარება. იგივე საშუალო მაჩვენებელი 1988-1990 წლებში განვითარებად ქვეყნებში 235 კგ იყო, ხოლო განვითარებულ ქვეყნებში – 635 კგ. საქართველოში მარცვლეულის წარმოების შედარებით საკმარისი მოცულობაა – 1,7-1,8 მლნ. ტონა, ანუ მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით – 350-360 კგ.

კაცობრიობისათვის მარცვლეულის მნიშვნელობას მრავალი ფაქტორი განაპირობებს. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ მარცვლეული არის ძირითადი სასურსათო პროდუქტი მთელს მსოფლიოში. ნებისმიერი ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფის კვების ტრადიციები მარცვლეულს მოიაზრებს, რო-

გორც „კულინარიის" საფუძველს. მარცვლეულის უმთავრესი ღირსებაა ის, რომ იგი არის ყველაზე უფრო ტრანსპორტაბელური პროდუქტი და მისი შენახვა შესაძლებელია ხანგრძლივი ვადით. მარცვლეულის ტრანსპორტაბელობა იძლევა იმის საშუალებას, რომ საერთაშორისო მასშტაბებით ფართოდ გაიშალოს მარცვლეულით ვაჭრობა, ხოლო ადვილად და ხანგრძლივი ვადით შენახვადობა გარანტიაა მარაგების შექმნისა, რაც სასურსათო სიტუაციის სტაბილურობას უზრუნველყოფს.

მარცვლეული სასურსათო უშიშროების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარანტიაა, მაგრამ მსოფლიოს სასურსათო ბაზრის სტაბილურობაზე სხვა პროდუქტების წარმოების დონეც მოქმედებს. როგორც ცნობილია, კვების ფიზიოლოგიური ნორმების ჩამონათვალში კვების პროდუქტები 10 ძირითად ჯგუფშია გაერთიანებული. ესენია: პური და პურპროდუქტები, ხორცი და ხორცის პროდუქტები, თევზი და თევზის პროდუქტები, რძე და რძის პროდუქტები, შაქარი, მცენარეული ზეთი, კვერცხი, კარტოფილი, ხილი და ბოსტნეული, მაგრამ იმის თქმა, რომ ყოველი მათგანის სასურსათო უშიშროების ჭრილში განხილვის საფუძველი არსებობს, არ იქნება მიზანშეწონილი. იმისათვის, რომ პროდუქტი მოექცეს საერთაშორისო სასურსათო უშიშროების ინტერესების სფეროში, იგი ორ ძირითად პირობას მაინც უნდა აკმაყოფილებდეს. პირველ რიგში ის უნდა იყოს ადვილად ტრანსპორტირებადი და აქედან გამომდინარე, მსოფლიოს ვაჭრობის მნიშვნელოვან ობიექტს უნდა წარმოადგენდეს და მეორე, ის უნდა იყოს მაღალი კვებითი ღირებულების მქონე, ანუ აუცილებელია შეიცავდეს ძირითადი საკვები ნივთიერებებიდან (ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები), ერთ-ერთს მაინც სოლიდური ოდენობით. ასეთ კატეგორიას მარცვლეულის გარდა განეკუთვნება პარკოსნები, ხორცი, რძე და მათი გადამუშავების პროდუქტები, თევზი, შაქარი, მცენარეული ზეთი. რაც შეეხება კარტოფილს, ხილსა და ბოსტნეულს, აგრეთვე სხვადასხვა სახის სასმელებს, ისინი ეროვნული სასურსათო უშიშროების განხილვის საგანია, რა თქმა უნდა, ზემოაღნიშნულ ექვს ძირითად პროდუქტთან ერთად.

ეროვნული (სახელმწიფო) სასურსათო უშიშროების მრავა-

ლი სხვა მაჩვენებელიც არსებობს. ისინი არსებული კლასიფიკაციის მიხედვით შეიძლება დაჯგუფდეს, – სახელმწიფოს სასურსათო უშიშროებისა და ინდივიდუალური სასურსათო უზრუნველყოფის მაჩვენებლებად.

ეროვნული სასურსათო უშიშროების შეფასების მთავარი კრიტერიუმია ქვეყანაში მოხმარებული და წარმოებული სასურსათო პროდუქციის მოცულობის თანაფარდობა. ამასთან, ცალკეული სახის სურსათისათვის ამგვარი გაანგარიშებები შეიძლება ჩატარდეს როგორც ნატურალური, ასევე ფულადი მაჩვენებლებით, ხოლო მდგომარეობის სრული შეფასებისათვის აუცილებელია ერთიანი მაჩვენებლის შემოღება, რისთვისაც იყენებენ როგორც ღირებულებით მაჩვენებლებს, ასევე საკვების ენერგეტიკული ფასეულობის მონაცემს, რომელიც, კილოკალორიებში ან კილოჯოულებში იზომება.

„თვითუზრუნველყოფის" კოეფიციენტის (ქვეყანაში წარმოებული და მოხმარებული სურსათის შეფარდება) გამოანგარიშება შესაძლებელია, როგორც სურსათის ცალკეული სახეების, ასევე ქვეყანაში მოხმარებული და წარმოებული მთელი სურსათის მოცულობების მიხედვით. სრული სურათის შესაქმნელად აუცილებელია ამგვარი შეფასებები შესრულდეს ქვეყანაში წარმოებული და მოხმარებული სურსათის მთლიანი ოდენობების მიხედვით. ამასთან, შესაძლებელია „თვითუზრუნველყოფის" უფრო „მკაცრი" კრიტერიუმის შემოღებაც, რომელიც გვაჩვენებს ქვეყანაში მოხმარებული სურსათის მთლიან მოცულობებში ადგილობრივი წარმოების პროდუქციის ხვედრით წილს. პირველ შემთხვევაში, „თვითუზრუნველყოფისათვის" კოეფიციენტში გათვალისწინებულია სამამულო წარმოების სურსათის მთლიანი მოცულობა ექსპორტის ჩათვლით, ხოლო მეორე შემთხვევაში კი, ექსპორტი მხედველობაში არ მიიღება.

ამდენად, სურსათით თვითუზრუნველყოფა არის სასურსათო უშიშროების უმაღლესი საფეხური, რომლის შესახებ საუბარი მაშინ არის კორექტული, როდესაც მიღწეულია სასურსათო უზრუნველყოფის გარკვეული დონე. ამასთან. ქვეყანაში კვების პროდუქტების მოხმარების შეფასება აუცილებლად უნდა ეფუძნებოდეს კვების ფიზიოლოგიური ნორმებს. გარდა

აღნიშნულისა, მნიშვნელოვანია ისეთი მაჩვენებლების ანალიზი, როგორიცაა ერთ სულ მოსახლეზე მოხმარებული სურსათის ენერგეტიკული ფასეულობა, ცილების რაოდენობა, მინერალური ნივთიერებებით, ვიტამინებით და სხვადასხვა მიკროელემენტებით მოსახლეობის უზრუნველყოფა.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, სასურსათო უშიშროების შეფასების უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელი იქნება ქვეყანაში ფაქტობრივად მოხმარებული სურსათის ღირებულების შეფარდება კვების ფიზიოლოგიური ნორმების მიხედვით საჭირო სურსათის ღირებულებასთან. (როგორც მთლიანად, ასევე საშუალოდ ერთ სულზე გადაანგარიშებით). ამგვარი შეფასებების გაკეთება შესაძლებელია სხვადასხვა სოციალური, ასაკობრივი თუ პროფესიული ჯგუფების მიხედვითაც.

მოსახლეობის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას. ამიტომაა რომ ამა თუ იმ ქვეყნის სასურსათო უშიშროებას მრავალი ინდიკატორი განსაზღვრავს. მათგან ძირითადია ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, მისი განვითარების დონე და ტემპები. სურსათის სამამულო წარმოების დონე და მისი მდგრადობა, საერთო ოპერატიული და სტრატეგიული რეზერვების სიდიდე, მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ჯგუფების მსყიდველობითი უნარი. იმპორტის საიმედოობა მიწოდებული სურსათის რაოდენობის, ხარისხის და რაოდენობის მიხედვით, ვალუტის რეზერვი იმპორტირებული საქონლის გასასტუმრებლად და სხვა. ამდენად, ამ მხრივ ვითარების ანალიზისათვის აუცილებელია საერთო ეკონომიკური დონის შეფასებაც. დიდი მნიშვნელობა აქვს ცალკეული სახელმწიფოს მიერ გატარებულ სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკას. მდგრადი ეკონომიკური განვითარება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია სასურსათო უშიშროების მიღწევის საქმეში. გამომდინარე აქედან, ქვეყნის სასურსათო უშიშროების შესახებ მსჯელობისას აუცილებლად უნდა იქნეს შეფასებული მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამსახველი მაჩვენებლების სრული სპექტრი და რა თქმა უნდა, ქვეყნის ბიოგეოკლიმატური პოტენციალი.

ეროვნული სასურსათო უშიშროების შესაფასებლად ჩვენ ვიღებთ აღნიშნულ მაჩვენებლებს, როგორც საფუძველს

სასურსათო უშიშროების ძირითადი მახასიათებლების (სურსათის საკმარისობა, სურსათზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობა და სურსათით თვითუზრუნველყოფა) გაანგარიშებისათვის. ამასთან ერთად, თითოეული მათგანის შეფასება ხორციელდება ზოგადი და კერძო კოეფიციენტების დახმარებით.*)

ეროვნული სასურსათო უშიშროების დონის შეფასება ზემოთ აღნიშნულ მაჩვენებელთა სისტემის გამოყენებით, ქვეყნის ბიოგეოკლიმატური პოტენციალის და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამსახველ მაჩვენებელთა სრული სპექტრის გათვალისწინების პირობებში, შესაძლებელს ხდის არა მხოლოდ გაირკვეს და დაფიქსირდეს სასურსათო უშიშ-

---

*) საკმარისობის ზოგადი კოეფიციენტი ღირებულებითი გამოსახულებით გაიანგარიშება, როგორც კვების ფაქტიური დღე-ღამური (თვიური) რაციონის ღირებულების შეფარდება ფიზიოლოგიური ნორმების მიხედვით კვების დღე-ღამური (თვიური) რაციონის ღირებულებასთან, ხოლო ნატურალური გამოსახულებით, როგორც კვების დღე-ღამური (თვიურ) რაციონში შემავალი ფაქტიური კალორიულობის რაოდენობის შეფარდება კვების დღე-ღამური (თვიური) კვების რაციონში ფიზიოლოგიური ნორმების მიხედვით შემავალი კალორიების რაოდენობასთან.

საკმარისობის კერძო კოეფიციენტების გაანგარიშება ხდება სასურსათო პროდუქტების ცალკეული (10 დასახელების) სახეობების მიხედვით, ცალ-ცალკე ქალაქისა და სოფლის მოსახლეობისათვის. სასურსათო უზრუნველ-ყოფის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა სურსათის მოხმარების ისეთი საკმარისობაა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის აქტიურ და ჯანსაღ ცხოვრებას.

ხელმისაწვდომობის ზოგადი კოეფიციენტი განისაზღვრება, როგორც თანაფარდობა თვეში ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებულ შემოსავალსა და სასურსათო კალათის ღირებულებას შორის. იგი ივსება ხელმისაწვდო-მობის რიგი კერძო კოეფიციენტებით, რომლებიც გაიანგარიშება სხვადასხვა დონის შემოსავლების მქონე მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების მიხედვით.

თვითუზრუნველყოფის ზოგადი კოეფიციენტი გაიანგარიშება, როგორც საკუთარი წარმოების მოხმარებული კვების პროდუქტების ღირებულების შე-ფარდება მთლიანად მოხმარებული კვების პროდუქტების ღირებულებასთან.

თვითუზრუნველყოფის კერძო კოეფიციენტები სასურსათო პროდუქტების ცალკეული სახეობების მიხედვით იანგარიშება ნატურალურ და ღირებულე-ბით გამოსახულებაში. ამასთან, ქვეყნის ცალკეული რეგიონებისათვის მნიშ-ნელოვანია დამატებითი მაჩვენებლის, – სურსათით უზრუნველყოფის დამო-კიდებულების კოეფიციენტის გამოყენება, რომელიც გაიანგარიშება რეგიო-ნის სახსრებით შეძენილი სურსათის ღირებულების შეფარდებით მთელი შეძენილი სურსათის ღირებულებასთან.

როების დონის შემცირება ან გადიდება, არამედ უშუალოდ დამუშავდეს ეროვნული სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფის სტრატეგია და განისაზღვროს მისი რეალიზაციის კონკრეტული გზები.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაცემებით, 2001 წელს დღე-ღამური კვების რაციონის (მინიმალური სასურსათო კალათა შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცებისათვის) ენერგეტიკულობამ, მოხმარების ფიზიოლოგიური ნორმების მიხედვით 2570 კკალ., ხოლო მოსახლეობის მიერ სასურსათო პროდუქტების ფაქტიური მოხმარების შესახებ საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციის საფუძველზე, ჩვენს მიერ გაანგარიშებულმა დღე-ღამური კვების რაციონის ფაქტიურმა ენერგეტიკულმა ფასეულობამ 2470 კკალ შეადგინა. აქედან გამომდინარე, საკმარისობის კოეფიციენტის სიდიდე ნატურალურ გამოსახულებაში ტოლი იყო – 0,96-ის. ე.ი. მოსახლეობის კვების რაციონის ფაქტიური ენერგეტიკული ფასეულობა 4,0 პროცენტით ნაკლები იყო მოხმარების ფიზიოლოგიური ნორმებით გათვალისწინებულ დონესთან შედარებით.

მოსახლეობის კვების ფაქტიური რაციონის არასრულყოფილი სტრუქტურა განპირობებულია მისი საერთო შემოსავლების დაბალი დონით. კვების ფაქტიური თვიური რაციონის ღირებულება (40 ლარი) საგრძნობლად ჩამორჩებოდა მოხმარების ფიზიოლოგიური ნორმას (73,3 ლარი), რასაც სურსათის საკმარისობის კოეფიციენტიც (ღირებულებით გამოსახულებაში) ადასტურებს (0,55).

აღნიშნული სიდიდე მიუთითებს, რომ 2001 წლისათვის საქართველოს მოსახლეობა ვერ ახერხებდა საკმარისი რაოდენობით მიეღო ყველა ის აუცილებელი კვების პროდუქტი, რომელიც შედარებით მდიდარია ორგანიზმისათვის საჭირო და აუცილებელი საკვები ნივთიერებებით, რადგან ეს პროდუქტები, როგორც წესი ძვირადღირებულ პროდუქტთა კატეგორიას განეკუთვნება. პრაქტიკულად იგივეს ადასტურებს ჩვენს მიერ გაანგარიშებული ხელმისაწვდომობის კოეფიციენტიც*), რომ-

*) ერთ სულ მოსახლეზე ფულადი შემოსავლის შეფარდება მოხმარების ფიზიოლოგიური ნორმებით გათვალისწინებული სასურსათო კალათის გასაშუალებულ ღირებულებასთან.

ლის სიდიდე არ აღემატება 0,61-ს.

სასურსათო უშიშროების დონეზე სრული წარმოდგენის მისაღებად ზემოაღნიშნული კოეფიციენტები გავიანგარიშეთ სურსათის საკმარისობისა და სურსათზე ხელმისაწვდომობის კრიზისული ანუ ზღვრული სიდიდეების მიხედვითაც.**)

სურსათის საკმარისობის კოეფიციენტმა კრიზისული (ზღვრული) სიდიდის გათვალისწინებით შეადგინა 1,15, ხოლო სურსათზე ხელმისაწვდომობის კრიზისული (ზღვრული) სიდიდის კოეფიციენტმა – 0,70.

საქართველოში კვების ფაქტიური რაციონის ენერგეტიკული ფასეულობის (2470 კკალ) და სურსათზე ხელმისაწვდომობის არსებული დონის (0,58) პირობებში, გამოგვაქვს დასკვნა, რომ სურსათის საკმარისობის რეალური მაჩვენებელი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის შეადგენდა 1432,6 კკალორიას, რაც ფაოს მიერ მოცემული კლასიფიკაციით სიცოცხლისუნარიანობის კრიტიკულ ზღვარს უახლოვდება.

2001 წლის მონაცემებით ჩატარებული გაანგარიშებების თანახმად საქართველოს სასურსათო თვითუზრუნველყოფის ზოგადმა კოეფიციენტმა 0,67 შეადგინა. ანალოგიური სურათია 1999, 2000 და 2002 წლებშიც.

პრაქტიკულად იგივე შედეგს იძლევა ცალკეული სასურსათო პროდუქტების მიხედვით წარმოებისა და მოხმარების ბალანსური გაანგარიშებებიც, რაც ნათლად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ქვეყნის მოსახლეობა ჯერ კიდევ შორსაა საკუთარი წარმოების სასურსათო პროდუქტებით სრული უზრუნველყოფის მდგომარეობისაგან.

ამრიგად, ეროვნული სასურსათო უშიშროების დონის შესაფასებლად აუცილებელია შესაბამისი მაჩვენებელთა სისტემის გამოყენება, რომლის ფორმირების საფუძვლად მიჩნეული უნდა იქნეს სასურსათო უშიშროების ძირითადი შემადგენელი ელემენტების მოთხოვნები – სურსათის მოხმარების

**) სურსათის საკმარისობის კრიზისულ ზღვრად აღებულია ფაო-ს კლასიფიკაციის მიხედვით დღე-ღამური რაციონი – 2150 კკალორია, ხოლო სურსათზე ხელმისაწვდომობის კრიზისულ ზღვრად კი – სურსათის საკმარისობის კრიტიკული ზღვრის (2150 კკალ) ენერგეტიკული ფასეულობა ღირებულებით გამოსახულებაში, რომელიც 63,6 ლარის ტოლია.

საკმარისობა, სურსათზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობა და სურსათით თვითუზრუნველყოფა. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ ზემოაღნიშნული პირდაპირ ფაქტორებთან ერთად, ეროვნული სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფაზე გავლენას ახდენენ რიგი სხვა ფაქტორებიც, არსებულ ვითარებაზე სრული სურათის შესაქმნელად აუცილებელია შეფასდეს მოცემული ქვეყნის ბიოგეოკლიმატური პოტენციალისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამსახველ მაჩვენებელთა მთელი სპექტრი.

სურსათით მოსახლეობის უზრუნველყოფის პრობლემის განხილვისას საჭიროა ნათლად გამოიკვეთოს სურსათის პრიორიტეტები. ამისათვის ძირითად კრიტერიუმად გამოყენებულ უნდა იქნეს ამა თუ იმ პროდუქტის ხვედრითი წილი მოსახლეობის კვების რაციონში, ასევე მისი ტრანსპორტაბელობა და საჭირო ვადით შენახვის შესაძლებლობა, სათანადო რეზერვის შექმნის და საჭირო მომენტში ბაზარზე ინტერვენციის თვალსაზრისით (ფასების სტაბილურობის მისაღწევად). ამ კრიტერიუმებით, ჩვენს პირობებში, პირველი რიგის პრიორიტეტებად მარცვლეული, შაქარი, ზეთი, კვერცხი, თევზი და კარტოფილი გვესახება, ხოლო შემდეგ კი ყველა სხვა დანარჩენი კვების პროდუქტები.

1.5. მსოფლიო სასურსათო ბაზარი (ილუზიები და რეალობები)

სასურსათო დამოუკიდებლობა უფრო გადაუდებელი საქმეა, ვიდრე დამოუკიდებლობა სამხედრო თვალსაზრისით.

ტანი ტატეკი, გენერალ-ლეიტენანტი, იაპონიის სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის მინისტრი, 1898 წ.

სასურსათო უშიშროების ეროვნულ დონეზე დარეგულირების საკითხი ობიექტურად იწვევს ქვეყნების უმრავლესობის ჩართვას სურსათის მსოფლიო ვაჭრობაში. სურსათის მსოფლიო ბაზარი პირობითი ცნებაა, მას არ გააჩნია მისამართი, არ ყავს ხელმძღვანელობა და არ აქვს რაიმე ოფიციალური

სტატუსი. ამასთან ის არსებობს და მოქმედებს, როგორც ჩვეულებრივი ბაზარი, მსხვილი ბირჟების, მარკეტინგული ცენტრების და სხვა საბაზრო სტრუქტურების სახით, რომლებიც ქმნიან მსოფლიო ბაზრის ერთიან სამოქმედო სივრცეს.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია თავისთავად განაპირობებს ასეთი მსოფლიო ბაზრის არსებობას. ამ უკანასკნელის გარეშე ალბათ არც ეკონომიკის გლობალიზაციაზე იქნებოდა საერთოდ საუბარი. ფაქტია, რომ არსებობს მსოფლიო მეურნეობა და სურსათის მსოფლიო ბაზარი (ისევე როგორც არასასურსათო და სხვა პროდუქციის და მომსახურების მსოფლიო ბაზარი) მაგრამ არა როგორც ორგანიზაციები, რომლებიც მოწოდებულნი არიან დახმარება გაუწიონ ეკონომიკურად ნაკლებ განვითარებულ ქვეყნებს, სუსტად განვითარებული სოფლის მეურნეობით. ისინი ფუნქციონირებენ პირველ ყოვლისა საკუთარი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების სასარგებლოდ. ამას გარკვეულწილად ისიც უწყობს ხელს, რომ ამჟამად (და ალბათ თვალსაწიერ მომავალშიც) სურსათის წარმოება ძირითადად კონცენტრირებულია ჩრდილო ამერიკასა და დასავლეთ ევროპაში. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოსა და საბჭოთა კავშირის დაშლამ კიდევ უფრო განამტკიცა სურსათის ექსპორტიორი ქვეყნების პოზიციები, კიდევ უფრო მყარი გახადა მათი მონოპოლური მდგომარეობა მსოფლიო ბაზარზე.

ერთპოლუსიანი მსოფლიო სასურსათო ბაზრის სტაბილურობასა და მონოპოლიზმის შერბილებაში გარკვეული მნიშვნელობა საერთაშორისო-სამართლებრივი საფუძვლების, რეგულირების და სტანდარტების განვითარებას ენიჭება. ეს სამართლებრივი აქტები აწესებს გარკვეულ რეგლამენტს სურსათით ვაჭრობაში, ამცირებს რისკს, იცავს ბაზრის მონაწილეებს სუბიექტივიზმისა და განუკითხაობისაგან. ამასთან, არ შეიძლება ავაგოთ ილუზიები იმაზე, რომ თამაშის საერთაშორისო წესები და ე.წ. ქცევის კოდექსი (რომლებიც მკაფიოდ არის ფორმირებული „ურუგვაის რაუნდის", დასკვნით დოკუმენტებში) მიმართული იქნება სურსათის წამყვანი ექსპორტიორი ქვეყნების წინააღმდეგ. პირიქით, ამ წესებს თვითონ ექსპორტიორი ქვეყნები შეიმუშავებენ თავიანთი ინტერესების

გათვალისწინებით, თუმცა მიუხედავად ამისა მასში მაინცაა წესრიგისა და სტაბილურობის გარკვეული ელემენტები.

მსოფლიო სასურსათო ბაზრის მრავალმხრივ რეგლამენტირებას, ისევე როგორც მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციას, აქვს სხვა ასპექტებიც. კერძოდ, მიმდინარეობს სურსათის მწარმოებელი ქვეყნების დომინირებული მდგომარეობის კიდევ უფრო განმტკიცება, მათთვის ისეთი სტატუსის მინიჭება, რომელიც სურსათის ექსპორტიორი ქვეყნების მდგომარეობას უფრო მდგრადს და შეუვალს გახდის. ამ შემთხვევაში მსოფლიო სასურსათო ბაზრის სტაბილიზება და ამ საფუძველზე უფრო მაღალი ხარისხისა და დონის მსოფლიო სასურსათო უშიშროების მიღწევა ბუნებრივია განხორციელდება ცალკეული ქვეყნების და პირველ რიგში ნაკლებად განვითარებულ და სურსათის იმპორტიორი ქვეყნების ეროვნული სასურსათო უშიშროების კიდევ უფრო შესუსტების ხარჯზე. ეს კი ნიშნავს, რომ მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციისა და მსოფლიო სასურსათო უშიშროების სტაბილიზაციას შესაძლოა შეეწიროს ამ ქვეყნების როგორც სასურსათო, ისე საერთო ეკონომიკური დამოუკიდებლობა.

სწორედ ამიტომ, მსოფლიო და ეროვნული სასურსათო უშიშროების სწორი შეთანაწყობის პრობლემა, ერთ-ერთი ყველაზე რთული და აქტუალურია მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში, არა მარტო აკადემიური თვალსაზრისით, არამედ საგარეო ვაჭრობისა და აგრარული პოლიტიკის რეალიზაციის თვალსაზრისითაც. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახლა, როცა „ურუგვაის რაუნდის" გადაწყვეტილებათა შესრულება პრაქტიკულად მიმართულია სურსათის ექსპორტიორი ქვეყნების პოზიციების განმტკიცებისაკენ და იმპორტიორი ქვეყნების დამცავი მექანიზმების შესუსტებისაკენ. ამიტომ გასაცნობიერებელია, რომ მსოფლიო სასურსათო ბაზარი არაა საქველმოქმედო ორგანიზაცია, მისი წევრი, სურსათის ექსპორტიორი თითოეული ქვეყანა, ცდილობს რაც შეიძლება მეტი სადავეები აიღოს ხელში, რათა შემდეგ უკარნახოს დანარჩენებს თავისი პირობები, ე.ი. მიიღოს რაც შეიძლება მაქსიმალური მოგება.

ასეთ პირობებში ყველაზე უპრიანია საკუთარი შიდა

რესურსებისა და რეზერვების მობილიზება და მათი რაციონალური გამოყენება, რაც თავის მხრივ მოითხოვს სასურსათო უშიშროების პრობლემის გადაწყვეტისადმი, ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით სახელმწიფოებრივი მიდგომის აუცილებლობას.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ სახელმწიფოთა არსებობის ისტორიაში სტაბილური სასურსათო უზრუნველყოფა ყოველთვის იყო ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რადგან მასზე იყო და არის დამოკიდებული ქვეყნის ეროვნული უშიშროება. აღნიშნულის გათვალისწინებით ჯერ კიდევ 1970-იან წლებში ე.წ. „დიდი შვიდეულის" ქვეყნებმა მიიღეს სპეციალური გადაწყვეტილება სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების დონის კოორდინაციის მიზნით. ის გულისხმობდა აგრარული პროდუქციის წარმოების და სურსათის იმპორტის რეგულირებას. დღემდე ეს გადაწყვეტილება ბოლომდე დაცული არაა, რადგან სხვადასხვა ქვეყნებს ამ საკითხებთან სხვადასხვა დამოკიდებულება გააჩნიათ. ასე მაგალითად, ევროკავშირის ქვეყნები და იაპონია თვლიან, რომ სასურსათო უშიშროების საკითხი უნდა წყდებოდეს ეროვნულ დონეზე, რისთვისაც გამოყენებული უნდა იქნეს აგროსასურსათო სექტორისადმი სახელმწიფო მხარდაჭერის ყველა ღონისძიება. აქედან გამომდინარე ამ ქვეყნებს აქვთ სურსათით თვითუზრუნველყოფის საკმაოდ მაღალი დონე. მაგალითად, საფრანგეთს – 100%-ზე მეტი, გერმანიას – 93%, იტალიას – 78%. იაპონიაში (რომელსაც შედარებით დაბალნაყოფიერი მიწები გააჩნია), ეს მაჩვენებელი 50%-ის ფარგლებშია, სადაც მკაცრი შეზღუდვებია დაწესებული სურსათის იმპორტზე. მაგალითად, საერთოდ აკრძალულია ბრინჯის იმპორტი, მაშინ როცა, თავად სახელმწიფო, შიდა ბაზარზე შეისყიდის მას 6-8-ჯერ უფრო მაღალ ფასებში, ვიდრე ბრინჯზე მსოფლიო ფასებია.*)

ამჟამად მსოფლიოში სურსათით საკუთარ მოთხოვნილებას

---

*) ე.წ. „ურუგვაის რაუნდის" შემდეგ ამ მიმართულებით მდგომარეობა უკვე საგრძნობლად იცვლება. მაგალითად, თუ მანამდე იაპონიაში სახელმწიფოს მიერ შეისყიდებოდა მოწეული ბრინჯის 100%, ამჟამად იგი მხოლოდ 10%-ს შეისყიდის, დანარჩენი კი ბაზარზე გადის.

სრულად იკმაყოფილებს 30 ქვეყანა, ხოლო 8 მათგანს იგი გააქვს ექსპორტზე (აქ ვგულისხმობთ ნეტო-ექსპორტიორს). ყველაზე უფრო სტრატეგიული სურსათის, მარცვლეულის მსოფლიო მარაგების უდიდესი ნაწილი რამდენიმე ქვეყანაშია კონცენტრირებული (აშშ, ევროკავშირის ქვეყნები, კანადა). მარტო აშშ, რომლის მოსახლეობა დედამიწის მოსახლეობის მხოლოდ 5%-ს შეადგენს, ფლობს მსოფლიო მარცვლეულის მთლიანი მარაგის დაახლოებით ნახევარს. მარცვლეულის ექსპორტის მხრივაც ანალოგიური (მონოპოლიზებული) ვითარებაა შექმნილი. მისი მთლიანი მოცულობის მეტი წილი მოდის სამ ქვეყანაზე: აშშ-ზე, ავსტრალიაზე, კანადაზე. ეს იმ დროს, როდესაც თანამედროვე მსოფლიოში მარცვლეულის იმპორტიორი 120 ქვეყანაა. ასეთი ვითარება აიძულებს ქვეყნებს აქტიური (აგრესიული) სახელმწიფო პოლიტიკით დაუჭირონ მხარი აგრარული სექტორის განვითარებას. ასეთი გადაწყვეტილების სისწორე ბოლო დროის მოვლენებმაც დაადასტურა.

მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ დასავლეთის ქვეყნებში (რომლებიც გამოდიან როგორც ძირითადი სურსათის ექსპორტიორი ქვეყნები) ხდება აგრარული პოლიტიკის რეალიზაციის პრინციპებისა და მეთოდოლოგიის გარკვეული გადახედვა, რომელიც სურსათის მსოფლიო ბაზარზე შექმნილი რეალური პირობებით უნდა აიხსნას. მათ გადაწყვიტეს ერთი მხრივ შეამცირონ სოფლის მეურნეობისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული დახმარება, მეორე მხრივ კი შეასუსტონ ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია საშინაო ბაზრების დაცვაზე იმპორტული კონკურენციისაგან. დასავლეთის ქვეყნების ამ ახალმა აგრარულმა პოლიტიკამ ასახვა ჰპოვა სწორედ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ე.წ. „ურუგვაის რაუნდის" დოკუმენტებში. კერძოდ, ამ ქვეყნებმა აიღეს ვალდებულება არ გაზარდონ საბაჟო ტარიფები სურსათზე. პირიქით მოახდინონ მათი შემცირება განვითარებული ქვეყნებისათვის 6 წლის განმავლობაში 36%-ით, ხოლო განვითარებადი ქვეყნებისთვის კი 10 წლის განმავლობაში 24%-ით. ამასთან პარალელურად შემოიღონ შეზღუდვები სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოფლის მეურნეობისათვის დახმარებებზე და შეამცირონ ექსპორტის სუბსიდირების მოცულობები.

ამ პირობათა განხორციელება (როგორც ამას ექსპერტები ვარაუდობენ), ეკონომიკური თვალსაზრისით გამოიწვევს არსებით ცვლილებებს მსოფლიო ბაზარზე სურსათის ფასების ფორმირებაში. კერძოდ, ცხადი ხდება, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოფლის მეურნეობის მხარდასაჭერად გამოყოფილი სახსრების შემცირების პირობებში ექსპორტიორი ქვეყნების საქონელმწარმოებელთა შემცირებული შემოსავლები (ანუ დანაკარგები), აგრეთვე იმპორტზე შეზღუდვების ან შემსუბუქების შედეგად სურსათზე ფასების მატება კომპენსირებული უნდა იქნეს იმპორტიორი ქვეყნების მიერ. აღნიშნული სიტუაცია კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სურსათის მსოფლიო ბაზრისათვის დამახასიათებელია სურსათის რეზერვების თანდათანობით შემცირების ტენდენცია და სურსათის ცალკეულ სახეობებზე ფასების განუხრელი ზრდა.

ზემოთ განხილული გარემოებების ფონზე ძნელია მსოფლიოში სასურსათო მდგომარეობის პროგნოზირება. თუმცა, ბოლო პერიოდში გარკვეული ტენდენციები უკვე გამოიკვეთა. კერძოდ, სულ უფრო იზრდება განსხვავება განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური განვითარებისა და სასურსათო უზრუნველყოფის დონეებს შორის. ყველა ის პრობლემა, რომელიც კაცობრიობის წინაშე დგას სურსათით თვითუზრუნველყოფასთან დაკავშირებით, უპირველესად, განვითარებადი ქვეყნების პრობლემებია. ძნელი წარმოსადგენია, რომ დედამიწაზე უახლოეს პერიოდში გამოინახოს ამ პრობლემის გადაწყვეტის საერთაშორისო მექანიზმი. აქედან გამომდინარე, მისი მოგვარების სიმძიმე უპირველესად, ეროვნულ დონეზე დარჩება. ვფიქრობთ, ნაკლებგანვითარებული სახელმწიფოები ვერ შეძლებენ მდგომარეობის მკვეთრ გაუმჯობესებას. ფაქტებიც ამაზე მეტყველებს. ამიტომ, მართებულია პროგნოზი იმის შესახებ, რომ სურსათით მსოფლიო ვაჭრობა თანდათანობით შეიზღუდება და მოხდება ისედაც მონოპოლიზებული მსოფლიო სასურსათო ბაზრის შემდგომი მონოპოლიზება. არ არის გამორიცხული ისეთი კრიზისული ვითარების შექმნა, როდესაც ზედმეტი იქნება საუბარი მსოფლიო სასურსათო ბაზარზე, როგორც ერთიან სისტემაზე. ამგვარი ფონი გაამართლებს ზოგიერთი ექსპერტის პროგნოზს, რომ XXI

საუკუნის პირველ მეოთხედში სასურსათო უშიშროების შენარჩუნება გაცილებით რთული იქნება, ვიდრე სამხედრო უშიშროებისა. არ არის გამორიცხული ქვეყნებს შორის სამხედრო და სხვა სახის დაპირისპირება სურსათისა და მისი მოპოვების საშუალებების ხელში ჩაგდების მიზნით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სიღარიბის დაძლევა და სასურსათო უშიშროების სახელმწიფოთა სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ქვაკუთხედად უნდა იქცეს.

სურსათისა და სოფლის მეურნეობის მსოფლიო ორგანიზაციამ (ფაო) მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სიეტლის სამიტზე მკვეთრად უარყოფითი შეფასება მისცა განვითარებული ქვეყნების მხრივ სურსათის იმპორტის წახალისებას. აღნიშნულთან დაკავშირებით ფაო-ს გენერალური დირექტორის მოადგილემ, *დე ჰეინმა* აღნიშნა, რომ „ფერმერთა სუბსიდირება სურსათის ექსპორტიორ და ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში, მართალია, დაეხმარება ღარიბ იმპორტიორ ქვეყნებს იმპორტის გაიაფებაში, მაგრამ სურსათზე დაბალი ფასები აიძულებს ბევრ ნაკლებად განვითარებულ ქვეყანას, უგულვებელყოს საკუთარი აგროწარმოება. ლიბერალიზაციის შედეგად თითქმის გარდუვალი იქნება სურსათზე ფასების ზრდა, რაც ამ ქვეყნებს დატოვებს გაუსაძლის მდგომარეობაში. ჩვენ მტკიცედ უნდა ვიდგეთ იმ აზრზე, რომ შემცირდეს იმპორტზე დამოკიდებულება".

განვითარებული ქვეყნები, რომელთაც კონცეპტუალურ დონეზე აქვთ დამუშავებული ეროვნული უშიშროების კონცეფციები, უდიდეს ყურადღებას უთმობენ სასურსათო უშიშროების საკითხს. მათ მიაჩნიათ, რომ სასურსათო პრობლემის გადაწყვეტა ყველა ქვეყნისათვის პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნების ტოლფასია და მომავალშიც, ვინც სურსათის მფლობელი იქნება, იგი პოლიტიკაშიც იბატონებს. თანამედროვე მსოფლიოში ეს პრობლემა, თავისი მნიშვნელობით უთანაბრდება ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორიცაა ენერგეტიკული და სამხედრო უშიშროების უზრუნველყოფა.

აცნობიერებენ რა მსოფლიოს განვითარების ტენდენციებს, მრავალ სახელმწიფოში უკვე იქმნება სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფისათვის საჭირო საკანონმდებლო ბაზა. ვრცელ-

დება ისეთი სახელმწიფო სტრუქტურების შექმნის პრაქტიკა, რომელიც აღნიშნული პრობლემის მოგვარებითაა დაკავებული. ამ საკითხების წრეს განეკუთვნება: საერთაშორისო და ეროვნული სასურსათო ვითარების შეფასება-პროგნოზირება, მსოფლიო სასურსათო ბაზრის ანალიზი, ეროვნული სასურსათო უშიშროების საფუძვლების ფორმირება, რაც ეროვნული სასურსათო წარმოების სტიმულირებაში, სასურსათო მარაგების ფორმირება-განაწილებასა და მართებული აგრარული პოლიტიკის გატარებაში აისახება. ყოველივე ეს საშუალებას აძლევს ქვეყნებს გრძელვადიან პერსპექტივაში, უზრუნველყონ ეროვნული სასურსათო უშიშროება. აგრეთვე, მზად იყვნენ ისეთი მასობრივი და უეცარი მოთხოვნილებების წარმოქმნისას, რომლებიც ფორს-მაჟორული სიტუაციების დროს იქმნება.

ამ ფონზე საქართველოს აგრარული პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ამოცანად სოფლის მეურნეობის ისეთი მიმართულებით განვითარება გვესახება, რომელიც უზრუნველყოფს, ადგილობრივი სასურსათო პროდუქტების წარმოების გადიდებით, ქვეყნის სასურსათო უშიშროების მიღწევას. აღნიშნული ამოცანის რეალიზება შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური ღონისძიებების გატარებით, მათ შორის აგროწარმოების მხარდამჭერი პროგრამების შემუშავებით და განხორციელებით.

ჩვენ იმპორტის საშუალებით შემოგვაქვს სურსათის 50%-ზე მეტი, რის გამოც ქვეყნის საგადასახდელო ბალანსი მკვეთრად უარყოფითია. თუ ქვეყანას სურს ჰქონდეს გაწონასწორებული სავაჭრო ბალანსი, რამდენადაც შესაძლებელია უნდა მოვახდინოთ ადგილობრივი წარმოების სურსათით იმპორტის ჩანაცვლება, ხოლო გამოთავისუფლებული ვალუტა ეროვნული აგროწარმოების განვითარებას მოვახმაროთ. ამ სტრატეგიული მიზნის რეალიზაციისათვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავიცნობიეროთ, რომ სასურსათო უზრუნველყოფის მიღწევა, ესაა ქვეყნის ეროვნული უშიშროების განმტკიცების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი და იგი უნდა დარჩეს ქვეყნის განვითარების მთავარ ორიენტირად, როგორც ახლო, ისე შორეულ პერსპექტივაში.

1.6. სასურსათო უშიშროების ზოგადი კონცეფცია, ეროვნული სტრატეგია და მისი რეალიზაციის ძირითადი მიმართულებები

> მე ძალიან მომწონს გამოთქმა – ადამიანს აჩუქო თევზი, ეს ნიშნავს, რომ მას ერთი დღის საკვები მისცე, მაგრამ ასწავლო თევზაობა, ეს უკვე მისი მთელი ცხოვრების მანძილზე საკვებით უზრუნველყოფას ნიშნავს.
>
> ჟაკ დიოუფი, ფაოს გენერალური მდივანი

თანამედროვე მსოფლიო მდიდარ და ღარიბ, განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებადაა დაყოფილი და აქედან გამომდინარე თითოეული მათგანის სასურსათო უშიშროების ხარისხი და დონე ფრიად განსხვავებულია.

ინტენსიურმა ინტეგრაციულმა პროცესებმა დღის წესრიგში დააყენა სასურსათო უშიშროების პრობლემის გადაწყვეტის საკითხი. ჯერ კიდევ 1945 წელს გაეროსთან შეიქმნა სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (ფაო), ხოლო 1973 წელს მასთან არსებული საერთაშორისო სასურსათო უშიშროების კომიტეტი, რომლის ყურადღების ცენტრში მოექცა საერთაშორისო და ეროვნული დონის სასურსათო უშიშროების პრობლემები. ამ მიზნით შემუშავდა მსოფლიო სასურსათო უშიშროების გეგმა, რომელიც სხვა ამოცანებთან ერთად სასურსათო დეფიციტის მქონე ქვეყნების მხარდაჭერას და განვითარებად ქვეყნებში ეროვნული სასურსათო უშიშროების სისტემის ფორმირების ხელშემწყობი სპეციალური ზომების გატარებას ითვალისწინებდა. იგი შემდეგ პუნქტებს მოიცავს: 1) ცალკეული სახელმწიფოების მიერ სასურსათო მარცვლეულის მარაგების შექმნა; 2) მსოფლიო სასურსათო უშიშროების მოთხოვნათა შესაბამისად, ეროვნული რეზერვების უზრუნველყოფისა და ამაღლებისათვის კრიტერიუმების დაწესება; 3) სასურსათო დეფიციტის მქონე ქვეყნების მხარდაჭერა, სასურსათო მარცვლეულზე მათი მოთხოვნის დაკმაყოფილების გზით; 4) განვითარებად ქვეყნებში, ეროვნული სასურსათო უშიშროების სისტემის ფორმირების ხელშემწყობი სპეციალური ზომების გატარება; 5) განვითარებადი ქვეყნებისათვის

მხარდაჭერა საკუთარი აგროწარმოების განვითარებისათვის.

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, სასურსათო უშიშროების ირგვლივ შექმნილი ერთ-ერთი უკანასკნელი და უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია დეკლარაცია, რომელიც მიღებულ იქნა 1996 წლის 13 ნოემბერს გამართულ უმაღლესი დონის შეხვედრაზე რომში. იგი ნათლად გადმოგვცემს განსახილველი პრობლემის თანამედროვე ხედვას და ამ გარემოების გამო დეკლარაცია წიგნში სრულად მოგვაქვს.

„ჩვენ, ქვეყნებისა და მთავრობების მეთაურები, ან ჩვენი წარმომადგენლები შევიკრიბეთ რა გაეროსთან არსებული სოფლის მეურნეობისა და სურსათის ორგანიზაციის მოწვევით, სასურსათო პრობლემის ირგვლივ გამართულ უმაღლესი დონის შეკრებაზე, კვლავ ვადასტურებთ ყოველი ადამიანის უფლებას მიიღოს ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო და სრულფასოვანი საკვები პროდუქტები, ადეკვატური კვებისა, სიცოცხლის უფლების ძირითადი პრინციპების შესაბამისად.

ჩვენ ვადასტურებთ, ჩვენს პოლიტიკურ ნებას, საერთო და ეროვნულ ვალდებულებებს, რათა ყველასათვის იქნეს მიღწეული სასურსათო უზრუნველყოფა და გაგრძელდეს შიმშილის აღმოფხვრისაკენ მიმართული ღონისძიებები ყოველ ქვეყანაში, ვისწრაფით რა, არა უგვიანეს 2015 წლისა, ორჯერ შევამციროთ მოშიმშილეთა რიცხვი, თანამედროვე დონესთან შედარებით.

ჩვენ დაუშვებლად ვთვლით, რომ მსოფლიოში 800 მლნ. ადამიანზე მეტი შიმშილობს. განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში არ იღებენ ძირითადი სასურსათო მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის შესაბამისი ოდენობის საკვებ პროდუქტებს. ასეთი სიტუაცია მიუღებელია. სურსათის მიწოდება მნიშვნელოვნად გაიზრდება, მაგრამ სურსათზე ხელმისაწვდომობა, სურსათის შესასყიდ ფასებთან საოჯახო მეურნეობებისა და ეროვნული შემოსავლების შეუსაბამობა, მოთხოვნა-მიწოდების არასტაბილურობა, აგრეთვე სტიქიური უბედურებები და ანთროპოგენური კატასტროფები აფერხებენ ძირითადი სასურსათო მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. სასურსათო უშიშროების არარსებობას და შიმშილის პრობლემებს გლობალური განზომილება გააჩნია და დიდია მათი შენარჩუნების და

მნიშვნელოვანი ზრდის ალბათობა ზოგიერთ რეგიონში, თუ არ იქნება მიღებული სასწრაფო, გადამჭრელი და შეთანხმებული ზომები, მსოფლიოს მოსახლეობის მოსალოდნელი ზრდისა და ბუნებრივ რესურსებზე მზარდი დატვირთვის გათვალისწინებით.

ჩვენ კვლავ ვადასტურებთ, რომ მშვიდობიანი, სტაბილური სასურველი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ვითარება წარმოადგენს აუცილებელ საფუძველს, რაც სახელმწიფოებს მისცემს საშუალებას მთავარი ყურადღება დაუთმონ სასურსათო უშიშროებას და სიღარიბის აღმოფხვრას. მდგრადი სასურსათო უშიშროების უზრუნველსაყოფად აუცილებელია დემოკრატია, ადამიანის ყველა უფლებისა და თავისუფლების უზრუნველყოფა და დაცვა განვითარების უფლების ჩათვლით, აგრეთვე მამაკაცებისა და ქალების თანასწორი და სრული მონაწილეობა.

სიღარიბე სასურსათო უშიშროების განუხორციელებლობის ძირითადი მიზეზია, ხოლო თანმიმდევრული პროგრესი სიღარიბის აღმოფხვრის საქმეში გადამწყვეტი ფაქტორია სურსათზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისათვის. სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფაზე აგრეთვე უარყოფითად მოქმედებს კორუფცია, კონფლიქტები, ტერორიზმი და გარემო პირობების გაუარესება. სურსათის წარმოების ზრდა, კვების ძირითადი პროდუქტების ჩათვლით, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების ხარჯზე უნდა წარიმართოს, უგულვებელყოფილი უნდა იქნეს, განსაკუთრებით ინდუსტრიულ ქვეყნებში, წარმოების და მოხმარების არამდგრადი მოდელები, უსწრაფესად უნდა დასტაბილურდეს პლანეტის მოსახლეობის რაოდენობა. ჩვენ ვცნობთ ქალების მნიშვნელოვან როლს სასურსათო უშიშროების მიღწევის საქმეში, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნების სასოფლო რეგიონებში, აგრეთვე ქალთა და მამაკაცთა უფლებების გათანასწორების აუცილებლობას. პრიორიტეტული უნდა იყოს სასოფლო რაიონების აღორძინება, რათა ამაღლდეს სოციალური სტაბილურობა და დაბალანსდეს სოფლიდან ქალაქში მიგრაციის დონე, რომელიც ზოგიერთ ქვეყანაში განსაკუთრებით მაღალია ამჟამად.

ჩვენ ხაზს ვუსვამთ ამჟამად და მომავალში სასურსათო

უშიშროების მიღწევისათვის, ჩვენი ვალდებულებების საწრაფო შესრულების აუცილებლობას. სასურსათო უშიშროების დამყარება კომპლექსური ამოცანაა, რომლის შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობა, პირველყოვლისა, ცალკეული ქვეყნების მთავრობებს ეკისრებათ. მათ უნდა განავითარონ სასურველი გარემო პირობები და გაატარონ პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს მშვიდობას, აგრეთვე სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას, სამართლიანობასა და სქესთა თანასწორობას. ჩვენ უღრმეს შეშფოთებას გამოვთქვამთ შიმშილობის შენარჩუნების გამო. ამგვარ მასშტაბებში იგი საფრთხეს წარმოადგენს როგორც ცალკეული ქვეყნებისათვის, აგრეთვე თვით საერთაშორისო საზოგადოებისთვისაც. სასურველია მთავრობების თანამშრომლობა გლობალურ მასშტაბებში ერთმანეთთან, გაეროს ორგანიზაციებთან, საფინანსო დაწესებულებებთან, სამთავრობათაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საზოგადოებრივ და კერძო სექტორებთან, იმ პროგრამების მიხედვით, რომელიც მიმართულია ყველასათვის სასურსათო უშიშროების მიღწევისაკენ.

სურსათით მომარაგება არ უნდა იქნეს გამოყენებული პოლიტიკური და ეკონომიკური ზემოქმედების საშუალებად. ჩვენ ვადასტურებთ საერთაშორისო თანამშრომლობისა და სოლიდარობის მნიშვნელობას, აგრეთვე თავის შეკავების აუცილებლობას იმ ცალმხრივი ზომების გატარებისაგან, რომლებიც არ შეესაბამება გაეროს წესდებას და საერთაშორისო კანონმდებლობას და საფრთხის წინაშე აყენებს საერთაშორისო სასურსათო უშიშროებას.

ჩვენ ვცნობთ ისეთი პოლიტიკის გატარების აუცილებლობას, რომელიც ხელს შეუწყობს ინვესტირებას, – ადამიანური რესურსების განვითარებაში, გამოკვლევებსა და ინფრასტრუქტურაში, სასურსათო უშიშროების მიღწევის მიზნით. ჩვენ უნდა წავახალისოთ სამუშაო ადგილების და შემოსავლების გაჩენა და ხელი შევუწყოთ საწარმოო და საფინანსო რესურსების სამართლიან განაწილებას. ჩვენ ვეთანხმებით, რომ ვაჭრობა არის უმნიშვნელოვანესი ელემენტი სასურსათო უშიშროების მიღწევისათვის. ჩვენ თანახმა ვართ მივდიოთ სასურსათო და საერთო სავაჭრო პოლიტიკას, რომელიც

წაახალისებს მწარმოებლებს და მომხმარებლებს რაციონალურად ეკონომიურად გამოიყენონ მათ ხელთ არსებული რესურსები. ჩვენ ვაღიარებთ სოფლის მეურნეობის, თევზის სარეწების, სატყეო მეურნეობისა და მაღალი ან დაბალი პოტენციური შესაძლებლობების მქონე ოლქებში მდებარე სასოფლო რაიონების მდგრადი განვითარების მნიშვნელობას. ჩვენ ვცნობთ ფერმერების, მეთევზეების, ძეტყეევეების, ადგილობრივი მოსახლეობის და მათი გაერთიანებების, აგრეთვე, სასურსათო სექტორში დასაქმებული ყველა ადამიანის და მათი ორგანიზაციების ძირითად როლს, სასურსათო უშიშროების მიღწევის საქმეში. ჩვენი მდგრადი განვითარების პოლიტიკა ხელს შეუწყობს შრომისუნარიანი მოსახლეობის სრულ გამოყენებას და ადამიანთათვის, განსაკუთრებით ქალებისთვის, სამუშაო ადგილების შექმნას, შემოსავლების სამართლიან განაწილებას, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სისტემის მომსახურების მიღების გაიოლებას, ახალგაზრდობისათვის შესაძლებლობების გაფართოებას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მათ, რომელთაც არ ძალუძთ აუცილებელი რაოდენობის საკვები პროდუქტების წარმოება და უზრუნველყოფა, მათი ჩათვლით, რომლებიც დაზარალდნენ ომების, სამოქალაქო უწესრიგობების, ეკოლოგიასთან დაკავშირებული სტიქიური უბედურებების, ან კლიმატური ცვლილებების შედეგად. ჩვენ ვაცნობიერებთ უსწრაფეს მოქმედებათა აუცილებლობას, რომლებიც მიმართული იქნება სასოფლო-სამეურნეო მავნებლების, გვალვის, ბუნებრივი რესურსების გამოფიტვის, გაუდაბნოების, თევზის უზომო ჭერის და ბუნებაში ბიოლოგიური მრავალფეროვნების ეროზიის წინააღმდეგ.

ჩვენ აღსავსენი ვართ გადაწყვეტილებით, მივიღოთ ზომები ტექნიკური და ფინანსური რესურსების მობილიზებისათვის, მათი ოპტიმალური გამოყენებისათვის და ყველა წყაროდან გამოყოფისათვის, განვითარებადი ქვეყნების საგარეო ვალებიდან განთავისუფლების ჩათვლით, სასურსათო უშიშროების მდგრადი პოლიტიკის გატარების მიზნით სახელმწიფოთა მოქმედების გასაძლიერებლად.

ვართ რა დარწმუნებულნი, რომ სასურსათო უშიშროების მრავალწახნაგოვანი ხასიათი სახელმწიფოთა შეთანხმებულ

მოქმედებას მოითხოვს, აგრეთვე მოითხოვს საერთაშორისო გაერთიანების ეფექტურ ღონისძიებებს, რომლებიც ავსებენ ან აძლიერებენ სახელმწიფოთა მოქმედებას, ჩვენ ვკისრულობთ შემდეგ ვალდებულებებს:

– ჩვენ ხელს შევუწყობთ სასურველი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ვითარების დამყარებას, რომლის მიზანია სიღარიბის აღმოფხვრა და მდგრადი მშვიდობისათვის უკეთესი პირობების შექმნა, რაც დაფუძნებული იქნება ქალებისა და მამაკაცების თანაბარ მონაწილეობაზე, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მდგრადი სასურსათო უშიშროების მიღწევისათვის;

– ჩვენ გავატარებთ პოლიტიკას, რომლის მიზანი იქნება სიღარიბისა და უთანასწორობის აღმოფხვრა ყველასთვის და ყოველთვის საკმარისი სასურსათო კალათით უზრუნველვყოფთ უსაფრთხო კვებას და შესაბამის სურსათზე ფიზიკურ თუ ეკონომიკურ ხელმისაწვდომობას;

– ჩვენ ვიხელმძღვანელებთ მდგრადი პოლიტიკით და პრაქტიკით, დაბალი ან მაღალი პოტენციური შესაძლებლობების მქონე სასოფლო რაიონებში სასურსათო, სასოფლო-სამეურნეო, თევზჭერის და სატყეო მეურნეობის განვითარებისათვის, რადგან აღნიშნული უმთავრესია სურსათის შესაბამისი მომწოდებლებისათვის მეურნეობის, სახელმწიფოს, რეგიონის და მსოფლიოს დონეზე. ვიბრძოლებთ აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო მავნებლების, გვალვის და გაუდაბნოების წინააღმდეგ;

– ჩვენ არ დავიშურებთ ძალისხმევას, რომ სასურსათო, სასოფლო-სამეურნეო და საერთო სავაჭრო პოლიტიკამ უზრუნველყოს საყოველთაო სასურსათო უშიშროების დამყარება, სამართლიანი და ბაზარზე ორიენტირებული მსოფლიო სავაჭრო სისტემის მეშვეობით;

– ჩვენ არ დავიშურებთ ძალისხმევას იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ან მზად ვიყოთ სტიქიური უბედურებებისა და საგანგებო ანთროპოგენური სიტუაციებისათვის, აგრეთვე

მზად ვიყოთ დროებითი და სასწრაფო სასურსათო მოთხოვნებისათვის, რათა ხელი შევუწყოთ აღდგენას, რეაბილიტაციას და განვითარებას, მომავალში სურსათზე მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობას;

– ჩვენ ხელს შევუწყობთ საზოგადოებრივი და კერძო ინვესტიციების ოპტიმალურ გამოყოფას ადამიანური რესურსების საკეთილდღეოდ, სურსათით მდგრადი მომარაგებისათვის, აგრეთვე დაბალი და მაღალი პოტენციალის მქონე სასოფლო რაიონების განვითარებისათვის;

– ჩვენ შევასრულებთ, ვაკონტროლებთ და ვიხელმძღვანელებთ მოქმედებათა ამ გეგმით, ყველა დონეზე საერთაშორისო გაერთიანებასთან თანამშრომლობით;

ჩვენ ვაცხადებთ ჩვენს მოქმედებათა და სურსათის პრობლემის ირგვლივ უმაღლესი დონის მსოფლიო შეხვედრის მოქმედებათა გეგმის მხარდაჭერის შესახებ".

• მიუხედავად დეკლარირებული ჰუმანური იდეებისა, სინამდვილე პრაგმატული მოსაზრებებით საზრდოობს და რიგი ქვეყნები დღესაც თავისი ჰეგემონიის განმტკიცებას „სასურსათო იარაღის" გამოყენებით ცდილობს,*) ხოლო სასურსათო უშიშროება კვლავაც მნიშვნელოვან გლობალურ პრობლემად რჩება თანამედროვე მსოფლიოსათვის.

• ამჟამად დედამიწაზე არ არსებობს და ალბათ არც უახლოეს პერიოდში გამოინახება სასურსათო უზრუნველყოფის გლობალური პრობლემის გადაწყვეტის უნივერსალური მექანიზმი. ჩვენი აზრით, ამ პრობლემის სიმძიმე, დღესაც და მომავალშიც, ეროვნულ დონეზე გადასაწყვეტი იქნება. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ საყოველთაო სასურსათო კრიზისთან დაკავშირებით შესაძლოა მსოფლიო ბაზარი საერთოდ მოიშალოს, როგორც ერთიანი სისტემა, მაშინ სასურსა-

---

*) მე ვფიქრობ, რომ სასურსათო იარაღი – ყველაზე მძლავრი იარაღია, რომელსაც ჩვენ ვფლობთ დღეს. ასე იქნება უახლოეს ოც წელიწადში, ვიდრე სხვა ქვეყნები დამოკიდებლნი იქნებიან ამერიკისაგან თავიანთ კვებასთან დაკავშირებით". ჯ. ბლოკი, აშშ-ს სოფლის მეურნეობის მინისტრი, 1980 წ.

თო უშიშროების მიღწევა მომავალში გაცილებით რთული იქნება, ვიდრე დღესაა შესაძლებელი.

ამიტომაცაა, რომ პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში, იქმნება სასურსათო უშიშროების კონცეფციები, რომლებიც, როგორც წესი, ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი შემადგენელი ნაწილი ხდება. პრაქტიკულად იმავეს აღნიშნავს ჟაკ დიოუფი (ფაო-ს გენერალური მდივანი): „ეკონომიკის ზრდასთან ერთად აუცილებელია შესაბამისი პოლიტიკის გატარებაც, რომელიც მოსახლეობის დასაქმებასა და ღარიბების სასურსათო პროდუქტებით მომარაგების შესაბამის სისტემას უზრუნველყოფდა. ასეთი პოლიტიკა უნდა გულისხმობდეს მოსახლეობისათვის მიწების მიცემას, მათზე კრედიტების გაცემას, განათლების დონის ამაღლებას და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის უზრუნველყოფას. ამავე პოლიტიკის განუყრელ ნაწილს უნდა შეადგენდეს ქვეყნის ღარიბი მოსახლეობის მინიმალური სოციალური დახმარებით უზრუნველყოფა“.

სასურსათო უშიშროება ეკონომიკური უშიშროების უმნიშვნელოვანესი შემადგენელი კომპონენტია. უზოგადესი სახით სასურსათო უშიშროებაში მოიაზრება სურსათის ეროვნული წარმოების ისეთი დონე, რომელიც საშუალებას იძლევა განხორციელდეს კვების პროდუქტებით მოსახლეობისა და სახელმწიფო რეზერვების თვითუზრუნველყოფის პრინციპი, მეცნიერულად დასაბუთებული ნორმების შესაბამისად.

ეკონომიკური უშიშროების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაცია გულისხმობს კონკრეტულ ღონისძიებათა ისეთი სისტემის გამოყენებას, რომელიც უზრუნველყოფს:

– მდგრადი ეკონომიკური ზრდისა და გაფართოებული კვლავწარმოების რეჟიმს;

– სტრატეგიულ რესურსებზე სახელმწიფო კონტროლის შენარჩუნებას;

– ძირითადი პროდუქციის იმპორტზე ეკონომიკის დამოკიდებულების გამორიცხვას და სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის პირობების არსებით გაუმჯობესებას.

მართალია, ეროვნული სასურსათო უშიშროება დაფუძნებულია საკუთარი წარმოების კვების ძირითადი პროდუქტებით მოსახლეობის დაკმაყოფილებაზე. მაგრამ ეს არ ნიშნავს

კვების პროდუქტების იმპორტზე საერთოდ უარის თქმას (რომლის გადიდება ბუნებრივია იწვევს სურსათით თვითუზრუნველყოფის დონის შემცირებას), რაც სხვა თანაბარ პირობებში იწვევს ამ სფეროში ეროვნული მონოპოლიის გაძლიერებას. ამიტომაა რომ თანამედროვე მსოფლიოში ქვეყნები ხელმძღვანელობდნენ რა აბსოლუტური უპირატესობის კანონის მოთხოვნებით, დასაშვებად მიიჩნევენ სამამულო ბაზარზე სურსათის იმპორტს 10-20%-ის ფარგლებში. ამ პირობებში არც ეკონომიკური სარგებლის მიღების შანსი იკარგება (განხორციელებული იმპორტისაგან) და არც კონკურენცია სუსტდება სამამულო საქონელმწარმოებელთა შორის. ამასთან, არც სასურსათო დამოკიდებულებას ემუქრება საფრთხე და მით უმეტეს არც მის ეკონომიკურ დამოუკიდებლობას.[*]

ამდენად დღის წესრიგში ობიექტურად დგება ყოველმხრივ შეჯერებული ეროვნული სასურსათო უშიშროების კონცეფციის და სტრატეგიის შემუშავება, რომელიც პირველ რიგში უნდა ითვალისწინებდეს აგროსასურსათო სექტორის რეფორმირებისა და მისი შემდგომი განვითარების საკვანძო პრობლემებს, ეტაპობრივად გადაწყვეტის მიმართულებებს. ამ კუთხით თუ გავაანალიზებთ შესაბამის სტატისტიკურ მონაცემებს აშკარად დავინახავთ, რომ მიუხედავად უკანასკნელ წლებში მიღწეული ერთგვარი დადებითი ძვრებისა მთლიანობაში ეკონომიკური პროცესები საქართველოში მიმდინარეობს არადამაკმაყოფილებლად. რიგი ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორების გამო ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პოტენციალი გამოიყენება არასრულფასოვნად და, რაც უფრო მთავარია, ეს ეხება ეროვნული მეურნეობის არაერთ რომელიმე დარგს, არამედ ყველა დარგსა და სექტორს, ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფეროს.

---

[*] ქვეყნის ეკონომიკურ დამოუკიდებლობას ისეთი პროცესები ემუქრება, რომელთა შორის აღსანიშნავია ეკონომიკის დეფორმირება, ინვესტიციური და ინოვაციური აქტივობის დაცემა, მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის რღვევა, ვალუტის გადინება სასურსათო თუ ფართო მოხმარების საქონლის იმპორტისათვის, შიდა და გარე ვალების ზრდა, მეტისმეტად ღია ეკონომიკა, ეკონომიკის კრიმინალიზაცია, ჩრდილოვანი ეკონომიკის მზარდი ხასიათი და ა.შ.

აღნიშნული მდგომარეობის ძირითადი მიზეზი ქვეყანაში სამეწარმეო გარემოს ფორმირებას უკავშირდება. დღემდე ვერ მოხერხდა მეწარმეთა ფართო ფენის ჩამოყალიბებისათვის საჭირო სამართლებრივი და ეკონომიკურ-ფინანსური გარემოს შექმნა. ამ მხრივ კეთილსაიმედო გარემოს ფორმირებისათვის საჭირო ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს. არ იგრძნობა რაიმე დადებითი ძვრები კორუფციის მასშტაბების შემცირების საქმეში, რის გამოც მთელ ეროვნულ ეკონომიკაში, ასევე ცალკეულ დარგებსა და სფეროებში სოლიდურია ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი. აქედან გამომდინარე პერმანენტულად პრობლემურია ქვეყნის ბიუჯეტში საჭირო ფინანსური სახსრების მობილიზება. ვერ ხერხდება ხანგრძლივი საბიუჯეტო კრიზისის დაძლევა მისგან გამომდინარე ნეგატიური შედეგებით. კერძოდ, ვერ ხერხდება ბიუჯეტის შესახებ კანონით გათვალისწინებული ეკონომიკის განვითარებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების და სხვა ეკონომიკურ-სოციალური დანიშნულების მქონე ღონისძიებების დაფინანსება, რაც თავის მხრივ ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პოტენციალის არასრულყოფილად გამოყენებას განაპირობებს. ამავე მიზეზით ვერ ხერხდება სამეურნეო სუბიექტების (განსაკუთრებით სამრეწველო საწარმოების) ელექტროენერგიით, ბუნებრივი აირით და სხვა საჭირო საშუალებებით გარანტირებული უზრუნველყოფა, რასაც პრაქტიკულად ქვეყანაში მოქმედი ყველა დიდი თუ პატარა საწარმო განიცდის.

• საქართველოში ჩამოყალიბებული არახელსაყრელი და არაკეთილსაიმედო სამეწარმეო პირობები, თავის მხრივ, არასახარბიელო საინვესტიციო გარემოს ქმნის მისგან გამომდინარე უარყოფითი შედეგებით. კერძოდ, არ სტიმულირდება ინვესტიციების მოზიდვა. ძვირია საკრედიტო რესურსი. იგი პრაქტიკულად მიუწვდომელია ყველა საქონელმწარმოებლისათვის. განსაკუთრებით კი დაბალრენტაბელური საწარმოებისათვის. აღნიშნული უარყოფითად მოქმედებს საშუალო და მცირე ბიზნესის საწარმოთა ჩამოყალიბებაზე, რომელიც აუცილებელია გარდამავალი ეკონომიკის ეტაპზე მყოფი ქვეყნისათვის, ასევე, არასასურველი მიმართულებით მოქმედებს არსებული

საგადასახადო სისტემაც, რომელიც კორუფციის და ჩრდილოვანი ეკონომიკის განვითარებას უფრო უწყობს ხელს, ვიდრე საშუალო და მცირე ბიზნესს.

სრულყოფილ სამეწარმეო გარემოს ფორმირების ხელშემშლელი შიდა თუ გარე ფაქტორებიდან გამოსაყოფია სამომხმარებლო ბაზრის პრობლემა. ჩვენი სამომხმარებლო ბაზარი (მ.შ. სასურსათო) გაჯერებულია საზღვარგარეთის ქვეყნებიდან შემოტანილი დაბალხარისხიანი, ხშირად ფალსიფიცირებული, ლამაზად გაფორმებული და შედარებით იაფი პროდუქციით, რომელიც გათვლილია დაბალი გადახდის უნარის მქონე მოსახლეობაზე და შემდგომში ბაზრის მონოპოლიზებაზე. ხშირ შემთხვევაში ეს პროდუქცია აღურიცხავია ან კონტრაბანდული გზითაა შემოტანილი. ერთი შეხედვით, ამ გზით ბაზარზე მოხვედრილი პროდუქცია თითქოს მისაღებად უნდა ჩაითვალოს, რადგან მოსახლეობის სოციალურად დაუცველ ნაწილს საშუალება ეძლევა მისი შედარებით იაფ ფასებში შეძენისა, მაგრამ, მეორეს მხრივ, ბაზარზე კონტრაბანდული გზით, ასევე დემპინგურ ფასებში (ხელოვნურად შემცირებულ ფასებში) შემოტანილი პროდუქციის არსებობა სტიმულს უკარგავს ადგილობრივ წარმოებას და პრაქტიკულად აჩანაგებს მას. ამიტომ აუცილებელია საბაჟო, ანტიმონოპოლური და სხვა სამსახურების მიერ გატარდეს სამომხმარებლო ბაზრის დაცვის ეფექტური ღონისძიებები, რაც საწინდარი იქნება, არა მარტო ადგილობრივი წარმოების განვითარებისათვის, არამედ სახელმწიფო ბიუჯეტში სოლიდური თანხების კონსოლიდირებისათვის. •

კეთილსაიმედო სამეწარმეო გარემოს შექმნას სხვა ფაქტორებიც უშლის ხელს, რომელთა აქ ჩამოთვლა არ მიგვაჩნია მართლზომიერად. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ მათი ნეგატიური გავლენის შედეგად ქვეყანაში გამოიკვეთა წარმოების დაცემისა და მოსახლეობის ძირითადი სოციალური ჯგუფების ცხოვრების დონის გაუარესების მეტად საშიში ტენდენციები. კერძოდ 1990 წელთან შედარებით 2002 წლისათვის მთლიანი შიდა პროდუქტი შემცირდა 58,8%-ით, მათ შორის სამრეწველო პროდუქციის 82%-ით, სასოფლო-სამეურნეო წარმოების 39%-ით. გაიზარდა უმუშევრობა, შემცირდა მოსახლეობის

შემოსავლების დონე, რის გამოც მნიშვნელოვნად გაუარესდა კვების პროდუქტებით (განსაკუთრებით საკუთარი წარმოებით) მოსახლეობის უზრუნველყოფა. კერძოდ ამ პერიოდში ხორცისა და ხორცის პროდუქტების სულადობრივი მოხმარება შემცირდა 48,9%-ით, რძისა და რძის პროდუქტების 52,3%-ით, თევზის 65% და ა.შ. მნიშვნელოვნად შემცირდა კვების სხვა პროდუქტების მოხმარებაც. ყოველივე ეს საზოგადოებაში მწვავე სოციალურ დაძაბულობას ქმნის.

ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური სიტუაცია და მისგან გამომდინარე სოციალური ფონი ძირითადად ეკონომიკურ პროცესებში სახელმწიფოს მონაწილეობის პასიური როლითაა განპირობებული. მსოფლიო პრაქტიკა და გამოცდილება ადასტურებს, რომ არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია მეტნაკლებად ნორმალური განვითარება ეკონომიკურად ძლიერი სოფლის მეურნეობის გარეშე, რადგან სამამულო სოფლის მეურნეობის განვითარება მაღალი მულტიპლიკაციური ეფექტით აისახება მთელი ეკონომიკის განვითარებაზე. არც ერთ განვითარებულ ქვეყანას არ მიუღწევია წარმატებისათვის აგრარული სექტორისადმი გარკვეული ზომით მხარდაჭერის (სახელმწიფო რეგულირების) გარეშე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მიმართულებით ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილება, სადაც უკვე დიდი ხანია რაც ფუნქციონირებს სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის სახელმწიფო შესყიდვების სისტემა, რეგულირდება სურსათის ექსპორტი და იმპორტი, გამოიყოფა საჭირო სუბსიდიები სტრუქტურული გარდაქმნებისათვის, საწარმოო და არასაწარმოო ინფრასტრუქტურის შექმნისათვის, აგრარული პროდუქციის სამრეწველო გადამუშავებისა და რეალიზაციისათვის, დგინდება პროდუქციის წარმოების კვოტები, გარანტირებული ფასები და ა.შ. რაც შეეხება საქართველოს, სადაც პრაქტიკულად არც ერთი ზემოაღნიშნული სტიმული არ მოქმედებს, აგროსასურსათო სექტორის სახელმწიფო რეგულირების საკითხი განხილული უნდა იქნეს მეწარმეობის განვითარებასა და მიკროდონეზე წარმოების თვითრეგულირებასთან მჭიდრო კავშირში. ყველა შემთხვევაში სახელმწიფო რეგულირების ფორმისა და მეთოდის განსაზღვრისას უპირატესობა

უნდა მიეცეს იმ კონკრეტულ ფინანსურ-ეკონომიკურ თუ ორგანიზაციულ ღონისძიებებს, რომლებიც მაქსიმალურად უზრუნველყოფენ საქონელმწარმოებელთა საბაზრო ეკონომიკურ პირობებთან ადაპტირებას, წარმოების ეფექტიანობისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, საბოლოო ანგარიშით კი, სამომხმარებლო ბაზრის სამამულო წარმოების პროდუქციით გაჯერებას.

სოფლის მეურნეობის სახელმწიფო რეგულირების და ფინანსირების არსებული ტენდენციები გარკვეულწილად სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელთა და სოფლის მცხოვრებთა ლობირების შედეგია, თუმცა უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ამ მხრივ მაინც სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფის უზენაესი პრინციპია, რომელიც შემდეგი მიზნების მიღწევაში აისახება:

– სურსათით თვითუზრუნველყოფის აუცილებელი დონის მიღწევა;

– სასურსათო ბაზრის სტაბილურობის შენარჩუნება, პროდუქციის მიწოდების რეგულირების გზით;

– სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელთა შემოსავლების შენარჩუნება და სტაბილური ზრდა;

– სამამულო მწარმოებლების დაცვა საგარეო ბაზრის ნეგატიური ზემოქმედებისგან.

ეს ძირითადი პრინციპები ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში იდენტურია, თუმცა მათი განხორციელების გზები განსხვავებულია. მიზანი კი ერთია – პროგნოზირებადი და მართვადი სახელმწიფო რეგულირების მექანიზმებით მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა.

ეკონომიკური უშიშროების მიღწევის გარეშე შეუძლებელია ეროვნული უშიშროების წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტა. სასურსათო უშიშროების კონცეფცია და სტრატეგია განხილული უნდა იქნეს ქვეყნის საერთო ეკონომიკური უშიშროების კონტექსტში, რომელშიც კონცენტრირებული იქნება, როგორც ეკონომიკური რეფორმის, ასევე აგრარული პოლიტიკის საკვანძო მიმართულებები. მასში უნდა აისახოს იმ შიდა თუ გარე ფაქტორების კომპლექსი, რომლებიც ქმნიან პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოს სოციალურ-

ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციის პირობებს. ამავე მიზნისათვის მასში უნდა განისაზღვროს იმ ფაქტორების მონიტორინგის სისტემა, რომელიც დადებითად ან უარყოფითად მოქმედებს სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური სისტემის უშიშროებასა და მდგრადობაზე.

უნდა დადგინდეს პარამეტრები, რომლებიც განსაზღვრავენ მთლიანად ეკონომიკის სფეროში სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს და რომელთა მიღწევა პასუხობს ქვეყნის ეკონომიკურ, მათ შორის სასურსათო უშიშროების ამოცანებს. ნათლად უნდა განისაზღვროს ინსტიტუციონალური და სტრუქტურული გარდაქმნების ეკონომიკური პოლიტიკა და შეიქმნას ის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკონომიკის უშიშროებასა და მდგრადობაზე მოქმედ შიდა და გარე ფაქტორების რეგულირებას, მათ აღმოფხვრას ან შერბილებას.

სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შემუშავებისა და რეალიზაციისათვის საჭიროა მისი სტრატეგიის დასაბუთება, რომლის ქვეშ გულისხმობენ პრობლემის გადაწყვეტის გრძელვადიან მიზნებს და მისი განხორციელების ძირითად მიმართულებებს. ეს სტრატეგია, როგორც წესი, ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია და თავის გამოხატულებას ეკონომიკურ რეფორმებში ნახულობს.

სახელმწიფოს ეკონომიკური სტრატეგიის რეალიზაცია უნდა მოხდეს კონკრეტულ ღონისძიებათა სისტემის მეშვეობით, რომელთა რეალიზაცია დაემყარება მაკროეკონომიკურ, საგარეო ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, ტექნოლოგიურ და სხვა სახის ინდიკატორებს, მათ ხარისხობრივ და რაოდენობრივ მაჩვენებლებს. ამასთან წინა პლანზე წამოწეული უნდა იქნეს იმ დარგებისა და სფეროების დაჩქარებული განვითარება, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვეყნის ეკონომიკის გაფართოებული კვლავწარმოების უნარს და სახელმწიფოს ფუნქციონირებას, როგორც ჩვეულებრივ, ისე ექსტრემალურ პირობებში. ამ მიზნით საჭიროა შენარჩუნებულ იქნეს სტრატეგიულ რესურსებზე სახელმწიფო კონტროლი და მაქსიმალურად გამოირიცხოს ეკონომიკის იმპორტულ პროდუქციასა და ნედლეულზე დამოკიდებულების ხარისხი.

მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს, რომ ამა თუ იმ ქვეყნის

სურსათის იმპორტზე დამოკიდებულება მაშინ წარმოიშობა, როცა ქვეყანას არ შეუძლია სურსათის იმპორტის გადახდა. ამასთან, სურსათით თვითუზრუნველყოფის დონე ეკონომიკურად ნაკლებ განვითარებულ ქვეყნებში შეიძლება მაღალიც კი იყოს, თუკი მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნა (უსახსრობის გამო) არსებითად ჩამორჩება სამამულო სურსათის წარმოების ტემპებს. ამიტომაა, რომ სასურსათო დამოკიდებულების დონეს თითოეული ქვეყანა განსაზღვრავს დამოუკიდებლად, საკუთარი ეკონომიკური პოტენციალის, სავალუტო შემოსავლების, აგროსექტორის განვითარების პოტენციალის, კვების ეროვნული ტრადიციების, მოსახლეობის დაუკმაყოფილებელი გადახდისუნარიანი მოთხოვნისა და სხვა რეალიების გათვალისწინებით.

თავი II. საქართველოში სასურსათო უშიშროების არსებული მდგომარეობის სოციალურ-ეკონომიკური შეფასება. აგროსამრეწველო, სასურსათო კომპლექსში მიმდინარე რეფორმების სტრატეგია და ტაქტიკა

ტერმინ „რეფორმის" მნიშვნელობა ძალზე ხშირად სხვადასხვაგვარად ესმით. ხშირად ამ ტერმინის ქვეშ გულისხმობენ რომელიმე სისტემაში მიმდინარე ნებისმიერ ცვლილებას. ასეთი მიდგომა რეფორმისადმი კი ძალზე გაუმართლებელია და ამასთან, დიდი ზიანის მომტანიც, ვინაიდან იგი ადამიანებს დამახინჯებულ შეხედულებას უქმნის პროგრესული პროცესებისადმი და ასეთ შემთხვევაში თავად სიტყვა „რეფორმა" აზრს კარგავს.

ლეშეკ ბალცეროვიჩი

2.1. ეკონომიკის თანამედროვე მდგომარეობა და სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა

საბაზრო ეკონომიკა ერთადერთი ბუნებრივი ეკონომიკაა, რომელსაც აზრი აქვს, რომელიც აყვავებას იწვევს, რამდენადაც მხოლოდ იგი ასახავს თვით ცხოვრების ბუნებას. ცხოვრების არსი უსასრულობა და საოცრად მრავალფეროვანი და ამიტომ მისი შეჩერება ან შეფერხება მთელი მისი სისრულით და მრავალფეროვნებით არანაირ ცენტრალურ გონებას არ შეუძლია.

ვაცლავ ჰაველი, „საზაფხულო ფიქრები"

საქართველოს ეროვნულ მეურნეობაში აგროსამრეწველო, სასურსათო კომპლექსს უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია. ახლო წარსულში იგი იძლეოდა ქვეყნის მთლიანი ეროვნული პროდუქტის 52-55%-ს. აქ თავმოყრილი იყო ძირითადი საწარმოო ფონდების 48% და მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულ მუშაკთა – 52%.

დამოუკიდებლობის აღდგენის პირველ წლებში ქვეყანაში თითქმის ერთდროულად დაიწყო ეკონომიკური რეფორმა და ეკონომიკური რესტრუქტურიზაცია. როგორც ირკვევა,

საზოგადოებრივ-ეკონომიკური სისტემის ტრანსფორმაციის პროცესში განვითარებულმა მოვლენებმა,*) ეკონომიკის სხვა დარგებთან ერთად, ქვეყნის აგროსამრეწველო, სასურსათო სექტორსაც უდიდესი ზიანი მიაყენა.

1990-1996 წლებში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმა (პირველი ეტაპი) ხასიათდება როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ტენდენციებით.

დადებითი ტენდენციებიდან მთავარია: სოციალისტური მეურნეობრივი სისტემის ლიკვიდაცია და საბაზრო ეკონომიკის შესატყვისი მეურნეობრიობის, საწარმოო-ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბება; ეროვნული სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების ფორმირება, ლიბერალური საზოგადოების ზოგადი საფუძვლების, საბაზრო მეურნეობების უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტების ჩამოყალიბება, კონკრეტული საბაზრო მექანიზმების ამოქმედება; ინფლაციის მაღალი ტემპებისა და წარმოების დაცემის დაძლევა და ერთობლივი მოთხოვნის, მოსახლეობის რეალური შემოსავლების, ეკონომიკური ზრდის პირობების უზრუნველყოფა; მომდევნო, – მეორე ეტაპისათვის, რეფორმის ევოლუციური გზით განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, რომლის ძირითადი მიზანია გარდამავალი პერიოდის დასრულება, კონკურენტუნარიანი და მაღალეფექტური საბაზრო ეკონომიკის ფორმირება. ამ ეტაპისათვის დამახასიათებელი ნიშნებია: ეკონომიკის საშინაო და საგარეო კურსის ლიბერალიზაციის გაღრმავება, მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და ეკონომიკური ზრდის შენარჩუნება, მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრაციის გაგრძელება, ინსტიტუციური და სტრუქტურული ტრანსფორმაციის თანდათანობით განხორციელება, სამართლებრივი რეფორმების გატარება,

---

*) ეკონომიკური რეფორმა – სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა სისტემა, რომელიც ხორცელდება ქვეყანაში ეკონომიკური ტრანსფორმაციის მიზნით.

ეკონომიკური რესტრუქტურიზაცია – საწარმოო ძალებისა და წარმოების ურთიერთობათა, აგრეთვე ეკონომიკური ზედნაშენის სტრუქტურული სრულყოფა და განახლება ინსტიტუციური, ტექნოლოგიური, სოციალურ-ეკონომიკური, მენეჯმენტის, ინოვაციების გზით მეურნეობის კონკურენტუნარიანობის და ეფექტიანობის ამაღლების მიზნით.

ეკონომიკური აგენტების საბაზრო ქცევის, კონკურენტული ბაზრების თანდათანობით ჩამოყალიბება, საწარმოების პრივატიზაციისა და რესტრუქტურიზაციის პროცესის გაგრძელება.

ამ პერიოდში საქართველოში ეკონომიკური რეფორმების წარმატებით მიმდინარეობას ადასტურებს 1995-1997 წლების მთავარი მაკროეკონომიკური მახასიათებლების დინამიკაც. კერძოდ, დასაბამი მიეცა და შენარჩუნებულ იქნა ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები; ეროვნული მეურნეობის დარგები გამოცოცხლდა, ხოლო ინფრასტრუქტურის სფერო მკვეთრი აღმავლობის გზას დაადგა, ფულადი აგრეგატების პოზიტიურმა ცვლილებებმა გარკვეული სიმყარე შემატეს სავალუტო ბაზარს, დანაზოგების, მოხმარებისა და ინვესტიციების პროპორციებმა იწყო დაბალანსება და ა.შ.

ეკონომიკურ ზრდას მნიშვნელოვანი ბარიერი შეუქმნა 1998 წელს ქვეყანაში ჩამოყალიბებულმა ჯერ საბიუჯეტო, ხოლო შემდეგ საბიუჯეტო-სავალუტო კრიზისმა. იგი მნიშვნელოვნად განაპირობა 1997-1998 წლების მსოფლიო (მ.შ. რუსეთში) გლობალურმა კრიზისმა, სახელმწიფოებრივი ფინანსური მენეჯმენტის ხარვეზებმა, ჯერ კიდევ სუსტი საბანკო სისტემის მოუმზადებლობამ მნიშვნელოვანი პოზიტიური ძვრებისათვის, ინფლაციურ-ანალიტიკური სამსახურების ემბრიონულმა მდგომარეობამ და სხვ. ყოველივე აღნიშნულმა გამოიწვია 1998 წელს ეკონომიკური ზრდის საგრძნობი შენელება, რის გამოც ამ წელს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა მხოლოდ 2,9 პროცენტი შეადგინა.

„ეკონომიკური ლიბერალიზაციის და დაჩქარებული პრივატიზაციის ფონზე, – წერს პროფესორი *ლ. პაპავა*, მიღწეული მაკროეკონომიკური შედეგები უცხოელ ექსპერტებში, როგორც წესი, იწვევს დადებით შეფასებას, მაშინ, როცა ქართველი ეკონომისტების ხედვა ამ პროცესისადმი ძირითადად უარყოფითია, უკეთეს შემთხვევაში კი საერთოდ ნეიტრალურიც".[1]

ჩვენი აზრით, რეფორმის მთავარი პოზიტიური შედეგი

---

[1] ვ. პაპავა – „საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და წარმოების განვითარების: წინააღმდეგობები და პერსპექტივები"; რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, თბ., 1999, გვ.6.

მოსახლეობის ფსიქოლოგიის გარდაქმნაში, კერძო სექტორის დამკვიდრებასა და განვითარებაში მდგომარეობს.

ეკონომიკურმა რეფორმამ, ჯერჯერობით საქართველოში, სასურველი სოციალურ-ეკონომიკური შედეგი ვერ გამოიღო, პირიქით, ქვეყანაში გამეფდა ეკონომიკური კრიზისი, გაიზარდა უმუშევრობის დონე, საგრძნობლად შემცირდა მოსახლეობის ფულადი შემოსავალი და მსყიდველობითი უნარი.

ამასთან, არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ ჩვენს დღევანდელ სინამდვილეში გარდამავალი ეკონომიკის წინააღმდეგობებს განსაკუთრებულ სიმწვავეს ანიჭებს საქართველოს სახელმწიფოებრიობის პრობლემა – ის გარემოება, რომ ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრება და ახალი სახელმწიფოებრიობის საფუძვლების ჩამოყალიბება ერთდროულად მიმდინარეობს.

ეკონომიკური რეფორმის თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკური ზრდის სამეურნეო მექანიზმი ჯერაც სისტემურ-სტრუქტურული დეფორმაციით ხასიათდება. მასში სამუშაო ძალის და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის როლი ფაქტიურად იგნორირებულია, ხოლო კაპიტალის როლი – საკმაოდ მოკრძალებული. ასევე, სავალალოა ტექნიკურ-ტექნოლოგიური კომპლექსის მდგომარეობა. საკმარისია ითქვას, რომ მრეწველობის დარგებში გამოყენებული მანქანა-დანადგარების მხოლოდ 1-2%-ის საწარმოო ექსპლუატაციის პერიოდი ხუთი წელია, ხოლო დანარჩენის კი ოც წელს აღემატება. მდგომარეობას ართულებს ის გარემოებაც, რომ არასაკმარისია ეროვნული დანაზოგების საერთო დონე, რაც ხელს უშლის ამორტიზირებული ძირითადი კაპიტალის შეცვლას და ამუხრუჭებს ინვესტიციების ზრდის პროცესს.*)

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური გაჯანსაღებისა და ეკონომიკური ზრდის ამოცანის საერთო ხასიათიდან გამომდი-

---

*) 1996 წელს საერთო ინვესტიციების მოცულობამ მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ – 5%, ხოლო 2000 წლისათვის – 8% შეადგინა. ამასთან, სახელმწიფო ინვესტიციების გეგმით გათვალისწინებულმა მოცულობამ 1997 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის საერთო ხარჯების შესაბამისად მხოლოდ 1,3 და 1,7 % იყო.

ნარე, სიღარიბისა და შიმშილის დაძლევა ხელსაყრელი ბუნებრივი და ადამიანური რესურსების რაციონალურ გამოყენებას უნდა დაეფუძნოს. სიღარიბის და შიმშილის დაძლევის სტრატეგია კი უნდა გახდეს ფართომასშტაბიანი სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც შემდეგ ძირითად მიმართულებებს უნდა მოიცავდეს:

– სამთავრობო პოლიტიკის კონცენტრირება ეკონომიკური ზრდის დაჩქარებისათვის;

– სიღარიბის გამომწვევი ფაქტორების დადგენა, მათი დაძლევა და სამთავრობო პოლიტიკაში გათვალისწინება;

– იმ ღონისძიებების შერჩევა და განხორციელება, რომლებიც მაქსიმალურ ზეგავლენას ახდენს სიღარიბის შემცირებაზე.

აღნიშნული სტრატეგიის განხორციელებაში დიდი მნიშვნელობა ექნება კორუფციის დაძლევის ღონისძიებათა სწორი სისტემის შერჩევასა და გამოყენებას.

ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბის შემცირება და მის მანკიერ მოვლენასთან – კორუფციასთან ბრძოლის ამოცანა მიჩნეულ უნდა იქნეს სახელმწიფო პოლიტიკის მიმდინარე ეტაპის უმთავრეს მიმართულებად. ჩრდილოვანი ეკონომიკის არსებული მასშტაბების მთავარი ფაქტორებიდან აღსანიშნავია:

– გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელი პოსტ-კონფლიქტური ზონები, ბუფერული საზღვრები და შესაბამისად ეკონომიკური საზღვრების დაუცველობა;

– კორუფციასთან საზოგადოების შემგუებლობა, ჩრდილოვანი ეკონომიკის მიმართ საზოგადოების არაერთგვაროვანი დამოკიდებულება, კანონმორჩილების დაბალი დონე, რაც ართულებს ჩრდილოვანი ეკონომიკის გამოაშკარავებას.

აღნიშნული ფაქტორების ზემოქმედების გამო დღემდე გართულებულია ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზაციისა და კორუფციასთან ბრძოლის კონკრეტული ღონისძიებების გატარება.

ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები და ფორმები მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვადასხვა დარგებსა თუ საქმიანობის სფეროებში. ამის მიხედვით, ყველაზე აღურიცხავი სექტორია ვაჭრობა (68%), სასტუმროები და რესტორნები (71%),

მრეწველობა (42%), მშენებლობა (58%), ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (38%).

კერძო საკუთრების მაღალი ხვედრითი წილი (98%) სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულებაში, განაპირობებს ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის შედარებით დაბალ მასშტაბებს მთელ აგროსამრეწველო, სასურსათო კომპლექსში, მაგრამ იგი საკმაოდ მაღალია (55-60%) – კვების მრეწველობის, სახელმწიფო შესყიდვების და ამ სექტორთან დაკავშირებულ სხვა სფეროებში. ამის გათვალისწინებით, ჩვენი შეფასებით აგროსამრეწველო, სასურსათო კომპლექსში ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბი საშუალოდ 30-35%-ის ფარგლებში მერყეობს. ამასთან, მის ცალკეულ სფეროებში არსებულ არალეგალურ ბიზნესს თავისი სპეციფიკა გააჩნია და მის ლეგალიზაციას კონკრეტული ღონისძიებები სჭირდება.

როგორც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, სახელმწიფოს მიერ ბაზარზე არაპირდაპირი ინტერვენციის მეთოდის გამოყენება არ არღვევს საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს და ამავე დროს, სახელმწიფოს იმ მიზნების განხორციელების საშუალებას აძლევს, რომელიც მოცემულ მომენტში საზოგადოებრივად მნიშვნელოვანია და აუცილებელია ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზაციისათვის და კორუფციის მასშტაბების შესამცირებლად.

აღნიშნულის სარეალიზაციოდ უნდა განხორციელდეს შემდეგი გადაუდებელი ღონისძიებები:

1. სახელმწიფო შესყიდვის სისტემის რეფორმირება თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით;
2. ფალსიფიკაციასთან ბრძოლის, სასურსათო პროდუქციის უსაფრთხოების კონტროლის და სტანდარტიზაციის სისტემის რეფორმირება;
3. აგრობიზნესის ლეგალიზაციის მიზნით საგადასახადო სისტემის ოპტიმიზაცია, მცირე და საშუალო ბიზნესისადმი აუცილებელი მხარდაჭერა;
4. მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე სახელმწიფო ზედამხედველობის სისტემის გაძლიერება;
5. ბრუნვაში არსებული ნაღდი ფულის საბანკო არხებში მოზიდვა;

6. ვაჭრობის სფეროს მოწესრიგება;

7. მიღებული კანონებისა და საკანონმდებლო აქტების ცხოვრებაში გატარება;

8. აღრიცხვა-ანგარიშგების და კონტროლის სისტემის ოპტიმიზაცია;

9. შრომითი ურთიერთობების მოწესრიგება. შრომითი რესურსების დასაქმების ლეგალიზაციისათვის ხელშეწყობა;

10. ეკონომიკური რეფორმის საჯაროობისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზაციის საკითხებში საზოგადოებასთან ურთიერთობის სისტემის ფორმირება.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემამ უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებული სიმწვავე შეიძინა, რადგან კორუფციის მასშტაბები ძალზე საშიში გახდა ეროვნული ეკონომიკისათვის და საფრთხე შეუქმნა ქვეყნის დამოუკიდებლობას. ამ მავნე სენთან საბრძოლველად საზოგადოება და ხელისუფლება უნდა გაერთიანდეს. უნდა გავითვალისწინოთ, რომ კორუფციას სპობს დემოკრატიის ხარისხის ამაღლება, კანონების ცოდნა, საჯაროობა, სამართლიანობა, პროფესიონალიზმი, კერძო საკუთრების დამკვიდრება, პასუხისმგებლობის დონის ამაღლება, რაციონალური სახელმწიფოებრივი რეგულირება, საშემსრულებლო დისციპლინის დამკვიდრება და ა.შ.

საქართველოში XX საუკუნის 90-იან წლების შუა პერიოდიდან გატარებული ეკონომიკური რეფორმები აქცენტირებული იყო მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევისა და ჰიპერინფლაციის დაძლევაზე. ჯერ კიდევ 1994 წელს დაწყებულმა ანტიკრიზისულმა პოლიტიკამ, ხოლო შემდგომ განხორციელებულმა ფინანსური სტაბილიზაციის პროგრამამ, მნიშვნელოვნად განაპირობეს ეროვნული ეკონომიკური სივრცის ჩამოყალიბება. აღნიშნული ტენდენციის ლოგიკური გაგრძელება იქნებოდა ეკონომიკური ზრდის პროცესის დაწყება, რასაც მოყვებოდა საგარეო წყაროებიდან მიღებული ფინანსური დახმარებების ეტაპობრივი ჩანაცვლება საკუთარი ეკონომიკური რესურსებით. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით ვერ იქნა გადადგმული რეალური ნაბიჯები და დღეისათვის სახეზეა საკმაოდ მყიფე ფინანსური სტაბილიზაცია და ობიექტური ფონი ჩრდილოვანი ეკონომიკის განვითარებისათვის.

საქართველოში განხორციელებული ინსტიტუციური და სტრუქტურული რეფორმების უმთავრესი მიზანი სოციალურად ორიენტირებული, თვითმყოფადი საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბება და ამის საფუძველზე ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებაა, მაგრამ მან ჯერჯერობით მიზანს ვერ მიაღწია.

აღნიშნული მიზნის უალტერნატივობასთან ერთად, არ შეიძლება ხაზი არ გაესვას მისი განხორციელების არაერთგვაროვან ხარისხს. კერძოდ, ვერ ხერხდება რეფორმების, როგორც ფინანსური, ასევე ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფა, რისი კომპენსირებაც კერძო მეწარმის შეზღუდვის, ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის განვითარების ხარჯზე ხდება.

სახელმწიფოს დღევანდელი ეკონომიკური პოლიტიკა (რომელიც მოიცავს აგრარულ-სამრეწველო, საინვესტიციო, საგადასახადო, საგარეო, ფულად-საკრედიტო, საფინანსო და სხვა დარგობრივ თუ ფუნქციონალურ სფეროს), მნიშვნელოვან წილად ადმინისტრირების შედარებით დაბალ ხარისხს და მიმდინარე ფისკალური ამოცანების გადაწყვეტას ეფუძნება და არა ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი ამოცანების რეალიზაციას. აღნიშნულის გამო მეწარმისა და სახელმწიფოს ინტერესები, ბუნებრივია, არ ემთხვევა ერთმანეთს. ამდენად, ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შემცირების პროცესში, პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა იქცეს ეკონომიკური პოლიტიკის სრულყოფა და შესაბამისი აღსრულების მექანიზმით მისი უზრუნველყოფა.

აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ნატო-ს გენერალური მდივნის მრჩეველის (აღმოსავლეთ ევროპის საკითხებში) *კრის დონელის* შეგონებაც: „კორუფცია თავისთავად იქცა უშიშროების მუქარად და მთავრობების მარცხთა ხელშემწყობ გარემოებად იგი ყველაზე სერიოზულად ემუქრება ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების სიცოცხლის უნარიანობას". არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობის" მიერ 1999-2002 წლებში ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით საქართველომ კორუფციის დონით უკან ჩამოიტოვა მრავალი პოსტსაბჭოური, ლათინურ-ამერიკული და აფრიკული ქვეყანა. ოფიციალური ინფორმაციით საქართველოში ჩრდილო-

ვანი ეკონომიკის დონე 45-50%-ის ფარგლებში მერყეობს, ხოლო ექსპერტების შეფასებით 65-70%-ს შეადგენს. ეს ის დონეა, როცა ქვეყნის ეკონომიკა კრიტიკულ ზღვარზე იმყოფება და პრაქტიკულად ნორმალური ფუნქციონირების უნარს კარგავს.

სოციალური გაჭირვება და სიღატაკე არაა რესურსების (მ.შ. საკვების) ნაკლებობის შედეგი. ის უფრო მოსახლეობის ცნობიერების მდგომარეობის, სამოქალაქო საზოგადოების განვითარების დაბალი დონის მაჩვენებელია (აღნიშნულის თაობაზე სამართლიანად მიუთითებდა ნობელის პრემიის ლაურეატი *ამარტია სენიც* – სიღარიბისა და შიმშილის მიზეზი არა სურსათის ნაკლებობა, არამედ დემოკრატიის დეფიციტიაო).

მართლაც, თუ კარგად გავაანალიზებთ დემოკრატიის დეფიციტის არსს, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარების ჯერ კიდევ საკმაოდ სუსტი დონე, საზოგადოების შემგუებლობა, მასმედიის საშუალებათა სიჭრელე (დიფერენცირება კლანური ნიშნის მიხედვით), სამოქალაქო საზოგადოების განვითარების დაბალი ხარისხი, არადემოკრატიული მთავრობა და საერთოდ არადემოკრატიული გარემო ქმნის ოაზისურ პირობებს ჩრდილოეთი ეკონომიკის და კორუფციის მაღალ დონეზე განვითარებისათვის, რომელიც ყველაზე არსებითი საფრთხეა გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის. ის არა მარტო ამუხრუჭებს საზოგადოების განვითარებას, არამედ ანადგურებს ნებისმიერ კეთილ წამოწყებას, რომელიც თავისი არსით მიმართულია ეკონომიკური ზრდისა და ქვეყნის ეკონომიკური უშიშროების მისაღწევად. საქართველოში რეფორმების წარუმატებლობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი სწორედ კორუფციაა. იმ რეკომენდაციების შესრულება, რომლებსაც ჩვენი კეთილმოსურნე დასავლეთის სახელმწიფოები და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები იძლევიან, შესაბამის, ადეკვატურ გარემოს მოითხოვს (და არა ისეთს, რომელიც ჩვენთანაა რეალურად). როცა ქვეყნის ხელისუფლებას არ აქვს თავისი გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გატარების უნარი, ვერ ხერხდება ერთიანი საფინანსო, ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაცია. გამეფებულია სახელმწიფო და სამართლებრივი ნიჰილიზმი, კლანურობა, კორუფცია და

პროფესიონალიზმის დეფიციტი. ნებისმიერი კარგად გააზრებული და სათანადოდ არგუმენტირებული რეკომენდაცია დასაღუპავადაა განწირული, იქნება ეს სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ვაჭრობის ლიბერალიზაციის თუ სხვა საკითხების მოწესრიგების მექანიზმები.

თუ სიღრმისეულად განვიხილავთ კორუფციისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის პრობლემას, როგორც ერთ-ერთ უმთავრეს დაბრკოლებას სასურსათო უშიშროების მიღწევის გზაზე, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ჩრდილოვანი ეკონომიკა (და მისი არსებობის რეალური სოციალური შედეგი – კორუფცია), ანუ არალეგალური ეკონომიკა სხვა არაფერია, თუ არა გადასახადის გადამხდელთა რეაქცია (პროტესტი) ხელისუფლების წინააღმდეგ არასწორი საგადასახადო პოლიტიკის წარმართვისათვის. ზოგადად კი იმ ეკონომიკური პოლიტიკის გამო, რომელსაც სახელმწიფო ატარებს მოქალაქეების და მათი საკუთრების დაცვისათვის. ის ძლიერდება მაშინ, როცა მასების ინტერესები ეწირება ცალკეული კლანების, ოჯახების და მაფიის გაფურჩქვნას, როცა იკარგება ინტერესი საერთო სახელმწიფოებრივი საქმეებისადმი, როცა ბიზნესისა და სახელმწიფოს ინტერესები სხვადასხვა მიმართულებით მოძრაობენ. საბოლოო ანგარიშით ამ სიტუაციას სახელმწიფოს ეკონომიკურ-პოლიტიკური საფუძვლების შემრყევამდე, ქონებრივი ნიშნით მოქალაქეთა მკვეთრ დიფერენცირებამდე და მოსახლეობის ძირითადი მასის გაღატაკებამდე მივყევართ. ყოველივე ეს კი საზოგადოებაში (ქვეყანაში) სოციალური აფეთქების საშიშროებას განაპირობებს.

ამრიგად, როგორც პრაქტიკულად, ასევე თეორიული თვალსაზრისით, მეტად აქტუალურია საქართველოში ჩრდილოვანი ეკონომიკის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების გატარება, სასურსათო უზრუნველყოფის ღონისძიებების დასახვა და რეალიზაცია.

2.2. წარმოების დონის დაცემის მაკროეკონომიკური მიზეზები ეროვნულ მეურნეობაში და მოსახლეობის ცხოვრების რეალური დონის შეფასება

რა არის სიმდიდრე ერისა? ასში და ათასში ერთის ოქროში ჯდომა თუ ცოტად თუ ბევრად გათანასწორებული მაძღრობა ყველასი? ჩვენ უკანასკნელი გვგონია და ეგ უკანასკნელია, ჩვენის ფიქრით, ერთად-ერთი საწყაო ერის სიმდიდრისა. რამდენადაც დიდი მანძილია მდიდარსა და მშიერს შორის, მით უფრო მწვავეა, მით უფრო მოუნელებელია, ძნელად ასატანია ერისათვის ამისთანა ყოფა.

ილია ჭავჭავაძე

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დინამიკის, მისი ხასიათისა და მასზე მოქმედი ფაქტორების კვლევისას, ეკონომიკური მეცნიერების განსაკუთრებულ ინტერესს ეკონომიკურ ზრდაზე მოქმედ ფაქტორთა ანალიზი და ეკონომიკური ზრდის დინამიკის ნიშან-თვისებების განსაზღვრა იწვევს. მნიშვნელოვანია აგრეთვე ეკონომიკის ციკლური განვითარების კანონზომიერებათა კვლევა და მისი გავლენა ცხოვრების დონის ხარისხზე.

საქართველოში აღნიშნული საკითხების კვლევის აუცილებლობა საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის დასაწყისში გაჩნდა. საქართველოს ეკონომიკა აცდა ბუნებრივ-ციკლური (ნორმალური) განვითარების გზას და ექსტრემალურ პირობებში ვითარდებოდა (რაც გამოწვეული იყო მრავალი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზით – ომები, ეთნოკონფლიქტები, საყოველთაო განუკითხაობა, უკანონობა, სამეურნეო კავშირების მოშლა და ა.შ.). ქვეყნის ეკონომიკამ აუნაზღაურებელი ზარალი განიცადა, ადგილი ჰქონდა ეკონომიკის ღრმა ვარდნას.

ეროვნული მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად წარმოების ვარდნა დაიწყო აგროსასურსათო სექტორშიც. 1991-1992 წლებში აქ ჩამოყალიბდა როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის და ნედლეულის, ასევე მათი გადამუშავების პროდუქტების წარმოების მკვეთრად შემცირების ტენდენცია.

ფუნქციონირება შეწყვიტა ისეთმა ტრადიციულმა დარგებმა როგორიცაა მეაბრეშუმეობა, მეჭარხლეობა, მეთამბაქოება და ა.შ. პრაქტიკულად ნულამდე დავიდა საკონსერვო მრეწველობის პროდუქციის, ხორცისა და რძის პროდუქტების წარმოება. კრიტიკულ ზღვრამდე დაეშვა საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების მაჩვენებლები კვების მრეწველობის დანარჩენ დარგებში.

ისევე როგორც მთელ ეკონომიკაში, აგროსასურსათო სექტორშიც ინტენსიურად მიმდინარეობდა სტრუქტურული რღვევა და ყველა ძირითადი მაჩვენებლის მკვეთრი გაუარესება. კერძოდ, ნათესი და მრავალწლიანი ნარგავების ფართობების, აგრეთვე პირუტყვისა და ფრინველის სულადობის მნიშვნელოვან შემცირებასთან ერთად, ადგილი ჰქონდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მკვეთრად შემცირებას. უფრო მეტიც, საერთოდ შეწყდა მრავალი სახეობის პროდუქციის წარმოება, დაირღვა კავშირები სოფლის მეურნეობასა და გადამმუშავებელ მრეწველობის საწარმოებს შორის. გადამმუშავებელი საწარმოების სიმძლავრეები თითქმის მთლიანად დაუტვირთავი დარჩა. დაიშალა ან საერთოდ განადგურდა ინდუსტრიულ საფუძველზე გადაყვანილი მეცხოველეობის საწარმოები, მათ შორის მეხორცული და მერძეული მიმართულების კომპლექსები, ხორცისა და რძის კომბინატები და ა.შ. გაწყდა ეკონომიკური კავშირები აგროსამრეწველო კომპლექსის ცალკეულ სფეროებს შორის და მოიშალა ერთ დროს მყარ ეკონომიკურ საფუძვლებზე ჩამოყალიბებული მინერალური სასუქების, კომბინირებული საკვების, მცენარეთა ქიმიური დაცვის საშუალებების და აგრარული პროდუქციის აღწარმოებისათვის საჭირო მასალების მიწოდების პრაქტიკა, რამაც თავის მხრივ, კომპლექსის სფეროთა შორის კაპიტალის არარაციონალური გადანაწილება გამოიწვია.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ობიექტური მაკროეკონომიკური ფაქტორი აგროსასურსათო სექტორში შექმნილი მეტად სავალალო მდგომარეობისა ქვეყანაში საერთო ეკონომიკური ზრდის შენელება იყო, რასაც მოსახლეობის მსყიდველობითი უნარიანობის შემცირება მოჰყვა. ერთ დროს დეფიციტური აგროსასურსათო სექტორის პროდუქცია ჭარბად მოეძალა

სასურსათო ბაზარს. პროდუქციის მოწოდებამ ბევრად გადააჭარბა მოსახლეობის გადახდისუნარიან მოთხოვნას და პროდუქციის რეალიზაციის პრობლემა წარმოშვა. ერთბაშად გაქრა სახელმწიფოს ეკონომიკური მიზანი და ამოცანაც. კერძოდ, ეკონომიკური ზრდა და მოსახლეობის დასაქმება, ფასების სტაბილური დონის შენარჩუნება, შემოსავლების სამართლიანი განაწილება, სოციალურად დაუცველი ფენების უზრუნველყოფა და ა.შ. ცხადად გამოიკვეთა, რომ მეტისმეტად ღია და ლიბერალურმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ ქვეყანაში ეკონომიკური აღმავლობის გარემო ვერ შექმნა. მას ვერ უშველა ვერც ბაზრის სუბიექტების ეკონომიკურმა თავისუფლებამ და ვერც ბაზარმა, როგორც მეურნეობრიობის ყველაზე ეფექტურმა სისტემამ*). სახელმწიფოს როლი მარტო საერთო კონკურენტული გარემოს შექმნაში გამოიხატა, რაც, ბუნებრივია, არ აღმოჩნდა საკმარისი. შედეგად კი მკვეთრად გაუარესდა მოსახლეობის ცხოვრების დონეც. შემცირდა არამარტო ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის შეძენა და მომსახურების მოცულობა, არამედ სასიცოცხლოდ აუცილებელი კვების პროდუქტების მოხმარების დონე. სამომხმარებლო კალათამ, საარსებო მინიმუმმა და რეალურმა შემოსავლებმა ურთიერთ საწინააღმდეგო მიმართულებით იწყეს მოძრაობა. ასეთ ვითარებაში, ცნობილია, რომ სახელმწიფომ უნდა გაატაროს ისეთი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს ეკონომიკის აღმავლობას და უმუშევრობის აღმოფხვრას, გადასახადების სიმძიმის შემცირებას, კრედიტის საპროცენტო განაკვეთის დაწევას და სხვ., რაც საბოლოო ანგარიშით ასტიმულირებს ქვეყანაში გადახდისუნარიან მოთხოვნას. ასეთი პოლიტიკა კი სამწუხაროდ ვერ გატარდა რამაც დღევანდელ შედეგებამდე

---

*) ბაზარი, ეს არის ერთგვარი ინსტიტუტი ან მექანიზმი, რომელიც ცალკეული საქონლის და მომსახურების გამყიდველებს და მყიდველებს ერთმანეთს ახვედრებს. ყველა ის სიტუაცია, რომელიც პოტენციურ მყიდველებს აკავშირებს პოტენციურ გამყიდველებთან, ქმნის ბაზარს. სასურსათო ბაზარი ეს არის სურსათის პროდუქტების მწარმოებელთა, მიმწოდებელთა და მომხმარებელთა ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის მოსახლეობის სურსათით მომარაგებას, მის რაციონალურად გამოყენებას და ზომიერ სახელმწიფო რეგულირებას.

მიგვიყვანა.

ეკონომიკის ნგრევისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის დაცემის ერთ-ერთ მთავარ ობიექტურ მაკროეკონომიკურ ფაქტორად უნდა ვაღიაროთ საბაზრო ურთიერთობათა პირობებში ქვეყნის ბიუჯეტის ფორმირების, დარგების და სფეროების დაფინანსების, მანამდე არსებულისგან შემოსავლების გადანაწილების პრინციპულად განსხვავებული მიდგომები. ფასების ლიბერალიზაციისა და ბიუჯეტური სახსრების მანამდე არსებული გადანაწილების მექანიზმების გაუქმების პირობებში (საბჭოეთის პირობებში ბიუჯეტური სახსრები ნაწილდებოდა სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ფასდანამატისა და მოხმარებულ რესურსებზე შეღავათიანი ფასების დაწესებით, პირდაპირი დოტაციით და ა.შ. რაც სოფლის მეურნეობის პროდუქციასა და ნედლეულზე ფასების ხელოვნურ დაწევას იწვევდა), სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის რეალური ფასები (და არა ხელოვნურად შემცირებული) მეტისმეტად მაღალი აღმოჩნდა მოსახლეობის მსყიდველობითი უნარიანობის დონესთან შედარებით. ამდენად შემცირდა მასზე მოთხოვნა, რამაც თავის მხრივ მიწოდების შემცირებაც გამოიწვია, ყველა თავისი ნეგატიური ეკონომიკური და სოციალური შედეგებით. აგროსასურსათო სექტორის პროდუქციაზე რეალური ფასების დაწესების პარალელურად უნდა მომხდარიყო შრომის ანაზღაურების, პენსიების, სტიპენდიების და სხვა შემოსავლების ზრდა, რაც ასევე არ განხორციელდა, რადგან ქვეყნის ბიუჯეტს, სხვადასხვა მიზეზების გამო, ამის საშუალება არ აღმოაჩნდა.

რეფორმირებამდე სოფლის მეურნეობაში საკმაოდ განვითარებული იყო შიდადარგობრივი კონკურენცია, მაგრამ ამასთან, პრაქტიკულად ნულამდე იყო დასული დარგთაშორისი გარემოს კონკურენტული პოტენციალი. ეს არც იყო საჭირო იმ პერიოდისათვის, რადგან დარგთაშორისი კონკურენციის სხვადასხვა ასპექტი სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა ბერკეტებით (ფასების მექანიზმით, საგადასახადო პოლიტიკით და ა.შ.) რეგულირდებოდა. რეფორმის შემდეგ ეს გარემოება აგრარული სექტორის ერთ-ერთი შემაფერხებელ ფაქტორად იქცა. მხედველობაში გვაქვს სოფლის მეურნეობის მომსახურე

დარგების შედარებითი უპირატესობა, რომელიც მათი მონოპოლური მდგომარეობითაა განპირობებული. კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო საწარმოებთან შედარებით უფრო კონსოლიდირებული მეღვინეობის, პურპროდუქტების მრეწველობის და სხვა საწარმოები თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე სოფლად საქონელმწარმოებლებს პრაქტიკულად კარნახობენ ფასებს ყურძენზე, ხორბალზე და სხვა პროდუქციაზე, რითაც კიდევ უფრო კაბალურ პირობებში აყენებენ მათ.

ანალოგიური მდგომარეობაა სამრეწველო წარმოშობის პროდუქციასთან მიმართებაში. სოფლის მეურნეობის პროდუქციის აღწარმოებისათვის საჭირო ისეთი საშუალება, როგორიცაა მინერალური სასუქები თითქმის ყოველწლიურად ძვირდება და მიუწვდომელი ხდება ბევრი ფერმერისათვის. ასევეა კომბინირებული საკვები, მექანიზაციისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის აუცილებელი სხვა საშუალებები, რაც მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში აყენებს სოფლად საქონელმწარმოებლებს. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით მეწარმე ცდილობს ჰქონდეს საკუთარი გადამმუშავებელი საამქროები, სავაჭრო ობიექტები და ა.შ. რაც დამატებით არამიზნობრივ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ე.წ. ფასების პარიტეტის*) დარღვევა სოფლის მეურნეობისა და სამრეწველო წარმოშობის პროდუქციაზე, აგრეთვე გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოთა ერთგვარი დიქტატი უმძიმეს მდგომარეობას ქმნის აგროსექტორში.

უფრო მეტიც, ბოლო პერიოდში გამოიკვეთა სამრეწველო წარმოშობის პროდუქციაზე და მომსახურებაზე ფასების და ტარიფების წინმსწრები ტემპით ზრდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასების ზრდასთან შედარებით, რაც კიდევ უფრო დაბლა დასწევს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების რენტაბელობის დონეს. ასე მაგალითად, ექსპერტული შეფასებით დადგინდა, რომ თუ 1992 წელს სასოფლო-

---

*) თუ ადრე 2 ტონა ყურძენით ერთი საშუალო სიმძლავრის ტრაქტორის შეძენა შეიძლებოდა, ახლა იმავე ტრაქტორის შეძენას 4-4,5 ტონა ყურძენი სჭირდება, ე.ი. პარიტეტი ამ შემთხვევაში 2-2,5-ჯერ გაიზარდა მრეწველობის სასარგებლოდ.

სამეურნეო პროდუქციისა და ნედლეულის სარეალიზაციო ფასი და ამ პროდუქციის აღწარმოებისათვის საჭირო სამრეწ-ველო წარმოშობის მატერიალური საშუალებების ფასების ინდექსების შეფარდება ტოლი იყო 0,55-ის, 1994-ში 0,40-ის 2000 წლისათვის მან უკვე 0,35 შეადგინა. ე.ი. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის და ნედლეულის გაძვირების ერთ ლარზე საშუალოდ სამრეწველო წარმოშობის მატერიალური საშუალებების 2-3 ლარით გაძვირება მოდის. ეს განსაკუთ-რებით მწვავედ აისახება საწვავ-საცხები მასალებით, მინერა-ლური სასუქებით, ელექტროენერგიით და სხვა შედარებით მაღალღირებული საშუალებებით უზრუნველყოფასა და მომარაგებაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ საჭი-როა სახელმწიფომ გაატაროს უფრო მკაცრი ანტიმონოპოლუ-რი პოლიტიკა (მონოპოლისტი საწარმოებისათვის ფასების ზღვრის დაწესებით), გააქტიუროს მუშაობა ქვეყანაში საბაზ-რო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის. გაატაროს სოფლად საქონელმწარმოებელთა მიმართ მხარდაჭერის ისეთი პოლიტიკა, რომელიც სოფლად საქონელმწარმოებლებს მისცემს მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების შეძენისა და აუცილებელი მომსახურების მიღების მინიმალურ საშუალებას. აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციასა და ნედლე-ულზე მოთხოვნის გარკვეული სტიმულირება, სახელმწიფო დაკვეთების მოცულობათა გაზრდა (ჯარი, საპატიმროები, მოხუცთა თავშესაფრები, რეზერვი, სახელმწიფოთაშორისი ვალდებულებები და ა.შ.).

ქვეყანაში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის და სისტე-მური ცვლილებების, ანტიკრიზისული პროგრამის მიღების შემდეგ, 1995 წელს შესაძლებელი გახდა ეკონომიკის ვარდ-ნის შეჩერება და პირველად, უკანასკნელი ხუთი წლის გან-მავლობაში მიღწეული იქნა ზრდა. ეკონომიკამ დაიწყო კრიზი-სიდან გამოსვლა და აღმავლობა 1998 წლის მეოთხე კვარტ-ლამდე, მაგრამ იმავე წლის სექტემბრიდან ვარდნა კვლავაც იწყება.

აღნიშნული ადასტურებს, რომ რეფორმების წარმატებისა-თვის, ეკონომიკური ზრდისა და სასურსათო უშიშროების

დაძლევისათვის საჭიროა არამარტო ტრადიციული მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევა, არამედ განვითარებისადმი სისტემური კვლავწარმოებითი მიდგომა. მაკროეკონომიკური და მიკროეკონომიკური დისპროპორციების კვლავწარმოების პირობებში აუცილებელია გავაცნობიეროთ, რომ კრიზისის შემქმნელი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი სწორედ ამ დისპროპორციების კვლავწარმოება, მათი აღმოფხვრის უუნარობაა. ამიტომ, მათი რაც შეიძლება სწრაფად დაძლევა აუცილებელია საქართველოს ეკონომიკის სისტემური კრიზისიდან გამოსასვლელად, ჩამორჩენილობის სალიკვიდაციოდ, ცხოვრების დაბალი დონის დასაძლევად და სასურსათო უშიშროების მისაღწევად.

ამდენად, ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მაჩვენებელთა, აგრეთვე ეკონომიკური განვითარების დინამიკისა და ტემპების ანალიზი, საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ – საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის საწყისი ეტაპი საქართველოსათვის ურთულესი აღმოჩნდა, რადგან საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის პროცესი ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული ვარიანტით წარიმართა. ეკონომიკის განვითარება მძაფრ წინააღმდეგობათა და მოვლენათა მკვეთრი ცვლილებების პირობებში მიმდინარეობდა.

1995-2000 წლებში ერთობლივ ნომინალურ სულადობრივ შემოსავალში ხელფასის ხვედრითი წონა 45,8%-დან 20,6%-მდე, ხოლო პენსია-დახმარება-სტიპენდიები 9,9%-დან – 6,7-%-მდე შემცირდა. რაც შეეხება საოჯახო მეურნეობიდან მიღებულ და სხვა სახის შემოსავლებს შესაბამისად 14,6%-დან 31,5%-მდე და 29,7%-დან – 40,9%-მდე გაიზარდა.

მოსახლეობის ცხოვრების დაბალ დონეზე მეტყველებს ერთობლივ შემოსავალში კვებაზე გაწეული ხარჯების მკვეთრად გადიდების, ხოლო არასასურსათო საქონლის შეძენის ხარჯის არსებითად შემცირების ტენდენცია. სასურსათო ხარჯები საშუალოდ მთლიანი მოხმარების 60%-ს შეადგენს, რაც ფრიად არასასურველი მოვლენაა.

ცხოვრების დონის შეფასების ერთ-ერთ ზოგად კრიტერიუმად მსოფლიოში ადამიანის პოტენციალის განვითარების ინდექსია აღიარებული. ის მიღებულია გაეროს ექსპერტ-

სპეციალისტების მიერ და მოიცავს შემდეგ მაჩვენებლებს: მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მოცულობას ერთ სულ მოსახლეზე, დაბადებისას ადამიანის სიცოცხლის პოტენციურ ხანგრძლივობას და განათლების დონეს. მოსახლეობის ცხოვრების დონეს ახასიათებს ასევე სასურსათო საქონლის მოხმარების ხვედრითი წილი მთელ დანახარჯებში. ადამიანთა კეთილდღეობის და ცხოვრების დონის ამაღლებასთან ერთად სამომხმარებლო საქონლის სტრუქტურაში მცირდება სასურსათო საქონელზე გაწეული დანახარჯები და იზრდება ფუფუნების საგნების მოხმარება.

საკვებზე მოთხოვნილება განსაზღვრულია *კუჭის* შესაძლებლობით, აღნიშნავდა *ა. სმიტი* თავის წიგნში „ხალხთა სიმდიდრე". იგივე, მაგრამ უკვე მეცნიერულად, დაასაბუთა გერმანელმა მეცნიერმა *ერნსტ ენგელმაც*. ის ჯერ კიდევ 1857 წელს, იკვლევდა რა ოჯახების ბიუჯეტს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საოჯახო შემოსავლების გადიდებას არ მივყევართ საკვებზე დანახარჯების პროპორციულ გადიდებასთან. უფრო სწორედ, მან შეამჩნია, რომ როცა იზრდება ოჯახის შემოსავალი, მცირდება ნამეტი შემოსავლის ხარჯვა სურსათზე (შემდგომში დამტკიცდა, რომ ენგელის კანონი მართებულია იმ შემთხვევაში, როცა სულადობრივი შემოსავლების სიდიდე აღემატება 100 აშშ დოლარს). ეს დასკვნა ვრცელდება, როგორც ცალკე აღებულ ოჯახზე, ასევე მთლიანად საზოგადოებაზე და იგი ენგელის კანონის სახელითაა ცნობილი.

ენგელის კანონის თანახმად საზოგადოების განვითარების კვალობაზე მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ) აგროსექტორის წილის თანდათანობითი შემცირება ხდება. ეს მართლაც კარგად ჩანს განვითარებული ქვეყნების მაგალითზე, სადაც სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში შედარებით დაბალია და მას კიდევ უფრო შემცირების ტენდენცია ახასიათებს. ამასთან, მიჩნეულია, რომ, სოფლის მეურნეობის წილის შემცირება ხდება ძირითადად დაბალმწარმოებლური და არაეფექტური ფერმების ლიკვიდაციის ხარჯზე, რის გამოც დარგში შრომის ნაყოფიერების, რენტაბელობისა და ეფექტიანობის სხვა ეკონომიკური მაჩვენებლები მაღლდება. არის მეორე მომენტიც, რაც, ჩვენი აზრით, მშპ-ში სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილის

არსებით შემცირებას განაპირობებს. კერძოდ, რაც უფრო მაღალია საზოგადოებისა და მისი ეკონომიკის განვითარების დონე, მით უფრო მაღალია სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის და კონცენტრაციის დონე. ეს კი ნიშნავს იმას, რომ სოფლად დასაქმებული საქონელმწარმოებელი (გლეხი, ფერმერი) სულ უფრო და უფრო შორდება საცალო ბაზარს. მასსა და ბაზარს შორის მთელი რიგი ინდუსტრიული, სავაჭრო, მომსახურე და სხვა დარგები ჩნდება, რომელთაც მოკლედ სასოფლო-სამეურნეო მარკეტინგსაც უწოდებენ. ის მოიცავს პრაქტიკულად ყველა სტადიას, რაც საჭიროა მინდვრიდან და ფერმიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სამომხმარებლო ბაზარზე მიტანისათვის (ტრანსპორტირება, გადამუშავება, შეფუთვა, შენახვა და ა.შ.). ყველა სტადიაზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია ახალ ღირებულებას იძენს, მაგრამ უკვე არა სოფლის მეურნეობის, არამედ მასთან დაკავშირებული სხვადასხვა დარგების ანგარიშში, რის გამოც მისი, როგორც პროდუქციის წარმომქმნელი დარგის წილი მშპ-ში მცირდება. მიგვაჩნია, რომ ეს ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდება, რადგან სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის დივერსიფიცირება და მასში მომხმარებლისათვის სასარგებლო სახმარი ღირებულების გაზრდა პრაქტიკულად შეუძლებელია, მაშინ როცა სხვადასხვა მომსახურე დარგში მათი გადიდების საშუალებები (როგორც დივერსიფიცირების, ასევე სარგებლიანობის თვალსაზრისით) პრაქტიკულად ამოუწურავია.

აქვე გასათვალისწინებელია მეორე მომენტიც, მშპ-ში სოფლის მეურნეობის წილის შემცირება იწყება ეროვნული ეკონომიკის განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე, ე.ი. როცა შეიქმნება მაღალგანვითარებული ეკონომიკა. ეს დასკვნა ეჭვს არ იწვევს, მაგრამ იძლევა სხვა, არანაკლებ სერიოზული დასკვნის გაკეთების საშუალებას. კერძოდ, როცა იზრდება ერის კეთილდღეობის დონე (განვითარებული ეკონომიკის პირობებში), იზრდება მოთხოვნილება სურსათის მიმართაც, მაგრამ არა იმდენად რაოდენობრივი, არამედ ხარისხობრივი თვალსაზრისით. კვების სტრუქტურის, რაციონის მრავალფეროვნების და სხვა მაჩვენებლების მიხედვით. განსაკუთრებით

იზრდება მოთხოვნილება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაზე, რომელზეც უფრო მეტი შრომა და რესურსი იხარჯება (ღირებულებაში), ვიდრე სტანდარტულ და ტრადიციულ პროდუქტებზე. ამდენად, მას მაღალი ღირებულებაც გააჩნია. ასეთ პროდუქციაზე მოთხოვნის გაზრდა, ბუნებრივია, გამოიწვევს აგროსექტორის წილის არა აბსოლუტურ შემცირებას, არამედ მის შემდგომ ზრდას. აღნიშნულის გამო მშპ-ში სოფლის მეურნეობის წილის შემცირების ან გადიდების საკითხი ამ ორი ურთიერთგამომრიცხავი ფაქტორის რაოდენობრივ მაჩვენებლებზე იქნება დამოკიდებული.

მეცნიერები მოსახლეობის ცხოვრების ოთხ დონეს გამოყოფენ: 1) შეძლებული ცხოვრების დონე (იმ ოდენობის დოვლათის მოხმარება, რაც საკმარისია ადამიანის ყოველმხრივი, ნორმალური განვითარებისათვის); 2) ნორმალური ცხოვრების დონე (მეცნიერულად დასაბუთებული ნორმებით დოვლათის მოხმარება იმ ოდენობით, რაც საკმარისია ადამიანის ფიზიკური და ინტელექტუალური ძალების აღსადგენად); 3) სიღარიბე (დოვლათის იმ დონეზე მოხმარება, რაც საჭიროა სამუშაო ძალის შრომისუნარიანობის უმდაბლეს დონეზე შესანარჩუნებლად; 4) სიღატაკე (დოვლათის და მომსახურების ბიოლოგიურად დასაშვებ მინიმალურ დონეზე მოხმარება, რაც მხოლოდ ადამიანის სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლადაა საკმარისი).

ჩვენი გათვლებით (რომლებიც ძირითადად სტატისტიკურ მონაცემებსა და სხვადასხვა სოციალური ჯგუფების შემოსავლებისა და ხარჯების ანალიზს ეყრდნობა), პირველ ჯგუფში საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 18% მოექცა, მეორეში – 26%, მესამეში (ანუ სიღარიბეში) მოსახლეობის ყველაზე დიდი ნაწილი – 35%, ხოლო სიღატაკეში ანუ მეოთხე ჯგუფში კი – 21%.

სიღარიბე ერთ-ერთი ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორია სასურსათო უზრუნველყოფის მიღწევის გზაზე.*) მასზე

---

*) კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის დიდი წარმომადგენლები ა. სმიტი და დ. რიკარდო წერდნენ, რომ „ყოველი ადამიანი მდიდარია ან ღარიბი იმ ზომით, რა ზომითაც მას შეუძლია უზრუნველყოს თავის თავის არსებობისა და სიამოვნების საგნებით სარგებლობა“.

ყველაზე ძლიერად მოქმედ ფაქტორს უმუშევრობა წარმოადგენს. რაც მეტია უმუშევარი, მით მეტია მათი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მოხვედრის რისკი.

სიღარიბე ქალაქად და სოფლად მნიშვნელოვნად განსხვავებულ მოვლენას წარმოადგენს.[*] სიღარიბე ქალაქად დაკავშირებულია არასრულ კვებასთან. სოფლად კი სიღარიბე არასრულ კვებასთან იშვიათ შემთხვევაშია დაკავშირებული და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ სოფლად კვების პროდუქტების მოხმარებას ძირითადად საკუთარი წარმოების სურსათი განსაზღვრავს. სოფლად უმთავრესი პრობლემა ფულადი რესურსების და არასაკმარისი ინფრასტრუქტურის არსებობაა, რაც შესაბამისად ამცირებს მომსახურების ძირითად სახეებზე მისაწვდომობას.

ქალაქად, მიუხედავად სიღარიბისა, შედარებით უკეთესი მდგომარეობაა განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებაზე მისაწვდომობის მხრივ.

რაც შეეხება მომავლის პროგნოზს, ქალაქად მდგომარეობის გაუმჯობესების პერსპექტივა მეტია. ქალაქის მოსახლეობას შედარებით უკეთესი მისაწვდომობა აქვს განათლების მიღებაზე, რაც მათი დასაქმების და შესაბამისად ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების პერსპექტივას უფრო უკეთესს ხდის.

ის ფაქტი, რომ სიღარიბის დონე სოფლად თითქმის ყოველთვის დაბალია, ვიდრე ქალაქად, სულაც არ ნიშნავს

---

[*] სიღარიბის დონე მცირე ქალაქებში აღემატება დიდ ქალაქებში არსებულ დონეს, ხოლო ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, აღემატება სოფლად სიღარიბის დონეს. ქალაქში სიღარიბის მაჩვენებლებმა 1998 წელს – 55%-ს მიაღწია, 1999 წელს – 57%-ს, 2000 წელს – 58%-ს, 2001 წელს – 56%-ს, ხოლო 2002 წელს – 59%-ს.

სამომხმარებლო კალათა – ესაა სასურსათო კალათას დამატებული არასასურსათო საქონლის მოხმარება და გაწეული მომსახურების ღირებულება.

სასურსათო კალათა (მინიმუმი) – ესაა პროდუქტების ის ნაკრები, რომელიც მინიმალურად საჭიროა ადამიანის ფიზიკური არსებობისა და სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად. ეს მინიმუმი უზრუნველყოფს დღე-ღამეში ადამიანის ორგანიზმში 74 გ ცილის, 57 გ ცხიმის და 353 გ ნახშირწყლების შეტანას ადამიანის ორგანიზმში, რაც ჯამში 2237 კკალორიას შეადგენს.

იმას, რომ სოფლად სიღარიბის პრობლემა ნაკლებად მწვავე ხასიათისაა. სოფლად სიღარიბის ზღვარს ზემოთ ყოფნას განსაზღვრავს საკუთარი წარმოების პროდუქცია, რაც მნიშვნელოვნად დამოკიდებულია კლიმატურ პირობებზე. ამდენად, სოფლად სიღარიბის ზღვარს ზემოთ ყოფნის მთავარ განმსაზღვრელ რესურსს მიწა წარმოადგენს, რომელსაც საშუალოდ სოფლად მცხოვრები ერთი შინამეურნეობა საკმაოდ მცირე რაოდენობით (1,25 ჰა) ფლობს.

სოფლად სიღარიბის შემცირების პერსპექტივა არსებული პირობების უცვლელობის შემთხვევაში ნაკლებად სავარაუდოა. თუ ის შემცირდება კარგი მოსავლის გამო ეს მდგომარეობა არ იქნება სტაბილური და გაგრძელდება მხოლოდ მომავალ გვალვამდე, სეტყვამდე, ან რომელიმე სხვა სტიქიურ მოვლენამდე.

საქართველოში სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის საკითხი ქვეყნის ხელისუფლების უპირველესი პრიორიტეტული მიმართულება უნდა გახდეს, რადგან სიღარიბე სასურსათო უშიშროების განუხორციელებლობის ძირითადი მიზეზია (ფაოს, რომის დეკლარაცია). ამ მიზნით შემუშავებული პროგრამა გათვლილი უნდა იქნეს არა მარტო მთლიანად ქვეყნის, არამედ შიდარეგიონულ ჭრილში, მაკრო და მიკრო დონეებზე. მის რეალიზაციაში ჩართული უნდა იყოს მთელი ჩვენი საზოგადოება და საქართველოში მოღვაწე ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია. სიღარიბის დაძლევისა და ცხოვრების დონის ამაღლებისათვის ბრძოლის პროგრამის უმთავრესი მიზანი ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის დაჩქარება და შესაბამისად მოსახლეობის უღარიბესი ფენის მიერ ეკონომიკური ზრდის შედეგებით სამართლიანი სარგებლობა, უნდა იყოს.

2.3. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის გათანაბრების რეგიონული პოლიტიკის ასპექტები

> **არსად მსოფლიოში არ არსებობს ისეთი ღრმა უფსკრული მდიდრებსა და ღარიბებს შორის, არსად მდიდრები ისე არ მდიდრდებიან, ხოლო ღარიბები ისე არ ღარიბდებიან, როგორც იმ სოციალურ სისტემაში, სადაც აკრძალულია თავისუფალი ბაზარი.**
>
> **მილტონ და როუზ ფრიდმანები**

როგორც ცნობილია, ბიოგეოკლიმატური, საწარმოო-ეკონომიკური, რესურსული, დემოგრაფიული და წარმოების განვითარებისათვის საჭირო სხვა პირობების მიხედვით საქართველოს ცალკეული რეგიონები არსებითად განსხვავდება ერთმანეთისგან. ეს არცაა გასაკვირი იმ ქვეყნისათვის, რომელსაც მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური ზონალობა ახასიათებს, სადაც, პრაქტიკულად, მსოფლიოში გავრცელებული ყველა სახის ნიადაგი, ჰავა და გეოგრაფიული სარტყელია წარმოდგენილი (ნოტიო სუბტროპიკებიდან დაწყებული, მუდმივ გამყინვარებამდე დამთავრებული). აქ ტერიტორიის 33% მთისწინებზე, ხოლო უშუალოდ მთაზე – 53% მოდის.

ბუნებრივ-კლიმატური და ნიადაგური პირობების გათვალისწინებით საქართველოში ოდითგანვე ყალიბდებოდა თითოეული რეგიონის შესატყვისი სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია, სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა, მეურნეობის ტიპი და ფორმა, რომლებიც, ბუნებრივია, არსებითად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან შრომის საგნების, წარმოების საშუალებებისა და სხვა ფაქტორების მკვეთრად განსხვავებულობის გამო. განსხვავებული იყო თვით შრომის შედეგებიც. მთის რაიონები მუდამ ჩამორჩებოდა ბარის რაიონებს ეკონომიკური განვითარების დონით. თუმცა როგორც მთას, ისე ბარს მათთვის განსაკუთრებული ფუნქცია და ადგილი ჰქონდა ისტორიულად მიჩენილი.

გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან ეს ფუნქციები რადიკალურად შეიცვალა, რაც ძირითადად საქართველოს, როგორც საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი შემადგენელი სუბიექტის,

თვისებრივად ახალმა როლმა განაპირობა. კერძოდ, ამ პერიოდიდან არსებითად იცვლება სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების გადიდების სასარგებლოდ.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის მკვეთრ შეცვლას (აგრეთვე ამავე პერიოდში მძიმე მრეწველობის დარგების უპირატეს განვითარებაზე აქცენტის აღებას) გარკვეულწილად მთიდან მოსახლეობის მიგრაციაც უნდა მოჰყოლოდა, რადგან ბარში სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას დამატებითი შრომითი რესურსები ესაჭიროებოდა. ამ მიზნით ამუშავდა საბჭოთა პროპაგანდის ყველა საშუალება, მათ შორის კინოხელოვნებაც. გაჩნდა კინოფილმები „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან", „საბუდარელი ჭაბუკი" და სხვა, რომლებიც მთიელებს ბარისაკენ უხმობდნენ. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მთიდან მოსახლეობის მიგრაცია ბარში საბჭოთა პერიოდში ადრე თუ გვიან მაინც მოხდებოდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ თუ მთას ისტორიულად თავდაცვითი (სასაზღვრო), სოფლის მეურნეობის პროდუქციის (ხორცი, რძე, ერბო, ტყავი, მატყლი და ა.შ.) წარმოებისა და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, მატერიალურ, ინტელექტუალურ და კულტურულ ღირებულებათა შენახვის (შენარჩუნების) ფუნქცია ეკისრებოდა, ახალ რეალობაში მთიელი კაცი პრაქტიკულად უფუნქციოდ და არსებობისათვის საჭირო ფულადი შემოსავლების გარეშე დარჩა. მთის ყველა ისტორიული ფუნქცია სახელმწიფომ „იკისრა". ასეთი იყო „საკავშირო ხედვა" ქვეყანაში ეკონომიკური ზრდისა და მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესების, პოლიტიკურ-ეკონომიკური შეცდომების დაშვებისა და მათი გამოსწორების პრაქტიკა. სულ მალე, როცა ნათლად გამოიკვეთა მთის დაცარიელების უარყოფითი ეკონომიკური და სოციალური შედეგები, იგივე საბჭოთა ხელისუფლება ბევრს ეცადა გამოესწორებინა დაშვებული შეცდომა, მაგრამ მან ეს მაინც ვერ მოახერხა (მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსების მობილიზების მეშვეობითაც). საქმეს ვერც მატერიალური სტიმულირების ახალმა მეთოდებმა და ვერც ახალმა ლიტერატურულმა ნაწარმოებებმა და კინოფილმებმა უშველა, რომლებიც ახლა უკვე საპირისპირო

პროპაგანდას ეწეოდნენ ("მთას დაუბრუნდა მთიელი", „ცისკრის ზარები", "თუში მეცხვარე" და სხვ.). მთა კვლავაც იცლებოდა. დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდისათვის მთა, იშვიათი გამონაკლისების გარდა, პრაქტიკულად დაცარიელებული იყო. ერთ დროს მთიელებით დასახლებული ადგილები არცთუ იშვიათად უცხო ტომებით იყო დაკავებული. მთის სიკეთით (განსაკუთრებით სათიბ-საძოვრებით) ჩვენი ახლო მეზობლები სარგებლობდნენ.

საქართველოს დამოუკიდებლობამ უწინარეს სარეალიზაციო ამოცანათა შორის მთისა და ბარის ისტორიული ფუნქციის აღდგენა, ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის გათანაბრების საკითხი დააყენა. ამ მიმართულებით გადაიდგა პირველი ნაბიჯებიც, მაგრამ, მიუხედავად ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი ორგანოების ძალისხმევისა, რეგიონთა შორის, აგრეთვე მთასა და ბარს შორის განვითარებაში არსებული მნიშვნელოვანი განსხვავების დაძლევა და მათი გაწონასწორებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა. ისინი არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, რასაც საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შესრულებული გამოკვლევები და საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის შესაბამისი დაკვირვების მასალებიც ადასტურებენ.

ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მიმართულება – რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა – ორიენტირებული უნდა იყოს რეგიონების მიმართ დიფერენცირებული მიდგომების განხორციელებაზე, რაც აისახება ქვეყნის ეკონომიკური გაერთიანების როგორც სტრატეგიული, ისე ტაქტიკური მიზნების ფორმირებასა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტერიტორიული პროპორციების სრულყოფაში.

ტერიტორიულ ერთეულებში არსებული განსხვავებული ეკონომიკური მდგომარეობის გათანაბრების მიზნით უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ეკონომიკის განვითარებისათვის სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი საფინანსო რესურსების, გრანტების, შეღავათიანი კრედიტებისა და სხვა დახმარების სწორად წარმართვასა და

რაციონალურ გამოყენებას. ამავე მიზნით პრიორიტეტული უნდა გახდეს ტერიტორიული ერთეულების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსური და სახელმწიფო რეგიონული მიზნობრივი პროგრამების შემუშავება და რეალიზაცია.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საბიუჯეტო შემოსავლების რეგიონთა შორის გადანაწილების სისტემის სრულყოფას, რადგან სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულთან მიმართებაში ამჟამად მოქმედი ნორმატივები (სახელმწიფო გადასახადებიდან ადგილობრივ ბიუჯეტებში მიმართული ანარიცხები) არაოპტიმალური და არამართლზომიერია. იგი გაუმართლებელ შეღავათებს ანიჭებს ცალკეულ რეგიონებს და ამით მნიშვნელოვნად ზღუდავს როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ბიუჯეტების შესაძლებლობებს რიგი სასიცოცხლოდ აუცილებელი პირობების მოგვარების საქმეში. ამდენად, საჭიროა რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის რეგულირების ამ უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო ინსტრუმენტების სრულყოფა, ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯვითი ნაწილის მინიმალური დონის დადგენა და სტაბილური შემოსავლებით ხარჯების უზრუნველყოფის (დაფარვის) პრინციპების სრულად გათვალისწინება.

სხვადასხვა რეგიონში სოციალურ-ეკონომიკური გათანაბრების სამართლებრივ დონეზე განხორციელების მიზნით საჭიროა შესაბამისი ნორმატიული აქტების მომზადება, რომლებითაც მოწესრიგდება ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოთა საბიუჯეტო უფლებამოსილებანი, საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებში მონაწილეობისა და, რაც მთავარია, მუნიციპალურ (ადგილობრივ) საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის, სარგებლობის (იჯარით გაცემის) და სხვა საკითხები, რომლებიც საგრძნობლად შეუწყობენ ხელს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ფუნქციონირების საფინანსო-ეკონომიკური და ორგანიზაციული ბაზის განმტკიცებასა და მათი მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებას.

ქვეყნის რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების უზრუნველყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ფაქტორი რეგიონებში არსებული რესურსების საწარმოო-ეკონომიკური და ტექნიკურ-ტექნოლოგიური პოტენციალის

გამოვლენა და მათი რაციონალური გამოყენებაა.

ქვეყნის საერთო ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრინციპებიდან გამომდინარე, რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა უნდა ემსახურებოდეს კერძო მეწარმეობისა და მცირე ბიზნესის განვითარების სტიმულირების, მოსახლეობის დასაქმების პრობლემის გადაჭრისა და მისი გარანტირებული ფულადი შემოსავლების უზრუნველყოფას ადგილობრივი საწარმოო და შრომითი პოტენციალის უფრო ეფექტიანი (რაციონალური) გამოყენების საფუძველზე. ამ მიზნით საჭიროა გააქტიურდეს მუშაობა რეგიონებში არსებული მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსების ათვისებისა და სამეურნეო ბრუნვაში მოსაქცევად, ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორების მოსაზიდად და სხვ.

ქვეყნის შიდა რეგიონული სპეციფიკისა და თავისებურებათა გათვალისწინებით ძირითადი აქცენტი გადატანილ უნდა იქნეს აქტიური რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებაზე, რაც, თავის მხრივ, გარკვეულ პროტექციონიზმსაც გულისხმობს ცალკეული რეგიონების მიმართ. ამ კუთხით განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს რეგიონული მიზნობრივი პროგრამების შემუშავებასა და მათ რეალიზაციას. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე როგორც ყველა რეგიონისათვის შემუშავებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საშუალო ვადიანი პროგრამების, ისე რეგიონული მიზნობრივი პროგრამების რეალიზაცია მხოლოდ კამპანიური ხასიათისაა. უფრო მეტიც, სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ჩამონათვალში შეტანილი რეგიონული პროგრამები ვერ ხვდება სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში და არც ფინანსდება. აღნიშნულის გამო რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ პირობათა გათანაბრება ვერ ხერხდება.

მიგვაჩნია, რომ რეგიონებს შორის არსებული მნიშვნელოვანი განსხვავების თანდათან დაძლევა, განვითარების დონეთა გათანაბრება ამ რეგიონებში შრომითი და სამეწარმეო აქტიურობის ამაღლების ხელშემწყობი პირობების შექმნის გზით უნდა ხორციელდებოდეს. ამ თვალსაზრისით გარკვეულ მხარდაჭერას მოითხოვს ცალკეული რეგიონების დეპრესიული ტერიტორიული ერთეულები, მათ შორის მთის და მაღალი

მთის რაიონები, სადაც მოსახლეობის ცხოვრების შედარებით მძიმე პირობებია. აქ მკვიდრი მოსახლეობის მიგრაციული პროცესების შეჩერების აუცილებლობიდან გამომდინარე, ხელისუფლება პრიორიტეტული მხარდაჭერის ეკონომიკურ პოლიტიკას უნდა ახორციელებდეს. ხელისუფლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს უთუოდ შეუძლია გარკვეული გარდატეხის შეტანა, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი ქაღალდზე რჩება. ასე, მაგალითად, 2001 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დროული და საჭირო კანონი „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ". ამასთან, განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები სხვადასხვა ნორმატიულ აქტებში, რომლებითაც გათვალისწინებული იყო მნიშვნელოვანი შეღავათების დაწესება მაღალი მთის რაიონებში მცხოვრები სხვადასხვა კატეგორიის მუშაკებისათვის, მაგრამ საბიუჯეტო შემოსავლების სფეროში არსებულმა ქრონიკულმა გარღვევებმა შეუძლებელი გახადა მათი სრული ძალით ამოქმედება და ადგილზე ვითარების გაჯანსაღება.

ერთადერთი იმედი, რაც ამ ეტაპზე რჩება, – ესაა მსოფლიო ბანკის დაფინანსებით საქართველოში მოქმედი მთისა და მაღალი მთის რაიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა, რომლის ძირითადი მიზანია, დაეხმაროს მთის რაიონების მოსახლეობას შემოსავლების ზრდასა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვაში, რესურსული ბაზის მართვის გაუმჯობესებაში, ფინანსური, ტექნიკური და კომერციული მომსახურების ხელმისაწვდომობის სრულყოფაში, გარემოს რეაბილიტაციასა და თემზე დაფუძნებული ინსტიტუციური მექანიზმების დანერგვაში, საზოგადოების შესაძლებლობების გაძლიერებაში მთის რეგიონის საჭიროების განსაზღვრასა და მასზე ადეკვატური რეაგირებისათვის შესაბამისი ინსტიტუციური მექანიზმების შექმნაში.

პროგრამა ითვალისწინებს „განვითარების საინიციატივო ფონდის" ჩამოყალიბებას, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსური სახსრების მოძრაობას საჭიროებისამებრ. გათვალისწინებულია ასევე საკრედიტო კავშირების შექმნა, საკვები ბაზის

განვითარებისათვის სესხების გაცემა, მეცხოველეობის პროდუქტების ადგილზე გადამუშავებელი მცირე საწარმოების მოწყობა, ვეტმომსახურების გაუმჯობესება, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის ამაღლებისათვის მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვა, საირიგაციო სისტემების რეაბილიტაცია და ა.შ. პროგრამის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს სოციალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია წარმოადგენს. იგი გულისხმობს სასმელი წყლით მომარაგების სისტემების გაუმჯობესებას, სკოლების, საბავშვო ბაგა-ბაღების, სამედიცინო პუნქტების, სოფლის გზების, ხიდებისა და სხვა ობიექტების რეაბილიტაციას. საყურადღებოა, რომ გარემოს მართვის ჯგუფის ბაზაზე მომავალში შეიქმნება „მთის რაიონების განვითარების სააგენტო", რომლის ძირითადი მიზანი საქართველოს მთის რაიონების განვითარების დაგეგმვა, სტრატეგიის ჩამოყალიბება და მისი რეალიზაციის გზების განსაზღვრა იქნება.

ქვეყნის რეგიონებს შორის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უთანაბრობის გამოსწორებასა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაში მიმდინარე ეტაპზე განსაკუთრებული როლი რეგიონულ ჭრილში საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა სწორ ორგანიზაციას ეკისრება. ყოველივე ეს არა მარტო რეგიონის საექსპორტო პოტენციალის რეალიზაციას, არამედ რეგიონული ბაზრების (შიგა ეროვნული ბაზრის ტერიტორიული სეგმენტების) ფორმირებას, მათი ოპტიმიზაციისა და რეგულირების საკითხებსაც უკავშირდება. ამდენად, რეგიონთაშორისი კავშირურთიერთობის (მათ შორის საწარმოო-ეკონომიკური) გააქტიურება და გაღრმავება მუდმივი პრიორიტეტების კატეგორიას უნდა განეკუთვნებოდეს. ამ მიმართულებით არ შეიძლება არ იქნეს გათვალისწინებული ევროპა-აზიის სატრანსპორტო დერეფნის ფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები ამა თუ იმ რეგიონის ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის შემუშავების დროს, რადგან აღნიშნული დერეფანი არსებითად ცვლის რეგიონების ეკონომიკურ სპეციალიზაციას, დასაქმების დონესა და სტრუქტურას. პრინციპულად ახალი მიდგომით წყდება რეგიონული ეკონომიკის ისეთი საკითხები, როგორიცაა ბუნებრივი რესურსების გამოყენების,

მიწათსარგებლობის, გასაღების ბაზრის, სერვისის, ეკოლოგიური წინასწორობის და სხვა პრობლემური საკითხები.

რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეთა შორის არსებული განსხვავების შერბილებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის გარკვეული გათანაბრების მიზნით რეგიონული პოლიტიკის რეალიზაციის ორგანიზაციულ-ეკონომიკურ სისტემაში განსაკუთრებული ადგილი საბიუჯეტო შემოსავლების სამართლიანი განაწილების საკითხს უკავია. მხედველობაში გვაქვს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში სატრანსფერო პოლიტიკის განხორციელების და მისი სრულყოფის პრობლემა. აღსანიშნავია, რომ ახლანდელი სატრანსფერო პოლიტიკა ვერ უზრუნველყოფს რეგიონულ ჭრილში შემოსავლების სამართლიან განაწილებას. პირიქით, იგი ხელს უწყობს ამ მნიშვნელოვან საქმეში სუბიექტურ მიდგომებს, ლობირებას, პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოქცევას და ა.შ. მოკლედ თუ ვიტყვით, სატრანსფერო პოლიტიკა არ შეესაბამება რეგიონებში არსებულ ეკონომიკურ სიტუაციას. ამდენად, საჭირო ხდება რეგიონული ბიუჯეტებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადასაცემი ტრანსფერების გაანგარიშების მეთოდოლოგიისა და, შესაბამისად, ისეთი ეკონომიკური მექანიზმის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ტერიტორიული ბიუჯეტების სამართლიან დაფინანსებას, ეკონომიკის განვითარებასა და მოსახლეობის ცხოვრების დონის არსებით გათანაბრებას რეგიონულ ჭრილში.

მთისა და მაღალი მთის რეგიონების პრობლემა პრაქტიკულად მთელი მსოფლიოს პრობლემაა. მას აგრარული წარმოებისათვის ნაკლებად ვარგის ტერიტორიად (აქ მსოფლიოს სახნავი მიწების ფონდის 12%-ია განლაგებული) და, ამდენად, სახელმწიფო მხარდაჭერის ობიექტად მიიჩნევენ. ამ მიმართულებით ევროკავშირმა ჯერ კიდევ 1975 წელს პირველად განსაზღვრა ასეთი რეგიონები და მათში მაღალი მთისა და ნაკლებად პროდუქტიული მიწების ორი ტიპი გამოყო. ასეთ ტერიტორიებზე მცხოვრებთ (რომელთა საერთო ფართობი ტერიტორიის 40% შეადგენს) და საქონელმწარმოებლებს ხელისუფლება უხდის პირდაპირ კომპენსაციას ფართობის ან პირუტყვის ერთეულზე. ჩვენს სინამდვილეში კი, სამწუხაროდ,

ამ მიმართულებით დღემდე არსებითად არაფერი გაკეთებულა, რის გამოც ქვეყნის მთიანეთში კვლავაც გრძელდება ნიადაგების ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიული პროცესები, თითქმის განახევრდა სახნავ-სათესი ფართობები, იზრდება ზვავსაშიში და მეწყერსაშიში კერების რიცხვი, უარესდება მოსახლეობის ცხოვრების დონე და, ბუნებრივია, იზრდება ბარისაკენ წამსვლელთა რიცხვი.

მდგომარეობის გამოსწორებისათვის აგრარული პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად მთის რაიონების სამეურნეო და ბუნებრივი პოტენციალის რაციონალური გამოყენება, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება, რეგიონის მდგრადი ეკონომიკური განვითარება უნდა გახდეს. ამისათვის კი საჭიროა კონკრეტული სამოქმედო გეგმის შემუშავება და რეალიზაცია.

საქართველოს მთის ზონის მეწარმეთა ეკონომიკური დახმარების საბჭოური მექანიზმი სოფლის მეურნეობისა და პირველ რიგში კოოპერაციული სექტორის ხარჯზე ხორციელდებოდა. შეუძლებელია მისი ნაკლოვანი მხარეებისა და ნეგატიური მოვლენების უარყოფა იყო ფონდების ფორმირების, განაწილების და მოხმარების საქმეში, მაგრამ პრინციპში იგი მაინც სწორი ჩანაფიქრი იყო, რადგანაც განსხვავებულ ბუნებრივ პირობებში მყოფ მეწარმეთა დახმარებისაკენ იყო მიმართული.

ჩვენი აზრით, დღეისათვის მთის რაიონების განვითარების პოლიტიკის ძირითადი მიზანი უნდა იყოს:

– მოსახლეობის რიცხოვნობის სტაბილიზაცია და ზრდა;

– კულტურული ლანდშაფტების, როგორც საერთო ეროვნული საკუთრების, შენარჩუნება;

– მთის რაიონებში ეკონომიკურად პროდუქტიული ზონების შენარჩუნება;

– საზღვრის დამცველთა კონტინგენტის უზრუნველყოფა ადგილობრივი წარმოების სურსათით;*)

---

*) ამ მიზნით ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული სახელმწიფო დაკვეთების პრაქტიკა, რაც სასაზღვრო ჯგარის გარანტირებულ გამოკვებას და ამ ზონაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების გეგმაზომიერ განვითარებას უზრუნველყოფს.

– სოფლის მეურნეობის, აგროტურიზმისა და საკურორტო ინფრასტრუქტურის განვითარება.

ამ მიზნის რეალიზაციასა და მთაში არსებულ პრობლემათა გადაჭრას უდავოდ წაადგება „განსაკუთრებული სახელმწიფო საკრედიტო პროგრამის" შემუშავება მთის რაიონებისათვის, რომლებიც პრაქტიკულად ხელახლა ასათვისებელია (მოსახლეობის დასაქმება-დამკვიდრება, მთისათვის ქვეყნის თავდაცვითი ზოლის ფუნქციის აღდგენა, აგროსასურსათო ბალანსის ფორმირებაში საკუთარი ადგილის მიჩენა და სხვ.). ყოველივე ამას დიდი ეროვნული (სტრატეგიული) დატვირთვა აქვს. ამისათვის საქართველოს მთავრობამ სპეციალური პროგრამა უნდა შექმნას ევროგაერთიანების თანამონაწილეობით და ალპური კონვენციის ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით, რომელთანაც საქართველოა შეერთებული.

მთის რაიონები მდგრადი განვითარებისათვის საჭიროებენ განსაკუთრებული სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას სოფლის მეურნეობაში, რომელმაც უნდა უზრუნველყოს:

– სასოფლო-სამეურნეო სავარგულების და დაცული ტერიტორიების შენარჩუნება და დაცვა;

– გლეხურ-ფერმერული მეურნეობებისა და კოოპერაციული გაერთიანებების განვითარება; ფერმერთა (გლეხთა) ეროვნული კავშირების (ასოციაციების) დაფუძნება სოფლის, თემის და რაიონის დონეზე;

– ანალიტიკურ-ინფორმაციული სამსახურის ფორმირება;

– გარემოს დაცვა და გაჯანსაღება;

– მეცხოველეობის პროდუქციის (განსაკუთრებით ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის) წარმოების განვითარებისა და რეალიზაციისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა;

– ადგილობრივი წარმოებისა და ხალხური რეწვის პროდუქციის რეალიზაციის ხელშემწყობი პირობების შექმნა;

– ახალგაზრდა ფერმერთა საქმიანობის მხარდაჭერა და წახალისება (საგადასახადო და სხვა შეღავათების დაწესება);

აღნიშნული და სხვა მიზნების მისაღწევად სახელმწიფო ბიუჯეტის განმტკიცების კვალობაზე შესაძლებლად მიგვაჩნია განხორციელდეს შემდეგი პროგრამები:

1. ადგილზე შესასყიდი და საცალო საექსპორტო ფასებს შორის განსხვავების დასაფარავი სუბსიდირების სახელმწიფო პროგრამა;

2. კომერციული ბანკიდან აღებულ სესხზე საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირების პროგრამა;

3. სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტის სტიმულირების პროგრამა;

4. სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას შორის პროდუქციის ნაკადების პარიტეტული მიმოქცევის მხარდაჭერის პროგრამა;

5. სოფლად საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების, მთის რაიონების რეაბილიტაციის პროგრამა და სხვა, რომელთა საერთო მიზანი სოფლის მეწარმეთა მხარდაჭერა და სტაბილური მაღალრენტაბელური მეურნეობის შექმნა იქნება.

დღეს, როცა გარდამავალ ეტაპზე მყოფი ქვეყანა თანამედროვე ცოდნით შეიარაღებული კადრების ნაკლებობას განიცდის, განსაკუთრებულ საჭიროებას სათანადო კადრების მომზადება-გადამზადების პრობლემა წარმოადგენს. სახელმწიფომ უნდა შექმნას სათანადო კადრების მომზადების სრულყოფილი სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს თანამედროვე მენეჯერების, ტექნოლოგებისა და სხვა სპეციალობათა კადრების მომზადებას, მიმდინარე რეფორმების ორგანიზებულად გაძღოლასა და მეურნეობრიობის საბაზრო ფორმების მოკლე დროში დამკვიდრებას.

2.4. აგროსამრეწველო, სასურსათო კომპლექსის განვითარების თანამედროვე მდგომარეობა, ძირითადი პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები

ეკონომიკის საბოლოო მიზანია საქონლისა და მომსახურების წარმოება დღევანდელი და მომავალი მოხმარებისათვის. მე ვფიქრობ, რომ გაწირვების ტვირთი ყოველთვის იმათ უნდა დაეკისროს, ვინც ნაკლებს აწარმოებს და არა მეტს, და ასევე იმათაც, ვინც სრულად არ იყენებს მათ განკარგულებაში არსებულ ადამიანებს, მოწყობილობას ან მიწას. გვაოცებს ის, რომ ამ დანაკარგების გამართლების მიზნით შეიძლება მოვიტანოთ რამდენიმე მიზეზი; ინფლაციის საფრთხე, საგადასახდელო ბალანსის დეფიციტი, მთავრობის დაუბალანსებელი ბიუჯეტი, უზომო სახელმწიფო ვალი, დოლარისადმი ნდობის დაკარგვა.

ჯეიმს ტომინი,

„ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკა“

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გრძელვადიან პერსპექტივაზე ორიენტირებული ეკონომიკური ზრდის სტაბილური ბაზის შექმნის ამოცანა მთელი რიგი ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ფაქტორების კომპლექსურ ამოქმედებას მოითხოვს, რომელთა შორის განვითარების დღევანდელ ეტაპზე უპირატესობა სიღარიბის დაძლევაზე მაქსიმალურად ორიენტირებულ, ანუ სოციალურად ღირებულ ეკონომიკური ზრდის ფაქტორებს უნდა მიეცეს. აღნიშნულის გათვალისწინებით, უახლოეს პერიოდში ხელისუფლების სოციალურ-ეკონომიკურმა პოლიტიკამ მიზნად უნდა დაისახოს ეკონომიკური ზრდის მიღწევა და ქვეყნის წინაშე მდგომი ძირითადი ამოცანის – სასურსათო უშიშროების პრობლემის გადაწყვეტა. ამ მიზნით საჭიროა ეკონომიკური ზრდის ყველა რესურსის და რეზერვის ამოქმედება, შემოსავლების გაზრდა და მისი განაწილების ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება. ამ პრობლემის გადაჭრა უშუალოდაა დამოკიდებული აგროსამრეწველო, სასურსათო კომპლექსის მთელი სისტემის უფრო ეფექტურ ფუნქციონირებაზე და პოტენციალური შესაძლებლო-

ბების სრულად გამოყენებაზე, საბაზრო ეკონომიკის პირობებთან ამ სფეროს დროულ და ეფექტურ ადაპტაციაზე.

ქვეყნის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე აღნიშნული ამოცანა ადრეც იდგა, მაგრამ ახლა ის უფრო მნიშვნელოვანია იმით, რომ იგი საფუძველს უყრის დამოუკიდებელი საქართველოს განვითარებას და ხდება ქვეყნის სუვერენიტეტის შენარჩუნების და განმტკიცების, მისი ეკონომიკური ზრდის დაჩქარების არსებითი გარანტი.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ აგროსამრეწველო, სასურსათო კომპლექსის რეფორმირების პროცესში დაშვებულმა შეცდომებმა მნიშვნელოვნად შეასუსტა კომპლექსის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და პროდუქტიულობა, რაც სხვა მიზეზებთან ერთად ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისის წარმოშობის ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი გახდა.

მართალია წინ წამოიწია სასურსათო პროდუქტების მწარმოებელი დარგების პრიორიტეტულმა განვითარებამ, მაგრამ იგი მიმდინარეობს სტიქიურად. საექსპორტო და შიდა მოხმარების პროდუქტების წარმოებას შორის პროპორციები მინიმალურადაც ვერ პასუხობს ქვეყნის სასურსათო პრობლემების გადაწყვეტისა და საექსპორტო პოტენციალის ამაღლების ამოცანებს. ეს ხდება ადგილობრივი საწარმოო რესურსების არარაციონალურად გამოყენების პირობებში, ქვეყნისა და მისი რეგიონების პერსპექტიული განვითარების საზიანოდ.

შესაბამისი მასალების ანალიზიდან ჩანს, რომ უკანასკნელ პერიოდში აგროსამრეწველო, სასურსათო კომპლექსის მთლიანი პროდუქციის ღირებულებაში, მატერიალურ დანახარჯებში, წმინდა პროდუქციის ღირებულებაში, ძირითადი ფონდებისა და მატერიალური დანახარჯების სტრუქტურაში მნიშვნელოვანი უარყოფითი ხასიათის ცვლილებები მოხდა. კერძოდ, გარდამავალ პერიოდში წარმოიშვა სერიოზული დისპროპორციები მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის. გაიზარდა სოფლის მეურნეობის (II სფეროს) ხვედრითი წილი კომპლექსის საერთო პროდუქციაში, რაც კომპლექსის არარაციონალურ და არაეფექტურ სტრუქტურაზე მიუთითებს. აღნიშნულს ობიექტური მიზეზი გააჩნია. კერძოდ, სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფის აუცილებლობამ გარკვეულად შეცვალა

სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა. მეწარმის ინტერესებში მოექცა ნაკლებად კაპიტალტევადი და მასალატევადი პროდუქციის წარმოება. თუმცა, მისი საქონლიანობის დონე, საბაზისო დარგებთან შედარებით, გაცილებით ნაკლებია, მაგრამ სამაგიეროდ, სურსათით თვითუზრუნველყოფის გარანტიები ნაწილობრივ მაინც შექმნილია. საკუთარი მოთხოვნილებისა და მხოლოდ შიდა ბაზრის მოთხოვნილებაზე ორიენტირებული პროდუქციის წარმოების გაფართოებამ გამოიწვია მიწათმოქმედების გაძღოლის მეცნიერულად დასაბუთებული სისტემების მოშლა. ექსტენსიურ პირობებში წარმოებამ და მძიმე კლიმატურმა პირობებმა სოფლის მეურნეობა ვერ უზრუნველყო გარანტირებული მაღალი შემოსავლებით, რის გამოც შეუძლებელი შეიქმნა კაპიტალის დაგროვება თუნდაც მარტივი კვლავწარმოების პროცესის უზრუნველსაყოფად.

მიუხედავად ბოლო წლებში წარმოების უმნიშვნელო გამოცოცხლებისა, ქვეყანაში ჯერ კიდევ სახეზეა ეკონომიკური კრიზისი, რომელიც განაპირობებს სერიოზულ დეფორმაციებს ეკონომიკურ ურთიერთობებში. ყოველივე ზემოაღნიშნული იმაზე მეტყველებს, რომ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდა და დემოკრატიული გარდაქმნების ბედი, მიმდინარე ეტაპზე მჭიდროდაა დაკავშირებული ეკონომიკური რეფორმების წარმატებაზე, ინვესტიციების მოზიდვასა და მათ ეფექტურ გამოყენებაზე. თუმცა, თუ ამ კუთხით გავაანალიზებთ მდგომარეობას, დავინახავთ, რომ ამ მხრივაც არასახარბიელო მდგომარეობაა. კერძოდ, 2001 წელს საერთო ინვესტიციების მოცულობამ აგროსამრეწველო, სასურსათო კომპლექსში მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 2% შეადგინა, ხოლო სახელმწიფო ინვესტიციების გეგმით გათვალისწინებულმა მოცულობამ (2001 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით) საერთო ხარჯების 0,5%-ი. ეს მაშინ, როდესაც აქ იწარმოება ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 30%-ზე მეტი.

ასეთ პირობებში ცხადია, რომ ეკონომიკური ციკლის დეპრესიის ფაზიდან ეკონომიკური ზრდის ფაზაზე გადასვლის პროცესი მნიშვნელოვან ობიექტურ სიძნელეებს აწყდება. მით უმეტეს, რომ ეკონომიკის რეფორმირების პროგრამებში აშკარად ჭარბობს მისი ტრანსფორმაციის არასაკმარისად გააზრე-

ბული მიდგომები. რეგულირების სახელმწიფო მექანიზმების მკვეთრმა შესუსტებამ (უფრო სწორად, საერთოდ უგულვებელყოფამ) არსებითად მოშალა სოციალურ-ეკონომიკური პროცესების განვითარების მართვადობა და მნიშვნელოვნად შეაფერხა აგროსამრეწველო, სასურსათო კომპლექსის განვითარება.

საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების ძირითადი მაჩვენებლები 1988-2001 წლებში

ცხრილი 2

მაჩვენებლების დასახელება	ზომის ერთეული	წლები					2001 წ. შედარებით 1988 წ. %
		1988	1990	1995	1998	2001	
1. ასკ-ს მთლიანი პროდუქციის ღირებულება	მლნ. ლარი	12248,3	10218,8	5066,7	5891,5	6231,6	50,8
მათში:							
I სფერო		1285,8	988,5	514,5	697,3	725,3	56,4
II სფერო		5022,4	4104,5	2041,1	2240,4	2046,1	40,7
III სფერო		5262,7	4510,7	2115,2	1975,1	2799,1	53,2
IV სფერო		677,4	615,1	395,3	978,7	666,3	97,2
2. ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულება		10017,6	9597,1	7145,4	7814,2	7810,0	77,1
3. მატერიალური დანახარჯები		6130,6	5905,2	2715,7	3210,4	3411,0	55,6
4. წმინდა პროდუქციის ღირებულება		6117,7	4313,6	2351,2	2681,1	2920,6	46,4
5. მომუშავეთა რიცხოვნობა	ათასი კაცი	1010,3	959,4	795,4	810,6	812,9	80,5
6. შრომის ნაყოფიერება	ლარი	1212,3	1065,1	673,0	726,8	766.2	63,2
7. ფონდუკუგება	ლარი	1,22	1,06	0,70	0,75	0,79	64,7

ცხრილიდან ჩანს, რომ 1988 წლიდან 1995 წლამდე აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა სფეროში მკვეთრად ეცემა პროდუქციის წარმოება, ძირითადი საწარმოო ფონდებისა და

მატერიალური დანახარჯების მოცულობები, ასევე, მცირდება წმინდა პროდუქციის მოცულობა, მუშაკთა დასაქმება და წარმოების ეფექტიანობის მაჩვენებლები.

ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ხვედრითი წილის დინამიკა ქვეყნის შიდა პროდუქტში. საყურადღებოა, რომ აგრარული სექტორის წილი მთლიან შიდა პროდუქტში ყველაზე მაღალი 1995 წელს იყო, რაც ამ პერიოდისათვის ეროვნული მეურნეობის სხვა დარგების ღრმა დეპრესიული მდგომარეობის დადასტურებას წარმოადგენს (დიაგრ. 1).

დიაგრამა 1

სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი
მთლიან შიდა პროდუქტში



როგორც დიაგრამიდან ჩანს, დინამიკაში სოფლის მეურნეობის ადგილი ქვეყნის ეკონომიკაში გარკვეულ ცვლილებებს განიცდის, მაგრამ იგი, როგორც განსაკუთრებული ინდიკატორი, კარგად გვიჩვენებს რეფორმირების პერიოდში გატარებული ღონისძიებების დაბალ ეფექტურობას, როგორც სოფლად, ასევე ეროვნული მეურნეობის სხვა დარგებში.

საბჭოთა კავშირის სივრცეში საქართველო იყო კვების პროდუქტების ნეტო-ექსპორტიორი და ე.წ. საკავშირო ფონდში ბოსტნეულის,ხილის, საადრეო კარტოფილის, ჩაის, ციტრუსების, ღვინის, ღვინომასალების, თამბაქოს, ეთერზეთების, ხილ-ბოსტნეულის კონსერვების და სხვადასხვა კონცენტრატების

ერთ-ერთი მთავარი მიმწოდებელი. 80-იანი წლების მეორე ნახევარში საქართველოს წილი კვების პროდუქტების რესპუბლიკათაშორის ვაჭრობაში 10%-ზე მეტს შეადგენდა. ამასთან, კვების პროდუქტების ექსპორტის ღირებულება*) 1,7-ჯერ აღემატებოდა ამ პროდუქტების აღწარმოებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების და მოხმარებისათვის საჭირო სურსათის იმპორტს (მაშინდელი ერთიანი საკავშირო ფასებით).

სოფლის მეურნეობის განვითარების დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ ეტაპზე შეუძლებელია საქართველოში მარცვლეულის, მეცხოველეობის პროდუქტების, შაქრის, მცენარეული ზეთისა და ზოგიერთი სხვა პროდუქციის იმ რაოდენობით წარმოება, რომ შესაძლებელი გახდეს მოსახლეობის მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილება ფიზიოლოგიური ნორმების შესაბამისად.

ეს იმითაცაა განპირობებული, რომ აგროწარმოებასთან ერთად, აღნიშნულ პერიოდში მნიშვნელოვანი ვარდნა განიცადა კომპლექსის მეორე ძირითადმა სფერომაც – კვებისა და გადამმუშავებელმა მრეწველობამ, რაც ამ დარგში ფაქტობრივად ყველა დასახელების პროდუქციის წარმოების აბსოლუტურ შემცირებაში გამოიხატა. კერძოდ, მკვეთრად დაეცა ჩაის, ღვინის, ხილ-ბოსტნეულის კონსერვების, ეთერზეთების, მინერალური წყლების, თამბაქოს, ასევე ხორცისა და რძის პროდუქტების, თევზის, შაქრის, მცენარეული ზეთის და სხვა პროდუქტების წარმოება, როგორც ნატურალურ, ისე ღირებულებით გამოსახულებაში. ამ სექტორში, რომელშიც საბჭოთა პერიოდში დასაქმებული იყო 78-80 ათასი კაცი, მკვეთრად გაუარესდა დარგის ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლები (ფონდუკუგება, შრომის ნაყოფიერება, რენტაბელობა და სხვ.). ძირითადი მიზეზი აღნიშნული ვარდნისა, საწყის ეტაპზე ტრადიციული ეკონომიკური კავშირების მოშლა, გარედან ნედლეულის შემოტანის შეწყვეტა, ხოლო შიდა ბაზარზე მისი შეძენის შეუძლებლობა აღმოჩნდა (ფინანსების უქონლობის გამო).

---

*) საკავშირო ფონდებში პროდუქციის მიწოდება, წიგნში პირობითად, ექსპორტადაა მიჩნეული, ხოლო იგივე ფონდებიდან მიღებული პროდუქცია, მ.შ. სურსათი – იმპორტად.

შემდგომში მას დაემატა კვების მრეწველობის საწარმოთა ნაჩქარევი და არასწორი განსახელმწიფოებრიობა, პრივატიზება (განსაკუთრებით პირველადი გადამუშავების საწარმოების), სხვადასხვა სამართლებრივ-ორგანიზაციულ ფორმებად ფორმალური გარდაქმნა, რასაც, ბუნებრივია, რაიმე არსებითი შედეგის მოტანა არ შეეძლო. ამდენად, როგორც კვების მრეწველობაში, ისე აგრარულ სექტორში შექმნილ მდგომარეობას მრავალი ობიექტური ფაქტორი (მათ შორის პოლიტიკური და ეკონომიკური) განაპირობებს, რომელთა განხილვა არ წარმოადგენს ამ შემთხვევაში ჩვენს მიზანს. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ისინი ურთიერთწარმომქმნელი და ურთიერთგანპირობებული პრობლემებია. კერძოდ, პოლიტიკური პრობლემა წარმოშობს ეკონომიკურს, ეს უკანასკნელი ფინანსურს, რომელიც, თავის მხრივ, ბადებს სოციალურს, ეკოლოგიურს, ტექნიკურ-ტექნოლოგიურს და ა.შ. ერთი სიტყვით, ესაა მთლიანი ჯაჭვი, რომლის სიმტკიცის აღდგენისათვის საჭიროა ყველა მისი შემადგენელი რგოლის საფუძვლიანი შეკეთება ან სრულიად ახალი რგოლის შემატება. მიუხედავად აღნიშნულისა, ამ პრობლემებიდან უნდა გამოვყოთ წმინდა დარგობრივი პრობლემები და მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, ორგანიზაციული ხასიათისა, რადგან მიგვაჩნია, რომ მის დარეგულირებაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული, როგორც ტექნიკურ-ტექნოლოგიური ხასიათის, ასევე დაკრედიტების, აღწარმოების საშუალებებით უზრუნველყოფის, პროდუქციის რეალიზაციის და სხვა საკითხების მოგვარება. მხედველობაში გვაქვს აგროსექტორის მეტად დაქუცმაცებული და დანაწევრებული ბაზის გამთლიანების, გამასივების პრობლემა, რომელიც ქვეყანაში მიწის რეფორმის განხორციელებისას წარმოიშვა.

აგრარულ რეფორმას საქართველოში ორი ძირითადი ამოცანა უნდა გადაეჭრა: მიწების გადანაწილება კერძო, კოოპერაციულ და სახელმწიფო საკუთრებაში და საადგილმამულო ურთიერთობათა მოწესრიგება შესაბამისი კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების მეშვეობით. ასევე უნდა მოეხდინა არსებულ მეურნეობათა რეორგანიზაცია ახალი სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმების დასამკვიდრებლად.

ქვეყანაში ჩატარებულ მიწის რეფორმას და საწარმოთა

რესტრუქტურიზაციას, წვრილი ნატურალური და ნახევრად-ნატურალური გლეხური მეურნეობების შექმნა მოჰყვა, რომელთაც არ აქვთ დიდი პერსპექტივები საქართველოს სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფა'ში. ამასთან, ამ მეურნეობებს არ გააჩნიათ სრულყოფილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მაღალმოსავლიანი ჯიშის სათესლე მასალისა და მაღალპროდუქტიული ჯიშის პირუტყვის, სასუქებისა და შხამქიმიკატების შეძენის საშუალებები, მოკლებულნი არიან სრულყოფილ სერვისულ მომსახურებას და ა.შ. ამ და სხვა პრობლემებს ეს მეურნეობები ერთპიროვნულად და დამოუკიდებლად ვერ წყვეტენ, რის გამოც ვერ აწარმოებენ საჭირო რაოდენობისა და ხარისხის პროდუქციას. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სათანადოდ არ არის მათი ურთიერთობები დარეგულირებული სახელმწიფოსთან, ბანკებთან, გასაღების ობიექტებთან და სხვ. გასაგები გახდება მიწაზე ახლად შექმნილი მეურნეობრიობის ფორმების, მათ შორის გლეხურ-ფერმერული მეურნეობების პრობლემები და საკალალო მდგომარეობა.

აქვე არ შეიძლება არ გავიხსენოთ ამერიკის მაგალითი, სადაც ოჯახური ფერმების შექმნას უკანასკნელ წლებამდე ფართო რეკლამა ეწეოდა (რომ მას შეეძლო გამოეკვება თითქმის მთელი მსოფლიო და ა.შ.). 90-იანი წლებიდან მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. 1992 წლისათვის აქ 6,5 მლნ. წვრილი ოჯახური ფერმიდან 1995 წლისათვის მხოლოდ 1,7 მლნ. ფერმა დარჩა. მათ საფუძველზე აღმოცენდა 87 ათასი მსხვილი სპეციალიზებული აქციონერული მეურნეობა, რომლებიც აწარმოებენ მთელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 27%-ს (აქციონერული მეურნეობები, რომლებიც აწარმოებენ 500 ათასი აშშ დოლარის და მეტ პროდუქციას, მთელი მეურნეობების 6,5%-ია და ამავე პერიოდისათვის ქმნიდნენ მთელი პროდუქციის 62%-ს).

მას შემდეგ, რაც წვრილმა ოჯახურმა ფერმებმა გამოამჟღავნეს თავისი არაკონკურენტუნარიანობა მსხვილ მეურნეობებთან შედარებით, სახელმწიფო დახმარების პოლიტიკის ვექტორი მსხვილი მეურნეობების მხარდასაჭერად მიიმართა, რადგან დამტკიცდა, რომ მხოლოდ მსხვილ მეურნეობებს და გაერთიანებებს შეუძლიათ აითვისონ მოწინავე და პროგრესუ-

ლი ტექნიკა და ტექნოლოგიები, მნიშვნელოვანი ფინანსები, სუბსიდიები, დოტაციები და გადაწყვიტონ სასურსათო პრობლემა ქვეყანაში. რაც შეეხება ოჯახურ ფერმებს, ისინი აქ იმდენად ჩრდილში მოექცნენ, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღრიცხვის ბიულეტენში და შესაბამის ინფორმაციებშიც კი არ ხვდებიან. ამჟამად ფერმერები იძულებულნი არიან უარი თქვან საკუთარი მეურნეობის ერთპიროვნულ საკუთრებაზე და თანდათან გადადიან წარმოების კოლექტიურ ფორმებზე.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ არ არსებობს ყველა პირობებისათვის მისაღები, მიწაზე ერთიანი, ეფექტური მეურნეობრიობის ფორმა, რომ ეს ფორმა ყოველ კონკრეტულ ადგილზე თვით საქონელმწარმოებლებმა უნდა შეარჩიონ კონკრეტული ეკონომიკური და სოციალური გარემოს, ბიოგეოკლიმატური და სხვა პირობების გათვალისწინებით. მაგრამ იმ პირობებში, როცა ჩვენს ქვეყანაში კერძო საკუთრებაში გადაცემული მიწის მთელი ფონდი 1 მლნ-ზე მეტ ნაკვეთადაა დაქუცმაცებული (რომელზეც რაციონალური მიწათმოქმედების განვითარება პრაქტიკულად შეუძლებელია), სოფლის მეურნეობის საწარმოო ბაზის გამსხვილება-გამასივება ნებაყოფლობით საფუძველზე წვრილ მეურნეობათა (მიწის მესაკუთრეთა) გაერთიანების გზით, ყველა შემთხვევაში უნდა განხორციელდეს.

ზემოაღნიშნული პრობლემების გადაჭრა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებისათვის, მიმდინარე ეტაპზე ყველაზე უკეთ შეიძლება მიწაზე მეურნეობრიობის კოოპერატიული ფორმის დაფუძნებით. მეურნეობრიობის ეს ფორმა გარკვეულწილად ხსნის როგორც მიწის დამუშავების, ასევე წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის პრობლემებს და საფუძველს უქმნის შემდგომ ეტაპზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონცენტრაციის უფრო მაღალი დონის მქონე სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმების (აგროკომბინატები, აგროკონსორციუმები და ა.შ.) შექმნას.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები მკაცრად ნებაყოფლობით საფუძველზე უნდა შეიქმნას თითოეული მონაწილის მიერ შეტანილი პაის (წილის) საფუძველზე. მათი დაფუძნებისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შემუშავება (კერძოდ, მისაღებია კანონი

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ, მიწის მესაკუთრეთა ნებაყოფლობითი გაერთიანებების შექმნის წესი და დებულება), რომელშიც „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული კოოპერატივებისაგან განსხვავებით, აისახება მიწაზე მეურნეობრიობის ამ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სპეციფიკური თავისებურებანი და რეგულირების საშუალებები, რაც საჭიროა მათი ნორმალური ფუნქციონირებისათვის. კანონმა „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ" უნდა დაარეგულიროს ამ ფორმის საწარმოთა ორგანიზაციის, ფუნქციონირების, სახელმწიფოსთან ურთიერთობის (ძირითადად გადასახადები) და სხვა საკითხები.

როგორც ცნობილია, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნა და ფუნქციონირება გულისხმობს დამფუძნებელთა მატერიალურ-ფინანსურ საშუალებათა გაერთიანებას საერთო მიზნის მისაღწევად. ეს პრინციპი განსაკუთრებით ღირებულია დღეს, რადგან საქართველოში არსებულ პირობებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლები მოკლებულნი არიან ასეთ საშუალებებს. უცხოელი ექსპერტების გათვლებით, სოფლად მიწაზე მომუშავე 900 ათასი ფერმერიდან მხოლოდ 10%-ს გააჩნია მარტივი ტიპის სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების შეძენის საშუალება. ესაა 30 ლარამდე ღირებულების მცენარეთა შესაწამლი აპარატები, სხვადასხვა ინვენტარი, მოწყობილობა და ა.შ. რაც შეეხება შედარებით ძვირად ღირებულ მექანიზაციის საშუალებებს, სატრანსპორტო და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, მათი შეძენისათვის საჭირო სახსრები არ გააჩნიათ. ხელმიუწვდომელია კომერციული საბანკო კრედიტიც, მაღალი საპროცენტო განაკვეთის გამო.

ყველაზე რეალურ და პერსპექტიულ საშუალებად, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების დასაფუძნებლად მიწის მესაკუთრეთა თანამონაწილეობასთან ერთად უცხოური კრედიტების (შედარებით დაბალი საპროცენტო განაკვეთით) და გრანტების მოზიდვა უნდა იქნეს მიჩნეული. ამ მიმართულებით ქვეყანაში არსებობს დადებითი გამოცდილება მსოფლიო ბანკის პროექტით სოფლის საკრედიტო კავშირების დაარსების სახით. იმავე პრინციპებზე აგებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები (გარკვეული სპეციფიკის გათვალისწინებით) შესაძლოა

მომავალში გახდეს სოფლად მეურნეობრიობის ის ფორმა, რომელიც გააერთიანებს ამჟამად არსებულ საკრედიტო კავშირებსაც და უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანს ამ მოძრაობას.

აღნიშნული წესით დაფუძნებულ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს საშუალება ექნებათ შეიძინონ მიწის სავარგულების დასამუშავებელი მანქანა-იარაღები, საჭირო ინვენტარი და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის აღწარმოებისათვის საჭირო მატერიალური საშუალებები (მინერალური სასუქები, მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებები და ა.შ.), შექმნან წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის საკუთარი ქსელი (დიდ ქალაქებში, მსხვილ სამრეწველო ცენტრებში და დასახლებულ პუნქტებში) და საბოლოო ჯამში მიაღწიოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონკურენტუნარიან დონეს.

სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანის სპეციფიკის, მექანიზაციის დონის, ფართობების მცირეკონტურიანობისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ჩვენი გათვლებით, დღეისათვის ოპტიმალურად უნდა იქნეს მიჩნეული: მარცვლეულის წარმოებისათვის 200-500 ჰა-ის მქონე მეურნეობა; მევენახეობასა და მეხილეობაში – 3-6 ჰა (შესაძლოა 15 ჰა-მდეც), ხოლო მეჩაიეობაში 0,5-3 ჰა-მდე ფართობის ფერმერული მეურნეობები. მცირე ზომის ფერმებში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა – 10-20 სულამდე, დედაღორის – 10-15 სულამდე, ხოლო ცხვრისა – 300-1000 სულამდე.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის დონის გაღრმავების, თავისუფალი მიწის ბაზრის ჩამოყალიბების და სხვა ფაქტორთა ზემოქმედების შედეგად, ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონცენტრაციის მაჩვენებლები თანდათან გაიზრდება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ალბათ უახლოეს მომავალში მაინც გვექნება 3-5, 5-10, 10-20 ჰექტრიან მეურნეობათა სიჭარბე, რაც არ გამორიცხავს სხვადასხვა კულტურათა წარმოების ტექნოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე 50-60 ჰა, 100-500 ჰა და მეტი მიწის ფართობების მქონე მეურნეობათა არსებობას. ამავე მოსაზრებას გამოთქვამდა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე

ა. ასათიანი.[2] მცირე და საშუალო სიდიდის ფერმათა სიჭარბე არ არის საგანგაშო, რამდენადაც ქვეყნების უმრავლესობაში მათი ოპტიმალური სიდიდე ადგილობრივი პირობებით განისაზღვრება და მასშტაბიც საკმაოდ განსხვავებულია. მცირე და საშუალო სიდიდის მეურნეობათა არსებობა ისტორიულად საქართველოში ბუნებრივი პირობებით და სოფლის მეურნეობის მრავალფეროვნებითაა იყო განპირობებული).

ვფიქრობთ, რომ საქართველოს აგროსასურსათო სექტორის რეფორმირება და მისი დროული ადაპტაცია საბაზრო გარემოსთან კვლავაც რჩება ობიექტურ აუცილებლობად. ამასთან, ჩვენი აზრით, რეფორმის სოციალური ორიენტაცია ეროვნული თავისებურებებისა და ისტორიული ტრადიციების გათვალისწინებით უნდა გახდეს ამ სექტორში წარმოების გადიდების, მისი ეფექტიანობის ამაღლებისა და მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში თანაბარ პირობებში ინტეგრირების მნიშვნელოვანი იმპულსი.

აგრარული სექტორის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის სტრატეგია და ტაქტიკა აგებულ უნდა იქნეს არსებული რეალობების გათვალისწინებით, ოპტიმალური სიდიდის კოოპერაციულ, აქციონერულ და სხვა თანაბარუფლებიან საწყისებზე გაერთიანებული ძლიერი მეურნეობების შექმნა-ფორმირებაზე, საექსპორტო პროდუქციის წარმოების გადიდებაზე (მათ შორის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის ხარჯზე, რომელზეც მსოფლიო ბაზარზე განსაკუთრებული მოთხოვნილებაა და რომლის საწარმოო ბაზა საქართველოს თითქმის მთელი მთა და მთისწინეთია). საქართველოს ამ კურსით განვითარების უდიდესი პოტენციური შესაძლებლობები აქვს, მაგრამ იგი სრულად ამოქმედებული იქნება მხოლოდ მაშინ, თუ აგრარული სექტორი აღიარებული იქნება პრიორიტეტულ დარგად და რაც მთავარია, მისი განვითარება წარმართული იქნება სწორი კურსით.

თუ ქვეყანამ შეძლო სოფლად ფერმერთა, გლეხთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების არსებითი გაუმჯობესება, მაშინ

---

[2] ა. ასათიანი – „მიწის საკითხი საქართველოში (სააგრარო კანონის მასალად). თბილისი, 1919 წ.

უნდა ჩაითვალოს, რომ ეს სოციალური ფენა დამაგრებულია ადგილზე და აქვს შრომისა და ეფექტური საქმიანობისათვის შესაფერისი გარემო. ეს სურსათით თვითუზრუნველყოფის ამოცანის გადაწყვეტის და საბიუჯეტო დეფიციტის მნიშვნელოვანი შემცირების ტოლფასია. ამასთან ერთად, აგრარული სექტორის აღორძინება თავის მხრივ, კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის და, საერთოდ, აგროსამრეწველო კომპლექსის მომსახურე დარგების (სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის, კომბინირებული საკვების მრეწველობის, მინერალური სასუქების წარმოებისა და სასურსათო პროდუქციის კვლავწარმოებისათვის საჭირო სხვა დარგების საწარმოთა) ავტომატურ აღორძინებას გამოიწვევს.

საქართველოს აგროსამრეწველო, სასურსათო კომპლექსში საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეკონომიკური სისტემის საფუძველი უნდა გახდეს მიწასა და სხვა ძირითად საშუალებებზე კერძო საკუთრება,[*] რომელიც უზრუნველყოფს მეურნეობის ყველაზე უფრო ეფექტიან წარმართვასა და ეკონომიკურ თავისუფლებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკუთრებას, როგორც სოციალურ კატეგორიას მატერიალური შინაარსი გააჩნია. იგი (ანუ საკუთრება) რეალურად არსებობს მხოლოდ მაშინ, როცა ის ეკონომიკურად რეალიზდება, ე.ი. მეპატრონისათვის მოაქვს მოგება. სხვა შემთხვევაში ის მხოლოდ უფლებრივ კატეგორიად რჩება. ძირითადად ამის შედეგია ის, რომ სახელმწიფო საკუთრების პრივატიზებამ ვერ შეძლო ყაირათიანი, გამრჯე და ეფექტური მეწარმე-მესაკუთრის შექმნა, რადგან ბევრისათვის პრივატიზებული თუ უსასყიდლოდ გადაცემული ქონება (მათ შორის მიწა), ჯერ კიდევ მხოლოდ უფლებრივ კატეგორიად რჩება.

ქვეყნის აგროსამრეწველო, სასურსათო კომპლექსის საბაზრო ეკონომიკასთან დროული და ეფექტური ადაპტაციისა

---

[*] რაც უნდა მდიდარი ქვეყანა იყოს ბუნებით, თუ იქ ჩემი და შენი, ესე იგი კაცთა უფლება და მოვალეობა, ძნელად გასარჩევია და არ არის საყოველთაოდ განსაზღვრული ცხადად და უცილოდ, იქ ხალხის წარმატება და კეთილდღეობა, თუ ყოველდღე უკან არ იწევს, შეფერხებული ხომ არის და არის. ილია ჭავჭავაძე (ტ. VI, 8).

და ეკონომიკური ზრდის არსებითი დონის მისაღწევად აუცილებელია სახელმწიფო საკუთრების პრივატიზებასთან და ახალ, პროგრესულ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმების დამკვიდრებასთან ერთად ისეთი ეკონომიკურ-ორგანიზაციული მექანიზმის შექმნა, რომელიც მოიცავს ერთმანეთთან დაკავშირებულ ელემენტთა შემდეგ ერთობლიობას: ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების საკანონმდებლო ბაზის უზრუნველყოფა; რეგულირების შესაბამისი სტრუქტურების შექმნა; რეგულირების ინსტრუმენტების დადგენა და ამოქმედება; საბაზრო ეკონომიკისათვის შესაბამისი აღრიცხვისა და სტატისტიკური ანგარიშების სისტემის ფორმირება და სხვ. რომელთა მთავარი დანიშნულება იქნება ეკონომიკის თანდათან გადაყვანა ფუნქციონირების საბაზრო რეჟიმზე, ბაზრის ფორმირების თვითრეგულირების პროცესის ჩასახვისათვის ხელის შეწყობა და გაძლიერება ქვეყნის მაკრო და მიკრო დონეებზე. საბოლოო ანგარიშით კი, საბაზრო ეკონომიკის შესატყვისი ისეთი მატერიალური და სოციალური პირობების შექმნა, როცა მეწარმის მოგება არის მხოლოდ შრომის ნაყოფიერების, პროდუქციის ხარისხის ამაღლების პირდაპირი შედეგი.

ზემოთ ჩამოთვლილი მექანიზმის ყველა ელემენტის რეალიზაციისათვის უნდა შეიქმნას სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული მრეწველობისა და მომსახურების დარგების სახელმწიფო მაკროეკონომიკური მართვისა და რეგულირების ისეთი სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს აგროსამრეწველო, სასურსათო კომპლექსის სახელმწიფო, სამართლებრივი და ეკონომიკური რეგულირების შესაბამისი გარემოს შექმნას.

2.5. ქვეყნის აგრარული პოლიტიკა და აგროსასურსათო სექტორის მდგრადი განვითარების ძირითადი მიმართულებები

> ჩვენი ქვეყანა მიწათმოქმედი ქვეყანაა. ერთადერთი მრეწველობა, რომელზედაც დღეს დამყარებულია ჩვენი კეთილ-დღეობა, ჩვენი სიმდიდრე. ჩვენის ერის გამორჩობა და კვება, მიწასა და მიწის კეთებაზედ არის მიქცეული.
>
> ილია ჭავჭავაძე

1996 წელს საქართველოში შემუშავებულ იქნა აგრარული პოლიტიკის კონცეფცია, რომელიც გათვლილია გარდამავალი პერიოდის 10-15 წელზე და ფაქტობრივად წარმოადგენს აგროსასურსათო სექტორის განვითარებისათვის საჭირო სამართლებრივი ბაზის მომზადების, სოციალურ-ეკონომიკური და ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელების ორიენტირს. მასში გადმოცემულია აღნიშნული სექტორის როლი, მიზნები და ამოცანები, გაკეთებულია სექტორის განვითარების და სურსათის წარმოების ობიექტური პროგნოზი პერსპექტივაში, მოცემულია მიზნის მიღწევის გზები და მიმართულებები. კონცეფციის მიხედვით აგროსასურსათო პოლიტიკის უახლოეს ამოცანად მიჩნეულია აგროსასურსათო სექტორის პროდუქციის მოთხოვნა-მიწოდების დარღვეული ბალანსის აღდგენა, უფრო შორეული პერსპექტივისათვის კი სურსათზე ქვეყნის მოთხოვნილების მაქსიმალური დონით დაკმაყოფილება, იმ დარგებისა და კულტურების პრიორიტეტული განვითარების ხარჯზე, რომელთა წარმოებისათვის ქვეყანას ხელსაყრელი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები გააჩნია. ამ ამოცანების გადაწყვეტა უნდა დაეფუძნოს აგროსასურსათო სექტორის აქტიურ სახელმწიფო მხარდაჭერის პოლიტიკას (ძირითადად ეკონომიკური ბერკეტებით – ფასები, საბიუჯეტო, საგადასახადო და საკრედიტო პოლიტიკა), სასურსათო ბაზრის სტაბილურობას და მის დაცვას საგარეო ბაზრის ნეგატიური ზემოქმედებისაგან. არანაკლებ მნიშვნელოვანია სხვა მიმართულებებიც, კერძოდ, საადგილმამულო ურთიერთობათა და მართვის სისტემის სრულყოფა, საინვესტიციო, სამეცნიერო-ტექნიკური, ინოვაციური, სოციალურ-ეკონომიკური, ეკოლოგიური, რეგიონული

პოლიტიკა და სხვ.

მიუხედავად სწორად განსაზღვრული მიზნებისა, ხსენებული კონცეფცია დღემდე სრულად არ ამოქმედებულა, რადგან ქვეყანაში არ შეიქმნა შესაფერისი ბაზა და პირობები მისი რეალიზაციისათვის. მიგვაჩნია, რომ აგრარული პოლიტიკით განსაზღვრული ამოცანების გადაჭრა და დასახული პარამეტრების მიღწევა ობიექტურად საჭიროებს:*)

I. საწარმოო-ეკონომიკური ურთიერთობების ისეთი სისტემისა და საწარმოო პირობების შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს სოფლად საქონელმწარმოებელს საჭირო შემოსავლებით და ცხოვრების მისაღები დონით;

II. სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციას, აგრარულ წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური და ტექნოლოგიური მიღწევების დაჩქარებულ დანერგვას;

III. მართვისა და რეალური პროგნოზირების ოპტიმალური კურსის შემუშავებასა და რეალიზაციას;

IV. საგარეო-ეკონომიკური კავშირების განმტკიცებასა და განვითარებას;

V. საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობის სახელმწიფო გარანტიების შექმნას.

აგრარული პოლიტიკის რეალიზაციის ეს ძირითადი ფაქტორები სრულყოფილად არ არის ამოქმედებული, რაც ეკონომიკის განვითარების სერიოზული შემაფერხებელი მიზეზია. საქმე იმაშია, რომ აგრარული პოლიტიკის რეალიზაციის პირველი ფაქტორი დღეისათვის მხოლოდ ნაწილობრივ მოქმედებს აგრარულ სექტორში. იგი თავის ასახვას პოულობს:

– მიწისა და წარმოების სხვა ძირითადი საშუალებების განსახელმწიფოებრიობასა და პრივატიზებაში;

– საკუთრების მრავალფორმიან ურთიერთობებზე დამყარებულ საწარმოთა ახალი ფორმების დამკვიდრებაში;

— თავისუფალი ბაზრის ფასების ამოქმედებაში,

---

*) დაახლოებით მსგავსი მოსაზრებები გადმოცემულია პროფ. ო. ვაშაკიძეს, პროფ. ვ. ბურკაძეს და ემკ ე. ძაგანიას ნაშრომში „აგრარული პოლიტიკის კონცეფცია საბაზრო ეკონომიკის პირობებში“. ჟ. „მაკრო მიკროეკონომიკა“, 1999, №1, გვ. 30-31.

წარმოების მასტიმულირებელი საგადასახადო, საფინანსო, საკრედიტო, სადაზღვევო პოლიტიკის გატარებაში;

– სოციალურად დაუცველი ფენებისათვის საჭირო დამცავი მექანიზმების შემუშავება-დამკვიდრებაში და სხვ.

თუ რამდენად არაეფექტურია ჯერჯერობით ეს მიმართულება, ამას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლებიც ადასტურებს. კერძოდ, მნიშვნელოვნად შემცირდა ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების მოცულობები, ჩამოყალიბდა მათი არა მარტო მოსავლიანობის, არამედ ფართობების შემცირების ტენდენცია, მკვეთრად გაუარესდა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. საყურადღებოა, რომ 2001 წელს სოფლის მეურნეობაში აღირიცხა დიზელის საწვავის და ბენზინის მოხმარება შესაბამისად 60 და 15 ათ. ტონის დონეზე, რაც 1990 წელს მოხმარებულის მხოლოდ 25 და 20%-ს შეადგენდა. განოყიერების სისტემიდან საერთოდ ამოვარდა კალიუმიანი და ფოსფოროვანი სასუქები, ხოლო აზოტოვანის შეტანა კი მკვეთრად დაეცა, ანალოგიური მდგომარეობაა შხამქიმიკატებისა და პესტიციდების გამოყენების მხრივაც. ამდენად, დარგი აღმოჩნდა კრიზისში, რომელიც გამოწვეულია არა იმდენად ობიექტური ფაქტორებით, რამდენადაც რეფორმირების დროს დაშვებული შეცდომებით.

სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის შემცირების შედეგად კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოებში პროდუქციის წარმოება ამ პერიოდში 1-დან 30%-მდე შემცირდა. მოსახლეობა წააწყდა მანამდე უცნობ ეკონომიკურ პრობლემებს (დასაქმების, ინფლაციის და სხვ.). სოფლად უსასყიდლოდ დარიგებულმა მიწებმა ვერ შექმნა სათანადო სტიმული გლეხურ მეურნეობებში წარმოების გადიდებისათვის, რადგან გარდა საწარმოო ბაზის გადიდებისა, სოფლად საქონელმწარმოებლები პრაქტიკულად ყველა საჭირო რესურსის გარეშე აღმოჩნდნენ (მათ შორის საბრუნავი სახსრების და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების). ასეთივე პრობლემების წინაშეა საზოგადოებრივი მეურნეობების ბაზაზე დაფუძნებული ახალი სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმის საწარმოებიც, რომლებსაც, გარდა ხსენებული პრობ-

ლემებისა, არასწორი საგადასახადო პოლიტიკის ტვირთიც დაემატა.

აგრარული რეფორმის დაწყების თითქმის 12 წლისთავზე შეიძლება ვაღიაროთ, რომ სახელმწიფომ აგრარული რეფორმის გატარებისას დაუშვა ერთის მხრივ – ნომენკლატურული მუშაკებისა და აგრარული პრაქტიკის არმქონე პირებისათვის ასობით ჰექტარი მიწის (ოჯარით) გადაცემა, ხოლო მეორეს მხრივ, – ერთ მილიონ ოჯახზე მიწების დაჭუცმაცება, რაც ერთი კატეგორიის ორი უხეში შეცდომაა. ამასთან, ქვეყანაში დღემდე პრაქტიკულად არაფერი გაკეთებულა სოფლად აგრარული რეფორმის შედეგად დანაწევრებული მიწის ნაკვეთების გამთლიანება-გამასივების მიმართულებით, რომლისთვისაც, როგორც აღვნიშნეთ, პირველ ეტაპზე ყველაზე მისაღები ფორმა სოფლად კოოპერაციული მოძრაობის განვითარებაა. სოფლად კოოპერაციის განვითარებისათვის შესაბამისი სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის შემუშავება და რეალიზაცია უნდა გახდეს ის საწყისი სტიმული, რომელიც დასაბამს მისცემს სოფლად საჭირო საწარმოო და არასაწარმოო ინფრასტრუქტურის შექმნას, სოფლის, როგორც ტერიტორიული ერთეულის განვითარებას,*) მოსახლეობის დასაქმებას და წარმოების ეფექტურობის ამაღლებას. ამავე კონტექსტშია განსახილველი საკითხი სოფლის მეურნეობის განვითარების სპეციალიზებული ფონდის შექმნის შესახებ, რადგან ქვეყნის მწირი ბიუჯეტის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, სოფლის მეურნეობისათვის სახელმწიფო მხარდაჭერის ზემოაღნიშნული მიმართულება (სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამები) შესაძლოა არ აღმოჩნდეს საკმარისი და ის დროში გაიწელოს. სოფლის მეურნეობის განვითარების სპეციალიზებული ფონდის წყაროდ შესაძლოა გამოყენებული იქნეს საზღვარგარეთის ქვეყნებიდან გრანტების სახით შემოსული სხვადასხვა დახმარებების მონეტიზაციით მიღებული სახსრები და სხვა

---

*) სოფლად არასასოფლო-სამეურნეო შრომით მოსახლეობის დასაქმება და მათთვის შემოსავლების სხვა წყაროების გაჩენა, თანამედროვე განვითარებული სოფლის მეურნეობის მქონე ქვეყნებში გავრცელებული, საკმაოდ კარგად აპრობირებული პრაქტიკაა.

მიზნობრივი დახმარებები.

მეორე ფაქტორი დღეისათვის თითქმის არ მოქმედებს, ქვეყანაში არასრულფასოვანი და არაკეთილსაიმედო საინვესტიციო გარემოს გამო. საქართველოში მწვავედ დგას ინვესტიციების მიღების საკითხი სოფლის მეურნეობის დარგში, რასაც მისი წარმოების თავისებურებები და სასოფლო-სამეურნეო წარმოების დიდი რისკ-ფაქტორი განაპირობებს.

სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების ასეთ სიმცირეს დარგში კაპიტალურ დაბანდებათა და შემოსავლების დაბალი დონე განაპირობებს. მცირე კაპიტალდაბანდებები კი შრომის ნაყოფიერების დაბალი დონის მუდმივად შენარჩუნებას ნიშნავს. ამ მოჯადოებული წრის გარღვევა შეიძლება მხოლოდ უცხოეთიდან მიღებული სოლიდური ინვესტიციების საშუალებით, რასაც აგროსასურსათო სექტორის დარგები დღეს მოკლებულნი არიან.

უცხოური ინვესტიციების ფართოდ მოზიდვის მიზნით ქვეყანაში საჭიროა სრული სტაბილურობის მიღწევა და კაპიტალის ბაზრის განვითარება. ამ პროცესების განვითარებას ერთგვარად აჩქარებს საქართველოს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, სამუშაო ძალის სიიაფე და კადრების მაღალი კვალიფიკაცია, პროდუქციის ხარისხის მიმართ მომხმარებელთა შედარებით დაბალი მოთხოვნილება და სხვ. მაგრამ, ამასთან ერთად, არის შემაფერხებელი გარემოებანიც, კერძოდ, მეწარმის და მისი საკუთრების, აგრეთვე სამომხმარებლო ბაზრის დაუცველობა, ჩრდილოვანი ეკონომიკა, კორუფცია და სხვა წინააღმდეგობანი, რომლებსაც დროული აღმოფხვრა ესაჭიროება. სხვაგვარად ქვეყანაში საინვესტიციო გარემო არ გაუმჯობესდება და მსოფლიო მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესთან ჩვენი მიახლოება კიდევ უფრო შორი პერიოდისათვის გადაიდება.

უნდა გავიცნობიეროთ, რომ როგორი პოლიტიკური და მორალური მხარდაჭერაც არ უნდა დავანახოთ დასავლეთს, თუ არ შევქმნით ინვესტორისათვის სასურველ სტაბილურ, სამართლიან, ეკონომიკურად ეფექტიან გარემოს, საქართველოში სერიოზული უცხოური ინვესტიციები არ განხორციელდება. ამის „პირველი მერცხალი“ თავად ქართული კაპიტალის

საქართველოში დაბრუნება უნდა გახდეს.

აგრარული ეკონომიკის აღორძინებისა და შემდგომი განვითარების დაჩქარებისათვის უნდა გამოვიყენოთ თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური, ტექნოლოგიური და წარმოების მენეჯმენტის მიღწევები, ავამოქმედოთ შრომისა და წარმოების საშუალებების რაციონალურად გამოყენების და ფერმერთა კვალიფიკაციის ამაღლების, გადამზადების კურსები მათი ეკონომიკური დაინტერესების მექანიზმები.

აგრარული პოლიტიკის რეალიზაციის ზემოაღნიშნული მესამე ფაქტორი მძიმედ იმკვიდრებს გზას. ეს იმის შედეგია, რომ სახელმწიფომ ხელიდან გაუშვა ეკონომიკის წარმართვის ბერკეტები.

ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფის, ეკონომიკურ-ფინანსურ და ორგანიზაციულ ღონისძიებათა წარმართვა, მოითხოვს მეურნეობრიობის საბაზრო პირობების შესატყვის დაგეგმვასა და პროგნოზირებას.

ყველაზე მნიშვნელოვანი ამ მიმართულებით ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური დაგეგმვაა. იგი არ შეიცავს დირექტიულ დავალებებს რეგიონებზე და ცალკეულ საწარმოებზე, არ ზღუდავს მეურნე სუბიექტის საქმიანობის მიზნებსა და მიმართულებებს, აწვდის მათ ინფორმაციას ქვეყანაში წარმოების მოცულობასა და პერსპექტიულ განვითარებაზე, ასევე ინფორმაციას საბაზრო ფასების კონიუნქტურაზე, საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე, პროდუქციის ექსპორტ-იმპორტის, ცალკეული სახის ძირითადი პროდუქციის წარმოებისა და მოხმარების ბალანსებზე და სხვ.

ინდიკატური გეგმის მთავარი შემადგენელი ნაწილი (საპროგნოზო და საგეგმო-მარეგულირებელ ნაწილებთან ერთად) სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამებია,[*] რომლითაც სახელმწიფო უნდა ახორციელებდეს ეკონომიკის რეგულირებას,

---

[*] განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების სახელმწიფო პროგრამებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სოფლის საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების ისეთ პროგრამებს, როგორიცაა საგზაო მშენებლობა, მელიორაცია, განათლება, ჯანდაცვა და ა.შ.

პრიორიტეტული დარგებისათვის საჭირო პირობებისა და გეგმით გათვალისწინებული პროგნოზული პარამეტრების მიღწევას. „საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური დაგეგმვის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამები სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა ფინანსდებოდეს, რაც ჩვენთან პრაქტიკულად არ ხდება. მაგალითად, 2002 წლისათვის აგრარულ სექტორში შერჩეული 28 პროგრამიდან „საქართველოს ბიუჯეტის შესახებ“ კანონში მოხვდა 16 პროგრამა, რომელთა რეალიზაციისათვის გათვალისწინებული იყო 11,2 მლნ. ლარი. ფაქტობრივად მათ სარეალიზაციოდ წლის განმავლობაში გამოიყო სულ 1,8 მლნ. ლარი. 16 პროგრამიდან 7 პროგრამაზე თანხები საერთოდ არ გამოყოფილა, მ.შ. ისეთ გარდამავალ პროგრამებზე, რომლებიც წინა წლებში ფინანსდებოდა და გარკვეული დანახარჯები უკვე გაწეული იყო.

მიგვაჩნია, რომ არსებული წესით სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების დამუშავება, შერჩევა და დაფინანსება არ ემსახურება არც ცალკეული საწარმოების, არც დარგების და არც რეგიონების განვითარების ინტერესებს. პირიქით, სახეზეა ისედაც მწირი სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების არამიზნობრივი ხარჯვა, რაც მკაფიოდ ჩანს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების განზოგადებულ მაჩვენებლებში.

სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების საბოლოო მიზანი ქვეყნის საერთო ეკონომიკურ ზრდას, სხვადასხვა საწარმოო-ეკონომიკურ პირობებში მყოფი რეგიონების ეკონომიკური დონის გათანაბრებისა და საბოლოო ანგარიშით კი მოსახლეობის დასაქმებას და ცხოვრების დონის ამაღლებას უნდა ემსახურებოდეს. ამდენად, ნებისმიერი პროგრამა შერჩეულ უნდა იქნეს კონკურსის (ტენდერის) საფუძველზე, წინასწარ განსაზღვრული პრიორიტეტების, დასახული მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით. საჭიროა მკვეთრად შემცირდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების რიცხვი. საბიუჯეტო სახსრების კონცენტრირება უნდა მოხდეს რამდენიმე ძირითად პროგრამაზე, რომელთაც მულტიპლიკაციის შედარებით მაღალი მაჩვენებელი გააჩნია. პროგრამას თან უნდა ახლდეს არა მარტო პროგრამული

ღონისძიებების ჩამონათვალი, არამედ მათი რეალიზაციის ეკონომიკური მექანიზმი. ამასთან, ის შეფასებული უნდა იყოს არა მარტო ეკონომიკური, არამედ ეკოლოგიური თვალსაზრისითაც.

როგორც ვხედავთ, ინდიკატური გეგმის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების სახელმწიფო რეგულირება წარმოადგენს, მაგრამ ამ ფუნქციის რეალიზება დღემდე აშკარად პასიურ ხასიათს ატარებს. ეს კი ქვეყნის ეკონომიკას, მ.შ. აგროსამრეწველო, სასურსათო კომპლექსის განვითარებას სერიოზულად აფერხებს.

აგრარული პოლიტიკის რეალიზაციის IV ფაქტორი, შეიძლება ითქვას, ასევე არ მოქმედებს, რადგან ადრე არსებული საგარეო-ეკონომიკური კავშირები მოშლილია, ახალი კი სრულად ვერ იკიდებს ფეხს. ქვეყანა უნდა შეეცადოს აღადგინოს ძველი საგარეო ეკონომიკური კავშირები (იგულისხმევა დსთ-ს სივრცე, სადაც ჩვენს პროდუქციაზე დღემდე ნოსტალგია და მოთხოვნა არსებობს). ამ მიზნით საჭიროა დაიხვეწოს საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტიმულირებისა და საექსპორტო პოტენციალის გაფართოებისათვის მიმართული სახელმწიფო პოლიტიკის ამოცანები.

ინვესტიციების მოზიდვის, ექსპორტის ხელშეწყობის, სტიმულირების სამეურნეო მექანიზმის, წარმოების და მისი დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფასთან ერთად, უფრო ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის ორმხრივი და მრავალმხრივი ფორმები, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საერთაშორისო ორგანიზაციებთან („მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია", „ევროგაერთიანება", „მსოფლიო ბანკი", „ფაო" და სხვ.) და რეგიონალურ პროგრამებში („დიდი აბრეშუმის გზა" – ტრასეკა) საქართველოს მონაწილეობას.

არსებობს გარკვეული საშიშროებაც, რომელიც შესაძლოა ამ ორგანიზაციებში ქვეყნის ნაჩქარევ გაერთიანებას მოჰყვეს. მხედველობაში გვაქვს ის რეალობა, რომ საერთაშორისო სამეურნეო, საფინანსო-სავაჭრო გაერთიანებებში შესვლა საქართველოს აძლევს შანსს მსოფლიო მეცნიერულ-ტექნიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესთან დაახლოებით

მიაღწიოს ეროვნულ უშიშროებასა და ეკონომიკურ მდგრადობას, მაგრამ არ იძლევა ამის სრულ გარანტიას. ასეთ გაერთიანებებში ქვეყნის ინტეგრირების ეფექტი მით მეტია, რამდენადაც მაღალგანვითარებული და კონკურენტუნარიანია მისი ეკონომიკა. მსოფლიო მეურნეობაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებში ღრმად და ფართოდ ჩართვა საქართველოსათვის, რომელსაც ნაკლებ განვითარებული ეკონომიკა აქვს, შესაძლოა არასასარგებლო და არაეფექტური აღმოჩნდეს, იმ ეკონომიკური დანაკარგების გამო, რომელიც დაკავშირებულია მსოფლიოში შექმნილ შემოსავლების სახელმწიფოთა შორის არასამართლიან გადანაწილებასთან. ამიტომ ინტეგრირება უნდა მოხდეს თანდათან, ეკონომიკის მოძლიერების, მისი ეფექტურობისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების კვალობაზე. ამის კარგი მაგალითს ჩინეთი იძლევა, რომელიც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან (მსო) თითქმის 10 წელია, რაც მოლაპარაკებებს აწარმოებს, მაგრამ ჯერაც არაა მასში გაწევრიანებული.

აგრარული პოლიტიკის მეხუთე ფაქტორი ჩვენთან ახლა იკიდებს ფეხს. ამის გამო სოფლად სოციალური განვითარება თითქმის მთლიანად შეჩერებული და უგულვებელყოფილია. ფაქტობრივად შეწყდა სოციალური დანიშნულების ობიექტების მშენებლობა და ფუნქციონირება, გზებისა და ხიდების მშენებლობა. სოფლის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ქალაქს მიაშურა (მაშინ, როდესაც მთაში დაცლილია სოფლები, მიტოვებულია სახნავი და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწები). არ მოქმედებს საპენსიო სისტემა, არის სხვა სოციალური პრობლემებიც.

ზემოთ განხილული ხუთი ძირითადი ფაქტორი უნდა განსაზღვრავდეს აგრარული პოლიტიკის კონცეფციას და განაპირობებდეს მის პრაქტიკულ რეალიზაციას, საქართველოში სასურსათო უშიშროების პრობლემის გადაჭრას და ხალხის ცხოვრების მაღალ ხარისხს.

კონცეფცია, ანუ შეხედულებათა სისტემა ამა თუ იმ პრობლემის გადაწყვეტისათვის, მაშინაა რეალური, როდესაც მისი რეალიზაციისათვის საჭირო ფაქტორების ურთიერთთანხვედრა ხდება. მატერიალისტური მოძღვრების წიაღში წარმო-

შობილი ნებისმიერი კონცეფცია აუცილებლად უნდა ეფუძნებოდეს პრაქტიციზმს (სწორედ ამ რეალობამ შვა ცნება „სასურსათო უშიშროება“ და შემდეგ მოხდა მისი მეცნიერული განზოგადება. თავდაპირველად, ამ ტერმინით აღნიშნეს მსოფლიოს წინაშე წამოჭრილი სურსათის დეფიციტით გამოწვეული საშიშროების უკუმდგომარეობა).

ჩვენს მიერ წარმოდგენილი კონცეპტუალური ხედვა აგროსასურსათო პოლიტიკის რეალიზაციისადმი კონკრეტულია და ვფიქრობთ, რომ საქართველოსათვის მისაღებია, რადგან იგი უშუალოდ რეალობისაგანაა შემოთავაზებული.

სოფლის მეურნეობაში შექმნილი რთული სიტუაცია და გამწვავებული პრობლემები ვერ გადაიჭრება მხოლოდ აგრარული სექტორის დონეზე. იგი მოითხოვს კომპლექსურ ღონისძიებათა სისტემის გატარებას. კერძოდ, საჭიროა შეიქმნას მყარი სოციალური, საწარმოო და არასაწარმოო ინფრასტრუქტურა, რასაც საფუძველი სახელმწიფომ უნდა ჩაუყაროს. სოფლად საქონელმწარმოებელთა შრომის ავტორიტეტის და ეკონომიკური ინტერესების ამაღლება საფინანსო, საკრედიტო, საპენსიო და სხვა ბერკეტების გონივრული გამოყენებით უნდა მოხდეს.

ქართველ ეკონომისტთა ერთ ნაწილში გამეფებულია აზრი იმის თაობაზე, რომ თუ სახელმწიფო გაატარებს პროტექციონისტულ პოლიტიკას და დახმარებას აღმოუჩენს სოფლის მეურნეობის ცალკეულ დარგებს, მაგალითად, მევენახეობას, შემდეგ ამასვე მოითხოვს მეჩაიეობა, მეხილეობა და სხვა დარგები. თუ სახელმწიფო მხარს დაუჭერს ერთ რომელიმე დარგს, მან იგივე უნდა გააკეთოს სხვა დარგების მიმართაც, რაც მათი აზრით მიუღებელია. ისინი თვლიან, რომ სახელმწიფოს საბაზრო ურთიერთობათა დარეგულირების საქმეში მხოლოდ „ღამის დარაჯის“ (*ა. სმიტი*) ფუნქცია უნდა დაეკისროს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს სხვა არაფერია, გარდა ბაზრის სუბიექტების პიროვნული და ქონებრივი დაცვისა. რაც შეეხება საკუთრივ ბაზარს, ის „უხილავი ხელის“ მეშვეობით თვითრეგულირებადია და მასში გარედან ჩარევა საჭირო არა არის.

შეგახსენებთ, რომ სოფლის მეურნეობის, როგორც დარგის

გათანაბრება ეროვნული მეურნეობის სხვა დარგებთან (თუნდაც მრეწველობასთან), არ შეიძლება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამ დარგის მულტიპლიკაციის ეფექტი 4-5-ჯერ აღემატება მრეწველობის ანალოგიურ მაჩვენებელს, რაც დასტურდება შესაბამისი გაანგარიშებებით, მასთანაა დაკავშირებული ეროვნული მეურნეობის დარგების 1/3-ზე მეტი. დარგში მოქმედი ერთი სამუშაო ადგილი უზრუნველყოფს სხვა დარგებში 5-6 სამუშაო ადგილის შექმნას. სასოფლო-სამეურნეო წარმოების 1%-ით გადიდება უზრუნველყოფს მთელი ეკონომიკის 2.5%-ით ზრდას. იგი შედარებით ნაკლებ მასალატევადი და ენერგოტევადია, რაც ასევე ყურადსაღებია. დარგთან დაკავშირებული თავისებურებების ჩამოთვლის გაგრძელება კიდევ შეიძლება მაგრამ ზემოაღნიშნულის გაცნობიერებაც საკმარისია იმისათვის, რომ დავასკვნათ: საქართველოში სოფლის მეურნეობა განხილულ უნდა იქნეს, როგორც პრიორიტეტული, განსაკუთრებული მნიშვნელობის დარგი, რომელიც ამ ეტაპზე განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკურ სახეს, აგრარულ-ინდუსტრიულ სტატუსს, რომელზეც დამოკიდებულია სასურსათო უშიშროებისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, საგადასახდელო ბალანსის გაუმჯობესება, აგროსასურსათო სისტემაში და აგრობიზნესში სამუშაო ადგილების შექმნა (რომელთა საერთო რიცხოვნობა მნიშვნელოვნად აღემატება საკუთრივ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებულთა რიცხვს). ამდენად შიში, რომ სახელმწიფოს მოუწევს ყველა დარგისათვის შესაბამისი სუბსიდიების გამოყოფა და დახმარებების აღმოჩენა – უსაფუძვლოა, რადგან მეჩაიეობაზე, მევენახეობაზე, მეხილეობაზე და სხვა დარგებზე სახელმწიფოს მიერ ამა თუ იმ ეტაპზე გაწეული დახმარება, იმავდროულად ჩაის, ყურძნის, ხილის და სხვა პროდუქციის გადამმუშავებელი სამრეწველო საწარმოების დახმარებაცაა (რა თქმა უნდა ირიბი გზით).*)

---

*) სკანდინავიის ქვეყნებშიც კი, სადაც აგრარული პროდუქციის ერთეულის შექმნაზე გაცილებით მეტი შრომითი და მატერიალური რესურსები იხარჯება, სავარგულის ყოველ ჰექტარზე გაანგარიშებით სახელწიფო ყოველწლიურად გამოყოფს სუბსიდიას 2-3 ათასი დოლარის ფარგლებში. ჩვენთან ეს მაჩვენებელი დღეისათვის 1 ლარის ფარგლებშია.

სოფლის მეურნეობაში სახელმწიფო მხარდაჭერის ობიექტი უნდა გახდეს მარცვლეულის მეურნეობა, მეჭარხლეობა (შაქრის წარმოებისათვის), ზეთოვანი კულტურების და სხვა იმ დარგების განვითარება, რომლებიც იძლევიან საშუალებას იმპორტჩანაცვლებადი პროდუქტების წარმოების ზრდისა. პრიორიტეტული ინვესტირება იმ დარგებისა, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ სასურსათო უშიშროების მიღწევისათვის. ამავე მიზნით მხარდასაჭერია კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის, წარმოების ტექნიკურ-ტექნოლოგიური გადაიარაღების, ინტეგრირებული აგროსამრეწველო სტრუქტურების შექმნა (რომელშიც გაერთიანდება ნედლეულის წარმოება, გადამუშავება, მომსახურება, გასაღება), საქონელმწარმოებელთა მიერ საჭირო ტექნიკის ლიზინგის წესით შეძენა, სოფლად საკრედიტო კოოპერატივების ფართო ქსელის განვითარება და სხვ.

სოფლად ინსტიტუციონალური პოლიტიკის ძირითად მიმართულებად მიჩნეულ უნდა იქნეს მოქმედი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების შესაბამისობაში მოყვანა კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებთან, ჰორიზონტალური და ვერტიკალური ინტეგრაციის განვითარებისათვის ხელშეწყობა, კოოპერატივის ყველა ფორმისათვის (საოჯახო, გასაღების, მომარაგების და ა.შ.) ინფორმაციულ-საკონსულტაციო სისტემის დაჩქარებული დანერგვა, იმ სამართლებრივ-ნორმატიული ბაზის ფორმირება, რომელიც უზრუნველყოფს გლეხური (ფერმერული), კოოპერატიული, აქციონერული და სხვა სახის კონკურენტუნარიანი ფორმებისათვის შესაბამისი საწარმოო ეკონომიკური პირობების შექმნას.

უნდა გაგრძელდეს საქონელმწარმოებელთა მიერ კომერციული ბანკებიდან აღებული სესხების საპროცენტო განაკვეთის სახელმწიფოს მიერ სუბსიდირების პრაქტიკა, მიზნობრივი პროგრამების დაფინანსება (განსაკუთრებით ისეთი პროგრამებისა როგორიცაა დეგრადირებული და ეროზირებული მიწების აღდგენის და ნაყოფიერების ამაღლების, ტყის დაცვისა და მელიორაციის, მცენარეთა და ცხოველთა მაღალპროდუქტიული, დაავადებაგამძლე ახალი ჯიშების გამოყვანის და ა.შ.).

საჭიროა კერძო ინვესტიციების მოზიდვა.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციისათვის დამახასიათებელი სეზონურობა (რაც გაწეულ დანახარჯებსა და შემოსავლებს შორის დროის ხანგრძლივ პერიოდს განაპირობებს) ობიექტურად მოითხოვს ამ დარგისათვის მოკლევადიანი და შეღავათიანი კრედიტის გამოყოფის აუცილებლობას. იმის გამო, რომ მიწაზე მეურნეობრიობა ჩვენში ძირითადად მეტეოროლოგიურ პირობებზეა დამოკიდებული (და როგორც წესი აქ მოსავლიანი და მოუსავლიანი წლების მონაცვლეობა არსებობს), დღის წესრიგში დგება მოსავლისა და ქონების შეღავათიანი სადაზღვევო სისტემის ამოქმედების საკითხი, რაც ასევე სახელმწიფოს მხარდაჭერით უნდა განხორციელდეს.

შავი ზღვის აუზის ქვეყნებთან შედარებით ჩვენი ეკონომიკის განვითარების დონე ყველაზე დაბალია. ასეთ პირობებში ჩვენ გვიწევს კონკურენცია ისეთ ქვეყნებთან როგორიცაა მოლდავეთი, უკრაინა, უნგრეთი, ბულგარეთი, თურქეთი, და სხვ., რომელთაც სასოფლო-სამეურნეო წარმოების ფაქტობრივად იგივე სპეციალიზაცია და ამასთან წარმოების კონცენტრაციის მიხედვით კარგად განვითარებული სოფლის მეურნეობა გააჩნიათ. მეტიც, ამ ქვეყნებში შემუშავებულია და მოქმედებაშია მეჩაიეობის, მევენახეობის და სხვა დარგების განვითარების სახელმწიფო პროგრამები და ამდენად უნდა ვივარაუდოთ, რომ ახლო მომავალში მათი სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების დონე კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აიწევს. ამასთან ექნებათ ჩაის, ღვინის, ხილ-ბოსტნეულის კონსერვების, თხილის და სხვა პროდუქტების მოჭარბებული ოდენობა, რომლის რეალიზაცია დღესაც საკმაოდ გაძნელებულია. აღნიშნული მდგომარეობა მოითხოვს კრიტიკულად და ამავე დროს პრაგმატულად შეეხედოთ ჩვენი სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის საკითხს. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ საქართველოს უნიკალური ბიოგეოკლიმატური პირობები საშუალებას იძლევა აქ წარმოებული იქნეს, არა მარტო ბოლო პერიოდში ტრადიციულად ქცეული ჩაი, ღვინო, ხილ-ბოსტნეულის კონსერვი, თამბაქო, ეთერზეთები და სხვ., არამედ სამკურნალო მცენარეები, ევკალიპტი,

ბამბა, სოიო, სტევია, კაკალნაყოფიანები (მათ შორის პეკანი), ზეთის ხილი და სხვა კულტურები. უნდა გავაცნობიეროთ, რომ მსხვილმასშტაბიან და სპეციალიზებულ მეურნეობებს მართალია გააჩნიათ უდავოდ დიდი დადებითი მხარეები წარმოების „ბიოლოგიზაციის" განხორციელების თვალსაზრისით, მაგრამ, როგორც ბოლო პერიოდის მსოფლიო გამოცდილება და პრაქტიკა ადასტურებს ეკონომიკური თვალსაზრისით მაინც მრავალპროფილიან, მრავალდარგობრივ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს ეძლევათ უპირატესობა, რადგან დივერსიფიცირებული სოფლის მეურნეობა (განსაკუთრებით არაგარანტირებული მოსავლის ზონებში) განვითარების მეტი სტაბილურობით და შემოსავლებით ხასიათდება.

ამრიგად, სახელმწიფოს აგრარული პოლიტიკის ერთ-ერთი მიმართულება სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის შემდგომი გაღრმავებისა და გაფართოების ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს, რათა სრულად იქნეს გამოყენებული ქვეყნის ბიოგეოკლიმატური პირობების პოტენციალი სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარებისათვის, მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის.

აგრარული პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა რეალიზაცია უნდა განამტკიცებდეს აგრარული სექტორის საწარმოო-ეკონომიკურ და ტექნიკურ-ტექნოლოგიურ ბაზას, განაპირობებდეს განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების პრაქტიკულ განხორციელებას, საქართველოს სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფას. ამ მიზნით ამოქმედებული უნდა იქნეს ამ სექტორის განვითარების ყველა წყარო და საშუალება – სტრუქტურული, ტექნიკურ-ტექნოლოგიური, ორგანიზაციული, ეკონომიკური და სოციალური ბერკეტები. ამასთანავე, დიდ მნიშვნელობას იძენს ორიენტირების დასახვა და მისკენ მიმავალი გზების სწორად შერჩევა.

თავი III. აგროსასურსათო სექტორის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

> ვინ არ იცის, რომ ყოველს ეკონომიკურს მოძრაობაში პირველი ადგილი უჭირავს გამორჩენას, მოგებას. ეგ გამორჩენა და მოგება არის ერთადერთი ძალ-ღონე, რომელიც არამც თუ გამრჯელის ხელს ამოძრავებს წარმოებისათვის, არამედ ჰბადავს თვით სურვილს გარჯისა.
> ... თავი-და-თავი წყარო ქვეყნის გაღონიერებისათვის პირ-და-პირ მოწარმოენი არიან, იმიტომ, რომ მარტო ეგენი ჰქმნიან მას, რასაც საპოლიტიკო ეკონომია ქვეყნის სიმდიდრეს ეძახის.
>
> ილია ჭავჭავაძე

3.1. მეწარმეობისა და აგრობიზნესის განვითარება, როგორც სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფის ერთ-ერთი ძირითადი პირობა

> ეკონომიკური სტაბილიზების ამოცანა მოითხოვს სახალხო მეურნეობის ძალზე მნიშვნელოვან გადახრათა ზევით ან ქვევით დაუშვებლობას ზრდის ტრაექტორიიდან, რაც სტაბილურად მაღალი დასაქმების ტრაექტორიას შეესაბამება. ამ ტრაექტორიის ერთ მხარეზე ჩვენ გველოდება ინფლაცია, მეორეზე – რეცესია. დრმა საგადასახადო-საბიუჯეტო და საკრედიტო-ფულადი პოლიტიკა საშუალებას გვაძლევს დავმაგრდეთ ვიწრო შუალედურ გზაზე.
>
> პრეზიდენტი ჯონ კენედი, 1962 წ.

საბაზრო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანად ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანა და ეკონომიკური ზრდის მიღწევაა მიჩნეული. ამ ამოცანის რეალიზაციაში ჩართულია ქვეყნის ეროვნული მეურნეობის ყველა სფერო, მათ შორის აგროსასურსათო სექტორიც, რომელსაც ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისათვის დიდი შესაძლებლობები გააჩნია.

ქვეყნის აგროსასურსათო სექტორის რადიკალური გარდაქმნისა და შედეგიანობისათვის აუცილებელია კერძო და

სახელმწიფო ინტერესების ჰარმონიული თანწყობა, რათა მიღწეული იქნეს ეკონომიკის ოპტიმალური ფუნქციონირება და კვლავწარმოების მაღალი ტემპი. ეხლა მთავარია ქვეყნის შეზღუდული რესურსების რაციონალური და ეფექტიანი გამოიყენება. ეს კი მიიღწევა კერძო მეწარმეობის აღორძინებითა და განვითარებით. ეროვნული ინტერესების რეალიზაცია უნდა გახდეს ბიზნესის განვითარების აუცილებელი პირობა. მცირე ბიზნესის ამოქმედება უნდა დაიწყოს აგროსასურსათო სექტორში, მის ცალკეულ დარგებში, სადაც ამის განხორციელების მეტად კარგი შესაძლებლობებია. იგი შემდგომ, თანდათანობით გარდაიქმნება საშუალო და დიდ ბიზნესად და ქვეყნის ეკონომიკისათვის გახდება გაფართოებული კვლავწარმოებისა და ცხოვრების დონის ამაღლების საფუძველი.

საქართველოში მიმდინარე აგრარული რეფორმა საადგილმამულო ურთიერთობათა მოწესრიგებით, მიწის რეფორმითა და საწარმოთა რეორგანიზაცია-რესტრუქტურიზაციით დაიწყო. უკვე დასრულდა სახელმწიფო საკუთრების მასობრივი პრივატიზების ეტაპი, რომელიც შემდგომში ახალი პროგრამით, თანმიმდევრულად და მიზანმიმართულად უნდა წარიმართოს, უპირატესად ცალკეული ობიექტების მიხედვით შედგენილი სპეციალური გეგმის საფუძველზე. გარდა ამისა, გაკოტრების შესახებ საქართველოს შესაბამისი კანონის ამოქმედების კვალობაზე, აგროსამრეწველო, სასურსათო კომპლექსის რიგი საწარმოები ლიკვიდირებული იქნება. ეს ღონისძიება, ისევე როგორც სახელმწიფო საკუთრების პრივატიზება, ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს ქვეყანაში მეწარმეობის ნორმალური წარმართვისა და განვითარებისათვის.

ამჟამად, საქართველოში ძირითადად სამი ტიპის საწარმო (ინდივიდუალური, პარტნიორული, აქციონერული) ფუნქციონირებს, რომლებიც ქმნიან საშუალო და დიდი ბიზნესის განვითარების წინაპირობებს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დღეს ქვეყანაში არ არსებობს მათი განვითარების სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა, რაც გარკვეულად ზღუდავს მათ სამეურნეო-ეკონომიკურ საქმიანობას და განვითარების პოტენციურ შესაძლებლობებს.

მეწარმეობის განვითარებას სოფლად, გარდა საკანონმდებ-

ლო ბაზის მოუგვარებლობისა, ხელს უშლის სასტარტო კაპიტალის მოძიების პრობლემა და შესაბამისი საინფორმაციო ბაზის უქონლობა.

აღნიშნულის გამო რეფორმის პირობებში სოფლად, უკიდურესად დაქვეითდა მოსახლეობისა და მეწარმეთა შრომითი აქტივობა, მოსახლეობის დასაქმება და ფულადი შემოსავლების დონე. მოუგვარებელია ასევე სოფლის საწარმოო და არასაწარმოო ინფრასტრუქტურის, გადამმუშავებელ საწარმოებისათვის საჭირო ნედლეულით უზრუნველყოფის, წარმოებული სამრეწველო საქონლის გასაღების და სხვა პრობლემები, რომლებიც მეწარმეობის დაბალ ეფექტიანობაში აისახება.

ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში ეკონომიკის განვითარების შესაბამისად, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის კაპიტალის ორგანული შედგენილობის დაახლოების პროცესი მიმდინარეობს. ჩვენთან, კი ეს დღემდე არც დაწყებულა, რაც ასევე სოფლად მეწარმეობის განვითარების ერთ-ერთი არსებითი შემაფერხებელი ფაქტორია.

ერთი სიტყვით, შეიძლება ითქვას, რომ მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისათვის ქვეყანაში განხორციელებულმა ღონისძიებებმა ჯერ კიდევ არსებითი გავლენა ვერ მოახდინა მიკროეკონომიკურ სექტორზე. საწარმოთა დონეზე მომხდარი ტრანსფორმაცია ორგანულად არ შეერწყა ქვეყანაში მიმდინარე საერთო ეკონომიკურ გარდაქმნებს, რაც ქვეყნის ეკონომიკის, მათ შორის აგრარული სექტორის სრული ძალით აუმოქმედებლობის ძირითადი მიზეზი გახდა.

საქართველოს აგრარულ სექტორში ჩამოყალიბებული ეკონომიკის ზრდის ტემპები არადამაკმაყოფილებელია, რაც დღის წესრიგში აყენებს რეფორმის კურსის კორექტირების და მასთან დაკავშირებული რიგი პრობლემების დარეგულირების აუცილებლობას. კერძოდ, ქვეყანაში მნიშვნელოვანი ტემპებით ეკონომიკური ზრდის მისაღწევად აუცილებელია გადაიჭრას სამი ურთიერთდაკავშირებული მიკრო და მაკროეკონომიკური პრობლემა: 1. მეწარმეობის განვითარების შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის ფორმირება, 2. სამამულო წარმოების პროდუქციაზე გადახდისუნარიანი მოთხოვნის სტიმულირება, 3. ინვესტორების მოზიდვისათვის რეალური პირობების შექმნა.

ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის მეტად დაბალ ტემპს ადასტურებენ მსოფლიო ბანკის სპეციალისტებიც, რომლებმაც საბაზრო ეკონომიკასთან აგრარული რეფორმის ადაპტაციის შედეგები ბალური სისტემის გამოყენებით შეაფასეს. შედეგებმა აჩვენა, რომ ცენტრალური ევროპისა და დსთ-ს ქვეყნების მიხედვით (სულ 25 ქვეყანა), საქართველომ 6,2 ბალი მიიღო და მე-12 ადგილი დაიკავა (1 ადგილი დაიკავა უნგრეთმა – ხოლო უკანასკნელი ბელორუსმა – 1,8 ბალით). თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აგრარული რეფორმის ეკონომიკური ეფექტიანობის შედეგების მიხედვით ბელორუსმა მე-12, ხოლო საქართველომ ბოლო, 25-ე ადგილი დაიკავა (რაც ეკონომიკური ზრდის დაბალმა ტემპებმა განაპირობა), მდგომარეობა მართლაც საგანგაშოა.

სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ქვეყნის ხელისუფლებას ბოლომდე არ აქვს გათვითცნობიერებული ის ჭეშმარიტება, რომ დარგს, რომელსაც შეუძლია შეასრულოს ჩავარდნილი ეკონომიკის მაშველი რგოლის ფუნქცია, სოფლის მეურნეობა და იქ წარმოებული პროდუქციისა და ნედლეულის გადამმუშავებელი მრეწველობაა. აქედან გამომდინარე, ეკონომიკური ზრდისა და შემდგომი განვითარებისათვის აქცენტი სწორედ ამ დარგების ურთიერთდაკავშირებულ და პრიორიტეტულ განვითარებაზე უნდა გაკეთდეს.

სწორედ ამ მიდგომების საფუძველზე ყალიბდებოდა მიწათმოქმედების კულტურა და ტრადიციები განვითარებულ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც. ამ მოთხოვნათა დაცვამ აქცია საქართველო აგრარულ-ინდუსტრიულ ქვეყნად, განვითარებული სოფლის მეურნეობით და კვების მრეწველობით, შესაბამისი პროფილის წარმოების საშუალებების წარმოების მაღალი დონით.*)

---

*) აქ ანალოგიის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ თუ ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებში სასტარტო დარგებად ვაჭრობა და მსუბუქი მრეწველობა იყო წარმოდგენილი, ამერიკის შეერთებულ შტატების – თანამედროვეობის უძლიერესი და უმსხვილესი პოსტინდუსტრიული ქვეყნის – პოტენციალის საფუძველი სწორედ სოფლის მეურნეობაა. მან შექმნა აქ საფუძველი მრეწველობისა და აგროსექტორთან დაკავშირებული სხვა დარგების განვითარებისათვის, მომსახურეობის სფეროს გაფართოებისა და

საქართველოს აგრარული ეკონომიკის დინამიკური განვითარების გრძელვადიან პერსპექტივაზე ორიენტირებული სტაბილური ეკონომიკური ზრდის ამოცანა მოითხოვს ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ფაქტორების კომპლექსურად გადაწყვეტას. მათში მთავარია ქვეყანაში ბიზნესისა და მეწარმეობის განვითარება. ამ მიზნით განსაკუთრებული როლი მეცნიერულად დასაბუთებული მეწარმეობისა და ბიზნესის ორგანიზაციის საკითხებს, მცირე და საშუალო მეწარმეობის პრობლემების დარეგულირებას, პირველ რიგში, მათთვის ხელსაყრელი საწარმოო-ეკონომიკური და სამართლებრივი გარემოს ფორმირებას უნდა მიენიჭოს.

ქვეყანაში მეწარმეობის და ბიზნესი განვითარებისათვის სახელმწიფომ უნდა გაატაროს აქტიური სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკა, რაც რეფორმის გარდამავალ ეტაპზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ეს საკითხი ეხება არა მარტო უშუალოდ წარმოებას, არამედ მოხმარებასაც. იგი მოიცავს ეროვნული მეურნეობის ყველა დარგსა და სფეროს, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ფინანსური და ტექნოლოგიური სფეროები, იურიდიული და ეკონომიკური საქმიანობა, მარკეტინგი, ინფორმაციული და სხვა სექტორები,

---

საბოლოო ჯამში ქვეყნის ეკონომიკის აყვავებისათვის. ამავე პათოსში თუ მივყვებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ადამ სმიტის ცნობილი თეორიის (ბუნებრივი წესით ხალხთა სიმდიდრის დაგროვების შესახებ) მიხედვით, ადამიანის უპირველესი სასიცოცხლო მოთხოვნა – კვებაა, ხოლო ხალხთა სიმდიდრის შექმნის საფუძველი – სოფლის მეურნეობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს იმას ნიშნავს, რომ როცა სოფლის მეურნეობა აღმავლობას განიცდის, საზოგადოების ნებისმიერ სოციალურ ფენას, ქვეყნის ხელისუფლებას შეუძლიათ მშვიდად იყვნენ (ე.ი. არ არის მოსალოდნელი სოციალური დაძაბულობა და აფეთქება). ასეთია ხალხთა სიმდიდრის ზრდის ბუნებრივი წესის გავლენა საზოგადოებაზე ა. სმიტის მიხედვით და ეს მართლაც ასე იყო მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში მე-20 საუკუნის 20-იან წლებამდე. (სხვათა შორის, აღნიშნული პოსტულატის სისწორე ჩინელებმა დაამტკიცეს გასულ საუკუნეში, როცა რეფორმები ქვეყანაში სწორედ აგრარული სექტორიდან დაიწყეს და მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს არა მარტო სოფლის მეურნეობის, არამედ საერთოდ ეროვნული მეურნეობის განვითარების საქმეში. ამას აქ უკანასკნელ წლებში ქვეყნის შიდა პროდუქტის 7-8%-იანი საშუალო წლიური ზრდის ტემპიც ადასტურებს).

სადაც 90-იანი წლებიდან მრავალრიცხოვანი, დინამიკურად განვითარებადი, თვისობრივად ახალი სტრუქტურები და მცირე საწარმოები წარმოიშვა, რომლებსაც მხარდაჭერა ესაჭიროება.

მცირე მეწარმეობისა და ბიზნესის განვითარებისათვის ასევე აუცილებელია საზოგადოებრივი ინსტიტუტების ხელშეწყობა. ამ მიზნით საჭიროა შეიქმნას მათი განვითარების კეთილსაიმედო ხელშემწყობი გარემო, რაც უნდა გამოიხატოს მათთვის საჭირო ეკონომიკური ინფორმაციის მიწოდებაში, სწავლების ორგანიზაციაში, საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა გაფართოებაში და ა.შ.

ამავე კონტექსტშია გადასაწყვეტი ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა სასურსათო უშიშროების ინფორმაციისა და ადრეული გაფრთხილების სისტემის შექმნა (ასეთი სამსახურის ჩამოყალიბება გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (ფაო) მიერ არის რეკომენდებული. ამ სტრუქტურაში მთავარი ადგილი სასურსათო უშიშროების ძირითადი ინდიკატორების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის შეგროვებასა და ადრეული გაფრთხილების პრაქტიკის დანერგვას ეკუთვნის).

საქართველოში ამ მიმართულებით უკვე გადადგმულია პირველი ნაბიჯი. 2000 წელს საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში ევროკომისიის ფინანსური ხელშეწყობით დაარსდა „სასურსათო უსაფრთხოების ობსერვატორია", რომლის მიერ გამოშვებული ყოველკვარტალური ბიულეტენი „სასურსათო უზრუნველყოფის მდგომარეობა საქართველოში", დღეისათვის წარმოადგენს ერთადერთ პერიოდულ პუბლიკაციას, მიძღვნილს სასურსათო უზრუნველყოფის საკითხისადმი. მასში მრავალფეროვან სტატისტიკურ ინფორმაციასთან ერთად, ყურადღება ეთმობა სასურსათო უშიშროების პრობლემის ანალიზს, ტენდენციებსა და პროგნოზებს. ობსერვატორიის მიერ უკვე დაგროვილი გამოცდილება სრულ საფუძველს იძლევა, რომ იგი გახდეს ბირთვი სასურსათო უშიშროების ინფორმაციისა და ადრეული გაფრთხილების სრულყოფილი სისტემისა.

იმისათვის, რომ ეს რეალობად იქცეს, საჭიროა სერიოზული მხარდაჭერა, როგორც ხელისუფლების, ისე საერთაშორისო

ორგანიზაციების მხრიდან. ამავე მიზნით აუცილებლად გვესახება დაინტერესებული მხარეების ძალისხმევის გაერთიანება, რათა მეცნიერულ საფუძველზე აეწყოს მეტეოროლოგიური პირობების, ცალკეული სახის სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსალოდნელი მოსავლიანობის, სოფლის მეურნეობის პროდუქციასა და ნედლეულზე საბაზრო ფასების პროგნოზირება (სურსათის წარმოებისა და მოხმარების რეგიონული, სოციალური და ქონებრივი ასპექტები, შემოსავლებისა და ხარჯების სტრუქტურის, კვების ფიზიოლოგიური ნორმების და დიეტოლოგიური სტატუსის და სხვა საკითხები, რომელთა შესახებ სარწმუნო ინფორმაციის უქონლობა ხელს უშლის მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფის სრული სურსათის შექმნას). მიგვაჩნია რომ სასურსათო უშიშროების ინფორმაციისა და ადრეული გაფრთხილების სისტემის შექმნა ხელს შეუწყობს ქვეყანას ეფექტური და მიზანმიმართული აგრარული პოლიტიკის შემუშავებასა და რეალიზაციაში.

მრავალფორმიანი მეწარმეობა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობითაა აღიარებული, მხოლოდ მაშინ გამოავლენს თავის პოტენციალს და მოგვცემს მაღალ შედეგებს, როცა ყველა მათგანისათვის შექმნილი იქნება მეურნეობრიობის თანაბარი პირობები. ერთის ინტერესები არ შეილახება მეორის სასარგებლოდ, როგორც ეს სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში იყო (სადაც საზოგადოებრივი მეურნეობების წარუმატებლობას საკარმიდამო მეურნეობების შეზღუდვით მკურნალობდნენ. მაშინ, როცა ამ სექტორში მზადდებოდა სახელმწიფოს მიერ შესყიდული ხორცის 42%, ხილისა და ციტრუსების 70-90%, ყურძნისა და ბოსტნეულის მნიშვნელოვანი ნაწილი).

როცა ვლაპარაკობთ მეწარმეობის თანაბარი პირობების შექმნაზე, გასათვალისწინებელია ის მდგომარეობა, რომ ჩვენში შემორჩენილია კერძო სექტორისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება, უკეთეს შემთხვევაში მისი თვითდინებაზე მიშვების პრაქტიკა, რომელიც წარმოების სოციალისტური წესის პირობებში ჩამოყალიბდა. ასეთი მიდგომა რადიკალურად უნდა შეიცვალოს, მმართველობის ყველა დონეზე უნდა იქნეს გაცნობიერებული, რომ კერძო სექტორი საქართველოს კანონმდებლობით აღიარებულია მეწარმეობის თანაბარუფლებიან ფორმად,

რომელსაც იცავს და ხელს უწყობს სახელმწიფო.

რა თქმა უნდა სოფლის მეწარმე თავისუფალი უნდა იყოს თავისი საქმიანობის სფეროში, რომელიც გულისხმობს პროდუქციის წარმოებასა და გასაღებას, მომწოდებლებისა და მყიდველების არჩევას, წარმოებული პროდუქციის განკარგვასა და მასზე ფასების დაწესებას, საფინანსო მეურნეობის ორგანიზაციას და საფინანსო ბაზარზე მოქმედებას, მაგრამ, როგორც მსოფლიო პრაქტიკა მოწმობს, სოფლად მეწარმის საქმიანობა საბაზრო ურთიერთობების პირობებშიც კი მეტ-ნაკლებ მხარდაჭერას საჭიროებს.

ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ მარტო სოციალისტური ფორმის საწარმოთა დემონტაჟი და საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა, მეურნეობრიობის მრავალფორმიანი სისტემის დანერგვა და მეწარმისათვის თავისუფლების მინიჭება სამეურნეო-საწარმოო და ეკონომიკურ-ფინანსურ საქმიანობაში, არ აღმოჩნდა საკმარისი სოფლად მეწარმეობის სათანადო დონეზე განვითარებისათვის. მხოლოდ მიწების გადაცემამ და წარმოებითი ურთიერთობის შეცვლამ ვერ უზრუნველყო მათი სტაბილური და ეფექტიანი საქმიანობა. მიწაზე მეურნეობრიობის ნებისმიერი ფორმის საწარმოს რენტაბელური საქმიანობა და შემოსავლების სტაბილურობა შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ მრავალმხრივი მარეგულირებელი, სამართლებრივი, ეკონომიკური, ფინანსური და სხვა ხასიათის პროგრამების შემუშავებითა და რეალიზაციით, რომელსაც, ბუნებრივია, საფუძვლად უნდა ედოს შესაბამისი კანონმდებლობა.

საბაზრო ურთიერთობის პირობებში სოფლის მეურნეობის სახელმწიფო რეგულირების ერთ-ერთ ძირითად ფორმას საგადასახადო სისტემა წარმოადგენს, რომლის მექანიზმი ისე უნდა იყოს აწყობილი, რომ თავისი მოქმედებით ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობაში მეწარმეობის განვითარებას და პროდუქციის წარმოების გადიდებით მეწარმეთა დაინტერესებას. მხოლოდ ამ შემთხვევაში გახდება იგი მეწარმეობისათვის ხელშეწყობის ბერკეტი.

სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ამჟამად მოქმედი საგადასახადო სისტემა მეწარმეობას და მეწარმეებს, მ.შ. სოფლის მეურნეობაში, განიხილავს, როგორც მხოლოდ გადასახადის

გადამხდელს, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვის უშრეტ წყაროს. ასეთი საგადასახადო პოლიტიკა არა თუ ხელს უწყობს, არამედ პირიქით აფერხებს (მითუმეტეს აგრარულ სექტორში) მეწარმეობის განვითარებას, რომელიც თავისთავად არის დაკავშირებული მრავალნაირ რისკთან. არასწორი საგადასახადო პოლიტიკის შედეგია, რომ სოფლის ახალბედა მეწარმეები, რომლებიც მხოლოდ ჩამოყალიბების საფეხურზე იმყოფებიან, ვერ იხდიან გადასახადებს და ხელისუფლების ორგანოები მიმართავენ იძულებით ღონისძიებებს მათი ამოღებისათვის (მ.შ. კოლექტიურ მეწარმეთა კუთვნილი ტრაქტორების, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა ტექნიკის იძულებით გაყიდვის გზით).

მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ აგრარული რეფორმის ნაჩქარევად ჩატარების გამო ბევრ რაიონში რეორგანიზებული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა ძირითადად ცალკეული პირების ხელში აღმოჩნდა, რომლებიც საკუთარი შეხედულებით აწესებენ ხვნა-თესვის, ნათესების დამუშავების, მოსავლის აღება-ტრანსპორტირების ისეთ ფასებს, რომელიც ხელმიუწვდომელია საკარმიდამო მეურნეობების მქონე გლეხების დიდი ნაწილისათვის. ისინი იძულებულები ხდებიან მიატოვონ გადაცემული მიწები (არის მიწების სახელმწიფოსათვის დაბრუნების არაერთი ფაქტი). ასეთი მდგომარეობა სახელს უტეხს სახელმწიფოს და მეწარმეობის საბაზრო ფორმებს, ბადებს უიმედობასა და დეზორგანიზაციას.

სოფლის მეწარმესათვის საგადასახადო განაკვეთები ისე უნდა განისაზღვროს, რომ არ შეზღუდოს სოფლად მეწარმის არსებობის და მეწარმეობის განვითარების ეკონომიკური პირობები.*) ეს კი იმას ნიშნავს, რომ შემოსავალმა, რომელსაც

---

*) როცა სოფლად მეწარმეობისა და მეწარმის შესახებ ვსაუბრობთ, მხედველობაში გვაქვს ოჯახური საკარმიდამო მეურნეობები. მეურნეობრიობის ეს ტიპი ყველაზე გავრცელებული ფორმაა თანამედროვე მსოფლიოს აგრარულ წარმოებაში. დაახლოებით 1 მლრდ. ადამიანი შრომობს და ცხოვრობს ოჯახურ ფერმებში და აწარმოებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის მნიშვნელოვან ნაწილს. განვითარებული ქვეყნების სოფლის მეურნეობაში ისინი, ძირითადად, ფერმერული მეურნეობების სახელს ატარებს მეტ წილ

სოფლის მეწარმე ღებულობს, მთლიანად უნდა დაფაროს პროდუქციის წარმოების აუცილებელი ხარჯები და მისცეს მას მოგება 30-35%-ის ფარგლებში. ეს მოთხოვნა თანაბრად ეხება სოფლად მეურნეობრიობის ყველა ფორმას, რომელიც გადასახადით იბეგრება.

ჩვენ იმ აზრსაც ვიზიარებთ, რომ როცა საწარმოო პირობების სიმკაცრე არ იძლევა მეურნეობრიობის 20%-ზე მაღალი რენტაბელობით წარმართვის შესაძლებლობას, მეწარმე არა მარტო განთავისუფლებული უნდა იქნეს გადასახადისაგან, არამედ უნდა დაუწესდეს შეღავათები, რათა უზრუნველყოფილი იქნეს არახელსაყრელ ბუნებრივ პირობებში არსებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების შესაძლებლობათა გამოყენება.*)

საქართველოს მთიანეთში, სადაც განსაკუთრებით მკაცრი ბუნებრივი პირობებია და არსებობის ერთად-ერთ საშუალებას დაბალნაყოფიერი ხელით შრომა წარმოადგენს, მეწარმეებმა გადასახადი არ უნდა გადაიხადონ, პირიქით, სახელმწიფო მათ უნდა დაეხმაროს, რათა შეძლონ სასაზღვრო ზოლში ცხოვრება. დასახლებული და ძლიერი საზღვარი საქართველოს სახელმწიფოს ძლიერების, მისი უშიშროების გარანტია. სასაზღვრო ზოლის მოსახლეობა გარკვეულწილად თვითონ

განვითარებად ქვეყნებში კი გლეხურ მეურნეობებად იწოდება. ამ ორ ფორმას შორის არსებითი განსხვავებაა, მაგრამ ის ძირითადად სოციალური, ანთროპოლოგიური ხასიათისაა. კერძოდ, გლეხური მეურნეობები უფრო წვრილი, დანაწევრებული, იზოლირებული სოციალური ფენაა თავისი განსხვავებული ნიშანთვისებებით დანარჩენი საზოგადოებისგან, კულტურული ფასეულობებით და ა.შ. ეს მეურნეობები ფუნქციონირებენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ფაქტორთა არასრულყოფილი, განუვითარებელი ბაზრის პირობებში. ამდენად, გლეხური და ფერმერული მეურნეობები – ეს ოჯახური ტიპის სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ნაირსახეობაა, რომელთაც ახასიათებს გარკვეული ეკონომიკური ქცევები, გამომდინარე წარმოების ორგანიზაციის მეთოდებიდან, ფორმე.ბიდან და ა.შ. ორივე ასრულებს საწარმოო ფუნქციებს. პირველი, ძირითადად, თავად მოიხმარს წარმოებული პროდუქციის მეტ ნაწილს, ძირითადად იყენებს ოჯახის წევრთა შრომას. მეორე კი დაქირავებულ შრომას და ორიენტირებულია ძირითადად მოგების მიღებაზე.

*) მეფის რუსეთის დროინდელ საქართველოში მრავლად იყო სოფლები, რომელთა გლეხებს გადასახადს არ ახდევინებდნენ იმ მიზეზის გამო, რომ შრომობდნენ და ცხოვრობდნენ მწირ მიწებზე.

მონაწილეობს სახლვრის დაცვაში, საკვებით უზრუნველყოფს მესახლვრეებს, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია სახლვრის დაცვისა და სახელმწიფო უშიშროების განმტკიცებისათვის.

სოფლის მეწარმეთა გადასახადის განაკვეთების განსახლვრას საფუძვლად უნდა დაედოს მისი საწარმოო პირობები და დასაბუთებული ხარჯები, რომელსაც იგი პროდუქციის წარმოებისათვის ეწევა.

სოფლის მეწარმე უნდა იხდიდეს ერთი სახის გადასახადს, სახელდობრ მიწის გადასახადს, თუნდაც ამისათვის საჭირო გახდეს მისი ახლანდელი განაკვეთების გადიდება. ამასთან, დასარეგულირებელია კერძო სექტორისათვის გადაცემული მიწების ღირსების (ხარისხის) სწორად შეფასების საკითხი. ცხადია, მაღალი ნაყოფიერების მიწის მფლობელმა მეტი უნდა გადაიხადოს, მაგრამ მიწების შეფასების დღევანდელი პრაქტიკა უფრო მეტად ფორმალური ხასიათისაა და არ გამოხატავს მის რეალურ მდგომარეობას. ჩვენი მიწა-წყლის განსაკუთრებული სპეციფიკურობა განაპირობებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დიდ სიჭრელეს მისი ნაყოფიერების, ადგილმდებარეობის, დამუშავების და მოსავლის მოყვანის პირობების მიხედვით, რამაც თავისი გამოხატულება სწორედ საგადასახადო განაკვეთების ოდენობაში უნდა ჰპოვოს. მით უმეტეს, რომ მიწის პრივატიზაციის დროს დაშვებული დარღვევების შედეგად საკარმიდამო მეურნეობები სულ სხვადასხვა სასტარტო პირობებში აღმოჩნდნენ (ზოგიერთმა მათგანმა უსასყიდლოდ მიიღო მაღალმოსავლიანი ვენახები და ხილის ბაღები, ხოლო მეორე ნაწილს წილად ხვდა დაბალნოყიერი სახნავები).

სოფლად მეწარმეობის განვითარების ერთ-ერთ მთავარ პირობას სპეციალური საკრედიტო ბაზარი წარმოადგენს. ცნობილია, რომ ჯერჯერობით ამ საქმეში სრული განუკითხაობაა, რის გამოც სოფლის მეწარმეებს, რომლებიც ძირითადად გაძარცული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბაზაზე ჩამოყალიბდნენ, არ შეუძლიათ მიიღონ მოკლევადიანი კრედიტი საწვავ-საცხების, მინერალური სასუქების, შხამქიმიკატების და სხვა საბრუნავი საშუალებების შესაძენად. არაფერს ვამბობთ გრძელვადიან კრედიტზე, რომლის გარეშე პრაქტიკულად გამორიცხულია არა მარტო გაფართოებული

კვლავწარმოება, არამედ არსებული შენობა-ნაგებობების, ტექნიკის და სხვა ძირითადი საშუალებების შენარჩუნებაც კი (კაპიტალური რემონტისათვის საჭირო სახსრების არარსებობის გამო).

სახელმწიფომ უშუალოდ უნდა დაარეგულიროს ეს პრობლემა, გამონახოს აგროსაკრედიტო ბაზრის ფორმირების ფინანსური წყაროები და წარმართოს იგი აგრარული სექტორის პრიორიტეტული დარგების აღდგენა განვითარებისათვის. ამავე მიზნით ფართოდ უნდა იქნეს დანერგილი და გამოყენებული საკარმიდამო მიწის ნაკვეთის (ან საერთო მიწის) საგირავნოდ მიღების ანუ იპოთეკური კრედიტის პრაქტიკა.

საბაზრო ურთიერთობას უნდა მიესადაგოს სოფლის მეწარმეთა სადაზღვევო სისტემაც.

მსოფლიოში დაგროვილი გამოცდილების გაზიარებით უნდა შეიქმნას სადაზღვევო დაცვის ისეთი სისტემა, როცა სოფლის მეწარმე, მიუხედავად ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა და ქონების ღირებულებისა, დაინტერესებული იქნება სადაზღვევო ორგანოებთან ურთიერთობით.

3.2. სურსათის წარმოების რეგიონული და დარგობრივი ორიენტირები

> ამას ეჭვი არ უნდა, რომ ჩვენი ქვეყანა მიწათმოქმედი ქვეყანაა და ერთად-ერთი წარმოება, რომელსაც იგი ამოქმედებს, სახოფლო მეურნეობაა, ესე იგი იმისთანა წარმოება, რომელსაც პირდაპირ მიწასთან აქვს საქმე და მიწის მოქმედებასთან ....ქვეყნის ეკონომიური ხიმტკიცე და ძლიერება გლეხკაცობის მიწათმფლობელობაზეა დამოკიდებული. რამოდენადაც ეგ მიწათმფლობელობა ფართოა, სხვაზედ დამოუკიდებელი და თავისუფალი მიწათ-მოქმედებისათვის, იმოდენად ქონებითი ძალ-ღონე ქვეყნისა, თუ სახელმწიფოსი მტკიცეა, ძლიერი და მუდმივი.
>
> ილია ჭავჭავაძე

საქართველოში 1994 წლიდან დაიწყო ეკონომიკური პროცესების თანდათანობით ნორმალიზება. ხელისუფლების კონტროლს დაექვემდებარა ეკონომიკის დიდი ნაწილი.

შეიქმნა სოლიდური სახელშეკრულებო-სამართლებრივი (საკანონმდებლო) ბაზა, დარეგულირდა ქვეყნის ადმინისტრაციული და სამართალდამცავი ორგანოების მუშაობა. ინფლაციური პროცესების მართვადობის მიღწევისა და სტაბილური ეროვნული ვალუტის შემოღების შედეგად ძირითადად მოწესრიგდა საფინანსო სისტემა, რამაც ხელისუფლებას საშუალება მისცა დაეწყო როგორც სოციალური, ისე ეკონომიკური პროცესების რეგულირება. ყოველივე ამან წინაპირობები შექმნა საბაზრო რეფორმების შემდგომი განხორციელებისა და პოზიტიური შედეგების მიღებისათვის.

ეროვნული სასურსათო უშიშროების პრობლემის გადაწყვეტა მოითხოვს მნიშვნელოვან ძალისხმევას რეგიონალურ დონეზე. ცენტრსა და რეგიონებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნა ამაღლებს ამ უკანასკნელთა როლსა და პასუხისმგებლობას სასურსათო უშიშროების პრობლემის გადაწყვეტაში.

რეგიონულ დონეზე გადასაჭრელი ამოცანები დამოკიდებულია სურსათის მწარმოებელ ამა თუ იმ რეგიონში არსებულ შესაძლებლობებზე. ამ შესაძლებლობათა რეალიზაციის საფუძველი უნდა მომზადდეს საერთო სახელმწიფოებრივ დონეზე სურსათის წარმოების სტიმულირების, მის შესასყიდად საჭირო თანხების აკუმულირების, სურსათის სადაზღვევო და სამობილიზაციო მარაგების შექმნის გზით.

1990-2002 წლებში სურსათით უზრუნველყოფის დონე ყველაზე მეტად დაეცა გურიის, სამეგრელოს და კახეთის რეგიონებში, შედარებით მცირედ იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმში. ქვემო ქართლის რეგიონში სხვა რეგიონებთან შედარებით დაცემის დონე მცირეა, ხოლო სურსათზე ხელმისაწვდომობამ და სასურსათო თვითუზრუნველყოფამ კიდევაც გადააჭარბა 1990 წლის დონეს. ამ რეგიონში სურსათის საკმარისობის კოეფიციენტი ნატურალურ გამოსახულებაში 2002 წელს 0,99-ის ტოლია. რაც იმაზე მიუთითებს, რომ მოსახლეობის კვების რაციონის ფაქტიური ენერგეტიკული ფასეულობა მხოლოდ ერთი პროცენტითაა ნაკლები მოხმარების ფიზიოლოგიური ნორმებით გათვალისწინებულ მაჩვენებელზე. ამასთან ერთად, სურსათის საკმარისობის კოეფიციენტი ღირებულებით გამოხატულებაში 0,58-ის ტოლია, რაც მეტყველებს იმაზე, რომ

დღეისათვის ამ რეგიონის მოსახლეობა მართალია ვერ ახერ-ხებს საკმარისი რაოდენობით მიიღოს ყველა აუცილებელი კვების პროდუქტი, მაგრამ აღნიშნული რეგიონი ქვეყნის სხვა რეგიონებთან შედარებით ყველაზე უკეთ კმაყოფილდება.

რეგიონების მოსახლეობის უმრავლესობა ჯერ კიდევ შორ-საა საკუთარი წარმოების სასურსათო პროდუქტებით სრული უზრუნველყოფისაგან. რეგიონებს შორის არსებობს სურსათით თვითუზრუნველყოფის მიხედვით მკვეთრი დიფერენციაცია, რასაც თავისი ობიექტური მიზეზები გააჩნია.

მიმდინარე ეტაპზე, რეგიონულ ჭრილში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის ოპტიმიზაციის პრობლემის გადაწყვეტა, რისთვი-საც საჭიროა:

1. სოფლის მეურნეობის განვითარების არსებული და პო-ტენციური დონის დადგენა;

2. დარგების სწორი სელექცია იმ პრიორიტეტული დარგე-ბის გამოყოფით, რომლებიც საბაზრო ურთიერთობის მოთხოვ-ნებს აკმაყოფილებს (ე.ი. დარგი კონკურენტუნარიანი უნდა იყოს ქვეყნის შიდა და გარე ბაზარზე);

3. საკუთარი წარმოებისა და იმპორტის შეწონასწორებუ-ლი, ოპტიმალური მოდელის შერჩევა.

აღნიშნული საკითხები დასამუშავებელია რეგიონების მიხედვით, რაშიც დიდი წვლილის შეტანა შეუძლიათ სამეცნი-ერო დაწესებულებებში მომუშავე მეცნიერებსა და სპეციალის-ტებს (აგროეკონომისტებს).

როცა რეგიონულ ჭრილში სურსათით თვითუზრუნველყო-ფის მაჩვენებელზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სურსათით (ან ნებისმიერი სხვა მნიშვნელოვანი რესურსით) თვითუზრუნველყოფის დონის ამაღლებას არ უნდა მოყვეს რეგიონის „ავტონომიზაცია", ქვეყნის საერთო ამოცანების, საერთო ბიზნეს-პრინციპების და საერთოდ აღიარებული კანო-ნების (აბსოლუტური უპირატესობის და ფარდობითი უპირატე-სობის) მოთხოვნათა უგულვებელყოფა. პირიქით, რეგიონის თვითუზრუნველყოფის დონის ამაღლება, ადგილზე არსებული რესურსების რაციონალურ გამოყენებას და პროდუქციის უფ-რო დაბალ თვითღირებულებას უნდა ემყარებოდეს. საბოლოო

ანგარიშით, ის ხელს უნდა უწყობდეს ქვეყნის გამთლიანებას და მისი სასურსათო უშიშროების ყოველმხრივ განმტკიცებას.

რეგიონულ ჭრილში სასურსათო უშიშროების მაჩვენებლებისა და სასურსათო პროდუქტების წარმოებისა და მოხმარების (1990-2002 წლების) საბალანსო გაანგარიშებებმა დაადასტურა სასურსათო რესურსების ფორმირებისა და გამოყენების თავისებურებანი საქართველოში, მის ცალკეულ რეგიონებსა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის ზონებში. საექსპორტო პროდუქტების (ჩაი, ციტრუსი, ყურძენი, ღვინო, ეთერზეთების პროდუქცია) მწარმოებელი ზონები უფრო მეტად არიან დაზარალებული სასურსათო პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის საქმეში (რასაც განაპირობებს სპეციალიზებული დარგების წარმოების დაცემა და სამაგიეროდ ახალი მაკომპენსირებელი დარგების ჩაუნაცვლებობა მხარის ეკონომიკაში). მართალია, ამავე რეგიონებში მოსახლეობის მიერ მოხდა სპეციალიზებული დარგების (მევენახეობის, მეჩაიეობის, მეციტრუსეობის, ეთერზეთოვნების და სხვა) შეცვლა (ჩანაცვლება) სასურსათო პროდუქტების მწარმოებელი დარგებით (მარცვლეული, მზესუმზირა, ბოსტნეული, კარტოფილი), მაგრამ მან ვერ მიიღო ისეთი გაქანება, რომ მოეხდინა კომპენსაცია და სასურსათო დეფიციტი დაეფარა (ეს პროცესი დღესაც თვითდინებაზეა მიშვებული). ჩვენს მიერ შედგენილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და მოხმარების პერსპექტიული ბალანსები გვიჩვენებს, რომ საქართველოს მოსახლეობის მოთხოვნილება 2015 წლისათვის შესაძლოა მთლიანად იქნეს დაკმაყოფილებული საკუთარი წარმოების ისეთი პროდუქტებით, როგორიცაა კარტოფილი, ბოსტნეული, ბაღჩეული, ხილი, რძე და რძის პროდუქტები, კვერცხი, თევზი. რაც შეეხება ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ისეთი პროდუქტებით, როგორიცაა პური და პურპროდუქტები, ხორცი და ხორცის პროდუქტები, კვლავ იმპორტით შევსების ხარჯზე მოხდება, მაგრამ აქაც თვისებრივ ცვლილებებს ექნება ადგილი. იზრდება საკუთარი წარმოების პროდუქტებით მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფა. მაგალითად, პურისა და პურპროდუქტებით უზრუნველყოფა იზრდება 36-დან 90%-მდე, ხორცის პროდუქტების

30-დან – 90%-მდე და ა.შ.

აღნიშნულის საფუძველია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ტრანსფორმაცია, რომელიც იძლევა საშუალებას 2010-2015 წლებისათვის დამუშავებაში მყოფი მიწების ფართობი გაიზარდოს 250-270 ათასი ჰექტრით, ხოლო ნათესი ფართობი 180-200 ათასი ჰექტრით. სახნავი მიწების ასეთი სტრუქტურული ტრანსფორმაცია საშუალებას იძლევა ქვეყანაში წარმოებული იქნეს „მარცვლისა" და "სოიას" სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული მოცულობები, რაც ნიშნავს, რომ მარცვლეულის წარმოების მიხედვით სასურსათო უშიშროება ძირითადად მიღწეული იქნება (საკმარისობის მიხედვით). საჭიროა მხოლოდ ქვეყანაში ამაღლდეს დასაქმებისა და შემოსავლების დონე, რათა სურსათი საყოველთაოდ ხელმისაწვდომი გახდეს.

ქართველ აგრარიკოს მეცნიერთა და უცხოელ ექსპერტთა ვარაუდით მეჩაიეობასა და მევენახეობაში შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად 3-4, მებაღეობაში – 6-7, ხოლო მეციტრუსეობაში – 5-6 წელი იქნება საჭირო.

აუცილებელია გაგრძელდეს სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ მეჩაიეობის გადარჩენისა და რეაბილიტაციისათვის თანხების გამოყოფის არსებული პრაქტიკა, რაც მომავალში სხვა მრავალწლიანი ნარგავების მიმართაც უნდა განხორციელდეს.*)

მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გასატარებელი მეცხოველეობაში, რადგან საქართველოში მეცხოველეობის აღდგენის, მისი ეფექტიანობის ამაღლების და დინამიკური განვითარების პრობლემის გადაჭრა ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. სოფლის მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის ყოველმხრივ განვითარება ორგანულად უკავშირდება მოსახლეობის მატერიალურ კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ამაღლების უზრუნველყოფას, ადამიანისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი მაღალკალორიუ-

---

*) ჩვენი გათვლებით პერსპექტივაში ჩაის კულტურის ოპტიმალური ფართობი 30-35 ათასი ჰა-ით, ვენახის – 65-70 ათასი ჰა-ით, ხეხილის – 80-90 ათასი ჰა-ით, სუბტროპიკული კულტურების 15-20 ათასი ჰა-ით, ხოლო ბოსტნეულის, ბაღჩეულისა და კარტოფილის – 50-60 ჰა-ით უნდა განისაზღვროს.

ლი პროდუქტების ხარჯზე კვების ულუფის სტრუქტურის სწორად დაბალანსებას. ამ თვალსაზრისით, მეცხოველეობის განვითარება დარგში არსებული ეკონომიკური ზრდის ინტენსიურ და ექსტენსიურ შესაძლებლობებს, პირველ რიგში კი საკვები ბაზის შექმნისა და სანაშენო საქმის ახლებურ ორგანიზაციას უნდა დაემყაროს.

მეცხოველეობის პროდუქციის მწარმოებლები ახლო პერსპექტივაში (2010 წელი) იქნებიან ოჯახური მეურნეობები, თუმცა შემდგომში, თანდათანობით, საჭირო გახდება მათი მსხვილ კონცენტრირებულ წარმონაქმნებში გაერთიანება. ეს პროცესი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვის კვალობაზე კიდევ უფრო უნდა დაჩქარდეს.

2015 წლისათვის ყველა სახის ხორცის (დაკლული წონით) წარმოება შეიძლება განისაზღვროს 260-280 ათასი ტონით, რძის, შესაბამისად – 1800 ათასი ტონით, ხოლო კვერცხისა – 1.300 მლნ. ცალით.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების პროგნოზული დონის მიღწევისათვის, საკვები ბაზის გაფართოების მიზნით, ცვლილებები უნდა განხორციელდეს ნათესი ფართობის სტრუქტურაში. მეცხოველეობის დარგი ძირითადად დაკმაყოფილდება ადგილობრივი წარმოების უხეში და წვნიანი საკვებით, ხოლო კონცენტრირებული საკვები ძირითადად შემოტანილი ანუ იმპორტული იქნება.

საქართველოს ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები, სახნავი ფართობების სიმცირე, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში ბუნებრივი სათიბ-საძოვრების მაღალი ხვედრითი წონა, ზამთრისა და ზაფხულის საძოვრების არასახარბიელო თანაფარდობა, პირუტყვის სახეობათა მიხედვით ასევე არარაციონალურ სტრუქტურულ თანაფარდობას აპირობებს.

ასე, მაგალითად, მეცხვარეობის განვითარებას გარკვეულად აფერხებს ზამთრის საძოვრების უქონლობა და სათიბ-საძოვრული მეურნეობის მოუგვარებლობა. დღეისათვის ქვეყანას არ გააჩნია სათიბ-საძოვრების გამოყენების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ბაზა (კანონმდებლობა), არ მომხდარა ამ საძოვრების განაწილება და სარაიონთაშორისო გადანაწილება, რაც სერიოზული დამაბრკოლებელი მიზეზია მეცხვარეო-

ბის განვითარებისათვის. მეცხვარეები ზამთარს იმავე პირობებში ატარებენ, როგორც ორი საუკუნის წინ ქართველ მწერალს *ალექსანდრე ყაზბეგს* უხდებოდა. ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობების უქონლობის გამო, ახალგაზრდობა უარს ამბობს მოუაროს ცხვარს. საბჭოთა პერიოდშიც კი ეს პრობლემა საკმაოდ მწვავედ იდგა და კამპანიურ ხასიათს ატარებდა.

მეცხვარეობის დარგის განვითარების სერიოზულ დაბრკოლებად იქცა მატყლის დამზადების სრული პარალიზება. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში არ წარმოებს მატყლის შესყიდვა, რის გამოც ეს დარგი მწარმოებლისათვის არაეფექტიანი გახდა.*) ამან დააზარალა ყაზბეგის, დუშეთის, თიანეთის, ახალგორის, ჯავის, ახმეტის, თელავის, გურჯაანის, ყვარლის, სიღნაღის, დედოფლისწყაროს და საგარეჯოს რაიონები, რომელთა ეკონომიკაშიც მეცხვარეობა ტრადიციულად დიდ როლს ასრულებდა. ვფიქრობთ, ეს კარგი ტრადიცია მომავალში კვლავაც უნდა აღდგეს.

ჩვენი პროგნოზით, 2010 წლისათვის, დაძლეული იქნება მეფრინველეობის განვითარებაში უკანასკნელ წლებში შექმნილი მძიმე მდგომარეობა. პერსპექტივაში მეფრინველეობის კონცენტრაციის დონის ამაღლება მიზანშეწონილია სააქციონერო საწყისებზე გადაყვანილ მსხვილ სპეციალიზებულ მეფრინველეობის ფაბრიკებსა და საზღვარგარეთის ქვეყნებთან ერთობლივად შექმნილ საწარმოებში.

და ბოლოს, ერთ-ერთი უძველესი დარგის – მეფუტკრეობის შესახებ. ქართული ფუტკრის გამორჩეული თვისებები (გრძელხორთუმიანობა და მაღალი პროდუქტიულობა) უნიკალურ შესაძლებლობას იძლევა ამ დარგის მაღალ დონეზე განვითარებისათვის. დღეისათვის ფუტკრის ოჯახების რაოდენობა ქვეყანაში 100 ათასს, ხოლო თაფლის წარმოება 2000 ტონას არ აღემატება. საქართველოში არსებობს ყველა პირობა ფუტკრის ოჯახების 4-5-ჯერ, ხოლო თაფლის წარმოების 8-10 ათას ტონამდე გაზრდისათვის. ამ რეზერვის რეალური ამოქმედება საშუალებას მოგვცემს მოვახდინოთ იმპორტული

*) ქართულ მატყლს კონკურენციას უწევს მეზობელი ქვეყნებიდან შემოტანილი, შედარებით იაფფასიანი მატყლი.

შაქრის თაფლით ჩანაცვლება, რასაც, გარდა ეკონომიკური მნიშვნელობისა, წმინდა ფიზიოლოგიური დატვირთვაც გააჩნია კვების რაციონის გამდიდრებისა და გაჯანსაღების თვალსაზრისით.

ჩვენს მიერ ზემოთ განხილული სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების განვითარების ორიენტირების რეალიზაციამ უნდა შექმნას ქვეყნის მოსახლეობისათვის აუცილებელი სურსათის ის მარაგი, რომელიც საჭიროა სრულფასოვანი და რაციონალური კვებისათვის. აქვე არ შეიძლება არ გავიხსენოთ აკადემიკოს *ივანე ჯავახიშვილის* მოსაზრება ადამიანთა კვების თავისებურებების, რაციონის და სტრუქტურის შესახებ. იგი წერდა: „კვებას ერის ფიზიკურ-გონებრივი განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ადამიანისათვის მეურნეობითი შემოქმედების ამ დარგშიც კულტურის განვითარების დონეც სჩანს და ბუნებრივი სიმდიდრის გონივრულად გამოყენების უნარიც... საქართველოს ბუნებრივი მრავალფეროვნების საფუძველზე ქართველმა ერმა შექმნა მრავალნაირი საკვები და სასმელი, რომლითაც ის თავის ჯანმრთელობასაც იცავს და გემოვნების მოთხოვნილებებსაც იკმაყოფილებს".

საკვები (სურსათი) სასიცოცხლო უზრუნველყოფის სხვა ატრიბუტებთან ერთად საუკუნეთა განმავლობაში ქმნიდა და განასახიერებდა ცალკეული ერების სპეციფიურ ეთნოკულტურას. ჩვენს დროშიც კი, როცა მატერიალურ-კულტურული, საყოფაცხოვრებო და სხვა სფეროებში მიმდინარეობს ეთნიკური სპეციფიკის ინტენსიური ნიველირების (გამოთანაბრების) პროცესი, ისტორიულად ჩამოყალიბებული კვების ხალხური, ტრადიციული სისტემა კვლავაც ყოფითი კულტურის ძირითად ფენომენად რჩება.

ხალხთა კვების თავისებურებანი, მოხმარებული საკვების რაოდენობა და შემადგენლობა მრავალ ფაქტორებზეა დამყარებული, რომელთა შორის გამოსაყოფია ბიოგეოკლიმატური პირობები, წყლის გარემო, სოციალურ-ეკონომიური განვითარების დონე, ისტორიულ-კულტურული თავისებურებანი, რელიგიური აღმსარებლობა, ტრადიციები და სხვა. აქედან გამომდინარე სხვადასხვა ხალხთა კვების რაციონიც მრავალგვარია. ზოგიერთი ხალხის კვების რაციონში საერთოდ არ მონაწილე-

ობს ცხოველური წარმოშობის პროდუქტები (მაგალითად ინდოელები, რომლებიც მათ ნაკლებობას არ განიცდიან, პირიქით ხორცის ექსპორტსაც ეწევიან), ხოლო ზოგიერთ ხალხში კი პირიქით (მაგალითად კანადისა და რუსეთის ფედერაციის უკიდურეს ჩრდილოეთში ე.წ. „ველური ლანდშაფტების“ კმაყოფაზე მყოფი ხალხი, რომლებიც მხოლოდ თევზით და გარეული ცხოველების ხორცით ანუ ნანადირევით იკვებებიან). ცალკეულ ხალხებში რელიგიური მრწამსის ნიადაგზე საერთოდ აღკვეთილია ამა თუ იმ სახის საკვების მოხმარება (მაგალითად ღორის ხორცი მუსულმანურ ქვეყნებში). ზოგიერთი ხალხი ნახშირწყლებზე მოთხოვნილებას ქერით, ხოლო ცხიმზე და ცილაზე – ცხვრის ხორცით და რძის პროდუქტებით იკმაყოფილებენ (მაგალითად მონღოლები, ჩრდილოეთ ჩინეთი). ზოგიერთი ხალხის კვების რაციონის უმთავრესი შემადგენელი პროდუქტი სიმინდი და პარკოსანი კულტურებია (მაგალითად მექსიკის და ჩრდილოეთ ამერიკის უკიდურესი სამხრეთ ნაწილი) და ა.შ.

ქართველი ერის კვების ტრადიციები, როგორც ცნობილია, წინა აზიურ სივრცეში ყალიბდებოდა, რომელიც სამართლიანად ითვლება უძველესი მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის განვითარების კერად. აქ თავდაპირველად შექმნილი მეურნეობისა და მეურნეობრიობის პრიმიტიული ფორმები შემდგომში საფუძვლად დაედო ევრაზიის მთელს ტერიტორიაზე მოგვიანებით წარმოშობილ სამეურნეო-კულტურულ კომპლექსების სხვადასხვა ტიპს, რომელიც ძირითადად მარცვლეული მეურნეობის წარმოების, სხვადასხვა სახის პირუტყვის მოშენებასა და მისგან მიღებული ცხოველური პროდუქტების მოხმარებაზე იყო დაფუძნებული. აღსანიშნავია, რომ ეს სამეურნეო კომპლექსი და კვების სპეციფიკა მხოლოდ ევრაზიის ტერიტორიაზე და აფრიკის კონტინენტის მცირე ნაწილზე (ჩრდილოეთი) გავრცელდა, მაშინ როცა წინა აზიის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ოლქში შედის თურქეთი, ისრაელი, არაბული ქვეყნები, ირანი, ავღანეთი, რომელთა მოსახლეობას მსგავსი სამეურნეო-კულტურული და საყოფაცხოვრებო პირობები გააჩნიათ, მათი ეროვნული სამზარეულო და ყოველდღიური საკვები ერთგვაროვანია და როგორც წესი მარცვლეუ-

ლის, ბოსტნეულის და რძის პროდუქტებისგან შედგება. აღნიშნულისგან განსხვავებით საქართველოში სასიცოცხლო საარსებო პირობას ქმნიდა, როგორც კულტურული მიწათმოქმედების ასევე მოპოვებითი (ნადირობა, თევზაობა) პროდუქტები (მათგან ძირითადი ნაწილი მაინც მიწათმოქმედებისგან მოდიოდა, შემდეგში კი მეცხოველეობის განვითარებასთან ერთად ნანადირევის ხვედრითი წილი კიდევ უფრო შემცირდა და ბოლოს დელიკატესად იქცა).

ქართველთა კვების სისტემაში ჰარმონიულადაა შერწყმული ბალახოვანი, ველურად მზარდი მცენარეები (მხალეული) და ბოსტნეული კულტურები, სხვადასხვა სახის მწვანილი, სანელებელი და ა.შ. პარკოსნებიდან – ცერცვი, ოსპი, ბარდა, მუხუდო, პურეულიდან – ხორბალი, ფეტვი, ქერი, შვრია, ჭვავი, რაც უზრუნველყოფდა კარგად დაბალანსებულ ვეგეტარიანულ კვებას წელიწადის ნებისმიერ დროს. მარცვლეული, ზეთოვანი, პარკოსანი, ბოსტნეული, ველური ბალახოვანი მცენარეები, ხილი, კაკალი, თაფლი და სხვ. ქართველებს აძლევდა იმ ნივთიერებების კომპლექსს, რომელიც აუცილებელი იყო ადამიანის ნორმალური ცხოველმყოფლობისათვის. ამავდროულად ცხოველური ცილის წყაროს მესაქონლეობისა და მეფრინველეობის პროდუქტები (ხორცი, კვერცხი, რძე და რძის პროდუქტები) წარმოადგენდა, რომელსაც ავსებდა მოპოვებითი გზით მიღებული თევზი. ჩამოთვლილი პროდუქტები სრულად უზრუნველყოფდა ჩვენი წინაპარი ქართველების სრულფასოვან კვებას, როგორც სამარხო ისე არასამარხო პერიოდში. ამდენად, ქართველთა კვების სისტემიდან შეიძლება დანახულ იქნეს კვების ეკოლოგიური, სამკურნალო, გერონტოლოგიური, ეკონომიკური და კულტურულ სამეურნეო მხარეები, რელიგიური და სოციალური ასპექტები. მასში ვლინდება სასიცოცხლო უზრუნველყოფის კულტურის მემკვიდრეობითი ფასეულობანი, ეთნოსის დამახასიათებელი თვისებები და ეროვნული თვითშეგნება.

ზემოაღნიშნული მრავალი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა, პირველყოვლისა კი იმის თაობაზე, რომ დღეს ჩვენთვის მთავარია, არა მხოლოდ, ზოგადად სურსათის სიუხვისათვის ზრუნვა, არამედ იმის ცოდნაც, თუ რა საკვებზე

იქმნებოდა, ყალიბდებოდა და ევოლუციონირებდა ქართული გენი. ადამიანის გენეტიკური ბუნება მართალია დღესაც პრაქტიკულად იგივეა, როგორც ის დაახლოების 8-10 საუკუნის წინათ იყო (როგორც მეცნიერები ამტკიცებენ გენეტიკური ევოლუციის პროცესი მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს), მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თანამედროვე ცივილიზაცია ადამიანს ძალიან სწრაფად უცვლის საარსებო გარემოს, რის გამოც ის (ადამიანი) სულ უფრო მეტად სცილდება იმ სასიცოცხლო პირობებს სადაც წარმოიშვა და ჩამოყალიბდა. ამდენად მომავალში ობიექტურადაა გასათვალისწინებელი ის თავისებურებანი და ტრადიციები რაც ისტორიულად საქართველოში კვების სისტემის (სურსათის წარმოება, მისი სტრუქტურა, საკვების ქიმიური შემადგენლობა, მოხმარების ნორმები, კვების რაციონი სამარხო და არასამარხო პერიოდებში და ა.შ.) უკავშირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში ადრე თუ გვიან შესაძლოა მივიდეთ ეთნოსის ბიოლოგიური ცხოველმყოფლობის შესუსტებამდე, რასაც როგორც ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესება, ასევე არასრულფასოვანი (არატრადიციული) კვება ემუქრება.

დედამიწაზე ადამიანთა კვების რაციონი და ტიპები მრავალფეროვანია. ამერიკელმა მეცნიერმა *კერიელმა* დედამიწის ცალკეულ არეალებში საკვები ნივთიერებების წყაროების მიხედვით კვების 20 ტიპი გამოყო. მისი სქემის მიხედვით კვების ტიპების ტერიტორიულ განთავსებას გეოგრაფიული სიახლოვის პრინციპი არ უდევს საფუძვლად. მაგალითად, ერთი და იგივე კვების ტიპი შეიძლება დედამიწის მეტად დაშორებულ რეგიონებში არსებობდეს, მაშინ, როდესაც გვერდიგვერდ მყოფნი განსხვავებული რაციონით იკვებებოდნენ.

„კერიელის სქემა“ არ არის დოგმატური (უცვლელი), მასში დროსა და სივრცეს გარკვეული კორექტივები შეაქვს (ასე მაგალითად, „ველური ლანდშაფტების“ კმაყოფაზე მყოფი ხალხები განვითარების კვალობაზე, საკუთარ რაციონში ზრდიან კულტურული მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტებს. ეკონომიკური განვითარება იწვევს ცხოველური წარმოშობის პროდუქტების მოხმარების უპირატეს ზრდას. ამის მაგალითი უკვე არსებობს იაპონიასა და სხვა ქვეყნებში).

საქართველოს აღნიშნულ სქემაში ადგილი მიჩნეული არ აქვს. მიგვაჩნია, რომ საქართველოს, როგორც მსოფლიო გაერთიანების სუბიექტს, უნდა მოენახოს საკუთარი ადგილი „კერიელის სქემაში". აღნიშნულს ობიექტურად კარნახობს ქვეყნის სამომავლო განვითარების პერსპექტივა (საერთაშორისო პროექტების რეალიზაციაში ჩართული უცხოელი მოქალაქეები, ტურისტთა და დამსვენებელთა სულ უფრო მზარდი ნაკადები და ა.შ.).

ჩვენი აზრით, საქართველო უნდა მიეკუთვნოს იმ ქვეყანათა რიცხვს, რომლებიც „კერიელის სქემით" გაერთიანებულია მესამე ჯგუფში (შუა აზია, აფრიკის ჩრდილოეთი ნაწილი და სამხრეთ ევროპა), სადაც მოსახლეობისათვის კალორიების მთავარ წყაროს მარცვლეული, მცენარეული და ცხოველური ცხიმები, ხოლო ცილის მთავარ წყაროს კი სხვადასხვა სახის ხორცთან ერთად პარკოსნები წარმოადგენს. ამასთან, საქართველოში ნახშირწყლების, ვიტამინების და მინერალური ნივთიერებების უმნიშვნელოვანესი წყარო მრავალფეროვანი ხილი, ბოსტნეული, ბაღჩეული, კაკლოვანი და სხვა ტრადიციული კულტურებია, რაც, საერთო ანგარიშით, ქმნის ქართული სუფრის – კულინარული ხელოვნების საფუძველს.

3.3. სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის ამაღლების გზები და მიმართულებები აგროსასურსათო სექტორში

> როცა არ გვაბადია წარმოება და არც შემოსავალი, ვერ გვიხსნის ვერავითარი გადასახადი. წარმოების გაჩაღება არის ერთადერთი ჩვენი ხსნა: უნდა მოვახერხოთ გარეთ მეტი გავიტანოთ გასაყიდი, ვიდრე უცხოელს ვთხოვოთ საყიდი საქონელი. სანამ მოსაზიდი მეტი გვექნება, ვინემ გასაზიდი, მონობას ვერ ავცილდებით.
>
> ნიკო ნიკოლაძე

საქართველოში აგროსასურსათო სექტორის საწარმოებისა და ორგანიზაციების რეფორმირება დაიწყო შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის და ეროვნული პროგრამის შემუშავების გარეშე. აღნიშნულმა ხელი შეუწყო სასოფლო-სამეურნეო

საწარმოების სტიქიურ ნგრევას, კვების მრეწველობისა და მომსახურების სფეროს პარალიზებას და პროდუქციის წარმოების კატასტროფული ვარდნას.

რესტრუქტურიზებული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ბაზაზე ფორმირებულია ათასამდე საბაზრო ტიპის მეწარმე იურიდიული პირი, სააქციო საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი და სხვ. მაგრამ მათ დიდ უმეტესობას (თუ ყველას არა) არ გააჩნია ორგანიზაციულად მოწყობილი და ეკონომიკურად გამართული, საწარმოო საშუალებებით უზრუნველყოფილი მეურნეობა. ამიტომაც არის, რომ ისინი ბაზარზე ფაქტობრივად არ ჩანან და ხელშესახები წვლილი ვერ შეაქვთ ქვეყნის სასურსათო რესურსების ფორმირებაში.

სრულიად ახალი ტიპის მეწარმეთა ფენის ჩამოყალიბების პროცესის გაჭიანურება იმანაც განაპირობა, რომ საბაზრო ურთიერთობის დამკვიდრება მიმდინარეობს ე.წ. საზოგადოებრივი მეურნეობების რესტრუქტურიზაციის გზით, რომლის პრეცედენტი მსოფლიოს პრაქტიკაში არ ყოფილა. მრავალ გაუგებრობებთან არის დაკავშირებული მართვის ადმინისტრაციული მეთოდის ხელაღებით უარყოფაც. აღნიშნულის შედეგია ის, რომ სოფლის მეურნეობაში პროდუქციის წარმოების დღევანდელი დონე რეფორმამდელის ნახევარს არ აღემატება. უკეთესი მდგომარეობა არც კვების მრეწველობის საწარმოებშია.

რეფორმების პერიოდში კატასტროფულად შემცირდა, როგორც სოფლის მეურნეობის, ასევე გადამმუშავებელი მრეწველობის პროდუქციის წარმოება, მათ შორის სტრატეგიული ნედლეულისა და მზა პროდუქციისა, რომელიც საბჭოურ პერიოდში საკავშირო ფონდებს მიეწოდებოდა, ე.ი. საექსპორტო ნაწარმს წარმოადგენდა. რაც შეეხება აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტს, 1992-1995 წლებში იგი ფაქტობრივად შეწყდა, რაც იმან გამოიწვია, რომ მეურნეობრიობის სხვა ფორმებთან ერთად სტიქიურად დაინგრა საექსპორტო პროდუქციის წარმოების ბაზა და ექსპორტის, როგორც მეწარმეობის სისტემა. სამაგიეროდ ქვეყანამ ვერ აითვისა საბაზრო ეკონომიკის შესატყვისი ექსპორტის მექანიზმი. უფრო მეტიც, ეს საკითხი პრივატიზებული საწარმოების იმედად არის

მიტოვებული, რომელიც თავს ვერ ართმევს დაგროვილ პრობლემებს. ფაქტია, რომ საქართველოს დღეს არ გააჩნია აგროსასურსათო პროდუქციის მნიშვნელოვანი ოდენობით საექსპორტო რესურსები, ხოლო რაც არსებობს, მისი გატანაც არ ხდება, ტრადიციული ბაზრების დაკარგვის გამო. ასე მაგალითად, ხილისა და ციტრუსების წარმოება აღნიშნულ წლებში, მართალია, 50-70%-ით შემცირდა, მაგრამ საექსპორტო რესურსი, (ხილი დაახლოებით 100 ათასი და ციტრუსი 40 ათასი ტონა) მაინც იყო, რომლის გატანა ვერ მოხერხდა. შიდა ბაზარმა ვერ აითვისა ნამეტი პროდუქცია და მოხდა მისი არადანიშნულებისამებრ გამოყენება. აღსანიშნავია, რომ მსგავსი სიტუაცია მეორდება ყოველწლიურად, ფუჭდება ათასობით ტონა ხილი და ციტრუსი. მართალია, კონტრაბანდული წესით მისი გარკვეული რაოდენობა გადის დსთ-ს ბაზრებზე (რომლის აღრიცხვა არ არსებობს), მაგრამ იგი ყველა შემთხვევაში დაკავშირებულია დიდ რისკთან და ამდენად, მასზე ორიენტირება მეწარმისათვის საერთოდ მიუღებელია. პრაქტიკულად შეწყვეტილია ქართული დედაფუტკრისა და ამანათნაყრების ექსპორტი, რომელიც არც თუ ისე შორეულ წარსულში 40-ზე მეტ ქვეყანაში ხორციელდებოდა. იგი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი ოდენობის ვალუტის მომტანი იქნება.

შექმნილი სავალალო მდგომარეობიდან გამონაკლისს წარმოადგენს ალკოჰოლიანი სასმელები, რომლის ექსპორტი ბოლო წლებში იზრდება. კერძოდ, ღვინის ექსპორტი 2000 წელს საბჭოურ პერიოდთან შედარებით 2-ჯერ, ხოლო ბრენდისა 3-ჯერ გაიზარდა. შემდგომ პერიოდში ალკოჰოლური სასმელების ექსპორტი კიდევ უფრო ინტენსიური გახდა. რაც იმაზე მიუთითებს, რომ მსოფლიოში იზრდება ქართული სასმელებისადმი ინტერესი.

მიუხედავად ახლანდელი მეტად არასახარბიელო მდგომარეობისა, საქართველოს აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტს დიდი პერსპექტივები გააჩნია, რომლის გარკვეულ გარანტს ქვეყნის უნიკალური ბუნებრივი პირობები წარმოადგენს.

როცა ბოლო წლებში ექსპორტის მაჩვენებელთა მკვეთრ გაუარესებაზე ვსაუბრობთ არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ობიექტური ფაქტორები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებენ

პროდუქციის ექსპორტზე და საექსპორტო შემოსავლების ზრდაზე. მათ შორის, პირველ რიგში, აღსანიშნავია: საწარმოო პოტენციალის დაბალი დონე, პროდუქციის დაბალკონკურენტუნარიანობა საგარეო ბაზრებზე (რაც ძირითადად გამოიხატება პროდუქციის მაღალი თვითღირებულებით შედარებით დაბალი ხარისხის ფონზე), საექსპორტო პროდუქციის არასასურველი სასაქონლო ნომენკლატურა და სტრუქტურა. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ექსპორტში კვლავაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ნედლეულს (ხილი, ციტრუსი, დაუფასოებელი ჩაი, თხილი)და არა საქონელს. ეს იმ ვითარებაში, როცა ქვეყანაში შექმნილია საგარეო ვაჭრობის ისეთი მასტიმულირებელი რეჟიმი, რომელიც ყოველმხრივ ხელს უწყობს საექსპორტო ოპერაციების განხორციელებას. დაწყებული 1995 წლიდან, ქვეყანაში საკმაოდ სწრაფი ტემპით წარიმართა ექსპორტის სტიმულირების პროცესი. კერძოდ გაუქმდა კვოტირების სისტემა, რომელიც გამოიხატებოდა საქართველოში წარმოებული პროდუქციის გამოყენების მიმართულების მკაცრ რეგლამენტირებაში. მინიმუმამდე დავიდა ექსპორტის ლიცენზირების მოთხოვნები და რაც ყველაზე მთავარია შეიქმნა ექსპორტის მასტიმულირებელი საგადასახადო სისტემა. ექსპორტზე არ არსებობს საბაჟო გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი. ე.წ. „მესამე" ქვეყნებში დაწესებულია ნულოვანი განაკვეთი, ანუ სახელმწიფო უბრუნებს ექსპორტიორს პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ყველა სტადიაზე გადახდილ დღგ-ს, საექსპორტო პროდუქციისათვის განკუთვნილი და დამკვეთის ნედლეული გათავისუფლებულია საიმპორტო გადასახადისაგან და ა.შ.

ექსპორტის სტიმულირებას უნდა უწყობდეს ხელს დსთ-ს წევრი სახელმწიფოთა შორის დადებული ხელშეკრულებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ და სხვა ღონისძიებები. ამ ფონზე საექსპორტო შესაძლებლობების გამოუყენებლობა კიდევ ერთხელ ადასტურებს თუ რამდენად მჭიდრო კავშირშია საექსპორტო პოტენციალი საწარმოო პოტენციალთან. ანუ ქვეყნის კონკურენტუნარიანობა საერთაშორისო ასპარეზზე უშუალოდ დამოკიდებულია ფინანსური, საწარმოო, შრომითი, ბუნებრივი და სხვა რესურსების ეფექტურ გამოყენებაზე.

ამიტომ აუცილებელია არა უშუალოდ ექსპორტის სტიმულირება, არამედ მაკროეკონომიკური გარემოს სტაბილიზაცია, პრიორიტეტული დარგების სწორი სელექცია, საინვესტიციო აქტივობის ამაღლება, მართლზომიერი სავალუტო პოლიტიკის გატარება, წარმოების დონის ამაღლება, მისი ტექნოლოგიური გადაიარაღება, პროდუქციის ხარისხის ამაღლება მისი თვითღირებულების შემცირების პირობებში.

საქართველოს ნაირგვარი ბუნებრივი კლიმატური პირობები და კვების მრეწველობის განვითარების კარგი შესაძლებლობანი ქმნის უნიკალურ პირობებს საექსპორტო პროდუქციის ასორტიმენტის და რაოდენობის გადიდებისათვის. საქართველოს გეოლოგიის დეპარტამენტის გათვლებით ქვეყნის სასარგებლო წიაღისეულის მხოლოდ შესწავლილი მარაგები აღემატება 51 მლრდ. აშშ დოლარს, მათ შორის მტკნარი და მინერალურ-სამკურნალო წყლები 9 მლრდ. აშშ დოლარს შეადგენს. ადვილი წარმოსადგენია თუ რა სიკეთის მოტანა შეუძლია მარტო ამ რეზერვის ამოქმედებას, თუნდაც არასრული მოცულობით.

საექსპორტო პოტენციალის ამოქმედება მოითხოვს ორგანიზაციულ-ეკონომიკური ხასიათის ღონისძიებების განხორციელებას, მეწარმეთა ფენის ჩამოყალიბებას, ნედლეულის წარმოების სწორ ორგანიზაციას, თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას, გასაღების ბაზრების დაბრუნებას და ახალ ბაზრებზე გასვლას, ფალსიფიკაციის პრობლემების დარეგულირებას, ინვესტიციების მოზიდვას და საბაზრო ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ჩვევების დამკვიდრებას (ბაზარი, კონკურენცია, მოგების მაქსიმალიზაცია).

საბაზრო ურთიერთობების პირობებში, კონკურენტუნარიანი საექსპორტო სამრეწველო პროდუქციის წარმოება, კონკურენტუნარიანი ნედლეულის წარმოებას მოითხოვს. ამ მიზნით პრივატიზებულმა სამრეწველო საწარმოებმა ურთიერთობა უნდა იქონიონ ათასობით წვრილ მეწარმესთან, უფრო სწორად გლეხურ (ფერმერულ) მეურნეობებთან, რაც ძნელი დასარეგულირებელია.

საექსპორტო პროდუქციის წარმოებისას გლეხი, რომელიც ყურძენს მიყიდის ქარხანას და მეღვინე, რომელიც ყიდულობს

ერთნაირად უნდა იყვნენ დაინტერესებული ვენახში არსებული მდგომარეობით, მოსავლის გადამუშავებითა და რეალიზაციიდან ამონაგებით.

როგორი სრულყოფილიც არ უნდა იყოს ურთიერთობანი, გლეხურ (ფერმერულ) მეურნეობების პირობებში საექსპერტო პროდუქციის წარმოებას საიმედო სანედლეულო ბაზა მაინც ვერ ექნება, რადგან მომავალში ქვეყნის ეკონომიკის განვითარების კვალობაზე მათი დიდი ნაწილი აგარაკებად იქცევა და მნიშვნელოვნად შემცირდება სასაქონლო პროდუქციის წარმოება. აქედან გამომდინარე, ექსპორტის განვითარებისათვის უნდა გადაწყდეს სოფლის მეურნეობის პროდუქციის (ნედლეულის) ბაზრის სრულყოფის პრობლემები.

ამ პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთ პერსპექტიულ მიმართულებად სპეციალიზებული აგროკომბინატების შექმნა მიგვაჩნია, რომლებიც ორიენტირებულნი იქნებიან საექსპორტო პროდუქციის წარმოებაზე.

მართალია, ასეთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა ახლანდელი სამეწარმეო კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ კომბინატი შეიძლება იყოს ნებისმიერი სააქციო საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი ან სხვა ფორმა, სადაც ერთ მეურნეობად იქნება წარმოდგენილი ნედლეულის წარმოება, მისი გადამუშავება და მზა პროდუქციის რეალიზაცია.

აგროკომბინატები შეიძლება შეიქმნას აგრეთვე კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოს ბაზაზე, რომელთაც იჯარით გადაეცემა ჩაის, ვაზისა და ხილის პლანტაციები, ასევე სახნავი მიწები (ძირითადად ბოსტნეულის მოსაყვანად), რაც უნდა განხორციელდეს, არა ადმინისტრაციული წესით, არამედ სახელშეკრულებო საფუძველზე (როცა მხარეებისათვის თანაბრად ხელსაყრელი იქნება პარტნიორობა). ასეთ ურთიერთობებზე შექმნილი ოპტიმალური სიდიდის აგროკომბინატებში შესაძლებელი იქნება წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენება, მეცნიერულ-ტექნიკურ და ტექნოლოგიურ მიღწევათა დანერგვა, ნაკლები დანახარჯებით უკეთესი ხარისხისა და მეტი რაოდენობის პროდუქციის, მათ

შორის საექსპორტო პროდუქციის წარმოება.

როგორც აღინიშნა, საქართველოს აგროსასურსათო სექტორს საექსპორტო პროდუქციის ფართო არჩევანი გააჩნია, რომელთა შორის მიმდინარე ეტაპზე, უპირატესობა ხილისა და ციტრუსების საექსპორტო პოტენციალის აღდგენას უნდა მიენიჭოს (საბჭოურ პერიოდში საქართველო საკავშირო ფონდებში აწვდიდა 300 ათას ტონაზე მეტ ხილსა და ციტრუსს).

ქვეყანაში სოფლად ნამეტი პროდუქციის დამზადება-რეალიზაციას ახორციელებდა „ცეკავშირი", რომელსაც გააჩნდა, როგორც გადაუმუშავებელი, ისე გადამუშავების და მზა პროდუქციის სახით რეალიზაციის ფართო ქსელი. აღნიშნულ ორგანიზაციას ამჟამადაც გააჩნია ადგილებზე და ცენტრშიც მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (ღვინისა და საკონსერვო ქარხნები, ჩაის ფაბრიკები და სხვ.). მიუხედავად აღნიშნულისა, ეს ორგანიზაცია ვერ ახორციელებს მასზე დაკისრებულ ფუნქციებს მძიმე ეკონომიკური-ფინანსური მდგომარეობის გამო.

როგორც ირკვევა, ამ კოოპერაციული ორგანიზაციის საქმიანობის მთავარ შემაფერხებელ ფაქტორად ქვეყანაში მოქმედი საგადასახადო სისტემა და საგადასახადო განაკვეთებია. კერძოდ, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ორგანიზებული დამზადება და რეალიზაცია (ტრანსპორტირების, გადამუშავების და შენახვის ოპერაციების ჩათვლით), მეტად სპეციფიკურ ბიზნესს წარმოადგენს. იგი დაკავშირებულია სოლიდურ დანახარჯებთან და დანაკარგებთან (მათ შორის ბუნებრივი). საერთო დანაკარგი აქ პროდუქციის მომხმარებლამდე მიტანის გზაზე 20%-ის ფარგლებში მერყეობს. თუ ამას დავუმატებთ ძვირადღირებულ კრედიტს და მოქმედ საგადასახადო განაკვეთებს, ვღებულობთ სიტუაციას, რომლის დროსაც მეტი რაოდენობის სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადება და რეალიზაცია იწვევს მეტი რაოდენობის ზარალის წარმოშობას, რაც საბაზრო ეკონომიკის პირობებში ყოველმხრივ გაუმართლებელია. ამის გამო არ იქმნება ალტერნატიული სტრუქტურები (ზემოაღნიშნულის გამო ეკონომიკის ცენტრალიზებული მართვის პირობებში ეს საქმიანობა დოტაციური იყო).

ამდენად, „ცეკავშირმა" რომ მასზე დაკისრებული ფუნქცია შეასრულოს, საჭიროა გარკვეული ინსტიტუციონალური ცვლილებები, გამოიძებნოს ამ ორგანიზაციისათვის შეღავათიანი სესხი 7-8% წლიური განაკვეთით და მისი საქმიანობა გათავისუფლდეს დღგ-ს გადასახადისაგან. მხოლოდ ამ პირობებში ექნება მას საქმიანობის მომგებიანად წარმართვის საშუალება და მასზე დაკისრებული ფუნქციის შესრულება.

დღეისათვის ამ ორგანიზაციის წვლილი საბიუჯეტო შემოსავლებში პრაქტიკულად ნულის ტოლია. ამ შეღავათის დაწესებით და აღნიშნული ორგანიზაციის სრული სიმძლავრით ამოქმედების შემთხვევაში საბიუჯეტო შემოსავლები რამდენიმე მილიონი ლარით გაიზრდება. ამასთან, გაცილებით მეტი ეკონომიკურ-სოციალური ეფექტია მოსალოდნელი სოფლად, სადაც ადგილი აღარ ექნება მწარმოებელთა უსარგებლო ხარჯებს პროდუქციის რეალიზაციისას, დაიზოგება დრო და ფინანსური საშუალებები ადგილებზე სხვა, უფრო სასარგებლო საქმიანობისათვის.

„ცეკავშირის", როგორც სოფლად ნამეტი სოფლის მეურნეობის პროდუქციის შემსყიდველ ორგანიზაციად აღორძინება ეფექტურია იმ მხრივაც, რომ მას უკვე გააჩნია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ამ მხრივ არსებითი ოდენობის ინვესტიციებს არ მოითხოვს.

აგრარული სექტორის საექსპორტო პროდუქციას შორის ერთ-ერთი პერსპექტიული და მაღალრენტაბელური თხილის წარმოებაა, რომელზეც დიდი მოთხოვნილებაა მსოფლიო ბაზარზე. ამასთან ერთად, საშუალება გვეძლევა გამოვიყენოთ დღემდე უვარგისად მიჩნეული (მიტოვებული) მიწები. თხილის წარმოების მასობრივად ათვისება რთული არ იქნება, თუ შევძლებთ მისი წარმოების გადიდებით მეწარმეთა დაინტერესებას (საჭიროა ცალკეული პრიორიტეტული სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის საგადასახადო შეღავათების დაწესება. განსაკუთრებით ისეთი მრავალწლიანი კულტურებისათვის, რომელთა გაშენება და მსხმოიარობის პერიოდი არ ემთხვევა

დაბანდებათა უკუგების პერიოდს), და პროდუქციის რეალიზაციისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას.*)

მიუხედავად პერსპექტიულობისა, საბაზრო ურთიერთობებზე დამდგარ დარგს, გაუჭირდება მსოფლიოს ბაზრებზე პოზიციების მოპოვება. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია ექსპორტის სახელმწიფო პროგრამის შემუშავება და მისი განხორციელებისათვის საჭირო სამართლებრივი, ეკონომიკური და ორგანიზაციული ბაზის შექმნა.

საექსპორტო პოტენციალის ათვისების შემთხვევაში საქართველოს აგროსასურსათო სექტორი, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი, ჩაერთვება მსოფლიო მეურნეობაში და ობიექტურად მოექცევა აქ მიმდინარე პროცესების გავლენის ქვეშ, რომელიც დაკავშირებულია ქვეყნის ეკონომიკის გახსნილობის ხარისხთან (გახსნილობა თავისი არსით მსოფლიო მეურნეობაში ეროვნული აგრარული ეკონომიკის ინტეგრირების დონეს გულისხმობს). ეკონომიკის გახსნილობის რაოდენობრივი ინდიკატორებიდან აღსანიშნავია საექსპორტო და საიმპორტო კვოტები, ანუ შესაბამისად ექსპორტისა და იმპორტის ფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან. აღნიშნული მაჩვენებლების ფაქტიური დონიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად, საქართველოს აგროსასურსათო სექტორი, როგორც ექსპორტიორი, მსოფლიო ბაზრის პასიური მონაწილეა.

საქართველოს სინამდვილეში იმპორტი წინმსწრები ტემპებით იზრდება ექსპორტთან შედარებით, რაც ძირითადად საგარეო ვალების ზრდის ხარჯზე ხდება. ექსპორტსა და იმპორტს შორის არსებულ დისბალანსს თან ერთვის ექსპორტის არასასურველი სტრუქტურა, რომელშიც ნედლეული და ბუნებრივი რესურსები სჭარბობს. ყოველივე ეს არასახარბიელო მდგომარეობას ქმნის მსოფლიო ბაზარზე სრულფასოვანი ინტეგრირე-

---

*) აშშ-ს კალიფორნიის შტატის კონსტიტუციის XII მუხლით გადასახადისგან თავისუფლდება ხეხილისა და კაკლოვანი ჯიშის პლანტაციები 4 წლით, ხოლო ვაზი – გაშენებიდან 3 წლის განმავლობაში, ე.ი. იმ დრომდე, ვიდრე ისინი არ შეელენ მსხმოიარობაში. ასეთი შეღავათის დაწესება ჩვენი გლეხობისათვის დამატებითი სტიმული იქნება მრავალწლიანი ნარგავების ფართობების გადიდების, მათი ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების და შემოსავლების გადიდებისათვის.

ბისათვის. ამიტომ უაღრესი პრინციპული მნიშვნელობა უნდა მიეცეს საექსპორტო სტიმულირების მექანიზმების რეალურ ამოქმედებას.*)

კერძო ფერმერისა და საწარმოების საექსპორტო შესაძლებლობების განვითარების ერთ-ერთ მიმართულებად გვესახება ე.წ. საექსპორტო მარკეტინგული ცენტრის შექმნა, რომლის ძირითადი ფუნქცია საბაზრო პირობებთან მისადაგებული კომუნიკაციური ინფრასტრუქტურის შექმნა იქნება. მის ერთ-ერთ ფუნქციას უნდა წარმოადგენდეს ფართო სპექტრის სტრატეგიული და ტაქტიკური რეკომენდაციების შემუშავება, როგორც ცალკეული საწარმოების, ისე სახელმწიფოსათვის. ეს რეკომენდაციები შემდეგ ღონისძიებებს უნდა მოიცავდეს:

– სახელმწიფოს საკრედიტო და სატარიფო პოლიტიკა;
– საწარმოს სამარკეტინგო პოლიტიკა;
– უცხოური ბაზრების გამოკვლევები;
– კომუნიკაციებისა და ლოგისტიკის განვითარება;
– ახალი საწარმოსა და საქონლის იმიჯის ფორმირება;
– კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება ბიზნესისა და მარკეტინგის სფეროებში.

ამგვარი ინსტიტუტების ამოქმედება საქართველოში (სადაც მარკეტინგული საქმიანობის გამოცდილება ძალზე დაბალია) ხელს შეუწყობს ინდივიდუალური საწარმოების (ფირმების) კომერციული საქმიანობის სწორად წარმართვას და საქართველოს ეკონომიკაში ჯანსაღი საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრებას.

---

*) 2000 წელს ექსპორტმა მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 0,6% შეადგინა. იგივე მაჩვენებელი 1990 წელს 40%-ს აჭარბებდა. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოს ამჟამინდელი როლი შრომის საერთაშორისო დანაწილებაში მეტად მოკრძალებულია. ამასთან ერთად მკვეთრად უარყოფითია ქვეყნის საგარეო ვაჭრობის ბალანსი, რომლის გაკეთილშობილება შესაძლებელია როგორც ექსპორტის გადიდების ასევე იმპორტის შემცირების ხარჯზე. ამ ორ მიმართულებას შორის არსებული მჭიდრო კორელაციური კავშირის თანახმად, რამდენად პარადოქსულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, დროის გარკვეულ პერიოდში ექსპორტის მოცულობის სტაბილური დონის შენარჩუნება ან შემცირება იმპორტის მოცულობის შემცირებასაც იწვევს, ვინაიდან იმპორტის გარკვეული ნაწილი ფინანსდება ექსპორტის შედეგად მიღებული შემოსავლების ხარჯზე.

ექსპორტის გაფართოებას ორი მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია: ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღება, ექსპორტ-იმპორტის ბალანსის დეფიციტის აღმოფხვრა და ეროვნული მეურნეობის იმპორტული რესურსების სტაბილური უზრუნველყოფის შენარჩუნება. ამ მნიშვნელოვანი მისიის რეალიზაციისათვის არაა საკმარისი ექსპორტის განსახელმწიფოებრიობა და მისი სრული ლიბერალიზაცია, პირიქით, საჭიროა სახელმწიფოს როლის გააქტიურება საექსპორტო ოპერაციების დაკრედიტებით, არსებული რისკების დაზღვევის სისტემის ამუშავებით და სხვა ბერკეტების გამოყენებით.

გამოყენებულ უნდა იქნეს სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის ყველა ფორმა, მათ შორის ერთობლივი საწარმოების შექმნის სტიმულირების მექანიზმები. ამ კუთხით საქართველოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს მიმართულებას ევროკავშირთან ურთიერთობა წარმოადგენს.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებულია შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ, რომლის შედეგად რიგმა სახელმწიფოებმა საქართველოს მიანიჭა ვაჭრობის პრეფერენციული რეჟიმი. ამ ფაქტორის მაქსიმალური გამოყენება საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ამოქმედებისა და ევროპის ქვეყნებში ექსპორტის განხორციელების ერთ-ერთი სტიმულატორი გახდება. ამავე რიგშია განსახილველი საქართველოს ჩართვა პრეფერენციათა გენერალიზებულ საერთაშორისო სისტემაში, რომელიც ითვალისწინებს საქართველოში წარმოებულ პროდუქციაზე საიმპორტო-საბაჟო გადასახადების შემცირებას (ესაა ძირითადში ევროკავშირის ქვეყნები, კანადა, იაპონია). ამ მიმართულებით მუშაობა კვლავაც უნდა გაგრძელდეს. სახელმწიფო კონტროლს უნდა დაექვემდებაროს იმ პროდუქციის ექსპორტი, რომელიც ქვეყნისათვის სტრატეგიული დანიშნულებისაა. მისაღებია კანონი „ექსპორტის" შესახებ, რომლითაც დარეგულირდება საექსპორტო პროდუქციის შერჩევის, სტიმულირებისა და სხვა საკითხები.

საექსპორტო პოტენციალის ამოქმედებისათვის მნიშვნელოვანია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში საქართველოს

გაწევრიანება. იგი იძლევა ვაჭრობაში უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის, საიმპორტო საბაჟო ტარიფების რეგულირების და სხვა შეღავათების მაქსიმალური გამოყენების საშუალებას, რომელიც ამ ორგანიზაციის წევრებზე ვრცელდება.

3.4. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების ობიექტური აუცილებლობის წინაპირობები ახლო პერსპექტივაში

თანამედროვე მსოფლიოში არიან ქვეყნები, რომლებმაც უკვე გადაჭრეს ეროვნული სასურსათო უშიშროების პრობლემა სურსათის „საკმარისობის", სურსათზე „ხელმისაწვდომობისა" და სურსათით „თვითუზრუნველყოფის" თვალსაზრისით.

ზოგ მათგანში სურსათის ჭარბწარმოების ტენდენციებიც წარმოიშვა, ამასთან ერთად ამ ქვეყნებში თავი იჩინა ეკოლოგიური ვითარების გამწვავებამ (მინერალური სასუქების, მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების, განსაკუთრებით სხვადასხვა პესტიციდების და შხამქიმიკატების ფართოდ გამოყენება, როგორც წესი, იწვევს წარმოებული სურსათის დაბინძურებას, ეკოლოგიური ფონის გაუარესებას).

სურსათის რაოდენობრივმა ზრდამ ამ სახელმწიფოებში დაკარგა თავდაპირველი მნიშვნელობა, რადგან სურსათის ჭარბწარმოება თვით სასურსათო უშიშროების არსს დაემუქრა. ამდენად გაჩნდა ახალი „ეკოლოგიური სასურსათო უშიშროების" კონცეფცია, როგორც სასურსათო უშიშროების უმაღლესი ეტაპი.*)

ამ კონცეფციის განხორციელება დაკავშირებულია სურსათის რესურსების შემცირებასთან, რადგან ეკოლოგიურად

---

*) სასურსათო უშიშროების პირველი ეტაპი ქვეყანაში ქრონიკული შიმშილის (1500-1800 კკალორია) გადალახვა და დღე-ღამეში ერთ სულ მოსახლეზე 1900-2200 კკალორიის მოხმარებაა, მეორე ეტაპზე – 2300-2800 კკალორიის, ხოლო მესამე ეტაპზე – 2900-3500 კკალორიის. მეოთხე ეტაპზე არა ზოგადად მოხმარებული სურსათის კალორიებია მხედველობაში, არამედ რამდენადაა საკვებში დაბალანსებული ადამიანისათვის აუცილებელი ცილები, ცხიმები, ვიტამინები და სხვადასხვა მიკროელემენტები. მომდევნო ეტაპზე – უკვე საუბარია ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის მოხმარებაზე ყველა სოციალური ჯგუფის მიერ.

უსაფრთხო პროდუქციის წარმოება გამორიცხავს ქიმიზაციის საშუალებების გამოყენებას და ამით, ბუნებრივია, ამცირებს მცენარისა და ცხოველის პროდუქტიულობას ფართობისა და პირუტყვის სულადობის ერთეულზე (ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ ჩვენი მტკიცება იმის თაობაზე, რომ მსოფლიო სასურსათო პოლიტიკაში ეროვნული ინტერესები ყოველთვის მაღლა იდგა და ალბათ ასე იქნება მომავალშიც, ზოგად საკაცობრიო ინტერესებზე. კერძოდ, ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ დღეს, მსოფლიოში სურსათის მწვავე დეფიციტის პირობებში, ცალკეული ქვეყნები მისი წარმოების შეზღუდვას იწყებს, რითაც ცხადია საერთაშორისო სასურსათო უშიშროების საკითხი ვერ გაუმჯობესდება).

მსოფლიოს ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ფართოდ გაიშალა მოძრაობა ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქციის, ნედლეულისა და სურსათის წარმოების გადიდებისათვის, რაც არა მარტო უზრუნველყოფს სასურსათო უშიშროების უმაღლესი ეტაპის დანერგვას, არამედ უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმიცაა მასობრივი კეთილდღეობის საზოგადოების მშენებლობის დონის შეფასებისათვის, რადგან ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება და მოხმარება მიუთითებს ამა თუ იმ ქვეყანაში არა მარტო ეკონომიკის განვითარების დონეზე, არამედ საზოგადოების განათლების, კულტურისა და ჰუმანიზაციის დონეზეც.

ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის (ანუ როგორც მას ხშირად უწოდებენ ორგანული სოფლის მეურნეობის პროდუქციას ან უბრალოდ ბიოპროდუქციას) წარმოებაზე აქცენტის გადატანა იქედანაც ჩანს, რომ მსოფლიოში შექმნილია ორგანული სოფლის მეურნეობის მოძრაობის საერთაშორისო ფედერაცია (IFOAM). მისი წევრი ორგანიზაციების რიცხვი მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში 550-ს აჭარბებს. გარდა ამისა რიგ ქვეყნებში ბიომეურნეობების ფუნქციონირება უკვე შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოებში მოექცა. ასე მაგალითად, ევროგაერთიანებამ უკვე მიიღო რეგლამენტი №2092/91 ორგანული წარმოების სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და სურსათის შესახებ. ამავე საკითხებზე მუშაობს გაეროსა და მის დაქვემდებარებაში არსებულ ორგანიზაციების შესაბამისი

კომისიები და ა.შ.

ამჟამად ეკოლოგიურად სუფთა სასურსათო პროდუქტების წარმოების მხრივ ლიდერობენ ევროკავშირის ქვეყნები. აქ ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დღეისათვის ჩართულია 400 ათას ჰა-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო სავარგული. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ „ბიოპროდუქტების" წარმოება კვლავაც გაიზრდება და 2010 წლისათვის მისი წილი მთლიან სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში 4.5 პროცენტს მიაღწევს.*) განსაკუთრებით ეფექტური, ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის განვითარება იქნება იმ რაიონებში, რომლებიც მეურნეობრიობის ექსტენსიურ გზას მისდევენ და აქედან გამომდინარე, აქ წარმოებული პროდუქცია არაკონკურენტუნარიანია (პროდუქციის ერთეულზე გაწეული დანახარჯების გამო), ხოლო ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაზე ფასების შედარებით მაღალი დონე დამატებითი ეკონომიკური ეფექტის წყარო იქნება მათთვის.

თავდაპირველად, ეკოლოგიურად სუფთა სურსათის გამოყენება ბუნებრივია გაიზრდება სამკურნალო დაწესებულებებსა და ბავშვთა კვებაში. ზოგიერთ ქვეყანაში უკვე მოქმედებს კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც ბავშვთა კვებისათვის გარანტირებულია „ბიოპროდუქტების" გამოყენება. ევროკავშირის ქვეყნებში სახელმწიფო ფინანსური დახმარების და სხვა სახის მხარდაჭერის ძირითადი ვექტორი თანდათანობით ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის განვითარებისაკენაა მიმართული.

როცა ზოგადად საერთაშორისო თუ ეროვნულ დონეზე სასურსათო უშიშროების პრობლემის გადაჭრასა და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების თაობაზე გვაქვს საუბარი არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ ახალი ათასწლეულის დასაწყისში უკვე სახეზე გვაქვს

---

*) აღნიშნულს ის ფაქტიც ადასტურებს, რომ შვეციისა და ფინეთის პარლამენტებმა უკვე მიიღეს დადგენილება, რომლის მიხედვით ამ ქვეყნებში არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულის 10% ორგანულ სოფლის მეურნეობას უნდა დაეთმოს. ეს ის დონეა, რომელიც დღეს აქვს დათმობილი ავსტრიას ქვეყანაში ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოებისათვის.

სრულიად ახალი – ინდუსტრიულისაგან განსხვავებული – პოსტინდუსტრიული საზოგადოების თანდათანობითი ჩამოყალიბება და მისი შესატყვისი სრულიად ახალი ეკონომიკის, – ნეოეკონომიკის დამკვიდრების პროცესი. იგი პრინციპულად განსხვავდება თავისი წინამორბედისაგან, როგორც საწარმოო ძალთა და საწარმოო ურთიერთობების, წარმოების საშუალებების და შრომის მოტივაციის, ასევე საწარმოო რესურსების მოპოვების და გამოყენების თვალსაზრისითაც.

კერძოდ, ჩვენს თვალწინ მკვეთრად იცვლება კარგად ნაცნობი ბიოენერგეტიკული, ეკოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური პარადიგმები. წარმოებაში სულ უფრო მეტ ადგილს და როლს იძენს მუდმივად განახლებადი ბუნებრივი რესურსების გამოყენება, ნაცვლად დღემდე არსებული მკაცრად შეზღუდული ტრადიციული ბუნებრივი რესურსებისა. ეს სხვა არაფერია თუ არა სასოფლო-სამეურნეო ბუნებათსარგებლობისა და საზოგადოებრივ-საწარმოო ურთიერთობათა შესაბამისობაში მოყვანა ბუნებისა და საზოგადოების ობიექტურ კანონებთან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ხდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის პროცესის ბიოლოგიზაცია. სოფლის მეურნეობის ძირითად დარგებში მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობას შორის დარღვეული ეკოლოგიური, საწარმოო და ეკონომიკური ბალანსის აღდგენა. გამოკვლევები ადასტურებს, რომ სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ერთეულზე ენერგორესურსების დანახარჯის (როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის ერთ-ერთ ძირითად მაჩვენებლის) შემცირება წარმატებით შეიძლება, არა მარტო პროგრესული ტექნოლოგიების, მინერალური სასუქებისა და შხამქიმიკატების უფრო მაღალი დოზების გამოყენებით, არამედ გამოყენებული წარმოების საშუალებების შეცვლით ფუნქციონალურად ადეკვატური ბიოლოგიური პროცესებით, რომლებიც ეკონომიკური და ეკოლოგიური თვალსაზრისით ეფექტურია.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბიოლოგიზაციის სასარგებლოდ მეტყველებს ეკოლოგიის და ეკონომიკის კანონები, შესაბამისი გათვლები და გაანგარიშებანი. ასე მაგალითად ფართობის ერთეულზე ერთი კილოგრამი ფიქსირებული

(ბმული) აზოტის მიღება პარკოსანი მცენარეების საშუალებით (რომლებიც ფესვის კოჟრებზე არსებული ბაქტერიების საშუალებით ახდენენ ატმოსფერული აზოტის გარდაქმნას მცენარისათვის საჭირო აზოტოვან მინერალურ სასუქად) 100-ჯერ და მეტად იაფია მინერალურთან შედარებით. ეს ფასი კიდევ უფრო იზრდება ეკოლოგიური ფაქტორის გათვალისწინების შემთხვევაში.

განსაკუთრებით მაღალია „ბიოლოგიზაციის" ფასი სელექციურ საქმიანობაში, რადგან დაავადებაგამძლე ახალი პროგრესული ვაზის, ხეხილის ან სხვა მრავალწლიანი ნარგავის ჯიშების შექმნის შემთხვევაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტის მიღება შეგვიძლია, როგორც მატერიალური დანახარჯების (შხამქიმიკატების, პესტიციდების) პირდაპირი შემცირების (ან საერთოდ ხმარებიდან ამოღების), ასევე ბუნების ქიმიური საშუალებებით დაბინძურების ხარისხის შემცირების ხარჯზე.

ტრადიციული ეკონომიკის პირობებში მთავარია საქონლის წარმოება და მაქსიმალური მოგების მიღება. ახალ ათასწლეულში ეს პარადიგმა იცვლება და წინა პლანზე საქონლის წარმოება გამოდის, არა ნებისმიერი საშუალებით, არამედ მუდმივად განახლებადი ბუნებრივი რესურსების ხარჯზე (წყალი, მზის ენერგია, ქარის ენერგია, სელექცია და ა.შ.). ამასთან იცვლება შრომის მოტივაციაც, კერძოდ გაბატონებული მოტივაციის (შრომის ანაზღაურება, მოგება) ნაცვლად ფეხს იკიდებს ცოდნის მიღების და მისი კვლავწარმოების, აღიარების, პრესტიჟის და სხვა მიმართულებები.

აღნიშნული ნოვაციების გათვალისწინების ობიექტური აუცილებლობა ნაკარნახევია საქართველოს ეკონომიკის, მათ შორის აგროსასურსათო სექტორის საბაზრო გარემოსთან დროული ადაპტაციის გარდუვალობით, აგრეთვე სხვა მოსალოდნელი გლობალური პრობლემებით. მხედველობაში გვაქვს კლიმატის მოსალოდნელ ცვლილებებთან ადაპტირების საკითხი. კერძოდ, დღეს უკვე საჭიროა ქვეყანაში ტარდებოდეს შესაბამისი ღონისძიებები, რათა მოსალოდნელი გლობალური დათბობის (როგორც ამას ამტკიცებს კანადის კლიმატური ცენტრი, ამერიკის პრინსტონის ჰიდროდინამიკური ლაბორატო-

რია და დიდი ბრიტანეთის მეტეოროლოგიური სამსახური) უარყოფითი შედეგები მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი. ეს მოითხოვს გვალვებისა და გაუდაბნოების წინააღმდეგ შესაბამისი ღონისძიებების გატარებას, დაწყებული მელიორაციული სისტემების მოწესრიგებით და ახალი ტექნოლოგიების შემუშავებით, გვალვაგამძლე ახალი მცენარეთა ჯიშების გამოყვანით დამთავრებული. საჭიროა გადაიხედოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის და კონცენტრაციის საკითხები რიგ რაიონებსა და რეგიონებში, შემუშავდეს და განხორციელდეს შესაბამისი სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამები სელექციური სამუშაოების გასაძლიერებლად და ა.შ.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბიოლოგიზაციის სასარგებლოდ ბევრის თქმა შეიძლება. ფაქტია, რომ სახეზეა მსოფლიოში კვების პროდუქტების წარმოების ცნობილი მეთოდების ახლო მომავალში, ძირითადად ბუნებათსარგებლობის პრინციპებით შეცვლა, რაც თავის მხრივ ეკოლოგიურად უსაფრთხო განახლებადი ბუნებრივი რესურსების და ტექნოგენური ფაქტორების უფრო ეფექტურ გამოყენებას ეფუძნება. ამდენად საჭიროა სასოფლო-სამეურნეო წარმოების „ბიოლოგიზაციისა" და „ეკოლოგიზაციის" სტიმულირება, რათა რაც შეიძლება მოკლე პერიოდში მოხდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში გამოყენებული მინერალური სასუქების, შხამქიმიკატების და სხვა მსგავსი ქიმიური საშუალებების ჩანაცვლება ბიოლოგიური საშუალებებით. ამ პროცესში განუსაზღვრელად დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლად საქონელმწარმოებელთა დროულ ადაპტირებას ახალ რეალობებთან და მოთხოვნებთან. მათში არსებული ძველი სტერეოტიპების აღმოფხვრას და ახალი, თანამედროვე პროგრესული პროცესებისადმი მათ დადებით განწყობას. ამას ობიექტურად მოითხოვს ეკოლოგიურად უსაფრთხო პროდუქციის წარმოების ინტერესები ახლო პერსპექტივაში.

როცა ეკოლოგიურად უსაფრთხო სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის, აგრეთვე სურსათის წარმოების საკითხებს ვეხებით არ შეიძლება არ აღინიშნოს იმ უნიშვნელოვანესი რეზერვებისა და რესურსების შესახებ, რომელიც საქართველოს გააჩნია. კერძოდ, ეკოლოგიურად სუფთა

სოფლის მეურნეობის პროდუქტის და სასურსათო პროდუქციის წარმოების შესანიშნავი პირობები საქართველოს მთისა და მთისწინეთის პრაქტიკულად ყველა რაიონს გააჩნია. დღეს აქ ცნობილი მიზეზების გამო ისედაც უმნიშვნელო რაოდენობით გამოიყენება (ან საერთოდ არ გამოიყენება) სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდების ისეთი ფაქტორი როგორც ქიმიზაციაა. ამიტომ მათი გადაყვანა ეკოლოგიურად უსაფრთხო პროდუქციის წარმოებაზე უფრო ადვილია, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მოწესრიგებულ საბაზრო ურთიერთობათა პირობებში და სამართლებრივ გარემოში ასეთი სახის პროდუქცია გაცილებით მაღალ ფასში რეალიზდება და პრაქტიკულად მის მწარმოებელს უნაზღაურებს იმ დანაკლისს, რომელიც მან წარმოების ზრდის ინტენსიური საშუალებების გამოუყენებლობით მიიღო.

ამდენად, საქართველოში არსებობს ყველა ძირითადი პირობა ბიომეურნეობის ანუ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მწარმოებელ მეურნეობათა გაფართოებისა და განვითარებისათვის. ამ მიმართულებით ქვეყანაში აქტიურად მუშაობს არასამთავრობო ორგანიზაცია „ელკანა", რომელიც 1996 წლიდან ორგანული სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ფედერაციის წევრია. საქართველოში დღეს 2000 მეტი გლეხური, ფერმერული მეურნეობა აწარმოებს სოფლის მეურნეობის პროდუქციას ბიომეთოდებით. ამ მიზნით შემუშავებულია და აპრობირებულია სამუშაო მეთოდები და მეთოდოლოგიები, შექმნილია ბიომეურნეთა და მრჩეველთა სამსახური, ბიომეურნეობის განვითარების, ეკოპროდუქციის მარკეტინგის და სერტიფიცირების დარგში. ამ მიმართულებით მუშაობის გააქტიურებას დიდად შეუწყობს ხელს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მიერ მომზადებული საქართველოს კანონის პროექტი „ბიოლოგიური აგროწარმოებისა და სერტიფიცირების შესახებ", რომელიც შეტანილია პარლამენტში განსახილველად.

საქართველოში ეკოლოგიურად უსაფრთხო პროდუქტის წარმოების გადიდების და მისი ექსპორტზე გატანის კარგი შესაძლებლობებია. საჭიროა მხოლოდ მიზანმიმართული მუშაობა იმის გათვალისწინებით, რომ ბიომეურნეობის მიზანი

ბუნების დაცვასთან და ბევრ სხვა დადებით მხარესთან ერთად, უპირველესად ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვაა.

3.5. აბრარული სექტორის ეკონომიკური ეფექტიანობის მართვა. სპეციალური აბრარული საკრედიტო სისტემის ფორმირება და დანერგვა

> კონფლიქტი თანასწორობასა და ეფექტიანობას შორის წარმოადგენს მთავარ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას, რომელიც გვაწუხებს ჩვენ სოციალური პოლიტიკის სრულიად სხვადასხვა ასპექტებში. ჩვენ არ შეგვიძლია უეცრად ორი კურდღლის დაჭერა; მივადწიოთ ბაზრის ეფექტიანობას და მის თანაბარ განაწილებას.
>
> არტურ ოუენი, 1975 წ.
>
> საადგილ-მამულო კრედიტს, როგორც კრედიტს, საგნად მარტო ის უნდა ჰქონდეს, რომ გააძლიეროს სოფლის მეურნეობის წარმოება და რადგან ეს წარმოება განუყოფელად შეერთებულია მიწასთან და მიწათ-მოქმედებასთან, ამიტომაც საადგილ-მამულო კრედიტი ირჩევა ყოველ სხვა-გვარ კრედიტთაგან იმ განსაკუთრებულ თვისებებით, რომლებიც წარმოსდგებიან თითონ მიწათ-მოქმედების და მიწის ეკონომიურ ბუნებისაგან.
>
> ილია ჭავჭავაძე

საქართველოს აგროსასურსათო სექტორის ეფექტიანობის ამაღლების ამოცანის გადაწყვეტა პრობლემების ფართო წრეს უკავშირდება, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი:

– წარმოების ეფექტიანობის ამაღლებით მოგების ზრდის მიღწევა, თვითდაფინანსებისა და კომერციული ანგარიშიანობის გატარება (ცხადია, რომ მარტო უცხოური ინვესტიციებით შეუძლებელია მუდმივად საწარმოთა საბრუნავი საშუალებების განახლება. მისი ძირითადი წყარო საკუთარი და ადგილზე მოზიდული ფულადი სახსრები უნდა გახდეს);

– სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სტრუქტურული ცვლილებების დაჩქარება და აგროსასურსათო სექტორის მართვის

ოპტიმიზაცია, რომელიც მოიცავს სოფლის მეურნეობის შიდა დარგობრივი სტრუქტურების, მომსახურე და გადამმუშავებელი საწარმოების ოპტიმალურ ურთიერთკავშირს;

– სოფლად მრავალფორმიანი საკუთრებითი ურთიერთობების განვითარება კერძო საკუთრების პრიმატით, ძველი სისტემიდან მემკვიდრეობით მიღებული სამეურნეო ფორმათა ტრანსფორმაცია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების, საიჯარო, ფერმერული, გლეხური მეურნეობების სახით;

– მიწის თავისუფალი ბაზრის შექმნა.

აღნიშნული პრობლემების დარეგულირება, თავის მხრივ, აგრარული სექტორის განვითარების პერსპექტივების სწორად განსაზღვრას მოითხოვს, რისთვისაც საჭიროა სამი ძირითადი ასპექტის გათვალისწინება:

პირველი – აგრარულ პოლიტიკაში გასათვალისწინებელია ის, რომ ქვეყნის გარდამავალ ეტაპზე წარმოების განვითარების პერსპექტივებსა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგობრივ სტრუქტურას განსაზღვრავს არა უშუალოდ საბაზრო მოთხოვნილება, არამედ საბაზრო პირობებში საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების დონე, მისი თავისებურებანი, რაც უწინარესად, საწარმოო-ბუნებრივი პირობებიდან და მთელი რიგი სხვა სპეციფიკური ფაქტორებიდან გამომდინარეობს.

მეორე – ბაზრის მოთხოვნილებას რეალური პროდუქციის მიწოდებით უნდა უპასუხოს სასოფლო-სამეურნეო წარმოებამ, რისთვისაც შესაბამისად უნდა შეიცვალოს წარმოების წესი, დარგობრივი სტრუქტურა, წარმოების ეკონომიკური და ორგანიზაციული საფუძვლები. განვითარდეს ის დარგები, რომელთა პროდუქცია კონკურენტუნარიანია, როგორც შიდა, ასევე გარე ბაზრებზე;

მესამე – საჭიროა იმის გათვალისწინება, რომ ნებისმიერი ქვეყნის ბაზრის გაჯერება ხდება საკუთარი წარმოების და იმპორტული პროდუქციის გონივრული შეწყობით, ამ ორი ელემენტის რაციონალური ინტეგრაციით, უმაღლესი ეკონომიკური სარგებლიანობის პრინციპიდან გამომდინარე.

საქართველოში არსებითად შეიცვალა სასოფლო-სამეურნეო წარმოების სოციალური სტრუქტურა და მეურნეობათა სპეციალიზაცია. ამჟამად, სასაქონლო პროდუქციის მიხედვით

ქვეყანაში სპეციალიზაციის შემდეგი ტიპები გამოიყოფა: მარცვლეულ-მეცხოველეობის, მევენახეობა-მეცხოველეობის, მეხილეობა-მეცხოველეობის, მეციტრუსეობა-მეცხოველეობის, მეჩაიეობა-მეცხოველეობის მიმართულების მეურნეობები. ამ მეურნეობათა ჯგუფებიდან ყველაზე მრავალრიცხოვანია მარცვლეულის საწარმოო მიმართულების მეურნეობები – 35%, შემდეგ მევენახეობის და მეცხოველეობის – 20,5%, მეხილეობისა და მეცხოველეობის – 18,5%, მეციტრუსეობისა და მზესუმზირის მწარმოებელი მეურნეობები – 12,5%. საკვებწარმოება მეცხოველეობისათვის თითქმის შეწყვეტილია, რაც მეცხოველეობის შემდგომ განვითარებას სერიოზულად აფერხებს.

დღეს მიწის მფლობელთა აბსოლუტური უმრავლესობა, მხოლოდ ნატურალურ მეურნეობას ეწევა, რაც პოსტსაბჭოურ პერიოდში გამოდევნილი ნატურალური გლეხური მეურნეობის რეაბილიტაციის მცდელობას არ სცილდება. საკუთრებაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე გაწეული საქმიანობის საბოლოო ეკონომიკური შედეგით გლეხი ვერ იკმაყოფილებს საარსებოდ აუცილებელი მოთხოვნების მინიმუმსაც კი, ამიტომ, ამ მეურნეობებში გაფართოებული კვლავწარმოების მიღწევა პრაქტიკულად შეუძლებელია. მიწის საკუთრება აქ ჯერ მხოლოდ უფლებრივ კატეგორიად რჩება, რადგან მისგან უმეტეს შემთხვევაში ეკონომიკური სარგებლის მიღება ვერ ხერხდება.

მოუმზადებლად დაწყებული პრივატიზაციის პროცესის შედეგად, მართალია, შეიქმნა სხვადასხვა სახელწოდების და საკუთრებითი ფორმების ინტეგრაციული საწარმოები, მაგრამ მოხდა ამ საწარმოთა მხოლოდ მექანიკური შეერთება და არა მათი საწარმოო-ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციული სინთეზი. ამიტომ რეფორმის პერიოდში ჩამოყალიბებული სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაცია არ შეესაბამება ქვეყანაში და მის ცალკეულ რეგიონებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების სრულად გამოყენების ამოცანას. აუცილებელია, სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაცია განვითარდეს ქვეყნისა და შრომის საერთაშორისო დანაწილების მოთხოვნების გათვალისწინებით, ახალი სოციალურ-ეკონომიკური გარემოს თავისებურებათა შესაბამისად. გარდამავალი ეკონომიკის პერიოდში კვლავაც განმსაზღვრელი უნდა

იყოს მარცვლეულის მეურნეობა და სხვა სასურსათო პროდუქტების (კარტოფილის, ბოსტნეულის, საკვები კულტურების, მეცხოველეობის პროდუქტების) წარმოება, ხოლო შემდგომ ეტაპზე თანდათანობით უპირატესობა მრავალწლიანი ნარგავების პროდუქციის წარმოებას უნდა მიენიჭოს.

სასურსათო პრობლემის გადაჭრისას აუცილებელია მემცენარეობისა და მეცხოველეობის დარგებს შორის დაცული იქნეს სწორი პროპორცია. მსოფლიოს მაღალგანვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სასურსათო პრობლემა ყველაზე კარგად წყდება იმ ქვეყანაში, სადაც სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის სტრუქტურაში, წამყვანი ადგილი მეცხოველეობის დარგს უკავია. ჩვენთან კი, ეს შეფარდება მემცენარეობის დარგის სასარგებლოდაა ჩამოყალიბებული. დღევანდელ პირობებში მართალია ძნელია, მაგრამ პერსპექტივაში საესებით შესაძლებელია რეალიზებული იქნეს თანაფარდობა 48:52, სადაც 48% მემცენარეობის დარგს ექნება, ხოლო 52% მეცხოველეობას. ანალიზით დასტურდება, რომ საქართველოს აგროსასურსათო სექტორს აქვს პოტენციური შესაძლებლობა პროდუქციის ექსპორტ-იმპორტის რაციონალური დაბალანსებით უზრუნველყოს ქვეყნის მოთხოვნილების დაკმაყოფილება ყველა სახის სასურსათო (მათ შორის მეცხოველეობის) პროდუქციაზე.

მეცხოველეობის დარგის განვითარებასთან დაკავშირებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელ პერიოდში მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გადიდებას, ცხოველური წარმოშობის ცილის მოხმარებაზე მსოფლიოში ჩამოყალიბებული განუხრელი ზრდის ტენდენცია განაპირობებს. საქართველოში ამ პრობლემის აქტუალობას განამტკიცებს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მნიშვნელოვანი ჩამორჩენა კვების ფიზიოლოგიურ ნორმებთან შედარებით, რაც, თავის მხრივ, ამ პროდუქტების დიდი ოდენობით იმპორტს და, საბოლოო ანგარიშით, საგადასახდელო ბალანსის გაუარესებას იწვევს.

როგორც ცნობილია, საბჭოურ წლებში საქართველოში მარცვლეულის მოხმარებაზე ორიენტირებული მეცხოველეობის სტრუქტურა ჩამოყალიბდა. პირუტყვისა და ფრინველის საკვების ბალანსში ყოველ წელს იზრდებოდა კონცენტრირებული

საკვების ხვედრითი წილი და მან 80-იანი წლების ბოლოსთვის 49%-ს გადააჭარბა. ამ პერიოდისათვის მარტო კომბინირებული საკვების შემოტანა საკავშირო ფონდიდან ყოველწლიურად 1 მლნ. ტონას აჭარბებდა. მიუხედავად ამისა, ცილის დეფიციტი საკვებ ულუფაში მაინც საგრძნობი იყო (30-40%).

დღეისათვის კი მკვეთრად შეცვლილი პირობები ობიექტურად მოითხოვს მეცხოველეობის დარგობრივი სტრუქტურის ქვეყნის რეალურ შესაძლებლობებზე მორგებას. ამ მიზნით უნდა განისაზღვროს რაციონალური შეფარდება მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის, აგრეთვე ღორისა და ფრინველის სულადობას შორის, ე.ი. ბალახის მჭამელ და კონცენტრირებული საკვების მოხმარებაზე ორიენტირებული პირუტყვის სახეებს შორის.*)

პირუტყვის და ფრინველის სტრუქტურა შესაბამისობაში უნდა მოვიდეს საკვებწარმოების შესაძლებლობასთან და არა პირიქით (როგორც ეს ტრადიციულად ხდებოდა და ხდება დღესაც). საქართველოს სახნავი მიწის ფონდიდან 250-260 ათასი ჰა მიწის სასურსათო მარცვლეულის ქვეშ გამოყოფის პირობებში, საკვები კულტურების (მ.შ. საკვები მარცვლეულის) ქვეშ შესაძლებელია გამოყოფილ იქნეს 450-500 ათასი ჰა, რაც საშუალებას იძლევა აღნიშნული შეფარდება (ბალახის მჭამელ და კონცენტრირებული საკვების მოხმარებაზე ორიენტირებული პირუტყვის ჯგუფებს შორის), მეცნიერთა გაანგარიშებით, 2,9:1 ფარგლებში იყოს. არის სხვა შემზღუდავი ფაქტორებიც, რომელთა გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ 2015 წელს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა არ უნდა გასცდეს 2 მლნ. სულს, მათ შორის ფურებისა – 800 ათას სულს. პირუტყვის ასეთი სულადობა და სტრუქტურა დაახლოებით 2 მლნ. ტონა რძისა და 150-160 ათასი ტონა ხორცის (დაკლული წონით) წარმოების საშუალე-

---

*) ეს შეფარდება სხვადასხვა ქვეყნებში არსებითად განსხვავდება ერთმანეთისგან (მაგ., აშშ-ში ის 1,8:1, ხოლო რუსეთსა და ავსტრალიაში, შესაბამისად, 1,45:1 და 9:1) და ძირითადად ქვეყნის შესაძლებლობებს უკავშირდება. საქართველოში ეს შეფარდება ბოლო პერიოდში სულ უფრო ღორისა და ფრინველის სასარგებლოდ იზრდება, რაც მარცვლეულის დეფიციტის პირობებში არამათრლზომიერად უნდა მივიჩნიოთ.

ბას იძლევა.

ქვეყანაში არსებული საძოვრების არასახარბიელო სტრუქტურის (არაოპტიმალური თანაფარდობა ზამთრისა და ზაფხულის საძოვრებს შორის) და ქვეყნის გარეთ ზამთრის საძოვრების დისლოკაციის გათვალისწინებით, საჭიროა განისაზღვროს აგრეთვე ცხვრის ოპტიმალური სულადობაც. ის, ჩვენი აზრით, საკვები ბაზის გათვალისწინებით, არ უნდა გასცდეს 1,5 მლნ. სულს. ეს სულადობა საძოვრების, როგორც ფიზიკური შენარჩუნების, ასევე მათი პროდუქტიულობის თვალსაზრისითაც ოპტიმალურია.

ამ ვითარებაში ყოველმხრივ უნდა შეეწყოს ხელი მეღორეობისა და მეფრინველეობის განვითარებას საკარმიდამო მეურნეობებში, სადაც ამ დარგების განვითარების მნიშვნელოვანი რეზერვები გააჩნიათ (ძირითადად ადგილებზე არსებული საკვების ნარჩენებით და სხვა წყაროებით). საჭიროა მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული მომთაბარე მეღორეობის განვითარების შესაძლებლობანი იმერეთსა და კახეთში.

საბაზრო ურთიერთობათა ეკონომიკური მექანიზმის ჩამოყალიბებისას გასათვალისწინებელია, რომ აგროსასურსათო სექტორი არის არა მარტო სოციალურ-ეკონომიკური, არამედ ბიოტექნიკური სისტემა და საზოგადოებრივი წარმოების დამოუკიდებელ დარგთა ერთობლიობა, რომელსაც აქვს სისტემის უმნიშვნელოვანესი ნიშნები: მთლიანობა, იერარქიულობა, ავტონომიურობა, დინამიზმი, რაც დამოკიდებულია ადამიანთა საქმიანობაზე, გარემო პირობების ზემოქმედებაზე, ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონზომიერებათა დაცვასა და გამოყენებაზე.

აგროსასურსათო სექტორში დაწყებული დამაიმედებელი ზოგიერთი ტენდენციის განმტკიცებისათვის, მის წინაშე მდგარი რთული სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების თანდათანობით წარმატებით გადაწყვეტისათვის, აუცილებელია ხელშემშლელი მიზეზების აღმოფხვრა, არსებული რესურსებისა და რეზერვების მაქსიმალურად ამოქმედება, რაც ძირითადად შესაძლებელია მართვის კომპლექსური სისტემის დანერგვითა და გამოყენებით.

ამ მიზნით საჭიროა გაძლიერდეს ეკონომიკური სტიმული-

რების იმ ბერკეტების გამოყენება, რომლებიც განსაზღვრავს დარგების, საწარმოთა და გაერთიანებების ფუნქციონირების საწარმოო-ეკონომიკურ და სხვა პირობებს, მეურნეობრიობის ეფექტიანობის დონეს. საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პირობებში ამ ბერკეტების გამოყენება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საბოლოო პროდუქციის წარმოებისა და ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით.

ქვეყნის სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფა მჭიდრო კავშირშია აგროსასურსათო სექტორის საწარმოებში არსებული საწარმოო პოტენციალის რაციონალურ გამოყენებასთან. ხსენებული პოტენციალის ამოქმედებისათვის საჭიროა აგროსაკრედიტო სისტემის რეორგანიზაცია.

სახელმწიფო აგრარულ სექტორში დახმარებას უნდა ახორციელებდეს არა შემთხვევიდან შემთხვევამდე, არამედ სისტემურად, დარგის განვითარების ერთიანი პოლიტიკიდან გამომდინარე წინასწარ დასახული და შემუშავებული პროგრამებისა და პროექტების მეშვეობით. სხვა შემთხვევაში ვერ შეიქმნება სერიოზული ბაზისი დარგის გეგმაზომიერი, შეუფერხებელი განვითარებისათვის.

მსოფლიო გამოცდილებამ და საქართველოს ბოლო წლების პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ აგროკრედიტის სისტემის[*] შექმნის გარეშე, მხოლოდ კომერციული ბანკები ვერ უზრუნველყოფენ აგრარული სექტორის ნორმალურ ფუნქციონირებას და შემდგომ განვითარებას, რადგან ისინი თვლიან რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოება მათი წარმატებული საქმიანობისათვის არახელსაყრელია. კომერციული ბანკები გამოდიან იმ ფაქტიდან, რომ აგრარული რეფორმა ჯერ არ დამთავრებულა და არ შექმნილა მიწის თავისუფალი ბაზარი, შესაბამისად არ არსებობს გაცემული კრედიტიდან მოგების ან კომპენსაციის

---

[*] თანამედროვე აგროკრედიტის სისტემა წარმოადგენს იმ ეკონომიკური და სოციალური ექსპერიმენტების მემკვიდრეს, რომელიც განხორციელებული იყო ოუენისა და სენ-სიმონის მიმდევრების მიერ. მისი შექმნა ევროპაში დაიწყო XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან და დღესაც წარმატებით მოქმედებს. კერძოდ საფრანგეთში – ურთიერთდახმარების აგროკრედიტი, აშშ-ში – ფერმერთა საკრედიტო სისტემა, გერმანიაში – რაიფენზეზნის კრედიტი, ბელგიაში – ბერდენბონდი, პოლანდიაში - რაბობანკი და ა.შ.

მიღების გარანტია. აღნიშნულს ემატება ისეთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური ბერკეტის უქონლობა, როგორიც სადაზღვევო სისტემაა და ა.შ.

აგროკრედიტი თავისი ბუნებით „შეფერებული და შეწონილი" უნდა იყოს „მიწისა და მიწათმოქმედის თვისებასთან". „სასოფლო მეურნეობა, რომლის გაძლიერებისათვის გვინდა შემწეობა კრედიტისა, თითქმის ერთადერთი წყაროა სიმდიდრისა, ...დანიშნულება საადგილმამულო კრედიტისა განკარგებაა მამულ-დედულისა, გაძლიერება მიწათმოქმედთა ღონისა და მომცემლობისა" წერდა დიდი ილია 1889 წელს თავის წერილში „საგლეხო ბანკის საკითხისათვის". ერის მამა ბრძანებდა – „მიწის სამოქმედო კრედიტი, რომელსაც უნდა ჰქონდეს საგნად გამდიდრება მიწისმოქმედებისა, ესე იგი იმ წარმოების, რომელიც მიწის და მიწის შემუშავებაზედ არის დამოკიდებული, განირჩევა სხვაგვარის კრედიტისაგან იმნაირის თვისებითა, რომელიც წარმოსდგება მიწისა და მიწის შემუშავების ეკონომიურის ბუნებიდან" და შემდეგ – „მიწისმოქმედება იმისთანა თვისების ეკონომიური წარმოებაა, რომ ჯერ თავისის გაუმჯობესებისათვის დიდსა და ხანგრძლივს დროს თხოულობს და მერე თავნსა, რომელსაც მასზე ვხარჯავთ, გვიბრუნებს ჩვენ თანდათან და ცოტა-ცოტად და არა ერთბაშად". ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს აგროკრედიტის თავისებურება და მისი მნიშვნელობა სოფლის მეურნეობისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ კომერციული ბანკები და ამ ტიპის სხვა სტრუქტურები თავიანთი სპეციფიკიდან გამომდინარე, საბაზრო პრინციპებისა და მუდმივი კონკურენციის პირობებში საქმიანობას აგებენ მაღალ მოგებაზე და რაც მთავარია შემცირებული რისკის პირობებზე. ამიტომაა, რომ ყოველთვის და ყველგან ისინი არ წარმოადგენენ საიმედო პარტნიორს. ეს ნიშნავს, რომ მწარმოებლები კრედიტს მიიღებენ მხოლოდ მაშინ, როცა მათ ეს ნაკლებად სჭირდებათ, ანუ იმ შემთხვევაში, როდესაც მათი ფინანსური შესაძლებლობანი საბაზრო ინფრასტრუქტურისა და ფასების გამო შედარებით დამაკმაყოფილებელია. ასეთი სიტუაცია განსაკუთრებით მტკივნეულია, როდესაც საქმე ეხება ე.წ. ნაკლებ განვითარებულ ქვეყნებს. როგორც წესი, ამ დროს კომერციული საბანკო სისტემა ჯერ

კიდევ სუსტია, აქტივები მწირი, ხოლო გაკოტრების შანსი მაღალი. ასეთ სიტუაციაში, მათი საქმიანობის პრიორიტეტი მიმართულია მხოლოდ გარანტირებული უკუგების მქონე სფეროებზე. ამიტომ უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ისინი თავს იკავებენ კაპიტალის დაბანდებისაგან. სწორედ ასეთ სიტუაციაში იმყოფება დღეს საქართველოს სოფლის მეურნეობა, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია.

დასახელებული ფაქტორებისა და საქართველოს ბიუჯეტის მწირი შესაძლებლობების გათვალისწინებით, კრიზისიდან გამოსავალი იმ გამოცდილების გათვალისწინება და ადგილობრივ პირობებთან მისადაგებაა, რომელიც განვითარებული ქვეყნების აგრარული კრედიტის სფეროშია დაგროვილი. აქ კარგადაა შერწყმული სახელმწიფო რეგულირებისა და კერძო ინსტიტუტების მუშაობის სპეციფიკა. სახელმწიფო რეგულირებისა და კონტროლის ქვეშ აგროსასურსათო სექტორის გადაყვანა მათი გამოცდილების მთავარი მონაპოვარია.

საქართველოში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობა ნათლად გვიჩვენებს, რომ პრობლემის რეალურად გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური აგრარული საკრედიტო სისტემის ფორმირებით. იგი შემდეგი ობიექტური ფაქტორებითა და სპეციფიკური თავისებურებებითაა განპირობებული.

– წარმოების პროცესის სეზონური ხასიათი;

– წარმოების რენტაბელობის შედარებით დაბალი დონე;

– სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური მახასიათებლების დაბალი საიმედობა (არამდგრადობა);

– სოფლად საქონელმწარმოებლებისათვის (გლეხები, ფერმერები) მოკლევადიან კრედიტებზე ხელმისაწვდომობის ციკლური ხასიათი;

– შესაბამისი სტიმულირების არქონის გამო სოფლად დაგროვილი ისედაც მწირი ფინანსური კაპიტალის გადინება დიდ ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში;

– სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებელი საკრედიტო რესურსების აუცილებელი სიიაფე;

– ეკონომიკის აგრარულ სექტორში, სასაქონლო და მომსახურების ბაზრისაგან განსხვავებით, ფულადი კაპიტალისა და საკრედიტო ბაზრის არასრულყოფილი ხასიათი (წარმოების

სეზონურობასა და ხანგრძლივობასთან დაკავშირებული);

– წარმოების შედეგების ბუნებრივ-კლიმატურ პირობებზე მნიშვნელოვანი დამოკიდებულობის გამო კომერციული ბანკების მხრიდან ობიექტური უნდობლობის ფაქტორის არსებობა;

– გლეხების (ფერმერების) მხრიდან კრედიტის ასაღებად საჭირო გირაოს უქონლობა, მიწის თავისუფალი ბაზრის ჩამოუყალიბებლობა, საბანკო სისტემაში არსებული რიგი ხარვეზები, ნაკლოვანებები და სხვა.

აგრარული საკრედიტო სისტემის პირველი, საერთო დამახასიათებელი პირობაა სახელმწიფო მხარდაჭერისა და რეგულირების პოლიტიკის არსებობა.

მეორე. აგრარული საკრედიტო სისტემის პრინციპული განსხვავება ჩვეულებრივი საბანკო-საკრედიტო სისტემისაგან (რაც ძირითადად მის მიზნობრივ ხასიათში ანუ დარგობრივ პრინციპში პოულობს ასახვას).

მესამე. აგრარულ სექტორთან დამოკიდებულებასა და ურთიერთობაში ეს სისტემები კი არ ეწინააღმდეგებიან, არამედ ავსებენ ერთმანეთს და საკმაოდ სინქრონულად მოქმედებენ.

მეოთხე. აგრარულ საკრედიტო სისტემა აგებული და გავრცობილია ადგილობრივ, რეგიონალურ და ცენტრალურ დონეზე.

მეხუთე. თითოეული დონის ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული და მკვეთრად გამიჯნული.

მეექვსე. მუშაობის პროცესში ურთიერთსოლიდარობის პრინციპის არსებობა (თუმცა სხვადასხვა სისტემაში ეს განსხვავებული ხარისხით ვლინდება).

აგროსაკრედიტო სისტემა არ მუშაობს დივიდენდების განაწილებაზე, მიღებულ მოგებას საკუთარ საბრუნავ კაპიტალში აბრუნებს და პერმანენტულად ზრდის სესხის გაცემის მასშტაბებს. სესხის მიღებისათვის არც მატერიალური გარანტიებია საჭირო და არც წინასწარ შედგენილი ბიზნეს-გეგმა. აქ მთავარია ურთიერთნდობა, რომელსაც კოოპერტიული გაერთიანების, როგორც ერთი ოჯახის, წევრობა წარმოშობს.

სპეციალური აგროსაკრედიტო სისტემის ფორმირების შემდეგ შეიქმნება რეალური პირობა ქვეყნის აგროსასურსათო სექტორის დაფინანსება-დაკრედიტების მწყობრი სისტემის

არსებობისა. ასეთ სიტუაციაში სპეციალურ საკრედიტო სისტემასთან ერთად წარმოიქმნება მყარი პირობები ამ სექტორის დაკრედიტებაში სხვადასხვა ორგანიზაციული სტრუქტურების მონაწილეობისათვის. მათ შორის მნიშვნელოვანი იქნება: სახელმწიფო ბიუჯეტის, კომერციული ბანკების, სადაზღვევო კომპანიების, ინდივიდუალური კრედიტორების, ურთიერთდახმარების ადგილობრივი სალაროების და სხვა ალტერნატიული წყაროების, მონაწილეობა.

სპეციალური აგროსაკრედიტო სისტემის შექმნა საჭიროებს აუცილებელ რეგულირებას და კოორდინაციას, განსაკუთრებით საწყის ეტაპზე. მსოფლიო პრაქტიკამ დაადასტურა, რომ აგრარულ სფეროში პერიოდული ხელოვნური ჩარევის გარეშე შესაძლებელია გამოუსწორებელი უკუეფექტის მიღება. ამიტომ აგროსასურსათო სექტორის დაკრედიტების სისტემის შექმნისა და პროცესების რეგულირების საკითხში სახელმწიფოს მონაწილეობა აუცილებელ ღონისძიებად გვესახება.

საკრედიტო რესურსებით აგროსექტორის გარანტირებული უზრუნველყოფა, სპეციალური აგროკრედიტს შესაბამისი სისტემის შექმნის გარეშე, მხოლოდ კომერციული დაწესებულებების გამოყენებით, პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან კერძო სტრუქტურა ქვეყნის აგრარული პოლიტიკის პრიორიტეტების განაწილებისას ვერ შეძლებს ნეიტრალიტეტისა და ობიექტურობის დაცვას.

აგროდაკრედიტების სისტემის ფუნქციონირების მთავარი მიზანი უნდა იყოს აგროსასურსათო სექტორის საწარმოო და არასაწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის ხელშეწყობა; საინვესტიციო პროცესების რეგულირება; შიდა ბაზარზე სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მოთხოვნილების რეგულირება; საექსპერტო პროდუქციის სტიმულირება და სხვა.

ამდენად, საქართველოში მეწარმეობისა და აგრობიზნესის განვითარებისათვის მიმდინარე ეტაპზე გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენს ეფექტური საკრედიტო-საფინანსო მექანიზმის ჩამოყალიბება. პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია სპეციალური აგრარული საკრედიტო სისტემის (სასს) ფორმირებით, რომელიც ერთის მხრივ დაეფუძნება მსოფლიო აგროსაკრედიტო სისტემის პრაქტიკას და გამოცდილებას, ხოლო

მეორეს მხრივ, შეჯერებული იქნება ქართული სოფლის სპეციფიკასთან. სასს ძირითადად ორი ტიპის ბანკებით იქნება წარმოდგენილი, რომლებიც მოემსახურება როგორც გრძელვადიანი ღონისძიებების (მრავალწლიანი ნარგავების გაშენება, შენობა-ნაგებობების მშენებლობა, მიწის, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და ხანგრძლივვადიანი სარგებლობის ძირითადი საწარმოო საშუალებების შეძენა), ასევე მოკლევადიანი ტექნოლოგიური პროცესების, კვლავწარმოების საშუალებების (თესლი, სათადარიგო ნაწილები, საწვავი, . სასუქი და ა.შ.) დაკრედიტებას.

სასს-ს საქმიანობის ხელმძღვანელობისა და კონტროლის განხორციელების მიზნით სოფლის მეურნეობისა და სურსათის (ან ფინანსთა) სამინისტროსთან უნდა შეიქმნას „სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ადმინისტრაცია". მისი შექმნა განპირობებულია იმით, რომ საწყის ეტაპზე სასს წარმოადგენს ნახევრად სახელმწიფო სტრუქტურას. სისტემის საწყისი კაპიტალის შექმნაში გადამწყვეტი როლი სახელმწიფოს განეკუთვნება, ხოლო მას შემდეგ, რაც ბანკები შეძლებენ მიღებული სესხების დაბრუნებას, ისინი გადაიქცევა სისტემის წევრთა კერძო (კოოპერაციულ) საკუთრებად და გამოვლენ სახელმწიფოს დაქვემდებარებიდან.

სასს-ის საკრედიტო-საფინანსო საქმიანობა რეგულირდება სპეციალური კანონმდებლობით (და არა კომერციული ბანკების მარეგულირებელი ნორმატიული აქტებით). აქედან გამომდინარე, ის არ იქნება ეროვნული ბანკის დაქვემდებარებაში, თუმცა მათი ინტერესები კი არ გადაკვეთენ, არამედ შეავსებენ ერთმანეთს. ამის კარგი მაგალითია აშშ, სადაც წარმატებით ფუნქციონირებს ფერემერთა საკრედიტო სისტემა, რომლის დაფინანსებაში კომერციული ბანკების ხვედრითი წილი 25%-ს უტოლდება. სწორად წარმართული აგრარული პოლიტიკის წყალობით აქ კომერციული ბანკებისა და ფერმათა საკრედიტო სისტემის ინტერების თანხვედრა და თავსებადობა ხდება.

სასს-ს ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები უნდა განისაზღვროს შესაბამისი ნორმატიული აქტით. ამ მიზნით მისაღებია საქართველოს კანონი „სპეციალური აგრარული საკრედიტო სისტემის ორგანიზაციისა და ფუნქციონირების

შესახებ", რომელშიც ასახვა უნდა ჰპოვოს ისეთ საკანონმდებლო ნორმებმა, როგორიცაა სასს-ს წევრობის, ბანკების შემოსავლების გადასახადებისაგან გათავისუფლების, საკრედიტო განაკვეთის დადგენის, ასოციაციის თავმჯდომარისა და ბანკის დირექტორის არჩევის, სასს კაპიტალის ფორმირების წყაროები და სხვა საკითხები. სასს-ს საკრედიტო რესურსის ფორმირების მთავარი და მუდმივი წყარო ფასიანი ქაღალდების (ობლიგაციების) გამოშვება და რეალიზაცია უნდა გახდეს. ამ მიზნით მისაღებია საქართველოს კანონი, რომელიც დაარეგულირებს სასს-ს მიერ ფასიანი ქაღალდების ემისიის, ღირებულების, მოძრაობის და სხვა სპეციფიკურ საკითხებს.

სასს-ს სტაბილური ფუნქციონირებისათვის აუცილებლობას წარმოადგენს საბანკო დაწესებულებათა საკრედიტო ვალდებულებების დაზღვევა, რისთვისაც სისტემაში უნდა შეიქმნას სპეციალური სადაზღვევო ფონდი. მისი ფორმირება მოხდება სისტემის მონაწილე ბანკების ანარიცხებისა და თვით ფონდის კაპიტალის ეფექტური გამოყენების საფუძველზე.

სპეციალური აგროსაკრედიტო სისტემის შემოთავაზებული ვარიანტი წარმოადგენს აგრარული სექტორის ძირითადი ფონდების რეკაპიტალიზაციის აქტიური პოლიტიკის გატარების ინსტრუმენტს. იგი, ძირითადად, დაფუძნებულია მისი წევრების კოოპერირებული სახსრების უფრო ეფექტურ გამოყენებაზე რომელიც სესხის მიღების შედარებით გაიოლებული პირობებით, დაბალი საპროცენტო განაკვეთით, ურთიერთნდობითა და კორუფციის გამორიცხვით მიიღწევა.

აღნიშნული საკითხის სისტემური გადაწყვეტა და მისი სახელმწიფო რეგულირება, ხელს შეუწყობს ამ სექტორში მეურნეობრიობისათვის საჭირო პირობების შექმნას, გაფართოებული კვლავწარმოების მასშტაბების გადიდებას და კონკურენტული გარემოს ფორმირებას, რაც საბოლოო ანგარიშით, მყარ გარანტიებს ქმნის ქვეყანაში სასურსათო უშიშროების პრობლემის გადაჭრისათვის.

თავი IV. საქართველოს სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფის პირითადი მიმართულებები ახლო და შორეულ პერსპექტივაში

ქვეყნისათვის, ყველასათვის ერთნაირად დიდ ბაზარი უმჯობესია, იმიტომ რომ ყოველი კაცისათვის ისა სჯობია, საშუალება ჰქონდეს საჭირო საქონელი იქ და იმასთან იყიდოს საცა და ვისაც უფრო კარგი საქონელი აქვს და უფრო იაფი ჩემ-შენაობის გაურჩევლად.

ილია ჭავჭავაძე

4.1. ეკონომიკური უშიშროების ზოგიერთი თავისებურება და აგროსასურსათო სექტორის სახელმწიფოებრივი რეგულირების ობიექტური აუცილებლობა

როგორც თეორიული, ისე ემპირიული გამოკვლევების დანიშნულებაა იმ ხარისხის შესწავლა, რომლითაც რეგულირებას შეუძლია იმ მიზნების მიღწევა, რისთვისაც იგი ხორციელდება.

სტივენ შრეიერი და პოლ მაკ ეივოი

შესაბამისი მასალების შესწავლამ გვიჩვენა, რომ მიუხედავად ეროვნულ მეურნეობაში გატარებული ძირეული გარდაქმნებისა და საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრებისა, ტრანსფორმაციის რეალური შედეგები საქართველოში ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ინვესტიციების მოცულობა ეკონომიკაში მცირდება (1998 წელს მან დაახლოებით 365,5 მლნ. აშშ დოლარი, ხოლო 2000 წელს კი მხოლოდ 174 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა). სახეზეა მწვავე საბიუჯეტო კრიზისი, როდესაც გაძნელებულია ხელფასების, პენსიების, დახმარებების გაცემა, ხოლო ბიუჯეტის სეკვესტრი და დავალიანების ზრდა ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა.

ქვეყნის საერთო ვალი, რომელიც დაახლოებით 4,4 მლრდ. ლარს შეადგენს (რაც მთლიანი შიდა პროდუქტის თითქმის 70%-ია), მ.შ. საგარეო ვალი 1,6 მლრდ. აშშ დოლარია. თუ გავითვალისწინებთ ეკონომიკის მომხმარებლურ ხასიათს, ინვესტიციების ნაკლებობას, ექსპორტის გადიდების სირთულეებს,

მაშინ არსებული ტენდენციების შენარჩუნების შემთხვევაში, საქართველოს ლარის დევალვაციისა და დეფოლტის რეალური საფრთხე ემუქრება. ამის გამო კიდევ უფრო გაუარესდება მისი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა.

გამოიკვეთა სხვა უარყოფითი შედეგებიც, რომელიც საქართველოს განვითარების გრძელვადიან შემაფერხებელ ფაქტორებად გადაიქცა. მათ შორის ქვეყნის საგანმანათლებლო და მეცნიერულ-ტექნოლოგიური პოტენციალის მნიშვნელოვანი შემცირება. მაგრამ ყველაზე უფრო პრობლემურია ის გარემოება, რომ ახალ ათასწლეულს საქართველო ტაქტიკურად და სტრატეგიულად არასათანადოდ მომზადებული შეხვდა.

შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი ერთადერთია. ესაა ეკონომიკის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე გადაყვანა, ანუ ქვეყნის თვითგანვითარების მაღალი დონის უზრუნველყოფა, პოსტინდუსტრიული ეკონომიკის თანდათანობით დამკვიდრება.[3]

ეკონომიკის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების პრობლემა დიდი ხანია მეცნიერ-ეკონომისტთა და პოლიტიკოსთა ყურადღების ცენტრშია. ამ პრობლემის არსი და მნიშვნელობა ქვეყნის საერთო სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კვალობაზე მნიშვნელოვნად ცვალებადობს. კერძოდ, ცნობილია, რომ ეკონომიკის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების კონცეფცია წარმოიშვა ეკოლოგიური სიტუაციის გამწვავებასთან დაკავშირებით და თავდაპირველად ამ პრობლემის დარეგულირებაზე იყო აქცენტი გაკეთებული, მაგრამ თანდათან ცხადი გახდა, რომ ეკოლოგიური მდგრადობის მიღწევა შეუძლებელია საზოგადოების ყველა სფეროში მდგრადობის მიღწევის გარეშე. რაც შეეხება უშიშროების პრობლემას, იგი გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლომდე გაიგივებული იყო ქვეყნის სამხედრო უშიშროებასთან, მაგრამ სადღეისოდ მისი ასეთი გაგების უკმარისობა უკვე ეჭვს არ იწვევს. ეროვნული უშიშროების ცნების შინაარსი რადიკალურად გაფართოვდა,

---

[3] თ. ბასილია, ა. სილაგაძე, თ. ჩიკვაიძე – პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბ., 2001, გვ. 460.

გასცდა ვიწრო – სამხედრო და საგარეო პოლიტიკურ ჩარჩოებს და ქვეყნის არსებობისა და შინაგანი წყობის გაცილებით ფართო ასპექტი (კულტურული, სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და მრავალი სხვ.) მოიცვა.

ამდენად, ეკონომიკის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაში ზოგადად მოიაზრება განათლება, დასაქმება, წარმოების მოცულობის ზრდა, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, სიღატაკის დაძლევა, სასურსათო უშიშროების და სხვა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა, ანუ საზოგადოებისა და ხელისუფლების ინსტიტუტების ისეთი მდგომარეობა, როდესაც უზრუნველყოფილია ეროვნული ინტერესების დაცვა, სახელმწიფოებრიობა, ტერიტორიული მთლიანობა, შინაგანი და გარეგანი პროცესების ყველაზე უფრო ექსტრემალურ პირობებშიც კი.

უსაფრთხო და მდგრადი განვითარება მოიცავს სახელმწიფოს მზადყოფნას და უნარს შექმნას ეროვნული ინტერესების რეალიზაციისა და დაცვის, საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობისა და განვითარების მექანიზმი. გამომდინარე უშიშროების კომპლექსური გაგებიდან, იგი მოიცავს: ადამიანის ცხოვრების დონის ამაღლებას, იდეოლოგიურ-კულტურულ და ფსიქოლოგიურ, დემოგრაფიულ, ინფორმაციულ, ეკოლოგიურ და სხვა მიმართულებებს, რომელთა რეალიზაცია უზრუნველყოფს ეროვნული უშიშროების საფუძვლების შექმნას.

ეროვნული უშიშროების საფუძველს ეკონომიკური უშიშროება წარმოადგენს. იგი გამოხატავს ეკონომიკური სისტემის უნარს უზრუნველყოს ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების მაღალი ხარისხი, ეროვნული მეურნეობის განვითარების მდგრადი მომარაგება აუცილებელი რესურსებით და სახელმწიფოებრივი ინტერესების თანმიმდევრული განხორციელება. აქედან გამომდინარე, საქართველოს ეკონომიკური უშიშროება არის იმ პირობებისა და ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფს მთლიანად ეროვნული ეკონომიკის დამოუკიდებლობასა და მდგრადობას, სახელმწიფოებრივი მთლიანობისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას, მისი მუდმივი განახლების, სრულყოფისა და თვითგანვითარების უნარს.

საქართველოს ეკონომიკის განვითარების სტრატეგია გულისხმობს შემდეგს:[4]

– ეკონომიკური უშიშროების შინაგანი და გარეგანი მახასიათებლების დადგენას და გაანალიზებას;

– ეკონომიკური უშიშროების პრინციპების შესაბამისი კრიტერიუმებისა და პარამეტრების განსაზღვრას;

– ეკონომიკური პოლიტიკის, ინსტიტუციური გარდაქმნებისა და ყველა იმ მიმართულების განსაზღვრას, რომლებიც ეროვნული ეკონომიკის მდგრადობის დარღვევის თავიდან აცილების შესაძლებლობას იძლევა.

საქართველოს ეკონომიკური უშიშროების მდგრადობა ხასიათდება განსაზღვრული თვისობრივი კრიტერიუმებითა და პარამეტრებით, ანუ ზღვრული მაჩვენებლებით. მათი შერჩევისათვის აუცილებელია გავითვალისწინოთ:

– ეკონომიკის გაფართოებული კვლავწარმოების რეჟიმში ფუნქციონირების უნარი;

– ეკონომიკის გლობალიზაციის, ლოკალიზაციის, ვირტუალიზაციის ტენდენციები;

– ინფორმაციული ცოდნის, ეკონომიკის, ინფორმაციული პროდუქციის მზარდი მნიშვნელობა;

– ცხოვრების მაღალი ხარისხის მიღწევისა და შენარჩუნების აუცილებლობა;

– ფინანსური სისტემის მდგრადობა შინაგანი და გარეგანი შოკის პირობებში;

– საგარეო ვაჭრობის რაციონალური (სისტემის) სტრუქტურის მიღწევა;

– საგანმანათლებლო და მეცნიერულ-ტექნოლოგიური პოტენციალის გაფართოება;

– შიდა ბაზრის მთლიანობისა და ფართო რეგიონთაშორისი კავშირების უზრუნველყოფა;

– ინსტიტუციონალური და სოციალური პირობების შექმნა საზოგადოებისა და ბიზნესის კრიმინალიზაციის აღმოსა-

---

[4] თ. ბასილია, ა. სილაგაძე, თ. ჩიკვაიძე – პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბ., 2001, გვ. 463-464.

ფხვრელად;

– სახელმწიფოებრივი რეგულირების უზრუნველყოფა ჩვეულებრივ და ექსტრემალურ პირობებში ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის.

საქართველოს ეკონომიკა დღეისათვის შორსაა უსაფრთხო და მდგრადი განვითარების ზღვრული მაჩვენებლებისაგან, ანუ მას ფაქტობრივად დაკარგული აქვს გაფართოებული კვლავწარმოებისა და თვითგანვითარების უნარი. თუ ეს მდგომარეობა კვლავაც გაგრძელდა, მაშინ უნდა გადაჭრით ითქვას, რომ ქვეყნის, როგორც ეკონომიკურ, ასევე სასურსათო დამოუკიდებლობას დაკარგვის რეალური საფრთხე ემუქრება.

აგროსასურსათო სექტორის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაში უნდა ვიგულისხმოთ ქვეყნის მოსახლეობის სურსათზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება და გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოთა საჭირო სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით უზრუნველყოფა (მომავალი თაობისათვის ზიანის მიუყენებლად), მოთხოვნა-მიწოდების და პროდუქციის ექსპორტ-იმპორტის მოცულობათა რაციონალური დაბალანსების საფუძველზე.

აგროსასურსათო სექტორის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების მიღწევა ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებისა და სიღარიბის დაძლევის პარალელურად უნდა იქნეს რეალიზებული. ამისათვის საჭიროა ქვეყნის საერთო ეკონომიკური პოტენციალის, მათ შორის მიწის, კაპიტალის, შრომის, სამეწარმეო უნარის და სახელმწიფო მარეგულირებელი სისტემის უფრო აქტიური ამოქმედება.

აგროსასურსათო სექტორის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების სტრატეგიის განხორციელებისათვის ქვეყანას გააჩნია შესაბამისი პოტენციალი. აქ მხოლოდ ერთ მათგანზე, ამ სექტორის სახელმწიფოებრივ რეგულირებაზე შევჩერდებით.

საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობათა იმ მოდელმა, რომელიც ქვეყანამ აირჩია XX საუკუნის 90-იან წლებში და რომელიც ძირითადად დამყარებულია ეკონომიკურ ურთიერთობათა ლიბერალიზაციაზე, უპირველესად კი ფასწარმოქმნის ლიბერალიზაციაზე (რომელიც როგორც ცნობილია თავის მხრივ საბაზრო ურთიერთობათა ეკონომიკური მექანიზმის ბაზისს

წარმოადგენს), დარგთაშორის კავშირების რეგულირებისაგან სახელმწიფოს ჩამოცილებაზე და სოციალური გარანტიების შემცირებაზე, არ გაამართლა.

სხვათა შორის ამის შესახებ დროულად გვაფრთხილებდნენ უცხოელი ექსპერტები. ასე მაგალითად, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის პროექტის ხელმძღვანელი, დოქტორი *ეკერპარდ კლემენსი*, თავის სტატიაში „წარმოება და კონკურენცია (ჟურნ. „ქვალი" 1999 წლის №5-6) წერდა: „ლარის ამერიკულ დოლარზე მიბმამ მისი გადაფასება გამოიწვია, ანუ საქართველოში წარმოებული პროდუქცია, უცხოურ პროდუქციასთან შედარებით უფრო გაძვირდა და ქართველი ფერმერი მსოფლიო ბაზარზე არაკონკურენტუნარიანი გახდა. უფრო დაბალი ხარისხის უცხოური პროდუქტები ავსებდნენ და ახლაც ავსებენ ქართულ ბაზარს. აგროსექტორისათვის კი სახელმწიფო დახმარება არ არსებობდა და არც ახლა არსებობს. პირიქით შემოღებული იქნა 20%-იანი დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რომელიც ამ მოცულობით კონკურენტუნარიან დასავლეთის სახელმწიფოებსაც კი არ გააჩნიათ ... დასავლეთის ყველა ქვეყანა აგრარულ სექტორს მილიარდობით ამერიკული დოლარით, ევროთი, შვეიცარული ფრანკით ან იაპონური იენით ეხმარება. ისინი, არა მარტო საკუთარ წარმოებას, არამედ ექსპორტსაც ეხმარებიან. ისეთი მთიანი ქვეყნები როგორიცაა შვეიცარია, ნორვეგია და ავსტრია, ან არახელსაყრელი განლაგების ქვეყნები: ფინეთი, შვედეთი და სხვა, უფრო მეტ სუბსიდიებს უხდიან სოფლის მეურნეობას, ვიდრე ის ქვეყნები, რომელთაც კლიმატურად ან ტოპოგრაფიულად ხელსაყრელი წარმოების პირობები აქვთ. საქართველოს სოფლის მეურნეობა ასეთ ვითარებაში ცხადია სუბსიდირებულ დასავლურ სოფლის მეურნეობას კონკურენციას ვერ გაუწევს. იგი დასაღუპავადაა განწირული. საქართველოს სოფლის მეურნეობა დაცული უნდა იყოს უცხოური სუბსიდირებული კონკურენციისაგან. შემოღებული უნდა იქნეს დამცავი საბაჟო ბარიერები მზა აგრარული პროდუქციისათვის, შეწყდეს ისეთი პროდუქციის შემოტანა, რომელიც საქართველოში იწარმოება. საქართველოს სოფლის მეურნეობის აღორძინება სახელმწიფოს მხრიდან დაცვისა და შესაბამისი

ეკონომიკური ბაზისის გაუმჯობესების გარეშე შეუძლებელია".

ამდენად დღეს უკვე თამამად შეიძლება ქვეყნის მიერ არჩეული მოდელის უარყოფით მხარეებზე საუბარი, რადგან სახეზე გვაქვს მისგან მიღებული ორგანიზაციული, სოციალური, ეკონომიკურ-ეკოლოგიური და სხვა ნეგატიური შედეგები. კერძოდ:

1) სახელმწიფოს ჩამოშორებამ დარგთაშორისი კავშირების რეგულირებისაგან დარგთაშორის განვითარებაში დისპროპორციები გამოიწვია ე.წ. „თვითრეგულირებადმა" ბაზარმა ამ პრობლემის დარეგულირება ვერ შეძლო;

2) ქვეყნისა და დარგების მიხედვით ამა თუ იმ მიზნით განხორციელებულმა ინსტიტუციონალურმა ცვლილებებმა სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, რადგან გარდა ამისა საჭირო იყო საწარმოო პოტენციალი, კრედიტი, კადრები, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და ა.შ. რომელთა უგულვებელყოფის შედეგია ის, რომ დღეს სახეზეა წარმოების არნახული დონით შემცირება, მიწის ნაყოფიერების დაცემა, მიწების ეროზია და სხვა უარყოფითი შედეგები. ბაზრის ფორმირება უნდა მომხდარიყო არა თვითდინებაზე მიშვებით, არამედ ბაზრის თვითრეგულირებისა და სახელმწიფო რეგულირების გონივრული სინთეზით, რათა ბაზარზე დამკვიდრებულიყო წონასწორობა და თანაფარდობა ბაზრის ყველა სუბიექტს შორის, მიუხედავად საკუთრების ფორმისა, წარმოების მასშტაბისა, შემოსავლებისა და სხვა მახასიათებლებისა. მაგრამ ეს არ მოხდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საბაზრო ეკონომიკა მართალია თავისი არსით გულისხმობს დაქირავებულ შრომას, საქმიანობის სფეროს და საქმიანი პარტნიორების თავისუფალ არჩევანს (ე.ი. დემოკრატიულ მართვა-გამგეობას, კანონის უზენაესობას, მიზანმიმართული შრომის თავისუფლებას და დაცვას, თავისუფალ ფასწარმოქმნას პროდუქციაზე და სხვა იმ სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების სწორი თანაფარდობის ჩამოყალიბებას, პროგრესულ სტრუქტურულ ცვლილებებს, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, ხარისხისა და კონკურენციის ამაღლებას), მაგრამ ეს სისტემა ყოველთვის ვერ პასუხობს საზოგადოების მოთხოვნებს. ის ყოველთვის არაა ეფექ-

ტური და სოციალური, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება სრულ სოციალურ სამართლიანობას, საზოგადოების ფენების ყოვლად გაუმართლებელ დიფერენციაციას შემოსავლების მიხედვით (რომელიც დამოკიდებულია არა მხოლოდ შრომასა და კაპიტალზე, მწარმოებლის ან ბიზნესმენის ცოდნასა და ტალანტზე, არამედ უბრალოდ გამართლებაზე, დროის ვითარებაზე, სამეურნეო კონიუნქტურაზე და სხვა შემთხვევითობაზე). რაც მთავარია ბაზარი ვერ უზრუნველყოფს პროდუქციის მწარმოებელთა და მომხმარებელთა ინტერესების სრულ შეთანაწყობას, ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის კეთილსაიმედო ეკონომიკური და სოციალური პირობების შექმნას და, რაც უმნიშვნელოვანესია, იგი ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის ბუნებრივი, მატერიალური და შრომითი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, რაც სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთი უპირველესი და ძირითადი ამოცანაა.

ამდენად, სახელმწიფოს როლი საბაზრო სისტემაში მეტად მნიშვნელოვანია. ის იღებს თავის თავზე (ვალდებულიცაა) სხვადასხვა პროცესების, უპირველესად სოციალური და ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას, მწარმოებელთა და მომხმარებელთა ინტერესების შეთანაწყობა-დაცვას. ამ მიზნით სახელმწიფომ უნდა ითაოს მთელი საზოგადოებისა და ეკონომიკის ორგანიზაციულ-სამართლებრივი რეგულირება, ქვეყანაში კონკურენტული გარემოს შექმნა და სამართლიანი კონკურენციის უზრუნველყოფა, სწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის, საჭიროების შემთხვევაში ფულის ერთეულის ემისიის განხორციელება, საფინანსო-საგადასახადო-სადაზღვევო პოლიტიკის რეალიზაცია და ანტიინფლაციური ზომების განხორციელება.

არ შეიძლება არ აღინიშნოს იმ ობიექტური ფაქტორების შესახებ, რომელიც აუცილებელს ხდის სახელმწიფოს ჩართვას ბაზრის რეგულირების პროცესში. საქმე იმაშია, რომ მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნა სურსათზე შედარებით დაბალელასტიურია სურსათზე არსებული ფასების გამო (სურსათზე ფასების მატებისას მოსახლეობა მაინც სტაბილურად მოიხმარს მას, ფიზიოლოგიური მოთხოვნებიდან გამომდინარე, თუმცა მოიხმარს მას რისი შეძენის საშუალებაც გააჩნია, მაგალითად ყველაზე იაფს და აუცილებელს – პურს. ამასთან

მოსახლეობას კიდევაც რომ გაეზარდოს ფულადი შემოსავლები ან სურსათზე ფასები დაეცეს, მოთხოვნა ადეკვატურად არ გაიზრდება რადგან აქ გარდა ეკონომიკურისა, ფიზიოლოგიური ფაქტორებიც მოქმედებენ და ზღუდავენ მოხმარებას). ამის საწინააღმდეგოდ სოფლის მეურნეობის პროდუქციის აღწარმოებისათვის საჭირო სამრეწველო წარმოშობის პროდუქციას (საწვავი, კომბინირებული საკვები, სასუქი და ა.შ.) პირიქით, შედარებით მაღალი ელასტიურობა აქვს. ასეთ ვითარებაში ფასს, როგორც მოთხოვნა-მიწოდების რეგულატორს, არ შეუძლია თავისი ძირითადი ფუნქციის შესრულება. საჭიროა გარე ფაქტორი სახელმწიფოს სახით, რომელმაც უნდა გამორიცხოს ფასების მერყეობა და არ დაუშვას არც მომხმარებლის და არც მწარმოებლის ინტერესების შელახვა.

გარდა ამისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ ქვეყანაში საგარეო ვაჭრობის მნიშვნელოვან დეფიციტს აქვს ადგილი, რაც ძირითადად სურსათის დიდი ოდენობით იმპორტითაა გამოწვეული. უფრო კონკრეტული თუ ვიქნებით, უნდა ვაღიაროთ, რომ ესაა არარეგულირებადი სურსათის იმპორტის მიზეზი, რაც თავის მხრივ სამამულო პროდუქციაზე მოთხოვნის არარსებობას და წარმოების შეჩერებასაც კი იწვევს. ასეთი არარეგულირებადი იმპორტის გადიდება სერიოზული მუქარაა ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის სტაბილურობისათვის (განსაკუთრებით სურსათზე ფასების ზრდის შემთხვევაში), რაც მოსალოდნელიცაა, თუ სახელმწიფო სერიოზულად არ არეგულირებს სურსათის იმპორტს ქვეყანაში.

უძველესი დროიდან სოფლის მეურნეობა იყო ერთადერთი დარგი მოსახლეობის სამეურნეო და ეკონომიკური საქმიანობისა. დღეს ამ დარგის ხვედრითი წილი ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების მთლიან შიდა პროდუქტში სულ უფრო და უფრო მცირე ადგილს იჭერს. არის გარკვეული საშიშროება იმისა, რომ ამ სფეროში დასაქმებულთა შემცირებით შეიძლება გაქრეს სასოფლო დასახლებები, სოფლის თემები და ლანდშაფტები. ამდენად, ამ სექტორის შენარჩუნება ნიშნავს, არა მარტო, ტრადიციული სოფლის მეურნეობის, არამედ სოფლის ლანდშაფტების შენარჩუნებასაც. ამიტომაც განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში სოფლის მოსახლეობა სულ უფრო

მეტადაა დაკავებული არასასოფლო-სამეურნეო შრომით. ე.ი. აქ ვითარდება აგროტურიზმი, აგროსერვისი, კვების და მსუბუქი მრეწველობის საწარმოები და ა.შ. ამასთან ერთად, თანამედროვე გზების მშენებლობით სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი ერთვება ახლო მდებარე ქალაქების სამეურნეო ცხოვრებაში. ამიტომაა, რომ უკანასკნელ წლებში აგრარული სექტორისადმი სახელმწიფო მხარდაჭერის ღონისძიებები მიმართულია, არა უშუალოდ სოფლად საქონელმწარმოებელთა რენტაბელობის დონის ამაღლებისაკენ, არამედ თვით სოფლის, როგორც ტერიტორიული ერთეულის განვითარებაზე. ე.ი. საწარმოო და არასაწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარების, გზების, გაზიფიცირების, ჯანდაცვის და სხვა პროგრამების რეალიზაციაზე, ანუ სოფლად არასასოფლო-სამეურნეო შრომით მოსახლეობის დასაქმებისათვის შესაბამისი პირობების შექმნაზე. ამასთან, არაა გამორიცხული იმ ფერმერებისათვის დახმარება (პირდაპირი სუბსიდირება), რომელთა შემოსავლები არ აღემატება სოფლად ნორმალური მეურნეობრიობისათვის საჭირო დონეს (ასეთი ტიპის დახმარება არ მოქმედებს სასურსათო ბაზარზე და არ ეწინააღმდეგება „ურუგვაის რაუნდის" ძირითად პრინციპებს).

სოფლის მეურნეობისათვის სახელმწიფო მხარდაჭერის ობიექტური აუცილებლობის დასაბუთების არგუმენტად ის ფაქტიც გამოდგება, რომ სოფლის მეურნეობა, როგორც ცნობილია, დღეისათვის გარემოს ყველაზე დიდი დამაბინძურებელია (მინერალური სასუქების, შხამქიმიკატების და სხვა ქიმიური ნივთიერებების გამოყენების გამო), რაც დღის წესრიგში აყენებს საკითხს ამ დარგის „ბიოლოგიზაციის", ე.ი. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებაზე გადასვლის შესახებ. ასეთი გადასვლა, ბუნებრივია, დაკავშირებულია საკმაო ხარჯებთან, რისი გაღებაც ფერმერთან ერთად სახელმწიფომაც უნდა იკისროს.

ერთ-ერთი არსებითი არგუმენტი სურსათით თვითუზრუნველყოფისათვის ქვეყანაში არსებულ პოტენციურ საშუალებათა მაქსიმალურად გამოყენებას უკავშირდება. მიუხედავად შეფარდებითი და აბსოლუტური უპირატესობის კანონთა მოთხოვნებისა, მიაჩნიათ, რომ თუ ქვეყანას აქვს საშუალება

აწარმოოს სურსათი, მან უნდა გააკეთოს ეს (მიუხედავად დანახარჯებისა), რადგან მსოფლიოში მოშიმშილეთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება და თითოეული ქვეყნის ვალია შეამციროს სასურსათო დამოკიდებულების დონე, ე.ი. შეასუსტოს დაწოლა სურსათის მსოფლიო ბაზარზე.

აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ სოფლის მეურნეობისადმი სახელმწიფო მხარდაჭერის მოწინააღმდეგეთა არგუმენტებიც. პირველი დაკავშირებულია წარმოებაზე გაწეული შეფარდებითი დანახარჯების თეორიასთან, რომლის მიხედვით ქვეყანამ უნდა გაუკეთოს ექსპორტი იმ საქონელს, რომლის წარმოებისათვის მას გააჩნია შეფარდებითი უპირატესობა (ე.ი. არ საჭიროებს მხარდაჭერას, რადგანაც ეს საქონელი (პროდუქტი) ისედაც პრივილეგირებულ მდგომარეობაშია მსოფლიო ბაზარზე), ხოლო ყველა დანარჩენს გაუკეთოს იმპორტი. აქ პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ღდეევანდელ ვითარებაში ძნელი (შეიძლება შეუძლებელიცაა) დასადგენია, თუ რომელია ეს პროდუქტი (ნედლეული). ბაზარზე გამოსული პროდუქტის ღირებულებაში სულ უფრო მცირდება უშუალოდ მის წარმოებაზე გაწეული ხარჯები და სულ უფრო იზრდება გადამუშავების, ტრანსპორტირების, შეფუთვის და სხვა ხარჯები.

მეორე არგუმენტი წმინდა ეკონომიკური ხასიათისაა და ექსპორტ-იმპორტის ლიბერალიზაციის სიკეთეს უკავშირდება. კერძოდ, მიჩნეულია, რომ ქვეყნებს შორის ღია ვაჭრობით, საბოლოო ანგარიშით, ყველა მათგანი რჩება მოგებაში, სტიმული ეძლევა გაფართოებულ კვლავწარმოებას, დასაქმებას და ა.შ. ასე, მაგალითად, თუ ევროკავშირი მოხსნის ემბარგოს ავსტრალიურ ცხვრის ხორცზე, მაშინ ამ უკანასკნელს საშუალება ექნება ევროპაში ან სხვა ქვეყანაში შეიძინოს ევროპული ან სხვა ქვეყნის მეტი მანქანები, ვთქვათ, ინგლისური. ამ უკანასკნელს უჩნდება შანსი: თავის მხრივ, შეიძინოს უფრო მეტი ჩაი, ყავა ან სხვა პროდუქტი და ა.შ. ე.ი, ბარიერების მოხსნით იგებს მთელი მსოფლიო. პრაქტიკულად იგივე შედეგების მოტანას გულისხმობს GATT-ის „ურუგვაის რაუნდის“ ძირითადი პრინციპების ცხოვრებაში გატარება.

თანამედროვე მსოფლიოში საბაზრო პროცესებში სახელმწიფოს ჩარევის მრავალი თეორია, მოდელი და მეთოდი

არსებობს, რომელთაგან გამორჩეულია ინგლისელი ეკონომისტის, საბაზრო ეკონომიკის თეორეტიკოსისა და პრაქტიკოსის – *ჯონ ქეინსის*, აგრეთვე მისი ალტერნატივის – მონეტარიზმის მიმდევართა მიდგომები და პრინციპები ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ბერკეტებისა და მათი გამოყენების შესახებ. ცნობილია ასევე ნეოლიბერალიზმის, ნეოკლასიკური, ნეოქეინსიალური და სხვა მრავალი მიმდინარეობა, რომლებიც შეიძლება ფორმით და შინაარსით არსებითად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, მაგრამ სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის ამა თუ იმ ფორმით და დოზით რეგულირებას, არც ერთი მათგანი არ გამორიცხავს.

სახელმწიფო რეგულირება – ესაა ხელისუფლების ხელთ არსებული სტიმულირების ბერკეტების (როგორც ადმინისტრაციული, ასევე ეკონომიკური) ერთიანი სისტემა, რომლის დახმარებითაც სახელწიფო მონაწილეობას იღებს საბაზრო ურთიერთობათა პროცესებში, როგორც ბაზრის სუბიექტი და უზრუნველყოფს ამა თუ იმ დარგის მდგრად, მიზანმიმართულ განვითარებას. მისი რეგულირების ობიექტი შეიძლება იყოს წარმოების სფერო, რეგიონი, ეროვნული მეურნეობის სტრუქტურა, დასაქმება, ფულის მიმოქცევა, ფასები, კადრები, ეკოლოგია, საგარეო-ეკონომიკური და სხვა ურთიერთობანი როგორც მიკრო, ისე მაკრო დონეზე.

თუ რამდენად ეფექტურად ხორციელდება ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება ქვეყანაში,[*] აჩვენებს წარმოების ზრდის ტემპი, დასაქმების დონე, საგადასახდელო ბალანსი, ინფლაციის ტემპი და სხვა მაჩვენებლები. ეს კარგად ჩანს

---

[*] როდესაც საუბარია სახელმწიფოს მიერ ბაზრის რეგულირებაზე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მხედველობაშია ძლიერი, ჩამოყალიბებული სახელმწიფო. გარდამავალ ეტაპზე, ტერიტორიებ დაკარგული, ბუფერული საზღვრების მქონე ქვეყნისათვის, სახელმწიფო მექანიზმების ამოქმედება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ საბაჟო და საგადასახადო სამსახურები ქვეყანაში შემოსულ კონტრაბანდულ საქონელს აღრიცხავენ, კორუფციის დონეს მინიმუმამდე შეამცირებენ და რეალურად ამოიღებენ არსებულ გადასახადებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანაში არსებული ეკონომიკური კრიზისი კიდევ უფრო გაღრმავდება, ხოლო წინსვლასა და განვითარებაზე საუბარი, იმის გამო, რომ რეალური სურათის აღქმის საშუალებას ჩრდილოვანი ეკონომიკა არ იძლევა, ზედმეტია.

ასევე საზოგადოების ქცევიდანაც (რამდენად დაძაბულია საზოგადოება, არის თუ არა გაფიცვები, სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების ბლოკირებები და ა.შ.). ამიტომაა, რომ ყველა ქვეყანას, ვისაც მაღალგანვითარებული საბაზრო ეკონომიკა გააჩნია, განსაკუთრებული სისტემაც აქვს ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებისათვის. ახორციელებს რა სახელმწიფო პროტექციონიზმის პოლიტიკას, ხელისუფლება ისწრაფვის უზრუნველყოს მეწარმეთა (პირველ რიგში სასურსათო პროდუქციისა და ნედლეულის მწარმოებელთა), შემოსავლების ის დონე, რომელიც უზრუნველყოფს მათი პროდუქციის გაფართოებულ კვლავწარმოებას. ამ მიზნით იქმნება კეთილსაიმედო ეკონომიკური და სოციალური პირობები სასოფლო-სამეურნეო წარმოების ცალკეული დარგების მდგრადი განვითარებისათვის, გამოიყენება მსხვილმასშტაბიანი ბიუჯეტური დახმარებები სოფლის მეურნეობის ყველა დარგისათვის, განსაკუთრებით იმ დარგებისათვის, რომლებზედაც დამოკიდებულია მოსახლეობის უზრუნველყოფა სურსათით და ამავდროულად, რომლის პროდუქცია კონკურენტუნარიანია როგორც შიდა, ისე გარე ბაზრებზე.

სხვადასხვა ქვეყანაში ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება სხვადასხვა ბერკეტებით ხორციელდება. ზოგან რეგულირების ობიექტი ფასებია, ზოგან შემოსავლებზე დაწესებული გადასახადები, ზოგან საკრედიტო პოლიტიკა, პირდაპირი დოტაციები და ა.შ. გამოიყენება როგორც ადმინისტრაციული (აკრძალვები, ლიცენზირება და ნებართვები), ასევე ეკონომიკური საშუალებები, რომლებიც ძირითადად ორ ჯგუფად იყოფა: ფულად საკრედიტო და ბიუჯეტური პოლიტიკის ბერკეტებად.

სოფლის მეურნეობისადმი სახელმწიფო მხარდაჭერის ფორმების ევოლუციის შედეგად დღეს სახეზე გვაქვს მისი მრავალი ფორმა. ესაა წარმოების კვოტირების (ანუ იმ მაქსიმალური ოდენობის პროდუქციის დაკვეთა საქონელმწარმოებლებისათვის, რომელიც მათ შეიძლება შესთავაზონ ბაზარს), ფართობების დროებით გამოყვანა ბრუნვიდან და კომპენსაციის იმ ოდენობით შეთავაზება საქონელმწარმოებელთათვის, რომელსაც მათ ამ ფართობების დამუშავებით და მოწეული პროდუქციის რეალიზაციით შეეძლოთ მიეღოთ, სახელმწიფო

დაკვეთები პროდუქციის შესყიდვაზე და ა.შ. მხარდაჭერის ეს მეთოდები ამცირებს ბაზარზე პროდუქციის მიწოდებას*) და სხვა თანაბარ პირობებში ფასების აწევას იწვევს. არის მხარდაჭერის ისეთი ფორმებიც, რომლებიც პირიქით, პროდუქციაზე მოთხოვნის**) შეზღუდვას და ფასების დაწევას ემსახურება.

რიგ ქვეყნებში ფასების პირდაპირი სუბსიდირება ხდება, თუმცა, ეს ღონისძიება ნაკლებ ეფექტურია. კერძოდ, იმისათვის, რომ ასეთი მხარდაჭერის მუდმივი ეფექტი გვქონდეს, საჭიროა ფასების მუდმივი ზრდა, რადგან ერთჯერადი გადიდება გამოიწვევს სოფლის მეურნეობისა და არააგრარული სექტორის დარგებში შემოსავლების გამოთანაბრებას, მაგრამ არ იძლევა იმის გარანტიას, რომ ფასების დისპარიტეტი კვლავ არ წარმოიშობა. ამერიკელმა მეცნიერმა *დ.გ. ჯონსონმა* გაანალიზა ეს პროცესი ამერიკისა და ევროპის მაგალითზე და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სოფლის მეურნეობის დარგებში შემოსავლების ზრდა ხდებოდა არა ფასების სუბსიდირების ხარჯზე, არამედ სოფლიდან შრომითი რესურსების მიგრაციის, ან მათი არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გადართვით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეკონომიკური სისტემა თვითონ ნახულობს აგრარულ სექტორში შემოსავლების შეფარდებითი შემოსავლების შემცირების პრობლემის დარეგულირების მექანიზმებს.

გარდა ამისა, ფასებით მხარდაჭერის პოლიტიკა მიმართულია უფრო წარმატებული მესაკუთრეებისათვის (შემოსავლების მასშტაბის გათვალისწინებით), ვიდრე შედარებით ღარიბებისათვის, რომელთაც ეს დახმარება მართლაც ესაჭიროება. ამდენად, მხარდაჭერის ეს ფორმა სოციალურად შედარებით არასამართლიანია (ბოლო ხანებში ფასების პირდაპირი სუბსიდირების მაგიერ გამოიყენება მხარდაჭერის ირიბი მეთოდი. ესაა, ძირითადად, ახალგაზრდა ფერმერებისათვის მხარდაჭერა, მათთვის, ვინც ერთიანდება, მსხვილდება, აკეთებს სტრუქ-

---

*) მიწოდება – ამა თუ იმ საქონლის ფაქტიური მოცულობა ბაზარზე.

**) მოთხოვნა – ადამიანის გადახდისუნარიანი მოთხოვნილება. ეს უკანასკნელი კი ადამიანის მიერ მატერიალურ ფასეულობათა პოტენციური მოხმარებაა.

ტურულ გარდაქმნებს, იძენს ტექნიკას და ა.შ.).

სახელმწიფო რეგულირებისათვის ფართოდ გამოიყენება ინდიკატური დაგეგმვა*) და სხვა, სახელმწიფოს ხელთ არსებული ადმინისტრაციული თუ ეკონომიკური ხასიათის ბერკეტები, რომლებიც შეიძლება გავაერთიანოთ ეკონომიკის, მათ შორის აგროსასურსათო სექტორის სახელმწიფო რეგულირების ორგანიზაციულ-ეკონომიკურ მექანიზმში. ეს წინასწარ გააზრებული და ეკონომიკურად გათვლილ ღონისძიებათა კომპლექსია, რომლითაც რეგულირდება ურთიერთობები სახელმწიფოსა და სამომხმარებლო ბაზრის სუბიექტებს შორის. აქედან ძირითადი მაინც ეკონომიკური ხასიათის ბერკეტებია და არა ადმინისტრაციული, იძულებით ზემოდან თავსმოხვეული მეთოდები.

მოსახლეობის საკუთარი წარმოების სურსათით მაქსიმალურად დაკმაყოფილების კონკრეტული ამოცანა, ყველა ქვეყანაში დაკისრებული აქვს აგროსასურსათო სექტორს. ეს სექტორი განიხილება, როგორც მნიშვნელოვანი პირობა ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფისა. ამიტომაც ეს სექტორი ყველა ქვეყანაში გარკვეული ზომით ექვემდებარება სახელმწიფო რეგულირებას.

აგროსექტორის სახელმწიფო რეგულირება აუცილებელია საქართველოსათვის, სადაც მეტისმეტად ღია ბაზარმა,*) სოფლის მეურნეობის პროდუქციის ნედლეულის გადამამუშავებელი საწარმოებისა და სხვა მომსახურე დარგების მონოპოლურმა მდგომარეობამ (განსაკუთრებით პურპროდუქტების სისტემაში, მეღვინეობაში, მინერალური სასუქების წარმოებაში და ა.შ.) და გადახდისუნარიანი მოთხოვნის დაცემამ — არსებითად შეარყია აგროსასურსათო სექტორის ეკონომიკური

---

*) ინდიკატური დაგეგმვის მიზანია ქვეყნის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგიის და სტრუქტურული პოლიტიკის განსაზღვრა, ეკონომიკურ პროცესებზე სახელმწიფოებრივი ზემოქმედების ეფექტური ფორმებისა და მეთოდების შერჩევა და რეკომენდირება.

*) ჩვენი სამომხმარებლო ბაზარი პრაქტიკულად ღიაა მსხვილმაშტაბიანი და შედარებით იაფი სასურსათო პროდუქციის და ნედლეულის იმპორტისათვის, რაც ნეგატიურად აისახება სამამულო აგროსასურსათო სექტორის ფუნქციონირებაზე, განსაკუთრებით მის საბაზო დარგზე, სოფლის მეურნეობაზე.

მდგომარეობა. ამ ფონზე ქვეყანაში ეროვნული სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფა განხილულ უნდა იქნეს მიმდინარე აგრარულ და ეკონომიკურ რეფორმებთან, ეკონომიკურ უშიშროების გადაწყვეტის საერთო მექანიზმთან მჭიდრო კავშირში. აგროსამრეწველო, სასურსათო კომპლექსის დარგები უნდა გამოცხადნენ ქვეყნის სტრატეგიული მნიშვნელობის დარგებად და შეიქმნას მათი განვითარების სტაბილური პირობები.

საქონელმწარმოებელი თავისუფალი უნდა იყოს ყოველი სახის და ფორმის დიქტატისაგან, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამმუშავებელი, აგრეთვე მომსახურე დარგებისა და საწარმოების დიქტატისაგან, რაც არცთუ იშვიათად მათი მონოპოლური მდგომარეობიდან გამომდინარეობს. ამ სექტორში სახელმწიფო მხარდაჭერის პოლიტიკა მიმართული უნდა იქნეს, როგორც მეწარმეობის, ასევე აგრობიზნესის განვითარებაზე, მაღალმწარმოებლური ტექნიკის, პერსპექტიული ტექნოლოგიების და სხვა პროგრესული ღონისძიებების დაფინანსების გზით. სახელმწიფო რეგულირება დაფუძნებული უნდა იყოს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ ორიენტირებზე, რომელთა რეალიზაციის მიზნით სახელმწიფომ უპირველეს ამოცანად უნდა დაისახოს მოსახლეობის ყველა სოციალური ფენის სრულფასოვანი სასურსათო პროდუქტებით უზრუნველყოფა (არა მარტო გადახდისუნარიანი მოთხოვნის, არამედ მოთხოვნილების დონეზე). ამდენად საჭიროა შეიქმნას ერთიანი სრულყოფილი ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმი, რომელიც მოქმედებაში მოიყვანს ქვეყნის აგროსასურსათო სექტორის პოტენციურ შესაძლებლობებს და შექმნის პირობებს ქვეყანაში არსებული სასურსათო უშიშროების პრობლემის წარმატებული გადაჭრისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულის მისაღწევად საჭიროა მოხდეს ეკონომიკაში ლიბერალიზაციისა და სახელმწიფო რეგულირების ოპტიმალური შეთანაწყობა შესაბამისი სამართლებრივი ბაზის საფუძველზე, ყველა იმ ნორმატიული აქტის მიღება, რომლებიც აწესრიგებენ კაპიტალის, საქონლისა და შრომის ბაზარს, უზრუნველყოფენ მესაკუთრეთა ინტერესების ხელშეუხებლობას, ეკონომიკურ თავისუფლებასა და ეკონომიკური

პასუხისმგებლობის ამაღლებას. ე.ი. უნდა შეიქმნას უფლებათა და ვალდებულებათა ისეთი ბალანსი, რომელიც თანაბრად უზრუნველყოფს როგორც მწარმოებელთა, ისე მომხმარებელთა სასიცოცხლო ინტერესებს. აღნიშნულის მიღწევა კი პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება, თუ საფუძველი არ ჩაეყარა ანტიმონოპოლიურ რეგულირებასა და კონკურენტული გარემოს შექმნას, მეწარმეობის, უწინარეს ყოვლისა საშუალო და მცირე ბიზნესის განვითარებას, ამ მიზნით შექმნილი სახელმწიფო მხარდაჭერის ორგანიზაციულ-ეკონომიკური სისტემის ეფექტურ ამოქმედებას.

იმის გამო, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი ჩვენთან დეფიციტური და ლიმიტირებულია, მხარდაჭერის სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა უნდა შემოიფარგლოს რამდენიმე მნიშვნელოვანი პროდუქტით. კერძოდ, პირველ ეტაპზე ეს უნდა იყოს მარცვლეული, შაქარი და მცენარეული ზეთი. ეს ის პროდუქტებია, რომლითაც მოხდება იმპორტის ჩანაცვლება, ხოლო შემდგომ, ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღების კვალობაზე ის სხვა პროდუქტებზეც შეიძლება გავრცელდეს.

აგროსასურსათო სექტორში საქონელმწარმოებელთა სახელმწიფო მხარდაჭერის კარგი და მიღებული ფორმაა კონკურსის საფუძველზე სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელ სურსათზე მათთან შეკვეთების წინასწარი (ფიუჩერსული) კონტრაქტების გაფორმება. ეს ქმნის გარანტიას წარმოებული პროდუქციის შესყიდვისა და წინასწარ შეთანხმებულ ფასებში ანაზღაურებისათვის. ამ მიზნით აქტიურად უნდა იქნეს გამოყენებული საქართველოში არსებული სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შესაძლებლობები, ფართოდ უნდა დაინერგოს გრძელვადიანი კონტრაქტების სისტემა, რაც უფრო ეფექტურს გახდის აღნიშნული სააგენტოს საქმიანობას.

სასურსათო კრიზისი დიდი რისკ-ფაქტორია ეროვნული უშიშროებისათვის. მისი დაძლევა პირდაპირ უკავშირდება ხელისუფლების მარეგულირებელი პოლიტიკის ხარისხს და ეკონომიკაში ჩარევის სიღრმეს.

ქვეყანას, უდავოდ აქვს სოფლის მეურნეობის განვითარების დიდი პოტენციალი, რომლის ამოქმედება უნდა გახდეს საქართველოს აგრარული პოლიტიკის ძირითადი მიზანი.

ამ მიზნის რეალიზაციისათვის აუცილებელია:

– მოწეული პროდუქციისათვის გლეხმა (ფერმერმა) მიიღოს ისეთი შემოსავალი, რომელიც მას მისცემს პროდუქციის კვლავწარმოების საშუალებას, დააინტერესებს, რომ უფრო მაღალ დონეზე განავითაროს წარმოება. გაზარდოს წარმოების, როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლები;

– მოვუხსნათ პრობლემები, რომელიც მათ აქვთ მატერიალურ-ტექნიკური (თესლი, ფიტოსანიტარული საშუალებები, სასუქები, ვეტერინარული საქონელი, საწვავ-საცხები და სხვ.), საშუალებებით მომარაგებაში და წარმოებული პროდუქციის რეალიზაციაში.

ეს ორი საკითხი ტიპიურია და მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში მათი გადაწყვეტა მინდობილი აქვს მარეგულირებელ სტრუქტურებს, ანუ სამსახურებს, რომლებიც სხვადასხვა სამინისტროების დაქვემდებარებაში იმყოფება (სოფლის მეურნეობის, ფინანსთა, საგარეო ვაჭრობის). ეს ორგანიზაციები ერთსა და იმავე დროს არიან, როგორც ადმინისტრაციული (მონაწილეობენ სახელმწიფო ხელისუფლების საქმიანობაში), ისე კომერციული ხასიათის დაწესებულებები. ისინი ისეთნაირად არიან ორგანიზებული, რომ საჭიროების შემთხვევაში ორგანიზაციას უკეთებენ მწარმოებლების, ვაჭრების, მომხმარებლების შეკრებას და გადაწყვეტილებების მიღებას მათთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ საკითხებზე. ასეთი მარეგულირებელი სამსახურები არსებობს ერთმანეთისაგან ეკონომიკურად განსხვავებულ ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა აშშ, საფრანგეთი, ავსტრია, ავსტრალია, ახალი ზელანდია, ალჟირი, პოლონეთი და ა.შ.

რატომაა აუცილებელი მარეგულირებელი სამსახურების შექმნა საქართველოში?

მარეგულირებელი სამსახურები აწესრიგებენ სასურსათო ბაზარზე პროდუქციის მოთხოვნა-მიწოდების სტაბილურობას, რათა საბაზრო ფასები დროის ყველა მომენტში წონასწორო-

ბასთან ახლოს იყოს.*)

როგორია ამ სამსახურების მეშვეობით პროდუქციის მოთხოვნა-მიწოდების რეგულირების მექანიზმი?

ა) როცა მიწოდება არასაკმარისია, მარეგულირებელ სამსახურს შეუძლია:

– უზრუნველყოს ადგილობრივი წარმოების სტაბილურობა (მათ შორის ფინანსურად), იზრუნოს პროდუქციის ხარისხის ამაღლებაზე;

– განახორციელოს იმპორტი, აუცილებლობის შემთხვევაში გარკვეულწილად შეასრულოს მონოპოლისტის ფუნქციაც. ამ დროს ეფექტიანია პროდუქციის შესყიდვის საერთაშორისო ტენდერით სარგებლობა, განსაკუთრებით მაშინ, თუ ქვეყანას პროდუქციის დიდი პარტია ესაჭიროება.

ბ) როცა მიწოდება მოთხოვნას მნიშვნელოვნად აღემატება:

– შეზღუდოს ადგილობრივი წარმოება კვოტების დაწესების გზით, ამასთან არ უნდა დაუშვას ფასების შემცირება, რათა ინტერესი არ დაუკარგოს მწარმოებელს; შესაძლებელია შეიზღუდოს ზოგიერთი უხვმოსავლიანი კულტურის წარმოება;

---

*) ნორმალური საბაზრო ეკონომიკის პირობებში, როგორც წესი, სასოფლო-სამეურნეო წარმოების თავისებურებებიდან გამომდინარე, სასურსათო ბაზარზე პროდუქციის მიწოდება ცვალებადია დროში (მეტეოროლოგიური პირობების ცვლილება, მოსავლიანი წლის პერიოდულობა, მალფუჭადი პროდუქციის მაღალი ხვედრითი წილი). რაც შეეხება სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მოთხოვნილებას, იგი შედარებით სტაბილურია და სუსტად რეაგირებს საბაზრო ფასის ცვლილებაზე. მაგ.: კარაქის ან პურის მოხმარება არ გაორმაგდება იმ მიზეზის გამო, თუ რძის ან ხორბლის ფასი ორჯერ შემცირდება, ანუ ეს ცვლილება ურთიერთადეკვატური არ იქნება. სასურსათო ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობა ძნელად თუ ახერხებს წონასწორობის შენარჩუნებას, როცა ფასი მკვეთრად იცვლება, როგორც მომატების, ისე დაკლების მიმართულებით. თვით მწარმოებლები, რომლებიც ბაზრიდან შორს არიან, ანუ ვერ ფლობენ ბაზრის მოთხოვნებს, კარგავენ ორიენტაციას და ფასის ფაქტორი აღარ ასრულებს იმ როლს, რომელიც უნდა შეასრულოს ბაზარსა და წარმოებას შორის ტენდენციების განსაზღვრისათვის. ასეთ სიტუაციას ცნობილი ინგლისელი ეკონომისტის კინგის კანონი ეწოდება. სოფლის მეურნეობის მუშაკებს ესაჭიროებათ ისეთი ფასები, რომლებიც მკვეთრ ცვლილებას არ განიცდიან, რადგან პქონდეთ უნარი, თუნდაც საშუალოვადიან პერიოდში, საჭირო ფასის მეშვეობით შეძლონ წარმოების განვითარება და შესაბამისი ორიენტაციის აღება.

– მიმოქცევიდან ამოიღოს ჭარბი პროდუქტი (დროებით). მიმართოს იგი ექსპორტზე, შეინახოს საწყობში და უფრო გვიან (საჭირო მომენტში) გამოიტანოს ბაზარზე;

– ლიცენზიების გამოყენების გზით გააკონტროლოს იმპორტი, რათა ბაზარზე ადგილი არ ჰქონდეს ფასების მნიშვნელოვან რყევას.

როგორც ვხედავთ, მარეგულირებელ სამსახურებს აქვს იმის საშუალება, რომ საწყის ეტაპზე გააწონასწოროს მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობა. ამასთან ფასი უნდა დარჩეს ისეთ დონეზე, რომ პროდუქციის მწარმოებელმა მიიღოს, როგორც ცხოვრებისათვის, ისე კვლავწარმოებისათვის საჭირო აუცილებელი შემოსავალი, ხოლო მომხმარებელმა თავისი მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს ხელმისაწვდომ ფასებში. ამდენად, სახელმწიფო, სასურსათო ბაზარზე ზომიერი ინტერვენციით, ქმნის გარანტირებული ფასების სისტემას და საქონელმწარმოებლებს აძლევს სტიმულს წარმოების გაფართოებისათვის. ეს ფასები იმედი და გარანტიაა მათთვის, ვისაც უნდა ამ სფეროში ჩადოს კაპიტალი, შრომა და ა.შ.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფასები ასრულებენ პროდუქციის წარმოებაზე ორიენტაციის ფუნქციას. ფასების ცვლილებაზე ოპერატიული და ეფექტიანი ზეგავლენის მოხდენა კი განსაკუთრებით საჭიროა მოკლევადიანი საქმიანობის პირობებში.

მაგალითად, თუ ქვეყნის წინაშე დაისახა რძისა და რძის პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის ამოცანა (თუ მას ამ მიზნის მისაღწევად აქვს ყველა საშუალება), მარეგულირებელი სამსახურის ძირითადი ფუნქცია იქნება ისეთი თანმიმდევრული გეგმის შედგენა, რომელიც უზრუნველყოფს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისათვის საკვები კულტურების წარმოების გადიდების და ფურების პროდუქტიულობის ზრდის ამოცანის გადაწყვეტას.

რა მოვლენები შეიძლება განვითარდეს ამ შემთხვევაში?

– გაიზრდება მწარმოებელთა დაინტერესება იმით, რომ რძის წარმოების გადიდების მიზნით შექმნან კოოპერატიული გაერთიანებები;

– შეიქმნება საჩვენებელი მეურნეობების ქსელი, რომელიც მოგვცემს იმის საშუალებას, რომ გამოვნახოთ ყველაზე

თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების გზები, მაგ.: მერძეული ძროხების კვების ეფექტიანი მეთოდები.

– გაიზრდება დაინტერესება მაღალპროდუქტიული ჯიშიანი ძროხების მოშენებაზე;

– გაჩნდება ფინანსური დაინტერესება (დაბალი სარგებლის პროცენტიანი სესხები), თანამედროვე საწველი აპარატების შეძენისა და ნახირის სულადობის გასაზრდელად, საჭირო სადგომების ასაშენებლად და სხვ.

გარდა ამისა, მარეგულირებელი სამსახურები შეიძლება ჩაერიონ სხვა დონეზე და სხვა საკითხებშიც, ისეთებში, როგორიცაა:

– პროდუქციის საწარმოო ხარჯების შემცირება;

– პროდუქციის მისადაგება ბაზრის მოთხოვნილებასთან;

– მაღალხარისხოვანი პროდუქტების წარმოების განვითარება.

საქართველომ საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში უნდა შექმნას ერთი ან რამდენიმე მარეგულირებელი სამსახური (მარცვლეულის, მეცხოველეობისა და სხვა მნიშვნელოვანი პროდუქციის წარმოების სფეროში).

საყურადღებოა, რომ ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ტექნიკური დახმარების კომისიის ექსპერტებმა სახელმწიფო მარეგულირებელი სამსახურების ფორმირების აუცილებლობა ჯერ კიდევ 10 წლის წინათ (1993 წ.) პურპროდუქტებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება-რეალიზაციაში დაინახეს და ორი მონოპოლური სტრუქტურის (პურპროდუქტების, ხორცისა და რძის მრეწველობის) შესაბამის სახელმწიფო მარეგულირებელ სამსახურებად გარდაქმნა შემოგვთავაზეს. მათი უმთავრესი ამოცანა საწყის ეტაპზე იქნებოდა: ჰუმანიტარული დახმარების სახით შემოსული რესურსების მიღება-დაბინავება, ტრანსპორტირება, მარაგის შექმნა და გადანაწილება გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოებში. პრაქტიკულად, უფასოდ მიღებული რესურსების რეალიზაცია მომხმარებელზე მსოფლიო ბაზრის ფასებთან მიახლოებულ ფასებში, ამონაგები თანხების აკუმულირება და მართვა იმგვარად, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მსოფლიო ბაზარზე საქონლის ან ნედლეულის ახალი პარტიების შესყიდვა. სამწუხაროდ, ეს

მექანიზმი 1992-1997 წლებში არ გამოყენებულა, რის გამოც დაიკარგა არა მარტო მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსები, არამედ, რაც მთავარია დრო.

იმ ქვეყნებისაგან განსხვავებით, სადაც მარეგულირებელი სამსახურები ჭარბწარმოების პირობებში მუშაობენ, საქართველოში მათ ფუნქციონირება საპირისპირო პირობებში მოუწევთ. ამიტომ ამოცანებიც განსხვავებული ექნებათ. კერძოდ, განსაზღვრონ ქვეყანაში წარმოებული საქონლის მოსალოდნელი რესურსები დროის ამა თუ იმ პერიოდისათვის, შეაფასონ (შეისწავლონ) მოსახლეობის მოთხოვნილება ამა თუ იმ პროდუქტზე, ბალანსური გაანგარიშების საფუძველზე წინასწარ დაადგინონ იმპორტის მოცულობა (ჰუმანიტარული დახმარების ჩათვლით), რომელიც საჭირო იქნება ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების რაოდენობრივი თანაფარდობის შენარჩუნებისათვის.

მარეგულირებელი სამსახურების ფუნქციონირება მხოლოდ მაშინ მოგვცემს სასურველ ეფექტს, თუ იგი ხორციელდება კომპლექსურად და სრულყოფილად. დღეისათვის საქართველოში შექმნილი (1997 წ.) ხორბლის მარეგულირებელი საბჭოს მთავარი ნაკლი სწორედ ისაა, რომ მისი საქმიანობა მარეგულირებელი სამსახურების მხოლოდ ერთ-ერთ ფუნქციას – მარცვლეულის იმპორტს მოიცავს. ასეთი მიდგომა კი სერიოზულ ნეგატიურ მომენტებს შეიცავს: ის არა მარტო ვერ, ან არ ასრულებს ძირითად ამოცანებს, პირიქით დამანგრეველ ზემოქმედებას ახდენს სასურსათო ბაზრის კონიუნქტურაზე და მარცვლეულის ადგილობრივი წარმოების განვითარებაზე. საბოლოო ანგარიშით მნიშვნელოვნად ამცირებს აგრარული რეფორმის ეფექტიანობას.

1992 წლიდან დღემდე საქართველომ ჰუმანიტარული და ტექნიკური დახმარების სახით ასეულ ათასობით ტონა მარცვლეული მიიღო, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი გამიზნული იყო ადგილობრივი წარმოების განვითარებისათვის (მონეტიზაციის საშუალებით). ამ რესურსების რაციონალურად გამოყენება შესაძლებელი იყო, მხოლოდ მარეგულირებელი სამსახურების სწორი ორგანიზაციის შემთხვევაში. მაგრამ, იმის გამო, რომ ეს პროცესი ქვეყანაში არასწორად წარიმართა, მიზანიც განუხორციელებელი დარჩა. აღნიშნულს ის ფაქტიც ადასტუ-

რებს, რომ უკანასკნელ წლებში ქვეყანაში პურზე ფასები განუწყვეტლივ იზრდება (პირდაპირ ფასების გადიდებით ან წონის შემცირების ხარჯზე) და სახელმწიფოს არ აქვს საშუალება მასზე ზემოქმედებისა შესაბამისი მარეგულირებელი სამსახურის არაეფექტური ფუნქციონირების გამო.

4.2. ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამის სტრატეგიულ მიმართულებათა რეალიზება და შემოსავლების სამართლიანი გადანაწილება

> ბაზრები აუცილებლად როდი იწვევენ შემოსავლების სამართლიან განაწილებას, მათ შეიძლება მიუღებლად მაღალი უთანაბრობა გამოიწვიონ შემოსავლებსა და მოხმარებაში. ამის პასუხად სახელმწიფოს შეუძლია ცვლილებები შეიტანოს შემოსავლების სტრუქტურაში, რომელიც ფორმირებულია საბაზრო ხელფასით, რენტით, სარგებლით და დივიდენდებით. თანამედროვე სახელმწიფოები იყენებენ გადასახადით დაბეგვრის სისტემას ამონაგების გასადიდებლად, რაც სატრანსფერტო გადასახდელებზე მიდის, რომლებიც უზრუნველყოფენ „ფინანსური უსაფრთხოების სისტემას“ გაჭირვებულთათვის.
>
> პოლ საიმელსონი, ვილიამ ნორდჰაუსი

სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფის ამოცანა მოითხოვს საქართველოში სიღარიბის აღმოფხვრას. მისი დაძლევის სტრატეგია შემდეგ ძირითად მიმართულებებს მოიცავს:

– სიღარიბის გამომწვევი ფაქტორების დადგენას;

– ხელისუფლების პოლიტიკის კონცენტრირებას ეკონომიკური ზრდის დაჩქარებაზე;

– ღონისძიებათა კომპლექსის შერჩევას და განხორციელებას, რომლებიც მაქსიმალურ ზეგავლენას იქონიებს სიღარიბის დაძლევაზე.

საქართველოსათვის აღნიშნული სტრატეგიის განხორციელებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო დონორებთან აქტიურ თანამშრომლობას, მათი მხრიდან გაწეულ ტექნიკურ და ფინანსურ დახმარებას.

ამასთან აუცილებელია, მთელი რიგი მიზნობრივი ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფს ეკონომიკურ ზრდასა და სიღარიბის დაძლევას. იმისათვის, რომ ეკონომიკური ზრდა მაქსიმალურად განაპირობებდეს სიღარიბის შემცირებას, აუცილებელია ორი ძირითადი პირობის შესრულება:

1. ეკონომიკური ზრდა მიღწეული უნდა იქნეს ეროვნული მეურნეობის რაციონალური დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებისა და მისი ფუნქციონირების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების საფუძველზე;

2. ეკონომიკური ზრდით მიღებული შემოსავლების განაწილების ისეთი მექანიზმის შექმნა, რომლის ამოქმედება უზრუნველყოფს შემოსავლების სამართლიან გადანაწილებას საზოგადოების სოციალურ ფენებს შორის.

დღემდე ამ ორი არსებითი მოთხოვნიდან, არც ერთი არ სრულდება. კერძოდ, პირველი მიმართულება გულისხმობს ეკონომიკის ისეთი სექტორებისა და დარგების განვითარებას, რომლებსაც პრიორიტეტული მნიშვნელობა აქვთ მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის, როგორც საშუალოვადიან, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში.

მეორე მიმართულება მოიცავს შემოსავლების სამართლიან განაწილება-გადანაწილების გამჭვირვალე და ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებას და მოსახლეობის სხვადასხვა ფენას შორის არსებული მკვეთრი ქონებრივი დიფერენციაციის (რასაც აქვს ჩვენთან ადგილი) შემცირებას.

გაეროს ჰუმანური განვითარების პროგრამის 1997 წლის ანგარიშში ნათქვამია, რომ ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლები არ უნდა დააკმაყოფილოს საქართველოში ეკონომიკური ზრდის მოცულობამ. ისინი ეკონომიკური ზრდის სტრუქტურითა და ხარისხით უნდა დაინტერესდნენ. მოკლედ რომ ვთქვათ, მსოფლიო უნდა დააფიქროს ისეთი ხასიათის ეკონომიკურმა ზრდამ, რომლის შედეგადაც ადამიანების მცირერიცხოვანი ჯგუფი მდიდრდება, ხოლო დანარჩენი ღარიბდება,*) არ

---

*) თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ შემოსავლების უთანასწორო (არასამართლიანი) გადანაწილება არაა მარტო ჩვენი ქვეყნის სენი. დიდი განსხვავებაა

იქმნება სამუშაო ადგილები და, რაც მთავარია, იფლანგება ბუნებრივი რესურსები, ხალხის უმრავლესობა ღატაკდება. სწორედ ასეთი არასასურველი ვითარებაა დღეს ქვეყანაში.

საქართველოში უკანასკნელ წლებში გამეფებულმა კორუფციამ, განუკითხაობამ, დაუსჯელობამ, პრივილეგიებმა და სხვადასხვა სახის კერძო შეღავათებმა ნეგატიური მოვლენების აყვავება გამოიწვია, რომელსაც თავის მხრივ, მოსახლეობის ქონებრივი ნიშნით არსებითი (მკვეთრი) დიფერენცირება მოჰყვა. ამ მხრივ განსჯისათვის კარგ ინფორმაციას იძლევა თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის მასალები, რომელიც 1998-2000 წლების მასალებზე დაყრდნობით თავისუფალ ჟურნალისტთა კლუბმა 2001 წელს გამოაქვეყნა. კერძოდ, თანამდებობის პირთა შორის ყველაზე მეტია იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც ფლობენ უძრავ ქონებას, აქტივებს, ნაღდ ფულს და სხვა სახის ქონებას 100 ათ. ლარიდან 1 მლნ. ლარამდე. ამასთან, იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ მნიშვნელოვანი ოდენობის ქონება, როგორც წესი, „ჩრდილოვანია" და არ აისახება დეკლარაციებში, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოში მილიონერების რიცხვი თანამდებობის პირთა შორის 12%-ზე მეტს შეადგენს.

ჰუმანური განვითარების ინდექსი, რომელიც გაეროს ჰუმანური განვითარების ანგარიშშია წარმოდგენილი, მოსახლეობის კეთილდღეობის მარტივ შეფასებას წარმოადგენს და სამ

ამ მხრივ განვითარებული და სოციალურად ორიენტირებული ქვეყნების მდიდართა და ღარიბთა ეკონომიკურ მდგომარეობაში, რაც ძირითადად ქვეყანაში შექმნილი შემოსავლის არასამართლიან განაწილებას უკავშირდება. ასე, მაგალითად, დღეისათვის მეტად უზრუნველყოფილი მოსახლეობის 20%-ის შემოსავლები ნაკლებად უზრუნველყოფილი მოსახლეობის 20%-ის შემოსავლებს აჭარბებს: თურქეთში – 16,3-ჯერ, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში და პორტუგალიაში – 8-9-ჯერ, აშშ-ში, იტალიაში, საფრანგეთში, ფინეთსა და დანიაში – 7-ჯერ, ბელგიაში, ნიდერლანდებში და დიდ ბრიტანეთში – 5-ჯერ და ა.შ. იმაზე, თუ რამდენად უთანაბროდაა გადანაწილებული მსოფლიოში შექმნილი სიმდიდრე, ნათლად მიუთითებს ისიც, რომ ყველაზე განვითარებული 7 ქვეყანა, რომლის მოსახლეობა მსოფლიო მოსახლეობის მხოლოდ 11,8%-ია, აწარმოებს 23614 მლრდ. დოლარის ღირებულების მთლიან შიდა პროდუქტს, ე.ი. მსოფლიოში შექმნილი მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულების 65,5%-ს.

განზომილებას ემყარება:

– ხალხის სურვილი, იცხოვროს ხანგრძლივი და ჯანმრთელი ცხოვრებით;

– იყოს გათვითცნობიერებული;

– ხელი მიუწვდებოდეს იმ რესურსებზე, რომლებიც საჭიროა ცხოვრების ნორმალური პირობების უზრუნველსაყოფად.

ყველაფერი ეს გამოიხატება ადამიანის დღეგრძელობაში და აკადემიურ მიღწევებში.*)

გაეროს ჰუმანური განვითარების ადრინდელი პროგრამით 1994 წელს ეს ინდექსი 0,747-ს უდრიდა და საქართველოს მსოფლიოში ამ მაჩვენებლით – 66-ე ადგილი ეკავა, ამჟამად მათი გამოთვლით, აღნიშნული ინდექსი 0,633-ს უდრის და 174 ქვეყანას შორის საქართველოს 108-ე ადგილი უკავია.

საქართველოს ჰუმანური განვითარების ინდექსი მკვეთრად დაეცა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, რაც რეფორმების კურსის არასწორად წარმართვის შედეგია. საინტერესოა ისიც, რომ ამჟამად საქართველოს ჰუმანური განვითარების ინდექსი 33 საფეხურით მაღლაა მშპ-ს ინდექსთან შედარებით.**) ეს კი აიხსნება საქართველოში ჯანმრთელობისა და

---

*) დღეგრძელობა იზომება სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობით; აკადემიური მიღწევა – წერა-კითხვის ცოდნითა და განათლების ხარისხით. ხოლო სიმდიდრე – ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლით. მათ საფუძველზე გამოითვლება გაეროს ცნობილი ინდექსები.

**) მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება ერთ სულ მოსახლეზე, მართალია, მიჩნეულია ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ მაჩვენებლად, მაგრამ დღეისათვის იგი სრულად ვერ ასახავს ეკონომიკურ კეთილდღეობას. 1990 წელს გაეროს განვითარების პროგრამამ პირველად გამოაქვეყნა ადამიანის განვითარების ინდექსი, რომელიც აგრეთვე ითვალისწინებს წერა-კითხვის გავრცელების დონეს და სიცოცხლის ხანგრძლივობას, რაც განვითარების უფრო ზუსტ, მაგრამ მაინც არასრულყოფილ მაჩვენებელს წარმოადგენს. 1991 წელს წერა-კითხვის გავრცელების მაჩვენებელს დაემატა ქვეყანაში განათლების მიღების საშუალო ხანგრძლივობა, რის საფუძველზეც წარმოიშვა ცოდნის მაჩვენებელი. ქვეყნის ადამიანური რესურსების განვითარება, რომელიც ადამიანის უნარ-ჩვევებისა და საშუალებების გაზრდით ადამიანის არჩევანის გაფართოების პროცესს წარმოადგენს, არის სწრაფი ეკონომიკური ზრდის გარანტი და, შესაბამისად, სიღარიბის დონის შემცირების ერთ-ერთი უმთავრესი ასპექტი.

განათლების მაჩვენებლების ჯერ კიდევ არსებული მაღალი დონით, რომლებიც უთანაბრდება ბევრად უფრო მდიდარი ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს (თუმცა საქართველოში მიმდინარე გაღარიბების პროცესი მალე დაატყობს მძიმე კვალს ჯანმრთელობისა და განათლების მაჩვენებლებსაც, თუ იგი დროზე არ იქნა აღკვეთილი).

1998 წლის მეორე ნახევრიდან საქართველოში დაიწყო ეკონომიკის დაცემა და ცხოვრების დონის გაუარესება. ამ წლებში გაიზარდა მოსახლეობის ქონებრივი დიფერენციაცია და სიღარიბე, მაგრამ ოფიციალური მონაცემებით იგი მასობრივ მოვლენას არ წარმოადგენდა. ეკონომიკის რეფორმირების წლებში წარმოების მოცულობის ვარდნამ განაპირობა რეალური ხელფასების შემცირება და უმუშევრობის ზრდა. შეწყდა სახელმწიფო სუბსიდიების გამოყოფა. დაბალშემოსავლიან ადამიანთა უმრავლესობა სიღატაკისა და შიმშილისაგან ქვეყნის გარეთ სამუშაოდ გასულმა ოჯახის წევრებმა, საერთაშორისო დახმარებებმა და სოფლის მოსახლეობის თვითგამოკვების უნარმა იხსნა. ამ ფონზე აშკარად მაღალი ტემპებით იზრდება საზოგადოების შედარებით მცირე ნაწილის სიმდიდრე და ასევე მაღალი ტემპებით მიმდინარეობს საზოგადოების უდიდესი ნაწილის გაღარიბების პროცესი.

საქართველოს რეგიონების მიხედვით, შემოსავლებსა და ხარჯებს შორის ყველაზე დიდი დიფერენციაციაა აჭარაში. აქ ამას აპირობებს აჭარის მთიანი მხარის (ხულო, ქედა, შუახევი) რაიონების დაბალი შემოსავლები და ხარჯების დიდი ხვედრითი წილი, აგრეთვე – აჭარის სამრეწველო და საკურორტო ზოლის (ბათუმი, ქობულეთი) მაღალი შემოსავლები. შემოსავლები ყველაზე დაბალია გურიასა და სამეგრელოში, ხოლო იმერეთში ის აჭარბებს ხარჯებს.

სამეგრელოში დაბალი შემოსავლები განპირობებულია აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დიდი მასის არსებობით. გარდა ამისა, აქ დიდ შემოსავლებს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების მოსავალი განაპირობებდა, რაც ამჟამად ძალზე დაბალია.

ხარჯების მაღალი მაჩვენებელი, სიმდიდრის უჩვეულოდ არათანაბარი განაწილება, არაოფიციალური საქმიანობიდან

მიღებული შემოსავლების მაღალი წილი, რეგიონების მონაცემებს განსაკუთრებით არასაიმედოს ხდის.

ამ პრობლემის შეფასებისა და მოგვარებისათვის საჭიროა საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ შინა მეურნეობათა გამოკვლევის რეგულარულად ჩატარება. თუმცა ბევრი ადამიანი (განსაკუთრებით მდიდრები) უარს ამბობს გამოკვლევაში მონაწილეობის მიღებაზე. სოციალური უზრუნველყოფის სისტემის მძიმე მდგომარეობის გამო შეუძლებელია ხელფასებისა და სოციალური ანარიცხების შედარება საწარმოების ან საპენსიო სამსახურების მონაცემებთან. აქ აღურიცხავი ქონების მოცულობა თითქმის ნახევარს შეადგენს. არაოფიციალური და არალეგალური სექტორის შემოსავალი, რომლის დაფიქსირებას მოქალაქეები ანონიმურ გამოკვლევებშიც კი არიდებს თავს, ჩვენთან ბევრად უფრო დიდი მოცულობისაა, ვიდრე ამას სტატისტიკის დეპარტამენტის გამოკვლევები აჩვენებს (იგივე შეიძლება ითქვას უმუშევრობის რიცხოვნობაზეც). სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ჩატარებულ გამოკვლევაში აღრიცხული ხარჯები 60%-ით აღემატებოდა აღრიცხულ შემოსავლებს. სასოფლო რეგიონებში არაფულადი შემოსავლები, ხშირად, არსებით როლს თამაშობს (ზოგ ოჯახს შეუძლია საკუთარი წარმოების პროდუქტით იცხოვროს, მათ ძალიან ცოტა ნაღდი ფული ჭირდებათ გამოკვებისათვის). ასეთი რეგიონებია იმერეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი და სამცხე-ჯავახეთი. ამ ფაქტორთა გაუთვალისწინებლობას ხშირად სიღარიბის მასშტაბების გადაჭარბებულ შეფასებამდე მივყავართ.

უთანასწორობის პრობლემა ყოველთვის არ არის სიღარიბესთან დაკავშირებული. ყველაზე მაღალშემოსავლიანი ადამიანის შემოსავლის გადანაცვლებამ საშუალოშემოსავლიანი ადამიანის ხელში შეიძლება შეამციროს უთანასწორობის ხარისხი, მაგრამ სიღარიბის დონე უცვლელი დატოვოს. შემოსავლის საერთო დონის ისეთმა კლებამ, რომელიც არ ცვლის უთანასწორობის ხარისხს, შეიძლება კიდევ უფრო დაამძიმოს მდგომარეობა, რაც აშკარად იმოქმედებს სიღარიბის დონეზე. და მაინც, საქართველოში ისევე, როგორც გარდამავალი ეკონომიკის სხვა ქვეყნებში ეს ორი პრობლემა

ჯერჯერობით მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. აშკარაა, რომ ამ ბოლო წლებში სიღარიბემაც და უთანასწორობამაც ჩვენში იმატა – უმრავლესობის დიდი დანაკარგები მოსახლეობის 5-10%-ის მოგებად იქცა.[5] ეს არასასურველი ტენდენცია უდავოდ ზრდის ღარიბთა მოლოდინსაც და ტანჯვასაც.

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიხედვით უთანასწორობის შეფასება ხდება ჯინის ინდექსით.*) ამ საზომის მიხედვით უთანაბრობამ ბოლო დროს თითქოს იკლო. 1997-2000 წლებში სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების თანახმად ჯინის კოეფიციენტი 0,39-ს უდრიდა,[6] მაგრამ ამ ციფრის სისწორე საეჭვოა ყველაზე მაღალი შემოსავლების აღურიცხაობის გამო. უმდიდრესი დეცილური ჯგუფის**) საშუალო თვიური შემოსავალი, რომელიც შინამეურნეობათა გამოკვლევაშია აღრიცხული, 433 ლარს შეადგენს, საიდანაც 45%-ი საკვებზე იხარჯება, ხოლო არაფულადი მოხმარება მთლიანის 30%-ს შეადგენს. ეს შეიძლება იმის მაჩვენებელიც იყოს, რომ საქართველოში ყველაზე მდიდრებიც კი შედარებით ღარიბები არიან. ჩვენი გათვლებით ჯინის კოეფიციენტი 0.52-ია, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია და ლათინური ამერიკის ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყნების დონეს უახლოვდება. ერთი რამ აშკარაა, რომ საქართველოში სიღარიბე გავრცელებული მოვლენაა, მაგრამ მისი რეალური შეფასება მრავალ პრაქტიკულ და კონცეპტუალურ პრობლე-

---

[5] „ადამიანური განვითარების ანგარიში" საქართველო 1998 წელი, გვ. 67.

*) *ჯინის ინდექსი*: 0-სა და 1-ს შორის მოთავსებული რიცხვი, რომელიც ახასიათებს რაიმე მაჩვენებლის (შემოსავლები, ხარჯები და ა.შ.) განაწილების უთანაბრობას. რაც მეტია განაწილების ჯინის ინდექსი, მით მეტია განაწილების უთანაბრობა. 0-ის ტოლი ჯინის ინდექსი შეესაბამება აბსოლუტურად თანაბარ განაწილებას, როდესაც ყველა ობიექტი მაჩვენებლის ერთიდაიგივე მნიშვნელობით ხასიათდება. 1-ის ტოლი ჯინის ინდექსი შეესაბამება აბსოლუტურად არათანაბარ განაწილებას, რომელსაც მაჩვენებლის ჯამური მნიშვნელობა მხოლოდ ერთ ობიექტშია თავმოყრილი.

[6] „საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული" 2001 წ. გვ. 84-85.

**) *დეცილური ჯგუფები*: რაიმე ნიშნის (შემოსავლების, ხარჯების და ა.შ.) მიხედვით დალაგებული ერთობლიობის დაყოფა 10%-იან მონაკვეთებად. პირველი დეცილური ჯგუფი ღარიბესია, მეათე კი – უმდიდრესი.

მასთან არის დაკავშირებული.

სიღარიბისა და უთანასწორობის შემსუბუქება ურთულესი პრობლემაა, რომელიც ქვეყნის წინაშე დგას. სიღარიბის დაძლევას ისეთი მდგრადი ეკონომიკური ზრდა უწყობს ხელს, რომელიც უზრუნველყოფს ღარიბთა დასაქმებასა და ხელფასის დონის ამაღლებას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაეროს) მიერ 1995 წლიდან საქართველოში ისწავლება ჰუმანური განვითარების საკითხები. სიღარიბის დაძლევისათვის მათ პრიორიტეტულ მიმართულებებად მიაჩნიათ:

– მცირე ზომის სასოფლო-სამეურნეო საწარმოების პროდუქტიულობის ზრდა, მცირე მეწარმეობის გაშლა;

– მცირე საწარმოების ფუნქციონირების ხელშეწყობა;

– შრომატევადი მრეწველობის დარგების განვითარება და ხალხის დასაქმება;

– ადამიანთა შესაძლებლობების გაფართოების დაჩქარება;

– ღარიბების დასახმარებელი ეკონომიკური სისტემის შექმნა.

ეს მიმართულებები – მისაღები და გასათვალისწინებელია საქართველოსათვის.

ხელისუფლების პრიორიტეტული ამოცანა უნდა იყოს სოციალური უზრუნველყოფის ეფექტური სისტემის შექმნა და დანერგვა. ეს ღონისძიება დღემდე სწორი კურსით არ ვითარდება, საჭიროა მისი მოგვარება რეგიონებში. აქ შედარებით ღარიბი რაიონების სოციალური დახმარების სამსახურები არ იღებენ დამატებით სახსრებს და შეღავათებს. ყველაზე გაჭირვებულები დახმარების გარეშე რჩებიან, რაც ყოვლად დაუშვებელია.

დღეისათვის საქართველოში ოჯახების ძირითად ნაწილს (დაახლოებით 70-75 პროცენტს) გააჩნია საარსებო მინიმალური წყარო, რომელიც ოჯახის წევრების კვებას ნაწილობრივ უზრუნველყოფს, თუმცა ეს სრულიად არ მეტყველებს მათი კეთილდღეობის მისაღებ დონეზე ან მდგომარეობის გამოსწორების რაიმე პერსპექტივაზე. ასეთ პირობებში ქვეყნის ახლანდელი ეკონომიკური ზრდა გამოვლინებას პოულობს საზოგადოების ერთი, შედარებით მცირე ნაწილის მდგომარეობის დაჩქარებულ გაუმჯობესებასა და დანარჩენი მოსახლეობის

მდგომარეობის გაუარესებაში.

სოფლად მცხოვრები ოჯახების შემოსავლების ოდენობა და ზრდის დინამიკა მჭიდრო კორელაციურ კავშირშია მიწის საკუთრებით სტრუქტურასთან. კერძოდ, იქ სადაც მაღალია მიწის კერძო საკუთრების ხვედრითი წილი, მით მეტია შემოსავლები და პირიქით, თუმცა ამ თანაფარდობაში ამ ეტაპზე განმსაზღვრელი ხდება სამეწარმეო უნარის გამოყენების ხასიათი, რაც საერთოდ არადამაკმაყოფილებელია ქვეყანაში. აღნიშნული ფაქტორის ამოქმედება პერსპექტივაში წარმოების გადიდების უდიდეს რეზერვს ქმნის.

შესაძლოა სამართლიანმა გადანაწილებამ თანაბარ შედეგებამდე ვერ მიგვიყვანოს, მაგრამ შესაძლებლობებისა და ქონების სამართლიან განაწილებას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმისათვის, რომ სიღარიბე არ იქცეს ქრონიკულ მოვლენად და შეზღუდული არჩევანი ზოგი ადამიანისათვის თანდაყოლილ თვისებად არ გადაიქცეს.

ბუნებრივია, სასურსათო უშიშროების პრობლემის გადაჭრის აუცილებლობა თითოეულ ქვეყანას აყენებს კონკრეტული ამოცანის წინაშე, თუ რომელი გზა აირჩიოს მისი გადაჭრისათვის: იმპორტზე ორიენტირების, ადგილობრივი წარმოებით უზრუნველყოფის, თუ შერეული (როგორც ადგილობრივი, ისე იმპორტული). ამ შემთხვევაში გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს ის ფაქტორი, თუ რა დონით შეუძლია ამა თუ იმ ქვეყანას პრობლემის საკუთარი რესურსებით გადაწყვეტა.

საქართველოში არსებული სურსათის საწარმოო პოტენციალის გათვალისწინებით, ჩვენ არ უნდა ავიღოთ ორიენტაცია იმპორტული პროდუქციით სასურსათო მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე, რადგან ასეთი პოლიტიკის გატარება საფრთხეს შეუქმნის ქვეყნის სუვერენიტეტს და მას სურსათის მწარმოებელ მსხვილ სახელმწიფოებზე დამოკიდებულს გახდის.

საქართველოს გააჩნია შესაბამისი ბიოგეოკლიმატური პირობები, აგრარული პოტენციალი და სხვა კომპონენტები (მ.შ. გეოპოლიტიკური), რომლებიც აუცილებელია სასურსათო თვითუზრუნველყოფისათვის. ამასთან ის გამოირჩევა იმითაც, რომ აქ ადამიანის კვებისათვის აუცილებელი თითქმის ყველა სახის პროდუქტის წარმოების შესაძლებლობა და საკმარისი

რეზერვებია. ეს ნიშნავს, რომ სწორი აგრარული პოლიტიკის გატარების შემთხვევაში საქართველოს შეუძლია სასურსათო უშიშროების მიღწევა სამამულო აგროწარმოების პროდუქციით. უფრო მეტიც, საქართველოს დღევანდელი და პერსპექტიული დემოგრაფიული კონიუნქტურა უფლებას გვაძლევს დავასკვნათ: სასურსათო უშიშროების თვალსაზრისით მიმდინარე საუკუნეში საქართველოს მოსახლეობას სერიოზული პრობლემები არ უნდა შეექმნას. ამასთან, არსებობს რეალური შესაძლებლობები იმისათვის, რომ საქართველომ თავისი წვლილი შეიტანოს მსოფლიოს სასურსათო უზრუნველყოფის გლობალური პრობლემის გადაწყვეტაში.

4.3. სასურსათო პროდუქციის უსაფრთხოების კონტროლის ერთიანული სისტემის საფუძვლები

სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი მოხმარებული სასურსათო პროდუქციის უსაფრთხოებაა (უვნებლობა). კვების პროდუქტების ხარისხსა და უსაფრთხოებას (რომლებიც ერთმანეთისაგან მნიშვნელოვანი განსხვავების მატარებელი კატეგორიებია), მართალია საზოგადოების მხრიდან ოდითგანვე დიდი ყურადღება ექცეოდა, მაგრამ განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, არა ხარისხობრივი, არამედ უფრო სურსათის წარმოების გადიდების რაოდენობრივი ასპექტი პრევალირებდა.

ბოლო პერიოდში წარმოებული კვების პროდუქტების ხარისხი მასობრივი მომხმარებლისათვის მკვეთრად გაუარესდა. რადგან: 1) ადგილი აქვს კვების პროდუქტების მიკრობიოლოგიური წარმოშობის, პათოგენური მიკროორგანიზმებით და მიკრობული ენტეროტოქსინებით დაჭუჭყიანებას. 2) ხდება გარემოსა და კვების პროდუქტებისათვის საჭირო ნედლეულის დაბინძურება პესტიციდებით და სხვადასხვა ქიმიური ელემენტებით (მათ შორის მძიმე მეტალებითაც). 3) მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით საკვებ პროდუქტებში შეჰყავთ არაკონტროლირებადი, სხვადასხვა სახის საკვებდანამატები, ემულგატორები და ა.შ.

ამიტომ მსოფლიო მასშტაბით დღის წესრიგში დადგა კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების მონიტორინგის აუცილებლობა, რათა მომხმარებელთან არ მოხვდეს არაკეთილსაიმედო პროდუქცია.

პროდუქციის უსაფრთხოება წარმოადგენს მომხმარებლის ერთ-ერთ უმთავრეს უფლებას, რომელსაც განსაზღვრავს გაეროს 1985 წლის რეზოლუცია – „მომხმარებელთა დაცვის სახელმძღვანელო პრინციპების შესახებ." ამ რეზოლუციის თანახმად, სახელმწიფოები ვალდებულნი არიან შექმნან მომხმარებელთა დაცვის ეროვნული სისტემა და კანონმდებლობა, რაც უზრუნველყოფს მომხმარებელთა უფლებების დაცვას. ამდენად, სასაქონლო ბაზარზე უსაფრთხო პროდუქციის არსებობა, პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ფორმებისა და მწარმოებელთა პასუხისმგებლობის განსაზღვრა, პროდუქციის უსაფრთხოების ძირითად მიზანს წარმოადგენს.

მეცნიერების განვითარების დღევანდელი დონე საშუალებას იძლევა სხვადასხვა ცოცხალი ორგანიზმების გენების გადანერგვის გზით შეიქმნას მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშები, რომელთა დამახასიათებელი თვისებაა უხვმოსავლიანობა და მაღალპროდუქტიულობა, სპეციფიკური დაავადებების მიმართ გაზრდილი წინააღმდეგობის ფონზე.

დღეისათვის ამ მეთოდით გამოყვანილია ხორბლის, სიმინდის, ბრინჯის, სოიოს, ბამბის, მარწყვის, პომიდორის, კარტოფილისა და სხვა კულტურათა ახალი ჯიშები. შედეგები მართლაც შთამბეჭდავია: მარწყვში, ვაშლსა და პომიდორში ცივ წყლებში მობინადრე ქამბალას გენის გადანერგვით მიიღეს ამ კულტურათა ყინვაგამძლე ჯიშები; ახალი ჯიშის ყავა არ შეიცავს კოფეინს; ხორბალში გაზრდილია წებოგვარასა და პროტეინის შემცველობა. ბრინჯში მომატებულია A ვიტამინი (გამოგონების ავტორთა აზრით, ეს ხელს უწყობს განვითარებად ქვეყნებში, ე.წ. „ქათმის სიბრმავის" დაავადების კლებას); ბამბისა და კარტოფილის ახალ ჯიშებს არ სჭირდება შხამქიმიკატებით დამუშავება, ისინი თვითონ გამოყოფენ პერბიციდს. მთელი რიგი ახალი ჯიშების თესლისაგან აღმოცენებული მცენარის მოსავალი საკვებად ვარგისია, თუმცა გამრავლების უნარი არ გააჩნია. ამასთან, შესაბამისი კოდირების შემდეგ,

იგი სტერილური ხდება. რაც მთავარია, მას შეუძლია უხვი მოსავალი მოგვცეს შედარებით მწირ ნიადაგებზე (რომელთა ფართობის ხვედრითი წილი მსოფლიოში საკმაოდ დიდია), რაც შიმშილის დაძლევისა და მოსახლეობის დიდი ნაწილის გამოკვების მნიშვნელოვანი რეზერვია.

გენეტიკურად სახეცვლილი პროდუქციის ძირითადი მწარმოებლები და ექსპორტიორი ქვეყნებია აშშ, კანადა, არგენტინა, ჩილე, ურუგვაი, ავსტრალია. აშშ-ში წარმოებული სოიოსა და ბამბის 50%, სიმინდისა და კარტოფილის მოსავლის 35% გენეტიკურად სახეცვლილ პროდუქტს წარმოადგენს.

უკანასკნელ წლებში მსოფლიოსა და განსაკუთრებით ევროკავშირის ქვეყნებში (მათ მხარს უჭერენ, აგრეთვე, განვითარებადი ქვეყნები) თანდათანობით ფეხი მოიკიდა უარყოფითმა დამოკიდებულებამ გენეტიკურად სახეცვლილი პროდუქციის წარმოებისა და გამოყენების მიმართ. ასეთი მიდგომის ძირითად არგუმენტად მიჩნეულია ის ფაქტი, რომ გენური ინჟინერიის მეთოდით მცენარეში ინერგება ცოცხალი ორგანიზმების გენები (ევროპაში ასეთ სურსათს „ფრანკენშტაინის სურსათსაც" უწოდებენ), რომელთაც შეუძლია მეტად სავალალო შედეგების მოტანა, სახელდობრ:

– ისეთი კულტურების მოშენება, რომელთაც არ სჭირდება შხამქიმიკატებით შეწამვლა, ხელს შეუწყობს მავნებელი მწერებისა და სარეველების ახალი სუპერჯიშების წარმოშობას, შხამქიმიკატებისადმი გაზრდილი წინააღმდეგობის უნარით;

– ვინაიდან ამ ჯიშებისაგან მიღებული თესლს არ აქვს აღწარმოების (გენერაციის) უნარი, ფერმერები მთლიანად დამოკიდებული გახდებიან სტერილური, უხვმოსავლიანი ჯიშების თესლის მწარმოებელ კომპანიებზე;

– ცნობილია ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული უხვმოსავლიანი სიმინდის გამანადგურებელი მოქმედება უვნებელი პეპლების მუხლუხოებზე. ეს ფაქტი ხაზს უსვამს ეკოსისტემისა და შესაბამისად ადამიანზე მავნე ზემოქმედების საშიშროებას;

– არის ცნობები, რომ მუშავდება გენური ინჟინერიის საშუალებით მცენარეთა ისეთი ჯიშების მიღება, რომლებიც სპეციალური „ბრძანების" მიღებით შეწყვეტენ ზრდა-განვითარებას და თვით განადგურდებიან, ე.ი. იქმნება მოსავლის

ხელოვნური მართვის საშუალება.

ვინაიდან აღნიშნული ჯიშების დამახასიათებელი თვისებები შეუსწავლელია, მეცნიერები არ გამორიცხავენ ადამიანსა და გარემოზე მავნე ზემოქმედების შესაძლებლობას. ამიტომ ევროკავშირის ქვეყნებში შესაბამისი რეგულირებაცაა შემოღებული, რაც გულისხმობს ასეთი სახის კვების პროდუქტების სპეციალურ ნიშანდებას, რომლის მიხედვითაც მომხმარებელს საშუალება ეძლევა განასხვაოს ის ჩვეულებრივი გზით მიღებული პროდუქტისაგან. მიუხედავად ამისა, სუპერმარკეტების უმრავლესობამ ევროკავშირის ქვეყნებში ნებაყოფლობით თქვა უარი გენეტიკურად სახეცვლილი პროდუქტების შეტანასა და რეალიზაციაზე.

(ევროკავშირის ფრთხილი მიდგომა მომხმარებელთა და გარემოს უსაფრთხოებისადმი გამოწვეულია აგრეთვე სასურსათო პროდუქციის მავნე ზემოქმედების ისეთი ფაქტებით, როგორიცაა, ე.წ. „ცოფიანი ძროხის დაავადება", „დიოქსინის კრიზისი", „კოკა-კოლათი მოწამვლა" და სხვ.)

აშშ-ში შეშფოთებით უყურებენ ევროკავშირის ქვეყნების პოზიციას. მათი აზრით, ასეთი დამოკიდებულება ზღუდავს თავისუფალი ვაჭრობის პრინციპებს და ქმნის გაუმართლებელ ბარიერებს. ცნობილია, რომ ამ მიზეზით აშშ ყოველწლიურად კარგავს 200 მლნ. დოლარს. უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირსა და აშშ-ს შორის დღესაც არ არის გადაწყვეტილი დავა ჰორმონებით გამოკვებილი საქონლისა და ფრინველის ხორცის გამო. ევროკავშირი უკვე რამდენიმე წელია კრძალავს ასეთი ხორცისა და ხორცის პროდუქტების იმპორტს, როგორც ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიშს.

გენეტიკურად სახეცვლილი სურსათის მიმართ საზოგადოებრივი აზრის ცვლილება აღინიშნება თვით აშშ-სა და კანადაში. აშშ-ში 20-მდე კონგრესმენმა (როგორც დემოკრატებმა, ასევე რესპუბლიკელებმა), თავიანთი ინიციატივით მოამზადეს კანონპროექტი გენეტიკურად სახეცვლილი სურსათით ვაჭრობის სპეციალური რეგულირების შემოღების აუცილებლობის შესახებ.

ევროკავშირის გარდა, ე.წ. „ფრანკენშტაინის სურსათის" მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება იზრდება იაპონიასა და

მექსიკაში. სახელდობრ, იაპონელი ლუდის მწარმოებლები უარს ამბობენ გენეტიკურად სახეცვლილ მარცვლეულზე (სალუდე ქერზე). ასევე მექსიკური სიმინდის ჩიპსების მწარმოებლები ამჯობინებენ ჩვეულებრივი სიმინდის გამოყენებას, რაც ნაკარნახევია ბაზარზე არსებული მოთხოვნით. ასევე გააააქტიურეს ამ საკითხის შესწავლა ამერიკის ფედერალურმა ორგანოებმა, რომლებსაც ევალებათ სამომხმარებლო პროდუქციის უსაფრთხოების კონტროლი. ბოლო მონაცემებით, აშშ-ს ადმინისტრაცია გეგმავს სამოქმედოდ შემოიღოს გენეტიკურად სახეცვლილი მარცვლეულისაგან დამზადებული პროდუქციის ნიშანდება, რაც საშუალებას მისცემს მომხმარებელს განასხვაოს ჩვეულებრივი სასურსათო პროდუქცია გენეტიკურად სახეცვლილისაგან.

საყურადღებოა, რომ აღნიშნული პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე, მისი რეგულირების მიზნით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით ქ. მონრეალში 2001 წლის იანვარში გაიმართა კონფერენცია ბიოუსაფრთხოების შესახებ. მასში მონაწილეობას იღებდა მსოფლიოს 134 ქვეყანა. კონფერენციამ მიაღწია კომპრომისულ შეთანხმებას და მიიღო „ოქმი ბიოუსაფრთხოების შესახებ", რომლის თანახმად მიღებული რეგულირების სპეციალური წესები მოიცავს შემდეგ პრინციპებს:

1. პროდუქციის უსაფრთხოება – ნებისმიერ ქვეყანას მიეცა შესაძლებლობა ასეთ პროდუქციაზე თავისუფლად შემოიღოს საკუთარი რეგულირების სისტემა და საკანონმდებლო აქტები, აკრძალოს გენეტიკურად სახეცვლილი პროდუქციის იმპორტი, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა მეცნიერულად დასაბუთებული მტკიცებულებანი მისი საშიშროების შესახებ;

2. ნიშანდება – ექსპორტიორმა ქვეყნებმა, აშშ და კანადამ, უნდა აღნიშნოს საბითუმო ტვირთზე, რომ იგი შეიძლება შეიცავდეს გენეტიკურად სახეცვლილ ორგანიზმებს (ასევე გათვალისწინებულია მოლაპარაკების გაგრძელება სამომავლოდ ასეთი პროდუქციის ნიშანდების დეტალური მოთხოვნების დადგენის მიზნით);

3. პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისათვის – ოქმი შეიცავს მოწოდებას შემდგომი მოლაპარაკების გაგრძელები-

სათვის საერთაშორისო სტრუქტურის შესაქმნელად, რათა განისაზღვროს, რომელი მხარე იქნება პასუხისმგებელი, თუ გენეტიკურად სახეცვლილი პროდუქცია ზიანს მიაყენებს გარემოსა და ადამიანს. მოლაპარაკება დასრულდება 4 წლის განმავლობაში;

4. განხორციელება – „ოქმი ბიოუსაფრთხოების შესახებ" აქვს იგივე სტატუსი, რაც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესებს და ძალაში შევა მონაწილე ქვეყნების მიერ მისი რატიფიცირების შემდეგ, რაც სამ წლამდე შეიძლება გაგრძელდეს.

ბუნებრივია, გენეტიკურად სახეცვლილი პროდუქტის უკონტროლო მოხმარება როგორც ეკოლოგიური, ასევე მოსახლეობის გამოკვების თვალსაზრისით, განსაკუთრებით საგანგაშოა განვითარებად ქვეყნებში, რომელთა რიგს მიეკუთვნება საქართველო, სადაც ადგილობრივი სამომხმარებლო ბაზარი დაუცველია მსგავსი საფრთხისაგან. ისიც გასათვალისწინებელია, რომ მოსახლეობაში არსებული სიღატაკე აიძულებს მათ შეიძინოს რაც შეიძლება იაფი პროდუქტები. სწორედ იაფი და ხელმისაწვდომი კვების პროდუქტების შემენის გარდუვალობა ქმნის მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქტების იმპორტირების პირობებს. აღნიშნულის დასტურია ის უამრავი ფაქტი, რომლებიც თითქმის ყოველდღიურად ფიქსირდება ჩვენ სასურსათო ბაზარზე.

საქართველოში პროდუქციის უსაფრთხოების საკითხებს არეგულირებს კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ" (მის აღსრულებაზე კონტროლი სახელმწიფო ანტიმონოპოლური სამსახურის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა). შეიძლება ითქვას, რომ ხსენებული კანონი ძირითადად აკმაყოფილებს პროდუქციის უსაფრთხოებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, განსაზღვრავს პროდუქციით მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესსა და ოდენობას, მეწარმეთა პასუხისმგებლობის საკითხს და სხვ. კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად „მომხმარებელს უფლება აქვს მოითხოვოს, რომ პროდუქცია მისი შენახვის, ტრანსპორტირებისა და გამოყენების ჩვეულებრივ პირობებში იყოს უსაფრთხო მისი სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და გარემოსათვის, აგრეთვე არ აყენებ-

დეს ზიანს მის ქონებას". ამავე მუხლის მე-5 პუნქტი განსაზღვრავს პროდუქციის დამამზადებლის ვალდებულებას – „დამამზადებელი ვალდებულია უზრუნველყოს პროდუქციის უსაფრთხოება მისი ვარგისიანობის დადგენილი ვადის განმავლობაში. ამ მოთხოვნის დარღვევის შედეგად მომხმარებლისათვის მიყენებული ზარალი ექვემდებარება ანაზღაურებას ამ კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად".

რაც შეეხება „სურსათისა და თამბაქოს შესახებ" კანონს, რომელსაც სასურსათო პროდუქციის უსაფრთხოების კონტროლის ერთიანი სისტემა უნდა შეექმნა საქართველოში, სასურველი შედეგი ვერ მოგვცა. მცდარი მიდგომის გამო კანონში ხარისხი გაიგივებულია პროდუქტის უსაფრთხოებასთან, რის გამოც გაუგებრობასა და შეუსაბამობას იწვევს სურსათის ხარისხის კონტროლი, რომელიც ორ ნაწილადაა გაყოფილი – „ნედლეულის ხარისხის კონტროლის" ფუნქცია გადაცემულია სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროსათვის, ხოლო მზა პროდუქციის (საცალო ქსელი) ხარისხის კონტროლი – საქსტანდარტისათვის.

საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული ნორმების თანახმად, ხარისხი განიხილება, როგორც კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელი და მისი რეგულირება სახელმწიფო ჩარევას ნაკლებად საჭიროებს. სახელმწიფოს ზრუნვის უმთავრესი საგანია პროდუქციის უსაფრთხოება, ე.ი. ბაზარზე გამოტანილი ნებისმიერი პროდუქცია შეიძლება იყოს სხვადასხვა ხარისხის, მაგრამ უსაფრთხო.

პროდუქციის უსაფრთხოება და ხარისხის გაიგივება ყოვლად დაუშვებელია შემდეგი მიზეზების გამო:

1. პროდუქციის უსაფრთხოება წარმოადგენს სახელმწიფო კონტროლის საგანს ყველა განვითარებულ ქვეყანაში და იგი საკალდებულო ხასიათს ატარებს;

2. პროდუქციის ხარისხის კონტროლის შესაბამისი მექანიზმების გამოყენებით დგინდება მისი შესაბამისობა დადგენილ სტანდარტებთან, მაშინ როდესაც მსოფლიოში მიღებული პრაქტიკის თანახმად პროდუქციის სტანდარტთან შესაბამისობა არ ნიშნავს იმავდროულად, რომ ასეთი პროდუქტი არის უსაფრთხო (უვნებელი) მოხმარებისათვის.

მომხმარებლის დასაცავად აუცილებელია კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესრულება და შესაბამისი უწყებების შექმნა, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან პროდუქციის უსაფრთხოებისათვის. საქართველოში პროდუქციის უსაფრთხოების მაკონტროლებელი ორგანოებია: საქსტანდარტი, სოფლის მეურნეობისა და სურსათის, ჯანდაცვის, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროები. მათ ევალებათ სასაქონლო ბაზარზე ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქტების გამოვლენისა და სასაქონლო ბრუნვიდან ამოღების მუდმივი კონტროლი, მავნე პროდუქტების შესახებ მომხმარებელთა შესაბამისი ინფორმაციით უზრუნველყოფა, ასეთი პროდუქციის რეალიზაციის აკრძალვა და სხვადასხვა იძულებითი ღონისძიებების გატარება.

დღეს ჩვენს სამომხმარებლო ბაზარზე არსებული მდგომარეობის გამო მომხმარებელი პრაქტიკულად დაუცველია და შესაბამისად დიდია რისკი, რომ შეძენილი პროდუქცია საშიში იყოს ჯანმრთელობისათვის. აღინიშნება სურსათით მოწამვლის მასობრივი შემთხვევებიც. ასეთ ვითარებაში პროდუქციის უსაფრთხოების მაკონტროლებელი ორგანოების ფუნქციები და კომპეტენციები ხშირ შემთხვევაში გაუმიჯნავია, რაც იწვევს პარალელიზმს და გარკვეულ უპასუხისმგებლობას მათ საქმიანობაში. აღნიშნული ორგანოების არაკომპეტენტური და არაეფექტიანი საქმიანობისაგან კი ზარალდება მხოლოდ მომხმარებელი.

ჩვენი აზრით, სასაქონლო ბაზრის დაცვა ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციისაგან (როგორც სურსათის კონტროლის, ისე არასასურსათო საქონლის სფეროში) საჭიროებს საკანონმდებლო დონეზე მაკონტროლებელი ორგანოების ფუნქციების მკვეთრად გამიჯვნას. აუცილებელია განისაზღვროს, თუ რომელი უწყება რისთვის იქნება პასუხისმგებელი და როგორ განახორციელებს ამ კონტროლს. ნებისმიერ შემთხვევაში, პრიორიტეტული უნდა იყოს სურსათის უვნებლობის (უსაფრთხოების) უზრუნველყოფის ღონისძიებები.

გასათვალისწინებელია საერთაშორისო გამოცდილებაც პროდუქციის უსაფრთხოების კონტროლის საკითხში. განვითარებული ქვეყნები დიდ ყურადღებას უთმობენ აღნიშნული

საკითხის მოგვარებას და შესაბამისი მყარი ეროვნული სისტემები აქვთ შექმნილი. გარდა ამისა, ეკონომიკური განვითარების კვალობაზე, იზრდებოდა მეწარმეთა თვითშეგნება მომხმარებელთა ინტერესების გასათვალისწინებლად.

საჭირო პარალელების გავლებისა და დასკვნების გამოტანის მიზნით ქვემოთ განხილულია რიგ ქვეყნებში მოქმედი პროდუქციის უსაფრთხოების სისტემები.

აშშ. 1972 წლის სამომხმარებლო პროდუქციის უსაფრთხოების აქტის მიღებით შეიქმნა სამომხმარებლო პროდუქციის უსაფრთხოების კომისია. მისი მიზანია სამომხმარებლო პროდუქციის უსაფრთხოების კონტროლი, პროდუქციის ახალი სტანდარტების დამუშავებისათვის ხელშეწყობა, მავნე პროდუქციის აკრძალვა, მონაცემთა ბაზის შეგროვება სამომხმარებლო პროდუქციასთან დაკავშირებულ უბედურ შემთხვევებზე. აღსანიშნავია, რომ ამ კომისიის კომპეტენციაში არ შედის თამბაქოს, მანქანების, თვითმფრინავების, სურსათისა და კოსმეტიკის უსაფრთხოების კონტროლი.[*] რაც შეეხება სურსათსა და მედიკამენტებს, მას აკონტროლებს სურსათისა და წამლების დეპარტამენტი, რომელიც პასუხისმგებელია კვების პროდუქტების უსაფრთხოებაზე, მათ სტანდარტებზე, შეფუთვაზე, გაფორმებაზე და ა.შ. ტრანსპორტის უსაფრთხოების საკითხებს არეგულირებს შესაბამისი სატრანსპორტო უსაფრთხოების ადმინისტრაცია. ე.ი. გამოკვეთილია უსაფრთხოების მაკონტროლებელი სამი მიმართულება. სამომხმარებლო პროდუქციას (სურსათისა და კოსმეტიკის გამოკლებით) აკონტროლებს სამომხმარებლო პროდუქციის უსაფრთხოების კომისია, სურ-

---

[*] სურსათისა და მედიკამენტების კონტროლის ადმინისტრაციას უფლება აქვს აღძრას სასამართლო საქმე კომპანიების, ფირმების წინააღმდეგ ისეთი პროდუქციის რეალიზაციისათვის, რომელიც აშშ-ს კოგრესის მიერ დამტკიცებულ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს. იგი აგრეთვე აკონტროლებს კვების პროდუქტების სტანდარტებს, მათ უვნებლობას, შეფუთვას, გაფორმებას და ა.შ. მწვავე საბაზრო კონკურენციის პირობებში მზა სასურსათო პროდუქციის უსაფრთხოება და სტანდარტები წარმოების ისეთ პარამეტრებს წარმოადგენს, რომლებიც დღეს ბევრად განსაზღვრავს არა მხოლოდ წარმოების ტექნოლოგიას, სტრუქტურას, ორგანიზაციას, არამედ ფერმებიდან მიღებული ნედლეულისადმი მოთხოვნებსაც.

სათს, მედიკამენტებს და კოსმეტიკის პროდუქციას – სურსათისა და წამლების დეპარტამენტი, ხოლო ტრანსპორტის უსაფრთხოებას – სატრანსპორტო უსაფრთხოების ადმინისტრაცია.

დიდი ბრიტანეთი. მომხმარებელთა დაცვის რეგულირებას საფუძველი ჩაეყარა მომხმარებელთა დაცვის აქტის მიღებით 1961 წელს. პროდუქციის უსაფრთხოების კონტროლი განაწილებულია ცენტრალურ და ადგილობრივ მმართველობის ორგანოებს შორის. კეთილსინდისიერი ვაჭრობის ოფისი პასუხისმგებელია იმ ინფორმაციის შეგროვებაზე, რომელიც დაკავშირებულია მეწარმის მხრიდან არაკეთილსინდისიერ ქმედებასთან და შესაბამის რეკომენდაციებს წარუდგენს სახელმწიფო მდივანს. ძირითადი ორგანო, რომელიც პროდუქციის უსაფრთხოების საკითხებით არის დაკავებული ვაჭრობისა და მრეწველობის დეპარტამენტის მომხმარებელთა უსაფრთხოების სამსახურია. 1976 წელს მთავრობამ უარყო წინადადება აშშ-ს მსგავსად შექმნილიყო სამომხმარებლო პროდუქციის უსაფრთხოების კომისია, მათ მეტი უფლებები მიანიჭეს ადგილობრივ ხელისუფლებას. სურსათისა და სავაჭრო სტანდარტების ორგანოა „ლაკოტსი", რომელიც კოორდინაციას უწევს სურსათის სფეროში დარღვევების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას. აქ არსებობს ვაჭრობისა და სტანდარტების მაკონტროლებელი 126 გარემოს დაცვის უწყება, რომლებიც მოქმედებენ მუნიციპალიტეტების დონეზე და მათ ევალებათ სანიტარული სტანდარტების დაცვა სურსათის სფეროში. ზოგადად რომ ვთქვათ, გაერთიანებული სამეფოს სისტემა თავისი სტრუქტურით მნიშვნელოვნად გაფანტულია.

საფრანგეთი. მომხმარებელთა დაცვის კანონმდებლობა მიღებული იქნა 1978 წელს. 1983 წლის ცვლილებებმა გააძლიერა არსებული კანონმდებლობა და შექმნა სამომხმარებლო პროდუქციის კომისია. ამ კომისიას არა აქვს ისეთი უფლებამოსილებანი, როგორც აშშ-ს ანალოგიურ კომისიას. მისი ძირითადი ფუნქციაა ინფორმაციის შეგროვება, რეგულირების წესების შემუშავება და საზოგადოების გათვითცნობიერება პროდუქციის უსაფრთხოებაში. სამომხმარებლო უსაფრთხოების კონტროლის ორგანოა კონკურენციის განვითარების, მომხმა-

რებელთა დაცვისა და თაღლითობის წინააღმდეგ მებრძოლი გენერალური დირექცია. მისი ადმინისტრაციული სტრუქტურა მოიცავს მთავარ ეკონომიკურ სექტორებს – საქონელსა და მომსახურებას. ის ქმნის კანონპროექტებსა და ინსტრუქციებს, ხელს უწყობს თვითრეგულირების კოდექსის განვითარებას, აკონტროლებს პროდუქციის მარკირებას, მასზე ფასების გამოცხადებას, ადგილობრივი და შემოტანილი პროდუქციის უსაფრთხოებას. ასევე უზრუნველყოფს საზოგადოებას ინფორმაციით მავნე საქონლის აღმოჩენის შესახებ, აკონტროლებს რეკლამასა და საქონლის გაყიდვის მეთოდებს.

ევროკავშირი. სამომხმარებლო პროდუქციის უსაფრთხოების კონტროლს ახორციელებდა მომხმარებელთა უფლებებისა და ჯანმრთელობის დაცვის გენერალური დირექცია. ბოლო წლებში ბაზარზე ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო სასურსათო პროდუქციის გამოჩენის შემდეგ (დიოქსინის კრიზისი, ძროხის ცოფი, კოკა-კოლას დაბინძურება). უსაფრთხოების კონტროლის გაუმჯობესების მიზნით შეიქმნა სურსათის მაკონტროლებელი ერთიანი უწყება.

2000 წლის 17 ივლისს ევროპარლამენტმა განიხილა სურსათის შესახებ კანონმდებლობაში ცვლილებების მთელი პაკეტი, რომლის თანახმადაც 17 დირექტივაში შევიდა 80-მდე შესწორება. სავალდებულო გახდა სურსათის მწარმოებელთა რეგისტრაცია, საკონტროლო ტესტირების ჩატარება და შემოწმების შედეგების შესახებ ჩანაწერების წარმოება.

სასურსათო პროდუქციის უსაფრთხოების ძირითადი პრინციპები დაეფუძნა რისკის ანალიზის სამ კომპონენტს:

ა) რისკის შეფასება (რომელიც შეიცავს მეცნიერულ რჩევებს, რეკომენდაციებსა და ინფორმაციულ ანალიზს);

ბ) რისკის მართვა (რომელიც მოიცავს კონტროლსა და რეგულირებას);

გ) რისკის შესახებ ინფორმაციის გადაცემასა და შეტყობინებას.

ევროპელი ექსპერტები ფიქრობენ, რომ სურსათის კონტროლის ახალი უწყების შექმნა აამაღლებს მომხმარებელთა დაცვის დონეს და შექმნის სასურსათო პროდუქციის უსაფრთხოების უფრო სრულყოფილ სისტემას.

მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს ერთი უწყება, რომელიც პასუხისმგებელია ზოგადად სამომხმარებლო პროდუქციის უსაფრთხოებაზე. თითოეულ ქვეყანას განსხვავებული მაკონტროლებელი სისტემა აქვს შექმნილი, მაგრამ მათ კარგად აქვთ ჩამოყალიბებული და გამიჯნული ფუნქციები და კომპეტენციები. ამასთან მიდგომა სურსათის კონტროლის მიმართ თითქმის ყველგან ერთნაირია და მას აკონტროლებს ერთი სპეციალური უწყება, რომელიც პასუხისმგებელია სასურსათო პროდუქციის წარმოების, იმპორტისა და რეალიზაციის სფეროში სასურსათო პროდუქციის უსაფრთხოებაზე.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული ხელშეკრულება „თანამშრომლობისა და პარტნიორობის შესახებ" ითვალისწინებს საქართველოსა და ევროკავშირის მომხმარებელთა დაცვის კანონმდებლობათა დაახლოებას და მომხმარებელთა დაცვის სისტემების ჰარმონიზაციას.

ევროკავშირის გამოცდილების გათვალისწინებით საჭიროა საქართველოში შეიქმნას ერთი უწყება, რომელიც პასუხისმგებელი იქნება სასურსათო პროდუქციის უსაფრთხოებაზე.

ასეთი საუწყებათაშორისო სამსახურის შექმნა რეკომენდებულია გაეროს სოფლის მეურნეობის და სურსათის ორგანიზაციის (ფაო) მიერ ე.წ. FIVIMS-ის (Food Insecutiry and Vulnerability Mapping System) ინიციატივის ფარგლებში.

რაც შეეხება სხვა სამომხმარებლო პროდუქციის უსაფრთხოების კონტროლს, სასურველია მოხდეს სხვადასხვა მაკონტროლებელი ორგანოების ფუნქციათა და კომპეტენციათა გამიჯვნა, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებელთა დაცვის სრულყოფილი და ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბებას და ფუნქციონირებას.

სასურსათო პროდუქციის უსაფრთხოებასთან მჭიდრო კავშირშია და სერიოზულ პრობლემებს ქმნის ე.წ. ფალსიფიცირებული პროდუქციით ბაზრის გაჯერება. საქართველოს სამომხმარებლო ბაზრის დაცვა ყალბი პროდუქციისაგან რამდენიმე ძირითად მიზანს ისახავს. მათ შორის აღსანიშნავია ხარისხსა და უსაფრთხოებაზე მომხმარებელთა საყოველთაოდ აღიარებული უფლებების დაცვა და მეწარმეთა შორის კეთილსინდისიე-

რი კონკურენციის უზრუნველყოფა.

ქვეყნების უმრავლესობამ მიიღო სპეციალური კანონი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ, რაც საგანგებოდ ასახა მომხმარებელთა დაცვის კანონმდებლობაში. არსებობს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის სამი ძირითადი ასპექტი, რომლებიც მჭიდროდაა დაკავშირებული სასაქონლო ნიშნების დაცვასა და გამოყენებასთან – ეს არის სასაქონლო ნიშნებით მეკობრეობა, ეტიკეტებისა და შეფუთვის იმიტაცია და ფალსიფიკაცია. ფალსიფიკაცია სისხლის სამართლის ეკონომიკური დანაშაულია. მასზე სამართლებრივი პასუხისმგებლობა მიზნად ისახავს დამატებითი გარანტიების შექმნას სასაქონლო ბაზარზე მეწარმე სუბიექტების საქმიანობისათვის, საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობისათვის, აგრეთვე სახელმწიფო საფინანსო ინტერესების, პროდუქციის წარმოების სტანდარტიზაციისა და სერტიფიკაციის წესების დაცვისათვის. ფალსიფიკაციის, როგორც დანაშაულის, უშუალო ობიექტია, არა მხოლოდ სამეწარმეო საქმიანობა, არამედ სახელმწიფო საფინანსო და მომხმარებელთა ინტერესები.

საქართველოსათვის განსაკუთრებული პრობლემაა ქართული წარმოშობის პროდუქციის ფალსიფიცირების, რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნებისა და ქართული სტანდარტების (რომლებიც შესაბამისობაში უნდა მოვიდეს ევროკავშირის სტანდარტებთან), ქართული ადგილწარმოშობისა და გეოგრაფიული აღნიშვნების უნებართვო გამოყენება დსთ-ს ქვეყნებში. შედეგად ქართული პროდუქცია კარგავს პრესტიჟს და ტრადიციულ ბაზრებს, შეცდომაშია შეყვანილი შესაბამისი ქვეყნების მილიონობით მომხმარებელი. აღნიშნული საკითხის მოგვარება სახელმწიფოს მუდმივი ზრუნვის საგანი უნდა იყოს.

აღნიშნული პრობლემის მოწესრიგების მიზნით, პირველ რიგში აუცილებელია:

– საკანონმდებლო დონეზე ცალსახად განისაზღვროს პროდუქციის ფალსიფიკაციის, ხარისხისა და უსაფრთხოების (უვნებლობის) შინაარსი. მკაფიოდ გაიმიჯნოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს, საქსტანდარტისა და სხვა მაკონტროლებელი ორგანოების ფუნქციები და კომპეტენცია;

– შესაბამისმა უწყებებმა უნდა შეისწავლონ მონრეალის

კონფერენციაზე მიღებული „ოქმი ბიოუსაფრთხოების შესახებ" და მის მიხედვით შეიმუშაონ დადგენილი წესების გამოყენების შესაძლებლობა;

– სპეციალურმა კომისიამ, უნდა შეიმუშაოს ნორმატიული აქტები გენეტიკურად სახეცვლილი სურსათის რეგულირებისა და მოხმარების ძირითადი მიმართულებების, გენეტიკურად სახეცვლილ კულტურათა თესლის საქართველოში შემოტანისა და დანერგვის მიზანშეწონილობის შესახებ;

– ევროკავშირის გამოცდილების გათვალისწინებით აუცილებელია საქართველოში შეიქმნას სპეციალური უწყება, რომელიც პასუხისმგებელი იქნება სასურსათო პროდუქციის უსაფრთხოებაზე, სასურსათო ვითარების შეფასება-პროგნოზირებაზე, გენეტიკურად სახეცვლილი სურსათის გამოყენების კონტროლსა და რეგულირებაზე.

აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელება საშუალებას მისცემს საქართველოს მაქსიმალურად დაიცვას თავისი გარემო და მოსახლეობა, როგორც სხვა სახის, ისე გენეტიკურად სახეცვლილი სურსათის გამოყენების შესაძლო უარყოფითი შედეგებისაგან. ამასთან, ამ პრობლემისადმი მეცნიერულად დასაბუთებული მიდგომა შექმნის შესაძლებლობას გამოვიყენოთ ის დადებითი შედეგები, რომლებიც იქნება ამ მეთოდით მიღებული, მაგრამ უვნებელი პროდუქციის წარმოებისა და გამოყენების თვალსაზრისით. მხედველობაში გვაქვს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა უხვმოსავლიანობა, ცუდი მეტეოროლოგიური პირობებისა და მავნებელ დაავადებათა მიმართ გაზრდილი მედეგობის უნარი და სხვა თვისებები.

საქართველოს, როგორც ევროპისა და აზიის ერთ-ერთ ძირითად დამაკავშირებელ საკვანძო ქვეყანას, ეძლევა დიდი შესაძლებლობა მაქსიმალურად გამოიყენოს თავისი უნიკალური ბიოგეოკლიმატური პირობები და აგრარული პოტენციალი უსაფრთხო (ეკოლოგიურად სუფთა) სასურსათო პროდუქციის წარმოების განვითარებისა და ექსპორტის გაფართოებისათვის. ეს შანსი კიდევ უფრო განამტკიცებს მსოფლიო სასურსათო უშიშროების პროცესში საქართველოს აქტიური მონაწილეობის აუცილებლობას.

4.4. მეწარმეობის განვითარებისა და სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფის ეკონომიკურ-სამართლებრივი საფუძვლები

საბაზრო ურთიერთობის პირობებში მეწარმეობა არა მარტო სამართლებრივადაა გამართლებული, არამედ ობიექტურადაა აუცილებელი საზოგადოების კეთილდღეობისათვის. მეწარმეობის აღორძინებას, მეწარმეთა საშუალო ფენის შექმნას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოსათვის, რადგან განვითარებული ეკონომიკა ნებისმიერი ქვეყნის ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების საფუძველია.

ხელისუფლება უნდა იცავდეს საკუთარ მეწარმეს ბაზარზე, ქმნიდეს ყველა პირობას სამეწარმეო საქმიანობისათვის (რაც სტაბილური ბაზრის, სამართლიანი კონკურენციისა და მეწარმეობის განვითარებისათვის ეფექტიან, კეთილსაიმედო პირობების შექმნაში გამოიხატება). მისი ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა სანდო და სარწმუნო უნდა იყოს საზოგადოებისათვის.

მეწარმემ ორგანიზაცია უნდა გაუკეთოს საქონლის წარმოებასა და მომსახურეობის საქმიანობას. ამასთან, მოქმედებს რა პირადი სარგებლობის ინტერესებიდან გამომდინარე, იგი საკუთარი პასუხისმგებლობით ხელს კიდებს იმ საქონლისა და მომსახურების წარმოებას, რომელიც სხვებს სჭირდებათ და მისთვის მოგების მომტანია. ამ საქმიანობით მეწარმე, ქვეცნობიერად, მეტად მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს ქვეყნის ეკონომიკის განმტკიცებისათვის.

საბაზრო ტიპის სოფლის მეურნეობას საფუძვლად უდევს მეურნეობრიობის მრავალფეროვნება, რომელიც იმის საშუალებას იძლევა, რომ მეწარმემ აირჩიოს იგი საწარმოო პირობების გათვალისწინებით. ასარჩევი კი მას მართლაც აქვს, იმდენად, რამდენადაც საქართველოსათვის დამახასიათებელია მეწარმეობის მრავალფორმიანობა, რასაც ძირითადად ქვეყნის შიდა რეგიონული თავისებურებები და სხვადასხვა საწარმოო პირობები განსაზღვრავს.

საქართველოში მეწარმეობისათვის ჯერჯერობით არ შექმნილა სრულყოფილი სამართლებრივი ბაზა. საქართველოს

კანონი „მეწარმეთა შესახებ", რომელიც წარმოადგენს საბაზრო ტიპის მეწარმეობის ორგანიზაციის ძირითად ნორმატიულ აქტს, სრულად ვერ პასუხობს წაყენებულ მოთხოვნებს. კერძოდ, ამ კანონის 2.1 მუხლში ნათქვამია, რომ „საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებია: ინდივიდუალური საწარმო, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება ან კოოპერატივი". „საწარმო შეიძლება შეიქმნას საქართველოს (სახელმწიფო) ან მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ, არა მხოლოდ ამ კანონის 2.1. მუხლით გათვალისწინებული ფორმით, არამედ შეიძლება იმართებოდეს უშუალოდ ამ ორგანოთა მიერ. ასეთი საწარმო შეადგენს სამეწარმეო მიზნებისათვის განკუთვნილ სახელმწიფო ან მმართველობის ადგილობრივი ორგანოების განცალკევებულ ქონებას. ამასთან ეს საწარმო არის იურიდიული პირი და ურთიერთობებში გამოდის საკუთარი სახელწოდებით, რომლითაც მას შეიტანენ სამეწარმეო რეესტრში". აქ ერთმანეთშია არეული ინდივიდუალური მეწარმის, ფიზიკური პირის და საკარმიდამო მეურნეობის სახეები. ამას კიდევ უფრო ამყარებს ისიც, რომ „მეწარმეთა შესახებ" კანონით გათვალისწინებულია მეწარმეთა სასამართლოში რეგისტრაცია, რომელიც ყველასათვის სავალდებულოა, გარდა ინდივიდუალური მეწარმისა (ინდივიდუალური მეწარმე ახლანდელ სოფლის მეურნეობაში არის საკარმიდამო მეურნეობა, რომელიც დაფუძნებულია კერძო საკუთრებაზე).

სამეწარმეო კანონმდებლობით გათვალისწინებული ინდივიდუალური მეწარმის სტატუსს საკარმიდამო მეურნეობა მაშინ შეიძენს, თუ მასში დასაქმებული იქნება ოჯახის არაწევრი ხუთი პირი მაინც, ექნება დადგენილი წესით მოწყობილი წარმოების ორგანიზაცია და საბუღალტრო საქმე. ამასთან გაივლის რეგისტრაციას სასამართლოში. სხვა შემთხვევაში კანონის მიხედვით იგი არის ფიზიკური პირი და ეწევა სამეწარმეო საქმიანობას საკარმიდამო (საკომლო) მეურნეობაში. აქედან არ ჩანს რომელია სწორი – ინდივიდუალური, ფიზიკური პირი, თუ საკარმიდამო (საკომლო) მეურნეობა, გაუგებარია მათი ვინაობა და ფორმა.

კანონში „მეწარმეთა შესახებ" ნათლად უნდა გამოიკვეთოს ინდივიდუალური მეწარმის, ფიზიკური პირისა და საკარმიდამო მეურნეობის სახე. კანონში საკარმიდამო მეურნეობას უნდა მიეცეს ის სტატუსი, რაც მას სინამდვილეში აქვს და ტექსტშიც მოხსენებული იქნეს, როგორც საკარმიდამო მეურნეობა. აღსანიშნავია, რომ საკარმიდამო მეურნეობის ფორმა დღეს ყველაზე გავრცელებული ფორმაა და მომავალშიც მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს ქართულ სოფელში. ეს თეზისი მრავალი ობიექტური არგუმენტით დასტურდება. საქართველოს მთიანეთში, სადაც წარმოების მეტად რთული ბუნებრივი პირობებია, საკარმიდამო სექტორი დიდხანს იქნება მეწარმეობის განვითარების ძირითადი ფორმა. სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების პოტენციალი, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, აქ აუცილებელად გამოყენებული უნდა იქნეს. ამ ფუნქციის შესრულება კი საკარმიდამო სექტორს, სხვა ფორმებთან შედარებით, უფრო უკეთ შეუძლია.

არის მეორე ფაქტორიც, რომელიც ზრდის საკარმიდამო მეურნეობის მნიშვნელობას. მიწის რეფორმის შედეგად, რომელიც დიდი ხარვეზებით, მაგრამ მაინც დასასრულს უახლოვდება, კერძო სექტორს გადაეცა ვენახებისა და ხილის ბაღების 80%-ზე მეტი. ქვეყანაში პირუტყვი და ფრინველი მხოლოდ კერძო სექტორშია კონცენტრირებული და საკმაოდ ინტენსიურადაც ვითარდება. ამდენად, უახლოეს მომავალში საკომლო მეურნეობები იქნება სასურსათო ბაზარზე ყურძნის, ხილის, ხორცის, რძის, ბოსტნეულისა და რიგი სხვა პროდუქტების ძირითადი მიმწოდებელი. ასე იქნება მანამ, სანამ სოფლად ახლად შექმნილი კოლექტიური მეწარმეები არ გახდებიან სასურსათო ბაზრის რეალური კონკურენტები, სანამ თვით ბაზრის მოთხოვნა არ აიძულებს მათ სამრეწველო ტიპის ბაღვენახების და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მსხვილი ობიექტების შექმნა-ჩამოყალიბებას. ეს პროცესი კიდევ უფრო დაჩქარდება ქვეყანაში მიწის თავისუფალი ბაზრის ჩამოყალიბებით და რეალური ამოქმედებით.

საქართველოს ტერიტორიის მხოლოდ 16%-ია გამოყენებული სახნავისა და მრავალწლიანი ნარგავებისათვის. ერთ სულ მოსახლეზე აქ 0,15 ჰა სახნავი მოდის. სახნავი მიწების (793

ათასი ჰა, 2001 წლის 1 იანვრის მდგომარეობით) – 39%, ანუ 310 ათასი ჰა განლაგებულია ზღვის დონიდან 500 მ სიმაღლეზე, სადაც შესაძლებელია სოფლის მეურნეობის გაძღოლის შედარებით მაღალი დონის მიღწევა და სასაქონლო წარმოების ფართოდ გაშლა. 230 ათასი ჰა სახნავი, ანუ მისი მთლიანი რაოდენობის 29%, განლაგებულია 500-დან 1000-მდე, სადაც წარმოების რენტაბელობა თანდათან კლებულობს, ხოლო დანარჩენი ფართობები 1000-1500 მ-ზე და უფრო მეტ სიმაღლეზე მდებარეობს, სადაც სასოფლო-სამეურნეო წარმოება ერთობ შეზღუდულია და რისკის ზონას წარმოადგენს.

გარდა რთული ვერტიკალური ზონალობისა, რელიეფის დახრილობისა და სიჭრელისა, სახნავი მიწების დიდი ნაწილი, განსაკუთრებით მთის ზონაში, წარმოდგენილია მცირე კონტურებად დიდი ქანობის ფერდობებზე. იქ გაძნელებულია მექანიზმების გამოყენება. საქართველოს სახნავი მიწების 17% ანუ 135 ათასი ჰა განლაგებულია 10-12^0-ზე მეტი დახრილობის ფერდობებზე, რომელიც ძირითადად ხელით და ცოცხალი გამწევი ძალით მუშავდება. ყოველივე ეს ადასტურებს ჩვენს პროგნოზს იმის შესახებ, რომ საქართველო მცირე და საშუალო სიდიდის, მაგრამ მრავალფეროვანი აგრარული წარმოების ქვეყანა იქნება. ამ ფონზე უმართებულოდ გვეჩვენება „მეწარმეთა შესახებ" კანონის 1.2 მუხლი, სადაც ნათქვამია, რომ „სამეწარმეო საქმიანობად არ ჩაითვლება ფიზიკური პირების (ე.ი. საკარმიდამო მეურნეობების) სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო-სამეურნეო საქმიანობა". თუ პირდაპირ ვიტყვით კანონმდებლობა არ ცნობს მეურნეობრიობის ფორმას, რომელიც ქვეყანას უზრუნველყოფს ძირითადი სასურსათო პროდუქტებით. ეს ამ კანონის დიდი ხარვეზია და იგი უნდა გასწორდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში სერიოზული სიძნელეები შეიქმნება საკარმიდამო მეურნეობებთან სახელმწიფო ურთიერთობების დარეგულირების საქმეში.

აგროსასურსათო სექტორის განვითარების ხელშემწყობი საკანონმდებლო საფუძვლების ფორმირება საქართველოს ეკონომიკური სტრატეგიის ერთ-ერთი უმთავრესი რგოლი უნდა იყოს. ამ სექტორის სასიცოცხლო მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიმდინარე ეტაპზე პრიორიტეტს „საქართველოს სასურ-

სათო უშიშროების შესახებ“ კანონის მიღება და ამოქმედება წარმოადგენს.

„სასურსათო უშიშროების შესახებ“ მრავალ ქვეყანაში მოქმედებს სპეციალური კანონმდებლობა, რომელიც ამ პრობლემის გადაწყვეტის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს. ამ მხრივ დიდი გამოცდილება დააგროვეს ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა, იაპონიამ, აშშ-მ. მაგ., იაპონიაში 1942 წელს მიიღეს „სურსათზე კონტროლის“ კანონი, აშშ-ში 1985 წლიდან ფუნქციონირებს კანონი „აშშ-ს სასურსათო უშიშროების შესახებ“. გერმანიაში 1955 წელს მიიღეს კანონი „გერმანიის სოფლის მეურნეობის შესახებ“, რომელშიც აღნიშნულია, რომ სახელმწიფო ვალდებულია სასურსათო მომარაგების პრობლემა განიხილოს, როგორც სტრატეგიული ამოცანა, აუცილებლობის შემთხვევაში მოახდინოს სასურსათო ფონდების ფორმირება, გამოიყენოს ეკონომიკური სტიმულირებისა და მხარდაჭერის ღონისძიებების მთელი კომპლექსი და არ ჩააყენოს სასურსათო პრობლემა სხვა ქვეყანაზე დამოკიდებულ მდგომარეობაში.

საქართველოს პარლამენტის, მთავრობისა და საზოგადოების ფართო ფენების დამოკიდებულება კანონმდებლობის საკითხებისადმი გვაძლევს საფუძველს გამოვყოთ შემდეგი მომენტები:

ქვეყნის სასურსათო უშიშროების აყვანა უპირველესი სახელმწიფო პრიორიტეტების რანგში, თავის ასახვას ჰპოვებს იმ საკანონმდებლო აქტების მიღებასა და სრულყოფაში, რომლებიც ემსახურება შემდეგი მიზნების მიღწევას:

ა) სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის აუცილებელი ბუნებრივი რესურსების – მიწის, წყლის, ტყის, ატმოსფეროს (ჰაერის) რაციონალურ გამოყენებას, რის შედეგადაც ქვეყანაში შეიქმნება იურიდიული ბაზა, ამ რესურსების დაცვისა და რაციონალური გამოყენების სავალდებულო ნორმატივების შემუშავებისა და ამოქმედებისათვის;

– დააკანონებს სათესი ფართობების სახელმწიფო რეგულირებასა და ცალკეულ სასოფლო-სამეურნეო კულტურებს შორის მათი გადანაწილების ეკონომიკურ მექანიზმს, კვების ძირითადი პროდუქტების წარმოების რეგულირების შესაძლებ-

ლობას;

ბ) სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელთა შემოსავლების სტაბილიზებას და მათ დაცვას საბაზრო სტიქიისაგან (საკანონმდებლო ბაზა ხელისუფლებას მისცემს საფინანსო უფლებამოსილებას იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა აწარმოოს ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სუბსიდირება);

გ) სახელმწიფოს გადაქცევა ქვეყნის სოფლის მეურნეობის პროდუქციის არა მარტო დამკვეთად (კონტრაქტორად), არამედ მყიდველად და განმანაწილებლად (შექმნილმა იურიდიულმა მექანიზმმა ხელისუფლებას უნდა მისცეს უფლებამოსილება, რათა შეისყიდოს და გაანაწილოს სოფლის მეურნეობის ძირითადი კულტურების მოსავლის გარკვეული ნაწილი იმ შემთხვევისათვის, თუ აუცილებელი შეიქმნება ბაზარზე მდგომარეობის სტაბილიზაცია).

ზემოაღნიშნული მიზნების დასახვა და მისი შესაბამისი იურიდიული ნორმების შემუშავება მკვეთრი შემობრუნების ეტაპი და სტიმული იქნება ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის.

ნებისმიერი კანონის ეფექტიანობა, როგორც წესი, მისი პრაქტიკული განხორციელების პროცესში გამოვლინდება. კანონს არ უნდა გამორჩეს არც ერთი ძირითადი მომენტი, რომელიც შეზღუდავს მის მოქმედებას. ამიტომ ყოველი საკანონმდებლო ნორმა მოითხოვს შესაბამისი სპეციალისტების მიერ სრულყოფილ გააზრებას, კანონში ასახვას და მათი რეალიზაციისათვის აუცილებელი გარემოს ფორმირებას. ნაჩქარევი გადაწყვეტილების შედეგია ის, რომ ბოლო წლებში მიღებულმა რიგმა კანონებმა: „სურსათისა და თამბაქოს შესახებ“, „მიწის მელიორაციის შესახებ“, „ვაზისა და ღვინის შესახებ“, „ჩაის შესახებ“ და სხვ., ვერ გადაჭრა, ვერც დარგობრივი და ვერც ეკონომიკური პრობლემები. ამასთან, აგრარული რეფორმის პერიოდში მიღებული საკანონმდებლო აქტების უმრავლესობა არ პასუხობს უმთავრესს – სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერისა და ქვეყნის სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფის ამოცანას.

სხვადასხვა ქვეყანაში არსებული საკანონმდებლო ბაზის

ანალიზმა ცხადყო, რომ საქართველოს კანონში „სასურსათო უშიშროების შესახებ" გათვალისწინებული უნდა იქნეს:

– სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის პრიორიტეტის მინიჭება;

– სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით დარგის გარანტირებული სუბსიდირება (რაც ძნელია, მაგრამ აუცილებელი);

– ქვეყანაში არსებული სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის აუცილებელი ბუნებრივი რესურსების გამოყენებისადმი სახელმწიფო მიდგომის პრინციპები;

– სასურსათო უზრუნველყოფის პრობლემის გადაწყვეტის კონკრეტული ვადები (სურსათის საკმარისობის, ხელმისაწვდომობისა და თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელია მიხედვით);

– სასურსათო უშიშროების პრობლემების გადაჭრაში გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების ძირითადი პრინციპები;

– სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბიოლოგიზაციის განხორციელების ძირითადი პრინციპები და მიდგომები;

– „სასურსათო უშიშროების შესახებ" კანონის სამოქმედო პერიოდის დაფიქსირება.

სხვა დარგებისაგან განსხვავებული სპეციფიკური თავისებურებების მუდმივი კონსტანტირების მიუხედავად, სამართლებრივი თვალსაზრისით საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის პრაქტიკულად დღემდე თითქმის არაფერია გაკეთებული. სოფლად საქონელმწარმოებლები იძულებით არიან ჩართული საბაზრო კონკურენციის უთანასწორო პროცესებში და სახელმწიფოს მხრიდან სრული დაუცველობის პირობებში გაკოტრებისთვის არიან განწირული.

დარგის ხელმძღვანელობა შექმნილ სიტუაციას სახელმწიფო ბიუჯეტის სიმწირით ხსნის, რომელსაც ნაწილობრივ შეიძლება დავეთანხმოთ, მაგრამ საბიუჯეტო კრიზისი არ ამართლებს მათ უმოქმედობას პრობლემების დაძლევის გზების ძიებაში.

ქვეყნის სასურსათო უშიშროების პრობლემის გადაწყვეტისათვის აუცილებელ ღონისძიებათა კომპლექსში მთავარი მამოძრავებელი ბერკეტი, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ფინანსური უზრუნველყოფის საკითხია. აქედან გამომდინარე,

„სასურსათო უშიშროების შესახებ" საქართველოს კანონის უპირველეს ამოცანას საბიუჯეტო სახსრებით დარგის გარანტირებული სუბსიდირების სამართლებრივი საფუძვლის შექმნა უნდა შეადგენდეს. ცხადია კანონის მოქმედების საწყის ეტაპზე ასეთი სახსრების დეფიციტის პირობებში დასაშვებია, რომ შედარებით მოკრძალებული ღონისძიებები დაიგეგმოს. მთავარი ისაა, რომ კანონის მიღებით იგი რეალურად განხორციელებადი გახდეს. თუ გარკვეულ ეტაპზე შეუძლებელი იქნება ბიუჯეტის ხარჯზე დარგის პირდაპირი სუბსიდირება, კანონი უნდა ითვალისწინებდეს ფინანსირების ალტერნატიულ გზებს და მიმართულებებს. კონკრეტულად იგი უნდა გამოიხატოს სოფლის მეურნეობის დაკრედიტების სპეციალური სისტემის შესაქმნელად სათანადო სამართლებრივი აქტების მიღებაში.

ქვეყნის ეკონომიკური უშიშროებიდან გამომდინარე, კანონში ასახვა უნდა ჰპოვოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროცესში სახელმწიფოს უშუალო ჩართვის ობიექტურმა აუცილებლობამ, რაც პრაქტიკულად სახელმწიფო რეგულირების აქტიური პოლიტიკის გატარებაში უნდა გამოიხატოს. მაგალითად, როდესაც ისმება მოსახლეობის საკუთარი წარმოების კვების პროდუქტებით უზრუნველყოფის ამოცანა, საკანონმდებლო წესით უნდა გადაწყდეს, რას ეძლევა პრიორიტეტი — მსხვილი მეურნეობების ხელშეწყობას და სტიმულირებას, თუ სახელმწიფოს მხარდაჭერას წვრილი და საშუალო ფერმებისადმი.

თუ პირველი მათგანი ხელს შეუწყობს სასაქონლო პროდუქციის სწრაფ და გარანტირებულ წარმოებას,. მეორე უფრო ეფექტურია სასოფლო რაიონებში სოციალური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად (სოფლის, როგორც ტერიტორიული ერთეულის განვითარების თვალსაზრისით). აქედან გამომდინარე, საჭირო იქნება მათ შორის ოპტიმალური თანაფარდობის დადგენა, შესაბამისი ცვლილების განხორციელება დარგის სახელმწიფო მართვის სტრუქტურებში, სპეციალური სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების შემუშავება და სხვ.

კანონში გამოკვეთილად და დასაბუთებულად უნდა წარმოჩინდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის აუცილებელი ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები. ჩვენს პირობებში ამ

მიმართებით განსაკუთრებით მწვავედ უნდა გამოიკვეთოს ნიადაგის ეროზიასთან ბრძოლის საკითხი. იგი განხილული უნდა იყოს, არა როგორც ქვეყნის მიწის რესურსების დაცვის ერთჯერადი კამპანია, არამედ, როგორც სასურსათო უზრუნველყოფის, როგორც პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი (ასეთი მიწების ხვედრითი წილი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურაში 35% შეადგენს, რაც დაახლოებით 1,1 მილიონ ჰა-ზე მეტია). კანონი უნდა ავალდებულებდეს (ამავე დროს წამახალისებელ ღონისძიებებსაც სახავდეს, მაგ., საგადასახადო შეღავათები და სხვ.) ცალკეულ მეურნეობებსა და საქონელმწარმოებლებს ძლიერ ეროზირებული ნიადაგების დამუშავებისას სპეციალური ნიადაგდამცავი ღონისძიებების გატარებას (კონკრეტულად უნდა დაფიქსირდეს ე.წ. „დამსჯელი" ღონისძიებები, როგორც ეს მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებშია მიღებული. მაგალითად, აშშ-ში მიღებული პრაქტიკაა, რომ კანონით გათვალისწინებული ამ ნორმის დამრღვევი ფერმერი ვერ მიიღებს სახელმწიფოსგან ვერავითარი სახის სუბსიდიას). ამასთან, სავალდებულო უნდა გახდეს ცალკეული რაიონების მიხედვით ნიადაგდამცავი ღონისძიებების კომპლექსური გეგმების შემუშავება და მისი განხორციელება (მე-20 საუკუნის 90-იან წლებიდან აშშ-ში ასეთი ღონისძიებები განხორციელდა 13 მლნ. ჰა-ზე).

კანონი უნდა ითვალისწინებდეს მკაცრი ადმინისტრაციული და ეკონომიკური ზომების გატარებას იმ მწარმოებელთა მიმართ, რომლებიც თავს აარიდებენ ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებას და ამით ხელს უწყობენ სასოფლო-სამეურნეო რესურსების (საარსებო სივრცის) შემცირებას. შესაძლებლობის ფარგლებში უნდა გამოინახოს სუბსიდიები ისეთი ნიადაგდამცავი ღონისძიებების გასატარებლად, როგორიცაა ეროზირებული მიწების გატყევება და გამდელობა, მდინარეთა ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება და ა.შ.

საქართველოში ამ მხრივ დღემდე პრაქტიკულად არაფერი გაკეთებულა, რასაც ისიც ადასტურებს, რომ უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ქვეყნის ყველაზე დიდი სიმდიდრე – სახნავი ფართობების ფონდი 50 ათასი ჰა-ით შემცირდა (კიდევ

უფრო საგანგაშოა ის, რომ არავინ იცის რა მასშტაბით და რა მიმართულებებით წარიმართება ეს პროცესები ახლო მომავალში).

მთლიანობაში საქართველოს სასურსათო უშიშროების ამოცანის გადაწყვეტა აუცილებლად მოითხოვს სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი ძლიერ ერ.ოზირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე სპეციალური ღონისძიებების გატარებას და მათ ბაზაზე სახელმწიფო სარეზერვო მიწების ფონდის ფორმირებას. აღნიშნული ღონისძიების მიზანს ამ მიწების დაცვით და შენარჩუნებით პერსპექტივაში მოსალოდნელი სასურსათო დეფიციტის შევსება, გარემოს დაცვის გაუმჯობესება და ეკოლოგიური საფრთხის შემცირება წარმოადგენს.

„სასურსათო უშიშროების შესახებ“ კანონში ყველა ღონისძიების სრულყოფილად ასახვა შეუძლებელია, ამიტომ მოცემული კანონის მიღებასთან ერთად უნდა მოხდეს რიგი სხვა კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების მიღება, რათა შეიქმნას აგროსასურსათო სექტორის განვითარებისათვის აუცილებელი საკანონმდებლო ბაზა. ასეთ საკანონმდებლო აქტებს პირველ რიგში განეკუთვნებიან: კანონი „სოფლის მეურნეობის დაცვის, სურსათით უზრუნველყოფისა და ეაჭრობის შესახებ“ (მასში უნდა აისახოს ქვეყნის ძალისხმევა იმ პირობების შესაქმნელად, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სოფლის მეურნეობის დინამიური განვითარება, მიწის და წყლის რესურსების, აგრეთვე გარემოს დაცვისა და შენარჩუნების პირობებში); კანონი „წყლის რესურსების ხარისხის შესახებ“ (რომელშიც ძირითადად უნდა აისახოს იმ ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც გაზრდის კონტროლს სასმელ წყალში პესტიციდების შემცველობასა და მის ხარისხზე); კანონი „სოფლის მეურნეობის რეფორმირებისა და სრულყოფის შესახებ“ (მან უნდა დაადასტუროს ქვეყნის ძირითადი სასოფლო-სამეურნეო რესურსების დაცვისა და სასურსათო უშიშროების ძირითადი მიმართულებების რეალიზაციის მხარდაჭერა. მასში ასახვა უნდა ჰპოვოს აგრეთვე მსოფლიოს სასურსათო ბაზარსა და ქვეყნის აგრარულ ბაზარზე მომხდარი თვისობრივი ცვლილებების ფონზე სახელმწიფო რეგულირებისა და ფინანსირების პოლიტიკის გააქტიურებამ); კანონი „სოფლის სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების

შესახებ", (რომელშიც აისახება სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების ის ხელშემწყობი ღონისძიებები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ სასურსათო პროდუქტების შეუფერხებელი წარმოება და ნორმალური საყოფაცხოვრებო გარემოს შექმნა) და სხვ.

ზემოთ დასახელებული კანონები, „სასურსათო უშიშროების შესახებ" კანონთან ერთად, შექმნის ქვეყანაში მართებული აგრარული პოლიტიკის, სურსათის წარმოებისათვის არსებული რესურსების რაციონალური გამოყენების, სასურსათო პროდუქციის წარმოების სტიმულირების, სასურსათო მარაგების ფორმირება-განაწილების სამართლებრივ საფუძვლებს, რომელთა ცხოვრებაში გატარება, კეთილსაიმედო გავლენას მოახდენს მოსახლეობის კვების ძირითადი პროდუქტებით გარანტირებულ მომარაგებაზე და სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფაზე.

4.5. სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფის გეოპოლიტიკური პირობები

ნუ დაუტევებთ გზასას ბერძენთასას.
ვახტანგ გორგასალი

გეოგრაფიული თვალსაზრისით სამხრეთ კავკასია და ცენტრალური აზია (რომლებიც რუსეთსა და სამხრეთ აზიას, ანუ ორ შედარებით არასტაბილურ რეგიონს შორის მდებარეობს) უნიკალურია თავისი ბუნებრივ-ეკონომიკური რესურსებით, რაც ამ რეგიონით მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოების დაინტერესებას განაპირობებს. აღნიშნული მიზეზის გამო რეგიონის ქვეყნების მიერ სახელმწიფო სუვერენიტეტის შენარჩუნების საკითხს ბევრი საკმაოდ სკეპტიკურადაც უყურებდა. მათი სკეპტიციზმი არც თუ უსაფუძვლო იყო, რადგან ცნობილია, რომ სახელმწიფო, რომელსაც საერთაშორისო ფუნქცია არ გააჩნია, როგორც წესი, დიდ სახელმწიფოთა გავლენის სფეროში ექცევა, რაც დამოუკიდებლობის დაკარგვის რეალურ საფრთხეს ქმნის.

განვლილმა წლებმა უარყო ამგვარი მოსაზრება, რაც ამ რეგიონის სახელმწიფოთა საერთაშორისო გაერთიანებებში ღირსეული ადგილის დამკვიდრებით დადასტურდა. უფრო

მეტიც, რეგიონის ქვეყნების გეოპოლიტიკური მდგომარეობა (პირობები) მათი სუვერენიტეტის განმტკიცების კიდევ ერთი დამატებითი ხელმშემწყობი ფაქტორი გახდა. ამის დასტურია, აგრეთვე ცნობილი „დიდი აბრეშუმის გზის“ აღორძინების კონცეფციისადმი მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების აქტიური მხარდაჭერაც, რაც ამერიკის შეერთებული შტატებში „აბრეშუმის გზის სტრატეგიის მხარდაჭერის“ შესახებ კანონის მიღებით, ევროკავშირის მიერ – „ტრასეკას“ და „ინოგეიტის“ პროგრამების ინიციირებით, აგრეთვე იაპონიის „ევრაზიული დიპლომატიის“ პრინციპების ჩამოყალიბებაში გამოიხატა. ევროპასა და აზიას შორის ახალი სატრანსპორტო-საკომუნიკაციო მაგისტრალების შექმნას არა მარტო ეკონომიკური (სავაჭრო გზების შემოკლება), არამედ პოლიტიკური დატვირთვაც გააჩნია. კერძოდ, რეგიონის ქვეყნები ღებულობენ შესაძლებლობას რუსეთის გვერდის ავლით გავიდნენ საერთაშორისო ბაზარზე, რაც ამ რეგიონზე რუსეთის გავლენის შესაძლებლობებს მნიშვნელოვნად ამცირებს. გეოპოლიტიკური მდგომარეობა მეზობელ სახელმწიფოთა შორის ხდება მშვიდობიანი თანაარსებობის და მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველი. ეს სივრცე ქმნის საერთო ეკონომიკური ბაზრის (მათ შორის აგრარული ბაზრის) ჩამოყალიბების რეალურ შესაძლებლობას. ისტორიულად აბრეშუმის გზის არსებითი ფუნქცია ხომ სამომხმარებლო საქონლის გატარება (ტრანსპორტირება) და აბრეშუმის ნაწარმით ვაჭრობა იყო. დღეისათვის კი ყოველმხრივ შეცვლილ მსოფლიოში, გარდა ისტორიული ფუნქციისა, ამ გზას სხვა ფუნქციებიც უჩნდება. ესაა ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი (ტრასეკა), ტრანსკავკასიური სტრატეგიული ენერგეტიკული დერეფანი და ტრანსკავკასიური სატელეკომუნიკაციო ქსელი. ამ კონტექსტში აღსანიშნავია ის მნიშვნელოვანი შედეგები, რომლებიც უკვე მიღწეულია ამ მიმართულებით:

– აზერბაიჯანის გავლით ყაზახეთის ნავთობის საქართველოში, ბათუმის პორტზე გადაზიდვა;

– აზერბაიჯანი-საქართველოს დამაკავშირებელი ახალი „წითელი ხიდის“ აშენება და ძველი ისტორიული ხიდის რეკონსტრუქციის დასრულება;

– ბათუმში, საბორნე გადასასვლელისა და ფოთში, სარკინიგზო საბორნე გადასასვლელის აშენება;

– თბილისის მთავარი აეროპორტის მოდერნიზაციის დასრულება და მისი ტვირთბრუნვის მნიშვნელოვანი გაზრდა;

– საქართველოს, აზერბაიჯანს, უზბეკეთსა და თურქმენეთს შორის შეთანხმების მიღწევა მათ ტერიტორიაზე გამავალ საქონელზე ტარიფების შემცირების თაობაზე.

„დიდი აბრეშუმის გზის" აღორძინების იდეის რეალიზაციას შემდეგი გეოპოლიტიკური და შედეგობრივი მიზნები აქვს:

– სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოთა პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის განმტკიცება;

– რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავება;

– რუსეთს, ჩინეთსა და სამხრეთ აზიას შორის ე.წ. დემოკრატიული სტაბილურობის სარტყელის შექმნა;

– ჩრდილოეთისა და სამხრეთის ინტერესთა ჰარმონიზაციის რეგიონული სტრუქტურების (მოდელების) შექმნა.

ამდენად, საქართველოს გეოპოლიტიკურ მდგომარეობას გაცილებით უფრო მაღალი დატვირთვა გააჩნია, ვიდრე ამას ჩვეულებრივ აღნიშნავენ ხოლმე. ამ ცნებაში გეოგრაფიულად მცირე, მაგრამ პოტენციურად უმნიშვნელოვანესი რეგიონის უნიკალური ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების რეალიზაციის ხელშემწყობი გარემოს ჩამოყალიბებაც მოიაზრება. საქართველოს ეძლევა შანსი რეალურად მიიღოს ის გარანტიები, რომლებიც ასე აუცილებელი და აქტუალურია ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, პოლიტიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნების, ეკონომიკის აღორძინების და მსოფლიო გაერთიანებაში ღირსეული ადგილის დამკვიდრებისათვის.

დღეს საქართველო და მთლიანად სამხრეთ კავკასია აშშ-სა და რუსეთის ინტერესების სფეროში მოექცა. მათ საკუთარი პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნები ამოძრავებთ, რომლებიც ყოველთვის არ ემთხვევა სამხრეთ-კავკასიის ქვეყნების ეკონომიკურ და ეროვნულ ინტერესებს.

ისეთ პატარა ქვეყანას, როგორიც საქართველოა, პოლიტიკური, ეკონომიკური და ზნეობრივ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების პირობებში, ძნელია ჰქონდეს იმის გარანტია, რომ

რეალურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ დამოუკიდებლობას მიაღწევს.

ევროპის ქვეყნები, ენერგეტიკული რესურსების გამო, არაბულ ქვეყნებსა და რუსეთზეა დამოკიდებული. „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" ნავთობსადენი და სამხრეთ კავკასიური გაზსადენი არღვევს ამ მდგომარეობას და საქართველო ამ გეოგრაფიული სივრცის მთავარი გეოპოლიტიკური კვანძი ხდება (გარანტი ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობის, უშიშროებისა და გეოსტრატეგიული ფუნქციის რეალიზაციისა).

„სამხრეთ კავკასიური გაზსადენის სისტემის", ისევე როგორც „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" ნავთობსადენის პროექტების განხორციელების შედეგად, საქართველოს ეძლევა უნიკალური შესაძლებლობა ააღორძინოს უკვე არსებული და განავითაროს ახალი ენერგეტიკული, სამრეწველო, აგრარული და საყოფაცხოვრებო პროექტები, რაც მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს ქვეყანაში ენერგეტიკული კრიზისის (პრობლემის) გადაჭრას და ეკონომიკის აღორძინებას. დასავლეთის ქვეყნები დაამკვიდრებენ მსოფლიო ბაზარზე ნავთობის და ბუნებრივი აირის ტრანსპორტირების ახალ მარშრუტებსა და სტაბილურ სისტემებს.

ამრიგად, მიუხედავად ამჟამად არსებული რიგი პრობლემებისა თანდათანობით მაინც იკვეთება საქართველოს მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრირების ახალი შესაძლებლობები და მიმართულებანი.

დღეს საქართველო მოიაზრება მხოლოდ, როგორც მსოფლიო სამომხმარებლო ბაზრის ნაწილი და სატრანსპორტო დერეფანი, თუმცა უნიკალური ბუნებრივ-კლიმატური პირობები და გარემო, რომელიც აქ საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა, მისი ხალხის უნარ-ჩვევები და გამოცდილება რეალურ საშუალებას იძლევა სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის (მხედველობაში გვაქვს ენდემური წარმოშობის კულტურულ მცენარეთა გენოფონდი და მათ საფუძველზე შექმნილი ტრადიციული დარგები: მევენახეობა, მეხილეობა, მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა, მეჩაიეობა და ა.შ., სადაც წარმოებული პროდუქცია ხარისხით, გემოვნური თვისებებით, ეკოლოგიური სისუფთავით და სხვა მახასიათებლებით, არა თუ ტოლს არ

უდებს მსოფლიო ანალოგებს, არამედ, ხშირად, ჯობნის კიდევაც მათ).

რეგიონში განხორციელებულ საერთაშორისო პროექტებს შეუძლია ქვეყნის აგროსასურსათო სექტორისათვის, არა მარტო ახალი სტრატეგიული ამოცანის და ფუნქციის განსაზღვრა, არამედ მისი რეალიზაციისათვის ხელშემწყობი გარემოს ჩამოყალიბებაც.

დღეს საქართველო ყალიბდება, როგორც ევროპა-აზიის დამაკავშირებელი ხიდი საკომუნიკაციო-სატრანსპორტო დერეფნის ფუნქციით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია შემოსავლების თვალსაზრისით. ბიუჯეტში შესული სოლიდური შემოსავლები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების დაჩქარებას, მისი ძლიერი, მზარდი ეკონომიკის შექმნას შეუწყობს ხელს. შესაძლებელი გახდება მთლიანად ქვეყნისა და მისი ერთ-ერთი ძირითადი დარგის – აგროსასურსათო სექტორის – ტექნოლოგიური, ეკონომიკური და გეოპოლიტიკური უპირატესობების რეალიზაცია, მსოფლიო გაერთიანებაში მეცნიერულ-ტექნოლოგიური ფუნქციის დამკვიდრება.

ეკონომიკის დაჩქარებული განვითარებისათვის აუცილებელი პრიორიტეტები (რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს ხელისუფლებამ, თავის სამოქმედო ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისას) ძირითადად ასეთნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

– მყარი მასტიმულირებელი გარემოს (სტაბილური წესრიგი, ნორმალური კრიმინოგენული ვითარება, ინვესტორთა უსაფრთხოების დაცვა და ა.შ.) შექმნა, როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური ინვესტიციების მზარდი ოდენობით მოზიდვისათვის;

– მდიდარი ჰიდროენერგორესურსების რაციონალური გამოყენების კვალობაზე, მწვავე ენერგეტიკული კრიზისის დაძლევა, ენერგოუზრუნველყოფის დონისა და ელექტროენერგიის საექსპორტო პოტენციალის გაზრდა;

– ეროვნული წარმოებისა და საშინაო ბაზრის როლის ამაღლება მოსახლეობისა და ქვეყნის ეკონომიკის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში, რაც შეიძლება მიღწეულ იქნეს

მაღალხარისხოვანი იმპორტშემცვლელი საქონლის წარმოებით, ძირითადად სურსათით, ადგილობრივი ბაზრის გაჯერების საფუძველზე. ამ პროცესს (პირველ ხანებში მაინც), უნდა შეეაშველოთ ერთგვარი სახელმწიფო პროტექციონისტული პოლიტიკა და დავიცვათ იგი სასურსათო ბაზარზე, არც თუ იშვიათად არსებული დემპინგური ფასების გამანადგურებელი ზემოქმედებისაგან;

– საწარმოთა გადაიარაღება და ძირეული მოდერნიზაცია, მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი მოწინავე ტექნოლოგიებით წარმოების აღჭურვა და მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვების უზრუნველყოფა;

– შედარებითი უპირატესობის კანონის მოთხოვნის საფუძველზე შრომის საერთაშორისო ტერიტორიულ დანაწილებაში საქართველოს ადგილისა და როლის განსაზღვრა;

– მრეწველობის მნიშვნელოვანი პოტენციალის მქონე დარგების (მოპოვებითი მრეწველობა, შავი და ფერადი მეტალურგია, კვების მრეწველობა, მანქანათმშენებლობა, საავიაციო მრეწველობა და სხვ.) ისეთი მასშტაბებითა და ტემპებით განვითარება, რომ შესაძლებელი გახდეს მათი ნაწარმის გარკვეული ნაწილის ექსპორტირება;

– აგროსასურსათო სექტორის იმ დარგთა (მეჩაიეობის, მევენახეობა-მეღვინეობის, მეხილეობის, მეციტრუსეობის, მეთამბაქოობის, ეთერზეთებისა და მათგან მიღებული პროდუქციის) წინმსწრები ტემპებით განვითარება, რომლებიც ფრიად ხელსაყრელი ნიადაგურ-კლიმატური პირობების არსებობის გამო, უზრუნველყოფენ ორიგინალური თვისებების მქონე პროდუქციის წარმოებას და მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ ქვეყნის ეკონომიკის საერთაშორისო სპეციალიზაციის პროფილს;

– საკურორტო მეურნეობისა და ტურიზმის (მათ შორის სამთო აგროტურიზმი) დაჩქარებული ტემპებით განვითარება და საერთაშორისო ტურისტულ ბაზებზე შესაბამისი ადგილის დამკვიდრება;

– ტრანსპორტის (რკინიგზის, საჰაერო, საზღვაო, საბაგირო და ა.შ.) და კომუნიკაციების (ინფრასტრუქტურა) მზარდი ტემპებით განვითარება;

– საექსპორტო პროდუქციის წახალისების მიზნით, მისი

ეკონომიკური სტიმულირება, რათა უახლოეს პერიოდში უზრუნველყოფილ იქნეს ქვეყნის აქტიური სავაჭრო ბალანსი;

– მტკნარი და მინერალური წყლების მდიდარი რესურსების რაციონალური გამოყენება, მათი ჩამოსხმის ინდუსტრიული მეთოდების დანერგვა და მზარდი ოდენობით ექსპორტის ორგანიზაცია;

– ქვეყნის საზღვრების ჯეროვანი დაცვა და კონტრაბანდის აღმოფხვრა;

– კორუფციისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შემცირება, ბიზნესის ლეგალიზაცია;

– შრომის ანაზღაურებისა და საპენსიო სისტემის სრულყოფა; სოციალურად ყველაზე დაუცველი ფენებისათვის სახელმწიფო მხარდაჭერის გაფართოება და მათთვის მინიმალურად აუცილებელი გარანტიების უზრუნველყოფა;

– დასაქმების სახელმწიფო ღონისძიებათა განხორციელება, ყურადღების გამახვილება ისეთი სპეციფიკური და ნაკლებად კონკურენტუნარიანი მუშახელის დასაქმებაზე, როგორებიც არიან ახალგაზრდები, ქალები, პენსიონერები, დევნილები (ლტოლვილები), ინვალიდები;

– აქტიური და მოქნილი რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფს ცალკეული რეგიონების ეკონომიკური განვითარებისა და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მოსახლეობის ცხოვრების დონის მაჩვენებელთა შორის დღეისათვის არსებული მკვეთრი სხვაობის ერთგვარ ნიველირებას (ურთიერთმიახლოებას).

ყველა ამ ღონისძიებების რეალიზებით შესაძლებელია ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარება, რაც არსებით საფუძველს შექმნის საქართველოს მსოფლიო მეურნეობაში აქტიური ჩართვისა და ინტეგრირებისათვის. ამავე მიზნით აუცილებელია, საქართველოს ევროპის კავშირში გაწევრიანების გრძელვადიანი მიზნობრივი პროგრამის შესრულება.[7]

ასეთ მიზნობრივ პროგრამაში უნდა აისახოს მაასტრიხტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პარამეტრის

---

[7] ჯ. კახნიაშვილი – მაკროეკონომიკა: თეორია და პოლიტიკა. თბ., 1997, გვ. 95.

ეტაპობრივი რეალიზაცია.*)

4.6. სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფის პრობლემები

....რაც უნდა მდიდარი ქვეყანა იყოს ბუნებით, თუ იქ ჩემი და შენი, ესე იგი კაცთა უფლება და მოვალეობა, ძნელად გასარჩევია და არ არის საყოველთაოდ განსაზღვრული ცხადად და უცილოდ, იქ ხალხის წარმატება და კეთილდღეობა, თუ ყოველდღე უკან არ იწევს, შეფერხებული ხომ არის და არის.

ილია ჭავჭავაძე

მსოფლიოს განვითარების ტენდენციების გათვალისწინებით, რეალურად შეიძლება არსებობდეს საქართველოს ეკონომიკის განვითარების შემდეგი სამი სცენარი: პესიმისტური, საშუალო და ოპტიმისტური.[8]

1. პესიმისტური სცენარის არსი არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ფონის შენარჩუნება, კრიზისიდან ნელა, ძალზე გაჭიანურებულად გამოსვლაა. ეს მართლაც ასე იქნება, თუ ხელისუფლებამ არ გარდაქმნა ეკონომიკისადმი ახლანდელი მიდგომა და სახელმწიფო მართვის ბერკეტები სრულად არ აამოქმედა.

2. საშუალო სცენარი გულისხმობს კრიზისიდან შედარებით სწრაფ გამოსვლას, შრომის ნაყოფიერების უფრო მაღალი ტემპებით ზრდას, ვიდრე ეს საშუალოდ დასავლეთის ქვეყნებშია მიღწეული (საქართველოში ცხოვრების დონე უნდა ამაღლდეს, არა მარტო გეოპოლიტიკური ფაქტორების წყალობით, არამედ განათლების, მეცნიერების, ტექნოლოგიების სფეროში

---

*) ეს პარამეტრებია – სამოქალაქო და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბება; – ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის უზრუნველყოფა დაახლოებით 10-12 ათასი დოლარის ფარგლებში; – ერთნიშნა ინფლაციის დონის შენარჩუნება; – ბიუჯეტის დეფიციტი არაუმეტეს 3%-სა, მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში; – უმუშევრობის დონის დაყვანა დაახლოებით 10%-ის ფარგლებში.

[8] ასეთი სცენარი მოცემული აქვს პროფ. თ. ჩიკვაიძეს – იხ. წიგნი „პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე".თბ. 2001. 516 გვ.

მიღწეული უპირატესობით).

3. მესამე, ე.ი. ოპტიმისტური სცენარი კრიზისიდან ნახტომისებურ გამოსვლას ისახავს მიზნად, ეკონომიკური ზრდისა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხარჯზე (რაც ჩამორჩენილობის დაძლევის უფრო სწრაფ ტემპს განაპირობებს, ვიდრე საშუალო სცენარის მიხედვითაა გათვალისწინებული).

ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველომ უნდა აიღოს კურსი ოპტიმისტური სცენარის მიხედვით განვითარებაზე, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, ეკონომიკის კრიზისიდან სწრაფად გამოსვლას გულისხმობს. მისაღები ტემპებით ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფისათვის ქვეყანამ გარდამავალ ეტაპზე უნდა მოახდინოს ადმინისტრაციულ-ორგანიზატორული და ეკონომიკური მართვის მეთოდების ოპტიმალური შეთანაწყობა. დასახული მიზანი უნდა აისახოს საქართველოს მდგრადი და უსაფრთხო განვითარების პროგრამაში და მისი რეალიზაცია უნდა გახდეს ქვეყნის უპირველესი პრიორიტეტი. შექმნილ მძიმე ვითარებაში აუცილებელია, ქვეყანამ განახორციელოს აქტიური სტრატეგია, რომლის საბოლოო მიზანი იქნება არსებული საწარმოო და სხვა რესურსების მობილიზება ახალი ტექნოლოგიების დანერგვის ხარჯზე, მეწარმეობის (განსაკუთრებით მცირე და საშუალო) განვითარება საბაზრო გარემო პირობების შესაბამისად. ქვეყანაში მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ამაღლება, სოციალური და ფინანსური დისციპლინის თავსებადობა, მდგრად და უსაფრთხო ინდუსტრიალურ განვითარებაზე გადასვლა და, საბოლოო ანგარიშით, ევროკავშირში გაწევრიანება. ამ სცენარის განხორციელებით საქართველოს ეკონომიკას XXI საუკუნის კავკასიასა და მსოფლიოში ექნება ერთ-ერთი ღირსეული ადგილი.

რაც შეეხება განვითარების იმ კურსს, რასაც დღეს ჩვენი ხელისუფლება ატარებს, იგი პესიმისტური სცენარის შემცველია და ფაქტობრივად პერსპექტივაში ქვეყნის ჩამორჩენილობას ახანგრძლივებს. ოფიციალური პროგნოზული გათვლების მიხედვით (იგულისხმება საქართველოში ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამა), მშპ-ს საშუალო წლიური ზრდის ტემპი 8,0%-ს შეადგენს (მშპ-ს მოცულობა 2015 წელს 17,9 მლრდ. ლარის ტოლი იქნება), რაც ერთი

შეხედვით დამაკმაყოფილებელი (შეიძლება ითქვას კარგი) მაჩვენებელია, მაგრამ არასაკმარისია ჩვენი სინამდვილისათვის.

ჩვენი აზრით, ამ სცენარის განხორციელებით ქვეყნის განვითარების ზოგადი ტენდენციები პერსპექტივაში ასეთი იქნება:

– საქართველო უახლოეს მომავალში ვერ უზრუნველყოფს დამოუკიდებელი ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას. ქვეყნის ხელისუფლების ძირითადი ძალისხმევა მიმართული იქნება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციებისა და წინადადებების შესრულებაზე, ანუ შენარჩუნდება დღეისათვის დამკვიდრებული კურსი. ამ პირობებში მთავარი აქცენტი გადატანილი არ იქნება გრძელვადიანი ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტაზე (ქვეყანაში ადგილი ექნება ეკონომიკის ექსტენსიური გზით განვითარებას, რის გამოც მისი ზრდის ტემპი იქნება არადამაკმაყოფილებელი). ამ პირობებში კვლავაც დღის წესრიგში (როგორც ახლაა) იქნება ფინანსური სტაბილიზაციის უზრუნველყოფის, დასაქმებისა და ფასების პრობლემა.

განმტკიცდება კანონიერება და მართლწესრიგი, თუმცა მისი ეკონომიკური ეფექტი არ იქნება მნიშვნელოვანი.

ერთგვარად გაიზრდება შრომის ანაზღაურების დონე, მაგრამ არა მინიმალური სამომხმარებლო კალათის ღირებულების დონემდე.

საბოლოოდ, ჩვენი დასკვნა აქ ასეთია:

საქართველო უნდა გადავიდეს ეკონომიკის ექსტენსიური განვითარებიდან – ინტენსიური განვითარების გზაზე.

საქართველოში ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამის ავტორები, მართალია, ვარაუდობენ ეკონომიკური პარამეტრების ზრდას (პროგრამის აღსრულების პროცესში), „საუკუნის პროექტების" რეალიზაციიდან გამომდინარე, მაგრამ კონკრეტული პარამეტრების დაფიქსირებისაგან რატომღაც თავს იკავებენ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ქვეყანაში უკვე განხორციელებული და მოსალოდნელი ინვესტიციები, მიღებული და მოსალოდნელი შემოსავლები (ბაქო-სუფსის ნავთობსადენი, „დიდი აბრეშუმის გზა" – ტრასეკა, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი და ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი), იძლევა იმის საშუალებას, რომ განვსაზღვროთ

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების უფრო რეალური პარამეტრები და გამოვთვალოთ მოსახლეობის ფულადი შემოსავლების ზრდის, ანუ სიღარიბის დაძლევის უფრო კონკრეტული ვადები. ცნობისათვის აღვნიშნავთ, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის რეალიზაციაში უკვე დასაქმებულია 1600-ზე მეტი საქართველოს მოქალაქე, ქვეყნის ბიუჯეტში 2005 წლიდან 40 წლის განმავლობაში ყოველწლიურად 62,5 მლნ. აშშ დოლარის მობილიზების გარდა, მოსახლეობა მიწის ნაკვეთებისა და მიუღებელი მოსავლის საკომპენსაციოდ მიიღებს 20 მლნ. ლარზე მეტს. პროექტის განხორციელების პერიოდში მოსახლეობასა და კომპანიებისაგან შეძენილი იქნება 180 მლნ. აშშ დოლარის ღირებულების სხვადასხვა სახის სერვისი და მომსახურება, მათ შორის კვების პროდუქტების შეძენაზე, ბინების დაქირავებაზე და ა.შ. გარდა აღნიშნულისა, პროექტი ითვალისწინებს საზოგადოებრივი და სოციალური საჭიროებისათვის სხვადასხვა მიმართულების საინვესტიციო პროგრამების განხორციელებას 6 მლნ. აშშ დოლარის ფარგლებში (მშენებლობის ზონაში არსებული ისტორიული, არქეოლოგიური და არქიტექტურული ძეგლების დაცვის, მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის, გზების, ხიდების, საავადმყოფოების, სკოლების და სხვა სოციალური დანიშნულების ობიექტების მშენებლობას), ადგილობრივ მრეწველობაში განსათავსებელ შეკვეთებს 130 მლნ. აშშ დოლარის ღირებულებით, პორტებიდან ტრანსპორტირებული ტვირთების თითოეულ ტონაზე 8-10 აშშ დოლარის შემოსავალს. საქართველოს ტერიტორიაზე პროექტის განხორციელებას მოხმარდება 600 მლნ. აშშ დოლარი.

ანალოგიური მიდგომით უნდა განვიხილოთ „ბაქო-თბილისი ერზერუმის" გაზსადენის მშენებლობაც. ამ პროექტის განხორციელებით საქართველოს უჩნდება შანსი, შექმნას ბუნებრივი აირის ის მარაგი, რაც ძირითადად საჭიროა მოსახლეობისათვის და წარმოება-ორგანიზაციებისათვის. ამის გარანტიას იძლევა მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, გარდა ქვეყნის ტერიტორიაზე გატარებული ბუნებრივი აირის საერთო მოცულობის 5%-სა (1500 მლნ. კუბ. მეტრი), საქართველოს 40 წლის განმავლობაში შეეძლება

შეიძინოს სპეციალური ფასით (1,5% ყოველწლიური ესკალაციით) 500 მლნ. კუბ. მეტრი ბუნებრივი აირი. რისთვისაც უკვე მშენებლობის პროცესშია მიწისქვეშა ორი აირსაცავი, თითოეული 2,5 მლრდ. კუბური მეტრის მოცულობით.

აღნიშნული პროექტის განხორციელებით ქვეყანამ შეიძლება მიიღოს როგორც პირდაპირი (ბიუჯეტში სოლიდური თანხების მიღება, მოსახლეობის დასაქმება და ფულადი შემოსავლების ზრდა და ა.შ.), ისე არაპირდაპირი ეკონომიკური სარგებელი. იგი საშუალებას იძლევა ბუნებრივი აირის ბაზაზე ელექტროენერგიის გამომუშავების, მისი ექსპორტირების, მოსახლეობის გაზიფიცირების (რითაც წელიწადში დაიზოგება საშუალოდ 1-1,5 მლნ. კუბური მეტრი ხე-ტყე, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს არსებული ტყეების გადარჩენას), საწარმოთა ამოქმედებისა და სხვა მრავალი ღონისძიების გატარებისთვის.

„საუკუნის პროექტების" რეალიზაცია, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან, კონტრაბანდის, ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის მასშტაბების არსებით შემცირებასთან ერთად (რომელიც თავის მხრივ, ქვეყნის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის 3-4-ჯერ გადიდების ტოლფასია) ქმნის რეალურ წანამძღვრებს ეკონომიკის რადიკალური გაჯანსაღებისა და მაღალი ტემპებით განვითარებისათვის. მოსახლეობის ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი ამაღლებისათვის, ანუ სიღარიბის დაძლევისათვის.

საქართველოს განვითარების რეტროსპექტული და თანამედროვე მდგომარეობის ანალიზისა და პროგნოზული პარამეტრების 'შეფასებიდან გამომდინარე, უახლოესი 10-15 წლიანი პერიოდისთვის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მოსალოდნელი სცენარი შეიძლება ჩამოყალიბდეს ოპტიმისტური მიდგომებით, ჩვენს მიერ რეკომენდებულ მესამე სცენარად. ამ პროგნოზის შედგენისას საბაზისო პერიოდად აღებულია 2001 წელი, ხოლო ეკონომიკური განვითარების ძირითად მაჩვენებლად მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) აბსოლუტური მოცულობა; მშპ-ს ზრდის ტემპი და მისი სიდიდე ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით.

ნავთობსადენის, გაზსადენის, „დიდი აბრეშუმის გზისა" და სხვა სამომავლო საერთაშორისო პროექტების განხორციელე-

ბის რეალური მულტიპლიკაციური ეფექტის გათვალისწინებით, 2006 წლიდან მთლიანი შიდა პროდუქტი შესაძლებელია საშუალოდ წლიურად 11-12%-ით გაიზარდოს, ნაცვლად ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის სამთავრობო პროგრამით გათვალისწინებული 8%-სა. შემდგომ პერიოდში ეკონომიკური განვითარების ბაზის დასტაბილურებასთან ერთად, ზრდის ტემპის გათანაბრება მოხდება საშუალოდ წლიურად 7-8%-ის დონეზე, რაც სავსებით კანონზომიერი და მისაღები მოვლენა იქნება.

ეკონომიკური ზრდის ჩვენი პროგნოზული ტემპის (11-12%) რეალიზაციის შემთხვევაში ქვეყნის ეკონომიკა დროის შედარებით მოკლე მონაკვეთში მიაღწევს კრიზისამდელ დონეს. მშპ-ს მოცულობა საპროგნოზო პერიოდის (2015 წელი) ბოლოსათვის 22-23 მლრდ. ლარამდე გაიზრდება, რაც ერთ სულ მოსახლეზე საშუალოდ 4400-4600 ლარს შეადგენს.

ეკონომიკის განვითარების აღნიშნულმა დონემ ძირითადად უნდა უზრუნველყოს ქვეყნის სასურსათო უშიშროების სამივე კომპონენტი (სურსათის საკმარისობა, სურსათზე ხელმისაწვდომობა და სურსათით თვითუზრუნველყოფა), რაც ნათლად ჩანს მე-3 ცხრილში. კერძოდ, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 11-12%-ით ზრდის პირობებში მნიშვნელოვნად გაიზრდება, როგორც ფულადი შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე, ასევე მოხმარებული კვების პროდუქტების ღირებულება (მათ შორის საკუთარი წარმოებისა), შედეგად, სურსათის საკმარისობის კოეფიციენტი ღირებულებით გამოსახულებაში გაიზრდება 1,6-ჯერ, სურსათზე ხელმისაწვდომობის კოეფიციენტი – 2,8-ჯერ. პრაქტიკულად იგივე შედეგს იძლევა ჩვენს მიერ დამუშავებული ძირითადი სახეობის კვების პროდუქტების წარმოებისა და მოხმარების საბალანსო გაანგარიშებები ნატურაში. კერძოდ, 2015 წლისათვის საქართველოს მოსახლეობის მოთხოვნილება მთლიანად დაკმაყოფილდება საკუთარი წარმოების კარტოფილით, ბოსტნეულით, ხილით, რძითა და რძის პროდუქტებით, თევზით და კვერცხით. რაც შეეხება მარცვლეულს, შაქარს, ხორცსა და ხორცის პროდუქტებს, მათზე მოთხოვნილება გარკვეული დროის მანძილზე კვლავ იმპორტის ხარჯზე დაკმაყოფილდება, თუმცა საკუთარი წარმოების

პროდუქტებით მათი თანდათანობით ჩანაცვლების კვალობაზე, ამ პროდუქტების იმპორტი მნიშვნელოვნად (2,5-3,5-ჯერ) შემცირდება. იმპორტული სასურსათო პროდუქტების შემოსატანად საჭირო ვალუტის ძირითადი წყარო ღვინო და ღვინომასალების, ჩაის, ციტრუსების, ხილის, თაფლის, ეთერზეთების, ხილ-ბოსტნეულის კონსერვების, მინერალური და მტკნარი წყლების ექსპორტიდან მიღებული სავალუტო შემოსავალი იქნება.

საქართველოს სასურსათო უშიშროების ძირითადი მაჩვენებლები 2001-2015 წლებში

ცხრილი 3

№	მაჩვენებელი	2001	2015	2015 წ. % 2001 წ.
1	კვების დღე-ღამური რაციონალური ნორმა, კკალ	2570	3100	120.6
2	ფულადი შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე, ლარი	45.0	190.0	4.2-ჯერ
3	სასურსათო კალათის ნორმატიული ღირებულება, ლარი	73.3	110.0	150.0
4	მოხმარებული კვების პროდუქტები, კკალ	2470	3000	121.0
5	მოხმარებული სურსათის (თვიური) ფაქტიური ღირებულება, ლარი	40.0	98.5	2.4-ჯერ
6	სულ მოხმარებული კვების პროდუქ-ტების ღირებულება, მლნ. ლარი	2400	3200	1.3-ჯერ
7	მათ შორის საკუთარი წარმოების, მლნ. ლარი	1600	2900	1.8-ჯერ
8	სურსათის საკმარისობის კოეფიციენტი ნატურაში	0.96	0.97	100.0
9	სურსათის საკმარისობის კოეფიციენტი ღირებულებაში, ლარი	0.56	0.89	1.6-ჯერ
10	სურსათზე ხელმისაწვდომობის კოეფიციენტი	0.61	1.70	2.8-ჯერ
11	სურსათით თვითუზრუნველყოფის დონე	0.67	0.90	1.4-ჯერ

ასეთი პერსპექტივის განხორციელების გარანტიას იძლევა ქვეყანაში სასურსათო პროდუქციის წარმოების გადიდების პოტენციალი, არსებული რესურსები, მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და ინვესტიციების მოზიდვის კარგი შესაძლებლობანი (რაც უდავოდ უნდა მოჰყვეს „დიდი აბრეშუმის გზის“ აღორძინებას და საქართველოს ევროატლანტიკურ კავშირში ინტეგრაციას). ამავე მიზნით საქართველომ უფრო აქტიურად უნდა ითანამშრომლოს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან, ისეთ რეგიონულ გაერთიანებებში, როგორიცაა დსთ, ბისეკი, სუუამი, რათა გამოყენებულ იქნეს ეს კავშირები და თანამშრომლობა საქართველოს სასურსათო უშიშროების მისაღწევად.

დღეს უკვე მსოფლიოს ქვეყნებს ყოფენ არა მარტო მდიდარ და ღარიბ, განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებად, არამედ იმის მიხედვითაც, თუ როგორი ტემპით ვითარდებიან ისინი. აქ იგულისხმება სტრუქტურული გარდაქმნების სისწრაფე სოციალურ დროში, რომელიც განაპირობებს თვისებრივ გარდაქმნებს. ასეთი ტრანსფორმაცია უფრო მეცნიერულ-ტექნიკურ და ტექნოლოგიურ მიღწევებს ეყრდნობა და არა იმდენად ბუნებრივ რესურსებს. სწორედ აქედან ჩამოყალიბდა აქსიომა, რომ მომავალი განათლებას, მეცნიერებას, ცოდნას, მათზე დაფუძნებულ ინოვაციურ ეკონომიკას ეკუთვნის და არა ბუნებრივ რესურსებს (თუმცა ბუნებრივი რესურსები სერიოზული არგუმენტია). მდიდარი იქნება ქვეყანა, რომელსაც მძლავრი სამეცნიერო პოტენციალი გააჩნია და არა ბევრი ბუნებრივი რესურსი. მომავლის ეკონომიკა ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა იქნება.

ამდენად, თუ XXI საუკუნემდე განვითარება ევოლუციური გზით მიმდინარეობდა, ახალი ათასწლეული ნახტომისებური განვითარებისა და ელვისებური, ეკონომიკური ეფექტების საუკუნე იქნება, თუ გავითვალისწინებთ იმ შესაძლებლობებს, რომელსაც ეკონომიკისა და აზროვნების გლობალიზაცია იძლევა. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ მსოფლიოში შექმნილი გარემო პრაქტიკულად თანაბარ შანსებს აძლევს მდიდარსაც და ღარიბსაც, მთავარია საქართველოს ინტელექტუალური პოტენციალი, მისი ეფექტური გამოყენებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა და საზოგადოების სასარგებლოდ წარმართვა.

საქართველოს, სახელმწიფოებრიობისა და დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, იმდენი საშინაო პრობლემა ჰქონდა გადასაჭრელი, რომ ქვეყნის პოლიტიკაში მსოფლიო გლობალურმა პრობლემებმა (მათ შორის სასურსათო უშიშროების) შესაბამისი ასახვა ვერ ჰპოვა. საქართველო დღესაც გახლართულია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, სეპარატიზმისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის, სამოქალაქო ომის შედეგების ლიკვიდაციის, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის, კონსტიტუციური წყობის საბოლოო სახით ჩამოყალიბების, საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღებული ვალდებულებების შესრულების, საგარეო ვალების დაფარვისა და სხვა მრავალ პრობლემათა ქსელში. საქართველო ჩართულია მსოფლიო ანტიტერორისტულ კოალიციაში და ამ მიმართულებით რეალური ნაბიჯებიც იდგმება.

ამ ფონზე, საქართველოში ჯერ კიდევ არ არსებობს ეროვნული უშიშროებისა და ეკონომიკური მდგრადობის კონცეფცია, რომლის შემუშავება და თანმიმდევრული რეალიზაცია, ჩვენი აზრით, ზემოთ ჩამოთვლილი მრავალი პრობლემის გასაღები გახდება.

ეროვნული უშიშროების მთავარი მიზანი, საქართველოს მოქალაქეებია. უშიშროების ობიექტია ხალხი, ტერიტორია და ცხოვრების წესი. ეს სისტემა მოიცავს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, დემოგრაფიულ, კულტურულ, ეკოლოგიურ, სამხედრო და სასურსათო ქვესისტემებს. წიგნში სწორედ ეს უკანასკნელია განხილული.

სასურსათო უშიშროების, როგორც პრობლემის, გადაწყვეტის შემოთავაზებული კონსტრუქცია სრულ შესაბამისობაშია საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებთან მიმართებაში. ის არ უპირისპირდება პრობლემის გადაწყვეტის ზოგადსაკაცობრიო კონცეფციას, პირიქით საშუალებას იძლევა შესაბამისი პარალელების გავლებისა და მსოფლიო გლობალური პრობლემის საქართველოს კონტექსტში გადაწყვეტისათვის.

სათანადო მასალების შესწავლისა და გაანალიზების საფუძველზე, წიგნში გაკეთებულია უმთავრესი დასკვნა, რომ

საქართველოს სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფა უნდა განხორციელდეს, ერთის მხრივ, საქართველოს მიერ საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების ფარგლებში, ხოლო მეორეს მხრივ, საკუთარი აბსოლუტური, თუ შეფარდებითი უპირატესობის რაციონალური გამოყენების გზით. პირველში იგულისხმება ქვეყანაში დემოკრატიულ ღირებულებათა დამკვიდრებისათვის აღებული კურსის გაგრძელება (რომელსაც მივყევართ სოციალური სამართლიანობის აღდგენასა და სიღარიბის დაძლევამდე), ხოლო მეორეში – საქართველოს უნიკალური ბიოგეოკლიმატური და გეოპოლიტიკური ფაქტორების ამოქმედება სასურსათო უშიშროებისა და ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისათვის. და, თუ როგორ იქნება ის რეალიზებული, საქართველოს დემოკრატიის ხარისხსა და ერის მზაობაზე იქნება დამოკიდებული.

Паата Когуашвили

ПРОДОВОЛЬСТВЕННАЯ БЕЗОПАСНОСТЬ ГРУЗИИ: РЕАЛЬНОСТЬ И ПРОГНОЗЫ

Среди существующих в мире глобальных проблем продовольственная проблема всегда отличалась остротой. Она становилась причиной войн между странами и других катаклизмов. Это неудивительно, так как обеспечение продовольствием является основой основ биологического существования человека и она всегда остается "Ахиллесовой пятой" человечества.

Серьезным обострением продовольственной проблемы встретило человечество XXI век. По подсчетам специалистов, к началу нового века голодало около 850 млн. человек, а через 20 лет их число может превысить 1 млрд.

Продовольственная безопасность является существенной проблемой и для Грузии, где восстановление государственности и национальной экономики протекает практически одновременно, в исключительно тяжелых, экстремальных условиях, в частности, за последние годы резкое сокращение производства отечественной продукции и ее замещение импортом вызвало существенное ухудшение состояния продовольственного рынка и внешнеторгового баланса страны. Более третьи населения находится за чертой бедности. Налицо серьезные экономические, социальные, этнические и другие важные проблемы, от решения которых во многом зависит сохранение экономической и политической независимости страны. С учетом изложенного, из перечня проблем, требующих незамедлительного решения, следует выделить проблему продовольственной безопасности, т.к. она создает угрозу не только здоровью населения, но и перспективе восстановления и развития Грузинской государственности.

Опыт стран, достигщих наиболее высокий уровень продовольственной безопасности, показывает, что решение этой проблемы практически невозможно без адаптации агропромышленного, продовольственного комплекса к условиям рыночной экономики и устойчивого развития национальной экономики в целом.

В книге проанализированы экономическое положение и уровень продовольственной безопасности страны, субъективные

и объективные (в т.ч. макроэкономические) факторы неудовлетворительного реформирования всей экономической системы и дана оценка реального уровня жизни населения, обсуждены организационно-экономические проблемы развития агропродовольственного сектора и даны концептуальные основы их решения.

Низкий уровень жизни населения и бедность, согласно общеизвестной Римской декларации FAO, являются основными препятствиями на пути достижения продовольственной безопасности любой страны. Поэтому экономический рост и преодоление на этой базе нищеты должны стать приоритетными направлениями экономической стратегии страны.

На основе критического анализа соответствующих материалов в книге приводится мысль о том, что, исходя из общего государственного значения социально-экономического оздоровления страны, экономический рост (следовательно, и преодоление бедности), в первую очередь, должен быть основан на благоприятных природно-географических условиях страны и рациональном использовании человеческих ресурсов. При этом стратегия экономического роста должна стать основной составляющей частью широкомасштабной государственной политики, в осуществлении которой важное место должно быть уделено разработке и осуществлению мероприятий по государственному регулированию агропродовольственного сектора, развитию предпринимательства и агробизнеса, искореню таких порочных явлений, как коррупция и теневая экономика. Вместе с тем, подчеркивается, что решение задачи достижения продовольственной безопасности требует ускоренного и устойчивого развития экономики и преодоления бедности большей части населения. С этой целью необходимо решение двух основных взаимосвязанных задач, в частности, экономический рост должен быть достигнут на основе формирования рациональной и эффективной отраслевой структуры национальной экономики и эффективности ее функционирования; создание правового экономического механизма справедливого перераспределение доходов, полученных от экономического роста.

В книге подробно рассматриваются экономические и правовые аспекты развития агробизнеса и продовольственной безопасности, дан анализ современного состояния геополитечес-

кого положения Грузии, обоснована необходимость интегрирования страны в евро-атлантическом пространстве, как одного из важнейших направлений достижения национальной безопасности Грузии.

Подчеркнуто, что для приобретения реального места в геостратегическом пространстве необходимо преодоление геополитической и геоэкономической отсталости страны. Правда, на сегодняшний день Грузия приобретает значение моста, соединяющего Европу и Азию, с функцией коммуникационно-транспортного коридора (что крайне важно с точки зрения доходов), но лишь с этой функцией она не сможет стать полноправным субъектом геостратегического пространства, поскольку сегодня решающим является геополитическое геоинтеллектуальное преимущество, а не преимущество природно-географического положения. Чтобы стать полноценным геостратегическим субъектом необходимо ускорить процесс социально-экономического и политического развития страны. Создание мощной и устойчивой экономики, обеспечение технологического и экономического преимущества и вступление в Евросоюз решит многие проблемы устойчивого и безопасного развития страны.

В условиях рыночных отношений одним из основных рычагов государственного регулирования сельскохозяйственного производства является действующая в стране налоговая система. Она должна способствовать развитию форм хозяйствования на земле и повышению их заинтересованности в увеличении производства аграрной продукции. Учитывая дееспособность действующей в стране налоговой системы, в книге поддерживается мысль об определении налоговой ставки сельских предпринимателей из сумм доходов свыше 35% рентабельности, а предприниматели, работающие в относительно суровых условиях и имеющие рентабельность до 20% (в основном в горных районах), вообще должны быть освобождены от уплаты налогов. Вместе с тем, в качестве одного из основных условий развития предпринимательства на селе, рассматривается создание специального кредитного рынка и улучшение кредитного обеспечения агросектора. С целью решения данной проблемы в книге детально излагаются финансово-организационные и правовые основы создания и функционирования специальной аграрной кредитной системы

(САКС).

Ввиду огромного значения решения проблемы продовольственной безопасности страны и с учетом опыта развитых стран мира на текущем этапе одним из основных законодательных шагов в этом направлении должно стать принятие и введение в действие закона "О продовольственной безопасности Грузии". С возведением в ранг государственного приоритета продовольственная безопасность найдет свое отражение в принятии новых и совершенствовании тех нормативных актов, которые в свою очередь должны служить рациональному использованию земельных, водных и других природных ресурсов. Закон должен определить масштабы и принципы государственного подхода к использованию ресурсов, необходимых для производства продовольствия, конкретные параметры и сроки решения продовольственной проблемы, предусмотреть вопросы охраны окружающей среды, экономической безопасности и др. Упомянутый закон должен стать основным движущим нормативным актом ускоренного и устойчивого развития агропромышленного, продовольственного комплекса страны, в котором должны быть отражены стратегические и тактические направления решения проблемы продовольственной безопасности.

В книге также обосновывается объективная необходимость перехода агросектора на производство экологически чистой продукции. Отмечается, что по мере формирования постиндутриального общества и установления совершенно новой, – нэоэкономики, существенно меняются известные по сей день биоэнергетические, экологические и социально-экономические парадигмы. В частности, вместо ограниченных, невозобновляаемых природных ресурсов, на передний план выходит использование в производстве восстанавливаемых природных ресурсов. Идут процессы "биологизации" сельскохозяйственного производства, т.е. применение биологических методов удобрения посевов, защиты растений от вредителей и болезней и т.д., что, в свою очередь, вызывает "экологизацию" производства продовольствия (производства экологически чистой биопродукции) и увеличения экспортной продукции. В связи с этим – использование в полной мере экспортного потенциала агропродовольственного сектора – в книге рассматривается как одно из основных направлений

достижения продовольственной безопасности Грузии. Вместе с тем, реализация в полной мере экспортного потенциала этого сектора требует осуществления целого ряда мероприятий организационно-экономического характера, среди которых наиболее важными являются – правильная организация производства необходимого для экспортной продукции сырья, преодоление проблемы фальсификации, завоевание новых рынков сбыта и др. Высказывается соображение о создании специализированных агрокомбинатов, которые будут ориентироваться как на производство сырья и готовой продукции, так и на ее реализацию. Исходя из задачи сокращения значительного дефицита внешнеторгового баланса, обосновывается необходимость увеличения экспорта путем его экономического стимулирования, создания экспортного маркетингового центра, основной задачей которого станет создание приспособленной к рыночным условиям коммуникационной инфраструктуры и разработка стратегии и тактики сбыта экспортной продукции.

В заключение, критически рассмотрены все существующие сценарии и прогнозы развития экономики страны и даны, на наш взгляд, более реальные прогнозы темпов роста валового внутреннего продукта (ВВП) и сроков достижения продовольственной безопасности Грузии, в частности, осуществление отмеченных выше организационно-экономических мероприятий, перспективы вступления страны в Евросоюз, а также приток зарубежных инвестиций (что должно последовать по мере стабилизации положения в стране, возрождения "Великого шелкового пути" и осуществления "Проектов века") дает шанс стране с 2006 года увеличить среднегодовой темп роста ВВП на 11-12% (что вполне достижимо с учетом крайне низкого уровня развития экономики).

Это позволит увеличить денежные доходы населения и в основном обеспечить к 2015 году продовольственную безопасность по всем ее основным компонентам. При этом появляется возможность уменьшения импорта продовольствия в среднем в 2,5-3,5 раза.

Грузия имеет реальный шанс достижения этой цели и, в какой мере он будет использован, в первую очередь, зависит от готовности нации и уровня демократизации страны.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ასათიანი ალ. – მიწის საკითხი საქართველოში (საქართველოს სააგრარო კანონის მასალად). თბილისი, 1919 წ.
2. ანანიაშვილი ი., აჩელაშვილი კ., მესხია ი., პაპავა ვ., სილაგაძე ა., წერეთელი გ. – მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები. თბ., „მეცნიერება", 2003.
3. ანდღულაძე რ. – სოფლად ზოგიერთი ეკონომიკურ-ორგანიზაციული პრობლემა და მათი გადაწყვეტის გზები. ჟ. „კვალი", 2002, №4-5.
4. ასათიანი რ. – რეგიონალური სასურსათო ქვეკომპლექსების ფორმირება და მართვის ორგანიზაცია; თბ. 1991.
5. ბალცეროვიჩი ლ. – სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში, თბ. 2002.
6. ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაიძე თ. – პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე, თბ. 2001.
7. ბახტაძე დ., ნადირაძე ნ. – სასიცოცხლო უზრუნველყოფის კულტურა, სასურსათო უსაფრთხოება და სურსათის უვნებლობის პერიპეტიები. ჟ. „მაკრო მიკროეკონომიკა", 2000, №10.
8. ბურკაძე ვ. – საქართველოს აგრარულ სექტორში საბაზრო ურთიერთობების არსებული მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები, „სიახლე", თბ. 2000.
9. ბურკაძე ვ. – საქართველოს აგრარული სექტორის კრიზისიდან გამოყვანის ზოგიერთი ძირითადი ღონისძიებების შესახებ, „სიახლე" თბ. 2000.
10. ბურკაძე ვ., ვაშაკიძე ო., ძაგანია ე. – აგრარული პოლიტიკის კონცეფცია საბაზრო ეკონომიკის პირობებში. ჟ. „მაკრო მიკროეკონომიკა", 1999, №1.
11. გეგეშიძე ა. – გეოპოლიტიკა. თბილისი, 1997.
12. გიორგაძე ჰ. – საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების პრობლემები. საქ. ეკონომიკურ მეცნ. აკადემიის შრ. კრ., ტ.2, თბ., 2001.
13. გიორგაძე ჰ, რამიშვილი ბ. – საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების პრობლემები. „აგრარული მეცნიერების პრობლემები". თბ. 1997 წ. ტ. II.
14. გიორგაძე ჰ. – საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების გეოპოლიტიკური ასპექტები, აგრარული მეცნიერების პრობლემები. ტ. XV. 2001.

15. გოგოხია რ. – შერეული ეკონომიკური სისტემის საკითხისათვის მსოფლიო გლობალური ეკონომიკის ფორმირების პროცესში, თბ. 2000.
16. გოგოხია რ. კილასონია გ. – ფერმერული მეურნეობის ჰორიზონტები. თბილისი, 1999.
17. გოცირიძე რ. – ეკონომიკა, პოლიტიკა, ცხოვრება. „ფავორიტი", თბ., 1999.
18. დიოუფი ჟ. – მეცნიერება და სასურსათო უსაფრთხოება. ჟ. „კვალი", 1999, №7-8.
19. დიოუფი ჟ. – ერთი მშიერიც ძალზე ბევრია. ჟ. „კვალი", 2002, №1-2.
20. ელიზბარაშვილი ნ. – საქართველოს გეოგრაფია, თსუ, თბ., 2000.
21. ვაშაკიძე ო. – საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსში მიმდინარე ცვლილებები და მისი სრულყოფის მიმართულებები, „სიახლე", თბ. 1999.
22. ვაშაკიძე ო. – საქართველოს აგრარული პოლიტიკა საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პირობებში, „სიახლე", თბ. 2000.
23. ვაშაკიძე ო. – სასურსათო პროგრამა: ქვეყნის უპირველესი პრობლემა, თბილისი, 1982.
24. ვაშაკიძე ო. – სასურსათო პრობლემის გადაწყვეტა ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღების ტოლფასია, თბ. 1999.
25. ვაშაკიძე ო. – აგრარული ბაზრის ეკონომიკური რეგულირების მექანიზმი მეურნეობრიობის ახალ პირობებში. თბ. 1998.
26. ზიბზიბაძე გ. – აგრარული სექტორის განვითარების სახელმწიფო რეგულირება. ჟ. „კვალი", 1999, №1-2.
27. თარხან-მოურავი გ. – სილარიბე გარდამავალ საზოგადოებაში: საქართველო, სადისკუსიო წერილების სერია №6, თბილისი, 1998.
28. თოფურია დ. – ინტეგრაცია, ინტენსიფიკაცია, ეფექტიანობა – სასურსათო პრობლემის გადაწყვეტის საფუძველი. თბ. 1988.
29. კახნიაშვილი ჯ. – მაკროეკონომიკა – თეორია და პოლიტიკა. თბ., 1997.
30. კოლუაშვილი პ., – აგრარული რეფორმა: შედეგები და პერსპექტივები, თბ. 1998.
31. კოლუაშვილი პ., გიორგაზე ჰ., რამიშვილი ბ. – სასურსათო პრობლემიდან – სასურსათო უსაფრთხოებამდე, თბ. 1999.
32. კოლუაშვილი პ. – საქართველოს მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრირება, როგორც სასურსათო უშიშროების მიღწევის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება. „საქართველოს მეცნიერებათა

აკადემიის მოამბე". 2003, №1-2.
33. კოლუაშვილი პ., გიორგაძე ჰ. – საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების ძირითადი პრიორიტეტები. „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე". 2003, №1-2.
34. კოლუაშვილი პ., გიორგაძე ჰ. – სურსათის წარმოების რეგიონული ორიენტირები. „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე". 2003, №1-2.
35. კოლუაშვილი პ. – სასურსათო პრობლემა საქართველოში და მისი ძირითადი მახასიათებლები. „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე". 2003, №1-2.
36. კოლუაშვილი პ. – საქართველოს აგრობაზარი მარეგულირებელი სამსახურების ფუნქციონირებას საჭიროებს, ჟ. „სოციალური ეკონომიკა", 2002, №2.
37. კოლუაშვილი პ. – სასურსათო პრობლემა საქართველოში, ჟ. „სოციალური ეკონომიკა" 2002, №3.
38. კოლუაშვილი პ. – საქართველოში აგრობიზნესის განვითარების ზოგიერთი საკითხი, ჟ. „სოციალური ეკონომიკა" 2002, №4.
39. კოლუაშვილი პ. – მეურნეობრიობის ფორმების რესტრუქტურიზაციის საკითხისათვის სოფლის მეურნეობაში, „სოციალური ეკონომიკა", 2002, №5.
40. კოლუაშვილი პ. – სასურსათო უსაფრთხოება: კრიტერიუმები, მაჩვენებლები. ჟ. „სოციალური ეკონომიკა", 2002, №6.
41. კოლუაშვილი პ. – სასურსათო პროდუქციის უსაფრთხოების კონტროლის რეგულირების მექანიზმები. ჟ. „სოციალური ეკონომიკა", 2003, №1.
42. კოლუაშვილი პ. – სასურსათო უშიშროების სამართლებრივ-ეკონომიკური ასპექტები. ჟ. „სოციალური ეკონომიკა", 2003, №2.
43. კოლუაშვილი პ. – გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოთა პრივატიზების კონცეფციის შესახებ. ჟ. „ეკონომიკა", 1993, №4-5.
44. კოლუაშვილი პ., ბენია შ. – სპეციალური აგრარული საკრედიტო სისტემის შექმნისა და სახელმწიფო რეგულირების საკითხისათვის, ჟ. „ეკონომიკა". 2002, №1-2.
45. კოლუაშვილი პ., ბენია შ. – აგრარული ბაზრის სახელმწიფო რეგულირების ასპექტები საქართველოში, ჟ. „ეკონომიკა", 2002, №5.
46. კოლუაშვილი პ., ბენია შ. – დედამიწის მატერიალური რესურსები და სასურსათო მდგომარეობა, „ეკონომიკა", 2002, №6-7.

47. კოლუაშვილი პ., ბენია შ. – მეწარმეობისა და აგრობიზნესის განვითარების ზოგიერთი ასპექტები. ჟ. „ეკონომიკა", 2003, №1-2.
48. კოლუაშვილი პ. – სასურსათო პრობლემა ჩვენს პლანეტაზე. ჟ. „ეკონომიკა", 2003, №1-2.
49. კოლუაშვილი პ., ბენია შ. – აგრარული სექტორის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების ძირითადი მიმართულებები. ჟ. „ეკონომიკა", თბ., 2003, №5-6
50. კოლუაშვილი პ. – აგროსასურსათო სექტორში ფარული ეკონომიკის ლეგალიზაციისათვის. თსუ-ს შრ. სერია „ეკონომიკა", თბ., 2002, №3-4.
51. კოლუაშვილი პ. – ეროვნული მეურნეობის განვითარების რეგულირება პრიორიტეტების განსაზღვრით იწყება. სოხუმის უნივერსიტეტის მე-20 წლისთავისადმი მიძღვნილი ეკონომისტთა II კონფ. მასალები., თბ., 1999.
52. კოლუაშვილი პ. სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რესტრუქტურიზაცია საბაზრო ფორმის საფუძველია. ჟ. „მაკრო მიკროეკონომიკა", 1998, №8.
53. კოლუაშვილი პ. – საბიუჯეტო პროცესის სრულყოფა საბიუჯეტო რესურსების ეფექტიანი გამოყენების უპირველესი პირობაა. ჟ. „მაკრო მიკროეკონომიკა", 2000, №1-2.
54. კოლუაშვილი პ., მჭედლიშვილი დ. – საპარტნიორო ფონდის ბაზაზე შექმნილმა აგრობიზნესბანკმა ფერმერები მოატყუა. ჟ. „მაკრო მიკროეკონომიკა", 2000, №5.
55. კოლუაშვილი პ. – ჯანსაღი კონკურენცია, ფალსიფიკაცია და სამომხმარებლო ბაზარი. ჟ. „მაკრო მიკროეკონომიკა", 2001, №2
56. კოლუაშვილი პ., ბენია შ. – სასურსათო პროდუქციის წარმოების ქვეკომპლექსების განვითარება და სასურსათო უშიშროების მიღწევის რეგიონული ასპექტები. აგრარული მეცნიერების პრობლემები, ტ. XXI, თბ., 2002.
57. კოლუაშვილი პ., ბენია შ. – სიღარიბის დაძლევის და ეკონომიკური ზრდის პროგრამის სტრატეგიული მიმართულებები. აგრარული მეცნიერების პრობლემები, ტ. XXI, თბ., 2002.
58. კოლუაშვილი პ. – სასურსათო უსაფრთხოება და სამომხმარებლო ბაზრის პრობლემები საქართველოში. აგრარული მეცნიერების პრობლემები, ტ. XV, თბ., 2001.
59. კოლუაშვილი პ. – დაკრედიტების პრობლემები და მისი გადაწყვეტის გზები აგრარულ სექტორში. აგრარული მეცნიერების პრობლემები, ტ. V, თბ., 1999.

60. კოლუაშვილი პ., ჩიხლაძე ნ., მჭედლიშვილი დ. – სოფლის მეურნეობაში საგადასახადო სისტემის სრულყოფის საკითხები, აგრარული მეცნიერების პრობლემები, ტ. XIV, 2001.
61. კოლუაშვილი პ., გიორგაძე ჰ., ბენია შ., ჩიხლაძე ნ. – აგროსასურსათო ბაზრის რეგულირების აუცილებლობის შესახებ, აგრარული მეცნიერების პრობლემები, ტ. XIV, 2001.
62. კოლუაშვილი პ., გიორგაძე ჰ., რამიშვილი ბ., ბენია შ. – სასურსათო უსაფრთხოება და აგროსასურსათო წარმოების რეგულირება, აგრარული მეცნიერების პრობლემები, ტ. XIV, 2001.
63. კოლუაშვილი პ., მჭედლიშვილი დ., ბენია შ. – სოფლის მეურნეობის დაკრედიტების ძირითადი მიმართულებები საქართველოში, აგრარული მეცნიერების პრობლემები, ტ. XV, 2001.
64. კოლუაშვილი პ., ბენია შ. – სასურსათო უზრუნველყოფის აქტუალური პრობლემები XXI საუკუნეში, აგრარული მეცნიერების პრობლემები, ტ. XIX, 2002.
65. კოლუაშვილი პ., ბენია შ. – ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ძირითადი ასპექტები, აგრარული მეცნიერების პრობლემები, ტ. XIX, 2002.
66. კოლუაშვილი პ., ჩიხლაძე ნ. – მარცვლეულის წარმოების პრობლემები საქართველოში, აგრარული მეცნიერების პრობლემები, ტ. V, 1999.
67. კოლუაშვილი პ., ჩიხლაძე ნ. – საქართველოში მევენახეობის განვითარების აქტუალური საკითხები, აგრარული მეცნიერების პრობლემები, ტ. V, 1999.
68. კოლუაშვილი პ., მჭედლიშვილი მ., შაველაშვილი ნ. – გლეხთა საკრედიტო კავშირი – ანალიზი და პროგნოზები, აგრარული მეცნიერების პრობლემები, ტ. V, 1999.
69. კოლუაშვილი პ. – დიდი აბრეშუმის გზის აღორძინება – XXI საუკუნის პროექტი, ჟ. „კვალი" 1999, №9-10.
70. კოლუაშვილი პ. – საქართველოს აგრარული პოლიტიკა თანამედროვე ეტაპზე. აგრარული მეცნიერების პრობლემები, ტ. XI, თბილისი-ბაქო, 2000.
71. კოლუაშვილი პ. – აგრარული წარმოების ეფექტიანობის განსაზღვრის საკითხისათვის. აგრარული მეცნიერების პრობლემები, ტ. XI, თბილისი-ბაქო, 2000.
72. კოლუაშვილი პ., ჩიხლაძე ნ. – აგრარული რეფორმის მეცნიერული საფუძვლები და პრიორიტეტული მიმართულებები. აგრარული მეცნიერების პრობლემები, ტ. XX, 2002.
73. კოლუაშვილი პ., გიორგაძე ჰ., ბენია შ. – აგრარული ბაზრის

განვითარების ძირითადი მიმართულებები. აგრარული მეცნიერების პრობლემები, ტ. XX, 2002.
74. კოლუაშვილი პ. – „სურსათისა და თამბაქოს შესახებ“ კანონის კრიტიკისათვის. აგრარული მეცნიერების პრობლემები, ტ. XVI, 2002.
75. კოლუაშვილი პ. – სასურსათო პროდუქციის უსაფრთხოების ეროვნული სისტემის შესახებ. აგრარული მეცნიერების პრობლემები, ტ. XVI, 2002.
76. კოლუაშვილი პ., ბენია შ. – ქართული სოფლის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები. აგრარული მეცნიერების პრობლემები, ტ. XXI, 2003.
77. კოლუაშვილი პ., ბენია შ., გიორგაძე პ. – სიღარიბის დაძლევის საკითხები საქართველოში. აგრარული მეცნიერების პრობლემები, ტ. XXIV, 2003.
78. კოლუაშვილი პ., ბენია შ., გიორგაძე პ. – საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების საკითხები. აგრარული მეცნიერების პრობლემები, ტ. XXIV, 2003.
79. კოლუაშვილი პ. – აგრარული რეფორმის პირველი ეტაპის შედეგები. აგრარული მეცნიერების პრობლემები, ტ. IV, 1998.
80. კოლუაშვილი პ. – აგრარული რეფორმის მეორე ეტაპის სტრატეგიისა და პრიორიტეტული მიმართულებების შესახებ. აგრარული მეცნიერების პრობლემები, ტ. IV, 1998.
81. კოლუაშვილი პ., მჭედლიშვილი დ. – საქართველოში ურთიერთდახმარების აგროკრედიტის განხორციელების გზები. აგრარული მეცნიერების პრობლემები, ტ. IV, 1998.
82. კუნჭულია თ. – საქართველოს სოფლის მეურნეობის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პრობლემები და მისი გადაწყვეტის გზები, თბ. 1997.
83. კუნჭულია თ. – აგროსამრეწველო კომპლექსის კრიზისიდან გამოყვანის პირველი რიგის ღონისძიებების შესახებ. თბილისი, „რეფორმა“, 1999 წ.
84. კუნჭულია თ. – მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანების შუქჩრდილები. ჟ. „კვალი“, 2000, №7-8.
85. ლუკასი რობერტ – საბაზრო ეკონომიკა, თბილისი, 1997.
86. მაისაშვილი გ. – ქართული სახელმწიფოს მშენებლობისათვის. ჰიუსტონი-თბილისი, ორიგინალური გამოცემა, 2003.
87. მაკკალა ა. – სოფლის მეურნეობის ამოცანები 21-ტ საუკუნეში. ჟ. „კვალი“, 1999, №7-8.
88. მაკკონელი კ.რ., ბრიუ ს.ლ. – ეკონომიკსი. ნაწ. I-IV. თბ.,

1993-1997.
89. მალაშხია გ. – ბუნებრივი წესრიგის ფაქტორი ეკონომიკაში, თბ. 1999.
90. მალაშხია გ. – მეტაეკონომიკა, თბ. 1998.
91. მაღლაკელიძე თ. – ეკონომიკური უსაფრთხოება. თბ., „სიახლე", 2002.
92. მენქიუ გ. – ეკონომიკის პრინციპები. „დიოგენე", თბ., 2000.
93. მესხია ი. – ეკონომიკური რეფორმა საქართველოში. თბ., 1996.
94. მესხია ი. – საქართველოს ეკონომიკის უსაფრთხოების კონცეპტუალური საკითხები. ჟ. „ეკონომიკა", 1996, № 1-3.
95. მექვაბიშვილი ე. – ეკონომიკური რეფორმის მეორე ეტაპის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრის საკითხისათვის, თბ. 1997.
96. მეწარმეობა საქართველოში. სტატისტიკური პუბლიკაცია. სსდ, თბილისი, 2001.
97. მოდებაძე ნ. გარაყანიძე ზ. – სასურსათო უსაფრთხოების ზოგიერთი პრობლემა საქართველოში. თბ. 1998.
98. მომხმარებელთა ქცევის ბარომეტრი. სსდ, თბ., 2001.
99. ნიჟარაძე ა. კობახიძე შ. – სასურსათო პროგრამა და მისი განხორციელების გზები. თბ. 1983.
100. პაპავა ვ. – პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, საქ. მეცნ. აკადემიის გამომც. 2002.
101. პაპავა ვ. – „საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და წარმოების განვითარების: წინააღმდეგობები და პერსპექტივები"; რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, თბ., 1999.
102. პაპავა ვ. – საბაზრო თანამშრომლობის დოქტრინა. თბ., 1999.
103. ჟღენტი პ. მახარაძე ჯ. – კოლხეთის დაბლობი – სასურსათო პროგრამის გადაწყვეტის დიდი რეზერვი; თბ. 1984.
104. ჟღენტი პ. ქეშელაშვილი ო. – სასურსათო პროგრამის რეალიზაციის გზები; თბ. 1982.
105. რეფორმები კვების მრეწველობის და სოფლის მეურნეობის დარგში, საქართველო, მსოფლიო ბანკის ანალიზი. 1995.
106. საკაშვილი მ. – გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოსათვის. „საქართველოს კანონთა წიგნისა და საკანონმდებლო მაცნეს რედაქცია", თბ., 2001.
107. სამუელსონი პ., ნორდჰაუსი ვ. – ეკონომიკა. XV გამოცემა, თბილისი, 2000. I-IV ტ.

108. სანაძე გ. – სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში, თბ. 2001.
109. სანთელაძე ნ. – ეკონომიკური რეფორმა და ახალი სოციალურ-ეკონომიკური მოდელის ჩამოყალიბება საქართველოში, თბ. 2000.
110. საქართველოს სასურსათო უზრუნველყოფის მდგომარეობა. ტენდენციები ციფრებში. სტატისტიკური ბიულეტინი. სსდ, 2000-2003, №1-10.
111. საქართველოს აგრარულ-სამრეწველო და სასურსათო კომპლექსის მიმდინარე პროცესები და შედეგები. თბ. 1998.
112. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1993-1995 და 1996-2000 წლების ინდიკატური გეგმა. თბ., 1993, 1996.
113. საქართველოს სოფლის მეურნეობა. სტატისტ. კრებული. სსდ. თბ., 1998-2002 წწ.
114. საქართველოს სტატისტიკური წელიდწლეული, სსდ, თბ., 2001.
115. საქართველოს შინამეურნეობები. 1996-2001. ეკონომიკურ-სტატისტიკური კრებული, სსდ, თბ., 2002.
116. საქართველოში ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევისა პროგრამა. თბ., 2003.
117. სილაგაძე ა. – ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები. თსუ-ს გამომც., თბ., 2001
118. ქარქაშაძე ნ. – მსოფლიო სოფლის მეურნეობა, თბ. 1995.
119. ქარქაშაძე ნ. – დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების სოფლის მეურნეობა. თბ. „განათლება", 1998.
120. ქარქაშაძე ნ. გიორგაძე ჯ. – საზღვარგარეთის ქვეყნების სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და ორგანიზაცია: აშშ-ის სასურსათო კომპლექსი, მისი ეკონომიკური ეფექტიანობა და განვითარების ტენდენციები: მეთოდური დამუშავება. თბ 1992.
121. ქეშელაშვილი ო. – სოფლის მეურნეობა აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემაში, თბ. 1996.
122. ყამარაული ს. და სხვ. – წარმოების ორგანიზაცია და მართვა ფერმერულ მეურნეობებში; „მეცნიერება" 2000.
123. შევარდნაძე ე. – საქართველო საუკუნეთა მიჯნაზე. თბ., 2002.
124. ჩიკვაიძე თ. – გლობალური ცივილიზაციის ფორმირება და საქართველოს ეროვნული უსაფრთხოება XXI საუკუნისათვის. „პოლიტიკა", 1997, №1.
125. ჩიკვაიძე თ. – საქართველოს მდგრადი და უსაფრთხო განვითა-

რების პროგრამა XXI საუკუნისათვის: არსი, შინაარსი, ძირითადი პრობლემები. „საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში", ტ. I. თბ. 1996
126. ჩიქავა ლ. – საქართველოს ეკონომიკის სოციალური არაორიენტირებულობა და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები, თბ. 2000.
127. ჩიქავა ლ. – საქართველოს ეკონომიკა, თბილისი „მერიდიანი", 1995.
128. ცნობილაძე პ., ხუბუა გ., ხმალაძე ვ., მეტრეველი ნ., კაპანაძე ო. – როგორ იქმნება კანონი. „აზრი", თბ., 2000.
129. წერეთელი გ. – საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის განვითარების ზოგადი მოთხოვნები და პერსპექტივები. კრ. „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები", ტ. II, „მეცნიერება", თბ., 2002.
130. ჭავჭავაძე ი. – ამას ვამბობ და ვღაღადებ. ქუთაისი, „დ. მანდარიას სტამბა", 1997.
131. ჭავჭავაძე ი. – თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, ტ. 6, ტ. 7, თბ., 1959.
132. ჭანტურია ლ., ნინიძე თ. – „მეწარმეთა შესახებ" კანონის კომენტარი. „სამართალი", თბ., 1998.
133. ჭითანავა ნ. – საბაზრო ეკონომიკის რეგულირება (ორგანიზაციული პრობლემები), თბ. 1995.
134. ჭითანავა ნ. _ გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, (I-II-III ნაწილი) თბ. 1997, 1999, 2001.
135. ხარაიშვილი ე. – ეკონომიკურ-ორგანიზაციულ ურთიერთობათა სისტემა საქართველოს ასკ-ში, თბ. 1999.
136. ხარიტონაშვილი ჯ. – მსოფლიოს გლობალური პრობლემები, თბ. 2001.
137. ხოზრევანიძე ნ. – მთიანი რეგიონების განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა ევროპის ქვეყნებში, თბილისი, 2000.
138. ხომერიკი ნ. – აგრარული რეფორმა და ჩვენი სასოფლო მეურნეობა. თბ., 1920.
139. ჯავახიშვილი ივ. – თხზ. 12 ტომად. საქართველოს ეკონომიკური ისტორია. ტ. 4, ტ. 5, თბ., თსუ-ს გამომც., 1986.
140. ჯიბუტი მ. – მსოფლიო ეკონომიკაში საქართველოს ეკონომიკის ინტეგრირების უახლოესი ისტორია და პერსპექტივები. „ეკონომიკის აქტუალური საკითხები", ტ. XVI, თსუ, 2001.
141. ჰეჯესი ტ. – ფერმერული მეურნეობის ორგანიზაცია. თბ. 1997.
142. ჰუმანური განვითარების ანგარიში, საქართველო, გაერო, თბილისი, 1995-2000 წწ.
143. Аверьянов И. – Государственное регулирование агропромыш-

ленного производства. Экономика, М., 1996, №10.
144. Аграрный сектор США в конце XX века Под редакцией Чернякова Б. А. М., Институт США и Канады, 1997.
145. Басс Т., Редберн С. – Государственные субсидии и интересы частного предпринимательства. ж. США ЭПИ, 1995, №2.
146. Безопасность России, Продовольственная Безопасность (Раздел первый и второй) "Знание", М., 2000 и 2001 гг.
147. Борисенко Е. Н. – К вопросу о международной продовольственной безопасности. Безопасность. М., 1996, №7-12.
148. Борисенко Е. Н. – Продовольственная безопасность – важная составляющая системы экономической безопасности России. Проблемы окружающей среды и природных ресурсов, М., 1997, №2.
149. Борисенко Е.Н. – Актуальные проблемы обеспечения международной продовольственной безопасности, Экономика природопользования. М., 1997, №1.
150. Борисенко Е.Н., – Продовольственная безопасность России: проблемы и перспективы. ОАО "Экономика", М., 1997.
151. Браун Л., Кейн Х., Айрес Э. – Тенденции, определяющие будущее человечества (Исследование института "Уорлдуотч"). ж. США ЭПИ, 1994, №5, №6.
152. Браун Л., Кейн Х. – Дом заполнен. Переоценка способности Земли прокормить население планеты. ж. США ЭПИ, 1995, №3.
153. Зволинский В. – Обеспечение продовольственной безопасности России. АПК: экономика, управление, 1996, №2.
154. Качество Роста. Всемирный банк 2001 г. изд. "Весь Мир", М., 2001 г.
155. Клучи Д. – Государство, бизнес и экономика. ж. США ЭПИ, 1995, №4.
156. Коваленко Н.Я., Сорокин В.С. – Сельскохозяйственные рынки. МСХА, М., 1998.
157. Коротких А.А. – Использование земель в сельском хозяйстве США: структура землепользования и формы землевдладения. ж. США ЭПИ, 1997, №11.
158. Маршания Л. – Пути эффективного использования продовольственного потенциала сельского хозяйства Грузинской ССР, Тб. 1987 г.
159. Монисов А.А., Тутельян В.А., Хотамченко С.А., Терешкова А.П. – Проблемы безопасности пищевых продуктов в России, Вопросы питания, 1994, №3.
160. Обратить Реформы на благо всех и каждого, Бедность и неравенство в странах Европы и Центральной Азии, Всемирный банк.

Вашингтон, ОК, 2002 г.
161. Писарев В.Д. – Стратегия устойчивого выживания человечества: экологический императив и международное сотрудничество. ж. США ЭПИ, 1995, №10.
162. Письмо американского фермера. Ж. США ЭПИ, 1993, №12.
163. Серова Е. – Аграрная экономика, Государственный Университет, Высшая школа. Экономика, М., 1999.
164. Трейси М. – Сельское хозяйство и продовольствие в экономике развитых стран: введение в теорию, практику и политику. (Перевод с англ.), Экономическая школа, М., 1995.
165. Шевлягина Е.А. – Американские государственные программы продовольственной помощи. ж. США ЭПИ, 1997, №4.
166. Шершнев Е.С. – Продовельственная ситуация в мире и перспективы ее изменения. ж. США ЭПИ, 1995, №4.
167. Чаянов А.В. – Крестьянское хозяйство. Экономика, М., 1989.
168. Черняков Б.А., Янбых Р.Г. – Кредит в аграрном секторе США. США ЭПИ, 1997, №5.
169. Knulson RD, Penn JB, Boehm WT – Agricultural and Food Policy, Prentice Hall, Engeewood, N.Jersey, 1997.
170. Agricultural Policies. Market and Trade., – OECD, Paris, 1996.
171. Eliss F. – School of Development Studies of East Azia. Agricultural Policies in Developing countries. Cambridge University Press, 1996.
172. FAO Year Book. Agriculture T.S. productivity. – Rome, 1995.
173. Population and Food, Population Information PACK, Committee of Population and the Economy, UN, FAO, 1995.
174. The State of Food and Agriculture, FAO, 1995.